

K 40021
2

0881533420 5150

36013303006080

სახელი:

၁၆၂၅၃၂၈၇၂၃၆၀၈၂

IMMANUEL KANTS

PROLEGOMENA

zu
einer jeden künftigen Metaphysik,
die als Wissenschaft wird auftreten können

Georgische Übersetzung
von
Prof. Dr. M. GOGIBERIDSE

Einleitung von
Prof. P. SCHARIA

Tphilissi 1936
Staatsverlag S. S. R. Georgiens

0001660 კანტი

პროლეტარები

ეოველი მოსალოდნელი

მეტაფიზიკისათვის,

რომელიც

მიმღებადის სახით უსაძლებელა გამოცხადდა.

120021
K ~

თარგმანი და წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის
პროფ. მოსე გოგიაშვილისა

პროფ. პ. შარიას
რედაქციით და წინასიტყვაობით



სახელმწიფო ტფილისი სამსახურის ლიტერატურის
გამოცხადობა 1936 ს ე ბ ტ მ რ ი

კანტის „პროლეტობის“ ქართული გამოცვებისათვის.

ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ მარქსიზმი არის მთელი კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიის უძალლესი პროდუქტი. (იხ. ლენინის: „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“).

ფილოსოფიის ისტორია კი აზროვნების განვითარების მთავარი ღერძია, მისი მთავარი ფოკუსი. ჩა რიგაც არ ეჩერებოდეს ამა თუ იმ სპეციალ მეცნიერების წარმომადგენელს თავისი დამოუკიდებლობა ფილოსოფიისაგან, უეჭველია, რომ ის შეგნებულად თუ შეუგნებლად რომელიმე ფილოსოფიის გავლენას განიცდის, ვინაიდან სწორედ ფილოსოფია არკვევს აზროვნების (როგორც მსოფლისედველობის, ისე მეთოდოლოგიის) უზოგადეს და უძირითადეს პრინციპულ საკითხებს. ამიტომ გასაგებია, რომ მარქსიზმის ისტორიულ წინამდლვრებს შორის ფილოსოფიას მთავარი ადგილი უჭირავს (იხ. ფრ. ენგელსი „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“ წინასიტყვაობა 1882 წ. პირველი გერმანული გამოცემისათვის). ლენინი თავის გენიალურ შრომაში მარქსიზმის შესახებ აღნიშნავს უკანასკნელის სამ ძირითად ისტორიულ წყაროს, მათ შორის გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას XVIII საუკ. დამლევის და XIX საუკ. დასაწყისისა. ამ ფილოსოფიას, რომელიც თავის მხრივ, პროდუქტია წინასიტორიულ ფილოსოფიურ განვითარებისა, უდიდესიც

‘მნიშვნელობა აქვს, როგორც მარქსისტული’ ფილოსოფიის უშუალო წყაროს, რომლის რევოლუციური გარდა ქმნის საფუძველზე შემუშავდა დიადი მარქსისტული მსოფლმხედველობა — მეთოდოლოგია. ამ, ფილოსოფიის სათავეში დგას კანტი, რომელსაც არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ ისტორიულ-ლოგიკურად მოჰყვა ბრწყინვალე პლეიიდა, რომელთა ცენტრს შეადგენს ფიხტე, მწვერვალს — კი ჰეგელი.

თუ საერთოდ, როგორც ეს არა ერთხელ აღუნიშნავს ლენინს, დიდი მნიშვნელობა აქვს აზროვნების ისტორიის შესწავლას მარქსიზმის ღრმა-ისტორიული გაგებისათვის (იხ. „Философские тетради“, მისი წერილი, „Методология Марксизма“ რედაქციისადმი და სხვა) მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარქსისტული ფილოსოფიის უშუალო წინამორბედის, — გერმანული კლასიკური ფილოსოფიის — შესწავლას. ამ უკანასკნელის შესწავლა და გაგება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის სათავით დავიწყებთ. ასეთი სათავე, როგორც ზემოდ აღუნიშნეთ, იყო კანტის ფილოსოფია, რომლის ღრმა შეთვისების გარეშე შეუძლებელია ჰეგელის ფილოსოფიის, — კლასიკური გერმანული ფილოსოფიის მწვერვალის, — გაგება. ჰეგელის ფილოსოფიის გაგების გარეშე კი ძნელია მერქსიზმის გაგება (იხ. ლენინის „Философские тетради“ პარტგამომცემლობა; 1936 წ. გვ. 174).

აზროვნების კლასიკოსის შესწავლა შეიძლება მხოლოდ მისი ნაწარმოების უშუალო გაცნობა-შესწავლის საფუძველზე.) ყოველი ისტორიული მიმოხილვა, მონაგრაფია და კონსპექტი მხოლოდ დამხმარე მასალაა, რომლის მნიშვნელობას ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ, მაგრამ ორიგინალს ვერასოდეს ვერ შესცვლის. ამიტომ

უეჭველად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს კანტის ერთერთი ძირითადი ნაწარმოების ქართული გამოცემა. კანტის „პროლეგომენები“ როგორც თვითონ მისი ავტორი აღნიშნავს, არ ყოფილა „გონების კრიტიკის“ უბრალო დამატება ან მისი შემოკლებული კონსპექტი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია. თუ „გონების კრიტიკაში“ ნაზრევის შედეგთან ერთად მოცემულია აზროვნების პროცესიც რაც მას ალაგ-ალაგ მეტად ბუნდოვნად და დალაგების მხრივ ძალიან მძიმე და ძნელ ასათვისებლად ხდის, „პროლეგომენებში“ — კი სხარტად, უფრო გარკვეულად და ნათლად არის შოცემული სწორედ კრიტიკული ფილოსოფიის კვინტ-ესენცია. კანტმა ეს განსხვავება გამოზატა დალაგების სინთეტიური და ანალიტიური მეთოდების განსხვავების სახით. რა თქმა უნდა, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს „პროლეგომენები“ თავისუფალია შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, ბნელი ადგილებისაგან და სხვა — პირიქით, მასში უფრო აშკარად შესამჩნევია კანტის ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობანი, რადგანაც ის „გონების კრიტიკისაგან“ განსხვავებით თავისუფალია რთულ დამხმარე აპარატისაგან და ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები შიშვლად უპირისპირდებიან ერთი მეორეს.

ადგილის შეზღუდულობის გამო ჩენ აქ არ ვაპირობთ ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის მთელი შინაარსის დახასიათებას, შევეხებით მხოლოდ რამდენიმე ძირითად პუნქტს, რაც ახალგაზრდა მკითხველებს გაუადვილებს ტექსტის დაძლევას და ათვისებას.

ცნობილია, რომ მარქსი ახასიათებდა კანტის ფილოსოფიას, როგორც საფრანგეთის რევოლუციის გერმანულ თეორიას. რამდენად იდეოლოგიის საფუძველი ეკონომიკაში უნდა ვეძიოთ, ცხადია, აღნიშნული გარემოება

უნდა ავხსნათ გერმანიის სოციალეკონომიური განვითარების თავისებურებით ევროპის სხვა ქვეყნებთან, კერძოდ, ინგლისთან და საფრანგეთან შედარებით. რაში მდგომარეობს ეს თავისებურება? თუ XVIII საუკუნის ინგლისი და საფრანგეთი უკვე განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს წარმოადგენენ, გერმანიაში კი ამ დროს ბურჟუაზიული ეკონომიკა მხოლოდ ფეხს იკიდებს, თუ საფრანგეთისათვის ბურჟუაზიული რევოლუცია პრაქტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს (ინგლისში ბურჟუაზიული რევოლუცია თავისებურ ფორმით უკვე მოხდა XVII საუკუნეში) გერმანიის სუსტი ბურჟუაზიისათვის რევოლუცია, თუმცა სასურველი იყო, მაგრამ უშუალოდ პრაქტიკულად შეუძლებელი. ამიტომ მას რევოლუციის საკითხი პრაქტიკულ სფეროდან ოცნების სფეროში, სინამდვილის სფეროდან აზროვნების სფეროში გადააქვს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გერმანულ კლასიკოს-ფილოსოფოსებმა თუნდაც მხოლოდ აზროვნების სფეროში ნამდვილი რადიკალური რევოლუცია მოახდინეს? რა თქმა უნდა არა! ნათქვამია: კარებიდან განდევნილი ბუნება ფანჯრებში შემოიჭრებათ. გერმანული სინამდვილის ჩამორჩენილობა მძლავრად ჰქვეცავს აზროვნების გაქანებას და თვით აზროვნების ფარგლებში ჩნდება. სასტიკი დუალიზმი რევოლუციის და რეაქციის სახით დიალექტიკისა და მეტაფიზიკის სახით. ასეთი დუალიზმის დაღი ასვია გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიის მთელს ბრწყინვალე პლეიადას, თუმცა სხვადასხვა სახით და ხარისხით. უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი გერმანული კლასიკური იდეალიზმი კანტით დაწყებული და გათავებული ჰეგელით აზროვნების განვითარების ერთ მთლიან რგოლს წარმოადგენს, მისი სხვადასხვა წარმომადგენლები ერთი და იგივე ოვალსაზრისზე იდგნენ.

ისტორიულ-მემკვიდრეობითი ერთიანობა აზროვნებისა
ოდნავადაც არ მოითხოვს მათ არა თუ ფორმალურს
(ფორმალური განსხვავება კლასიკური იდეალიზმის სხვა-
დასხვა წარმომადგენელთა ფილოსოფიებს შორის ყველა-
სათვის უდაო უნდა იყოს) არამედ პრინციპიულ იგივე-
ობას. ამიტომ სასტიკად სცდებიან ისინი, ვინც კანტის
ფილოსოფიაში თუნდაც ჩანასახის სახით ჰეგელის ფილო-
სოფის მთელი სისტემის პრინციპებს ეძებენ. ასე შვებიან
მომენტევიკო იდეალისტები (დებორინი, ასმუსი და სხვ. და
მათი ქართული მოწაფენი). ასეთი შეცდომა გამომდინა-
რეობს მომენტევიკო იდეალიზმის ზოგადი შემცდარი
პრინციპიდან, თითქოს ფილოსოფიის ისტორიის შესწავ-
ლაში აზროვნების განვითარების მხლოდ შინაგანი
ლოგიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ასეთ შემთხვევაში
მხედველობიდან გვეპარება ობიექტურ-ისტორიული ფაქ-
ტები (შეიძლება ითქვას — ფაქტორები) და აზროვნების
კატეგორიების ურთიერთ ჭიდილს ან გადანასკვას ვებრა-
უჟებით, რაც ამ კატეგორიებს ობიექტურ-ისტორიულ სი-
ნამდვილისაგან სწყვეტს და უსიცოცხლო ფორმალურ
აზროვნების სქემებად აქცევს. ამით უხეშად დარღვეულია
დიალექტიკური მატერიალიზმის უმნიშვნელოვანესი პრინ-
ციპი სინამდვილისა და აზროვნების, ისტორიისა და
ლოგიკის ურთიერთობის შესახებ, ვინაიდან, როგორც
ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით ლოგი-
კური კატეგორიები არიან საკვანძო პუნქტები აზროვ-
ნების ისტორიული განვითარებისა, რაც თავის მხრივ
უშუალოდ ემყარება საზოგადოებრივ ისტორიულ პრაქ-
ტიკის განვითარებას.

ეს მომენტევიკო იდეალისტური ჰეგელიანური ცნება
აზროვნების განვითარების დამოუკიდებელ შინაგან დია-
ლექტიკისა საფბედუროდ საკმაოდ გავრცელებულია.

კერძოდ საქართველოში გერმანული კლასიკური იდეა-ლიზმის დიალექტიყის პრობლემების სპეციალური გაშუ-ქება ამ სრულიად მიუღებელ თვალსაზრისზე სდგას. ჩვენ აქ ვერ შევუდგებით ამ უკანასკნელის სპეციალურ და დეტალურ კრიტიკას (ჩვენ ამას ვაპირობთ მოკლე ხანში ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის კრიტი-კულ მიმოხილვასთან დაკავშირებით) აღვნიშნავთ მხო-ლოდ, რომ კანტის და ჰეგელის გაიგივება თუნდაც მხოლოდ უზოგადესი პრინციპების მხრივ ყოვლად დაუშვებელია და დიალექტიყის ისტორიის დამახინჯებას ნიშნავს.

ამ შემთხვევაში ხშირად მიგვითოთებენ ენგელსის შე-ნიშვნებზე იმის შესახებ, რომ კანტმა პირველმა დაარღვია სერიოზულად ახალი დროის მეტაფიზიკის სისტემა და რომ ჰეგელის ფილოსოფია არის მწვერვალი და დასას-რული იმ გზისა, რომელიც კანტით იწყება. უნდა გვქონ-დეს მხედველობაში: პირველი, რომ კანტმა მეტაფიზიკა-ნამდვილად დაარღვია თავის წინაკრიტიკული ნატურ-ფილოსოფიაში და არა კრიტიკულ ფილოსოფიაში, მეორე, რომ გზა დიალექტიკური განვითარებისა ჩვენ უნდა გვესმოდეს არა როგორც პირდაპირი, თანდათა-ნობითი, ევოლუციური, არამედ როგორც მიწვეულ-მო-ხვეული ნახტომებით მოცემული, რევოლუციური. ჯერ კიდევ ფრენსის ბეკონს კარგად ესმოდა ე.წ. უარყოფითი ინსტანციების მნიშვნელობა. აზროვნების განვითარების ისტორიაში ისევე, როგორც ბუნების და საზოგადოების ისტორიაში ბევრი იცის ისეთი უარყოფითი ინსტანციები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი პრო-გრესისა და განვითარებისათვის. ამის მაგალითების მო-ყვანა ზედმეტად მიგვაჩნია.

რატომ არ შეიძლება კანტის და ჰეგელის გაიგივება-თუნდაც ზოგადი პრინციპების მხრივ? იმიტომ, რომ კან-

ტის ქრიტიკული ანუ ტრანსცენტალური ფილოსოფია არა დიალექტიკურ, მეტაფიზიკურ საფუძვლებზეა აგებული, ჰეგელის ფილოსოფია კი — დიალექტიკურ პრინციპზე. მართალია, ჰეგელის დიალექტიკა არ არის ნამდვილი, მეცნიერული — ეს ყველამ იცის და აქ ამაზე გაჩერება ზედმეტია — მაგრამ ისიც ვიცით, რომ სწორედ ჰეგელის დიალექტიკა იყო მარქსიზმისათვის ისტორიული გამოსავალი წყარო.

რით უნდა ავხსნათ ეს განსხვავება კანტისა და ჰეგელის? იმით, რომ კანტის დროის გერმანული ბურჟუაზია ჯერ კიდევ არაა რევოლუციური, მისთვის რევოლუცია — შორეული პერსპექტივაა, რაც არ მოითხოვს უშუალო პრაქტიკულ რევოლუციურ მოქმედებას, და ოცნებით კმაყოფილდება. ჰეგელის დროის გერმანული ბურჟუაზია კი უკვე რევოლუციურია, მისთვის რევოლუცია უახლოეს ისტორიულ პერსპექტივას წარმოადგენს. ამიტომ თუ კანტი ობიექტურ სინამდვილის წინააღმდეგობას ფ. ტრანსცენტალური დიალექტიკას) ილუზიად აცხადებს, ჰეგელი წინააღმდეგობას მთელი სინამდვილის შინაგან სასიცოცხლო სულად და მამოძრავებელ ძალად სთვლის და დიალექტიკურ ლოგიკას ერთადერთი ჭეშმარიტ ლოგიკად აცხადებს. თუ კანტი მეტაფიზიკურად უპირისპირებს ერთი მეორეს (სწყვეტს ერთი-მეორისაგან) თეორიასა და პრაქტიკას, ჰეგელი სწორედ თეორიის და პრაქტიკის ერთიანობას ემყარება, თუმცა ეს ერთიანობა მოცემულია იდეალიზმის საფუძველზე (იხ. ლენინი „Философские тетради“ გვ. 184. 203). უეჭველია, რომ მარქსს თვის პირველ თეზისში ფეიერბახის შესახებ მხედველობაში აქვს არა კანტის, არამედ ჰეგელის ფილოსოფია.

სწორედ ამით აიხსნება მეორე ინტერნაციონალის „გმირების“ (ბერშტეინი, შმიდტი, ადლერი, კაუცი, ფორლენდერი და სხ.) გატაცება კანტის ფილოსოფიით და მისი დაპირისპირება „ჰეგელიანური სოფისტიკის“ წინააღმდეგ, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინი კანტიანიზმს ეკლექტიციზმს, სუბიექტივიზმსა და მეტაფიზიკას უწოდებს (იხ. ლენინის „Философские тетради“ და „Материализм и идеализм“ და ემპირიოკრიტიციზმი“). ხოლო ჰეგელის დიალექტიკურ იდეალიზმს ძალიან მაღლა აყენებს, როგორც ისტორიულ გადასაფალს მარქსისტულ ფილოსოფიაზე (რა თქმა უნდა რევოლუციურ კრიტიკულ გადამუშავების საფუძველზე).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კანტის კრიტიკულ ფილოსოფიას ახასიათებს მეტაფიზიკური დუალიზმი სინამდვილესა და აზროვნებას შორის, პრაქტიკასა და თეორიას შორის. ასეთივე სასტიკი დუალიზმი არსებობს კანტის წინაკრიტიკულ ნატურფილოსოფიასა და გნოსეოლოგიას შორის. კანტის ნატურფილოსოფიაში ჩვენ ვხედავთ დიალექტიკის ბრწყინვალე ელემენტებს (ისტორიული შესედულება კოსმოსზე, საწინააღმდეგო ძალების აღიარება მატერიის შინასტრუქტურაში, უარყოფითი და დადებითი სიდიდეების დიალექტიკური ერთიანობა, ბუნების მოვლენათა შინაგანი, ორგანული ურთიერთკავშირის აღიარება და სხვა) ხოლო კანტის გნოსეოლოგია არსებითად წინაკანტიურ მეტაფიზიკას არ გასცილებია. ამის დასაღასტურებლად შევეხოთ მოკლედ მის პრინციპებს.

ცნობილია, რომ რაციონალიზმის და სენსუალიზმის ურთიერთობის საკითხი ახალი დროის (XVII-XVIII საუკუნეები) ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. მათი დაპირისპირება და ბრძოლა გაგრძელება იყო იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებდა სა-

შუალო საუკუნეების დამლევს ე. წ. (ცნებათა) რეალიზმსა და ნომინალიზმს შორის. თუმცა ნომინალიზმის ბრძოლა რეალიზმის წინააღმდეგ, როგორც მარქსიალნიშნავდა, მატერიალიზმის ბრძოლის პირველი ნაბიჯი იყო იდეალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ თვითონ ნომინალიზმი, რომელიც შემდგომ ინგლისურ ემპირიზმში და სენსუალიზმში გადავიდა, სრულებით არ იყო საკმარისი მატერიალიზმის ჩამოყალიბების და დასაბუთებისათვის. ამიტომ XVII საუკუნეში, სადაც ბურჟუაზია, როგორც ახალი, პროგრესიული კლასი, გამოდის ისტორიულ ასპარეზზე და საშუალო საუკუნეების სქოლასტიკის წინააღმდეგ მეცნიერული იდეოლოგიის დასაბუთებას ცდილობს, მატერიალისტური იდეოლოგია თავის გამოხატულებას ეძებს არა მარტო ემპირიზმში და სენსუალიზმში (ბეკონი, ჰობერი, არამედ რაციონალიზმშიც (დეკარტე (მხედველობაშია მისი ფიზიკა) სპინოზა).

გასაგებია, რომ ცალმხრივად ვერც რაციონალიზმი ასაბუთებს მეცნიერულ მატერიალიზმს და ვერც სენსუალიზმი. ამის გამო ახალი ფილოსოფიის ორივე მიმართულება თავიანთ ცალმხრივ განვითარებაში შინაგან უმწეობას და დაშლას აღწევს. სენსუალიზმი ჰიუმეს სახით სკეპტიციზმში და აგნოსტიციზმში გადადის — რაციონალიზმი კი ლეიბნიცის და განსაკუთრებით ვოლფის სახით გადადის იდეალისტურ მეტაფიზიკაში. კანტმა ნამდვილად სცადა მათი გაერთიანება და ეს ცდა დიდ დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს (ყოვლად უმართებულად მიგვაჩნია ფილოსოფიის ბურჟუაზიული ისტორიკოსების მიერ გავრცელებული აზრი, თითქოს ლეიბნიცმა პირველად სცადა მათი გაერთიანება. ლეიბნიცი იდგა მონისტურ იდეალისტურ თვალსაზრისზე და მისთვის გრძნობადი ინტელექტუალურის დაბალ საფეხურს წარ-

მოადგენდა) მაგრამ საუბედუროდ ცდა განუხორციელებ-ლად დარჩა, ვინაიდან ხერხი, რომლითაც მოინდომა კან-ტმა მათი გაერთიანება — უმწეო აღმოჩნდა. კანტი უთუ-ოდ გრძნობდა, რომ პირდაპირ ვერც ჰიუმეს გზით წავი-დოდა ფილოსოფია და ვერც ლეიბნიცის გზით და ამი-ტომ იძლევა ორივეს კრიტიკას, მაგრამ კრიტიკა უძლური აღმოჩნდა, როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. ჰიუმე კანტმა ვერ დასძლია, უკეთ, ვერ დაარღვია მისი არგუმენ-ტაცია და კრიტიკული დაძლევის ნაცვლად ა სისი უკუაგდო იგი. რაც შეეხება ლეიბნიცს, თუმცა კანტმა ჟასტიკად გააკრიტიკა იგი, საბოლოოდ, მეთოდოლოგიუ-რიად მის პოზიციას დაადგა, ვინაიდან კანტის პრიორიზმი, საბოლოო ანგარიშში, იდეათა თანდაყოლილობის თეო-რიის თავისებური გამოხატულებაა. თუ კანტი შემეცნების ორ ძირითად პრინციპს აღიარებს: გრძნობელობას და გან-სფერას, თუ კი ის ფორმის და შინაარსის ერთიანობას მო-ითხოვს — ვერავინ დაეჭვდება ამ მოთხოვნის დიალექტი-ცურ ბუნებაში. მაგრამ თუ კანტი ამავე დროს მათ **ცალ-** დალკე ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად არსებულად აღიარებს და რაღაც მესამეს მეშვეობით ცდი-ლობს შათ გაერთიანებას (ტრანსცენდენტალური სქემა-ტიზმის და წარმოსახვის პროცესიული უნარის ცნება) — ვერავინ დაეჭვდება ამ ხერხის მუჭათიზიურ ბუნება-ში. დიალექტიკური წინააღმდეგობა — ერთიანობა მეტა-ფიზიკურ დაპირისპირებად იქცა და გზა ნამდვილი გაერ-თიანებისა აღკვეთილი აღმოჩნდა.

ცნების ანუ კატეგორიის პრობლემა ძირითადია მთელი ფილოსოფიის ისტორიის გასწვრივ, ვინაიდან ცოდნა, ჭეშმარიტება არა გრძნობად აღქმის ან შთაბეჭდილების, არამედ ცნების სახით მოიცემა. სწორედ ცნების ბუნების გარკვევაში მარხია, როგორც ეს გენიალურად აღმოაჩინა.

და დაასაბუთა ლენინმა (იხ. XII „Философские тетради“ ც. ვვწ-ვვწ) იდეალიზმის გნოსოლოგიური ფესვები. ცნების არაისტორიული, მეტაფიზიკური თეორია პირდაპირი გზაა იდეალიზმისაკენ. ცნების პრობლემა იყო აგრეთვე ძირითადი ოციონალიზმში და სენსუალიზმში. რაციონალიზმმა არსებითად მოხსნა ცნების წარმოშობა — განვითარების პრობლემა და თანდაყოლილობის გზას დაადგა. ამ თვალსაზრისით ცნება აზროვნების ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული და უცვლელი ელემენტია, და ამის საფუძველზე შენდება მეტაფიზიკური ლოგიკა, რომლის კატეგორიები როგორც ქვანტიტიურად, ისე ქვალიტატიურად უცვლელია.

სენსუალიზმა იდეათა თანდაყოლილობის კრიტიკით დასვა ცნების წარმოშობის, მისი გენეზისის პრობლემა, მაგრამ ვერ გადასწყვიტა იგი, ვინაიდან საკითხი ისტორიულ ასპექტიდან ფორმალურ ლოგიკურ ასპექტზე გადაიტანა. საკითხის გადაწყვეტა კი შეიძლებოდა მხოლოდ აზროვნების და მისი კატეგორიების ისტორიული განვითარების თვალსაზრისით. იხგლისურ სენსუალიზმის აღრინდელ წირმომადგენლებმა, განსაკუთრებით ლოკმა, გვერდი აუარეს შინაგან წინააღმდეგობას (მაგალითად, იგივე ლოკი, რომელიც ჩასულ rasa-თ იწყებს, აღიარებს შემეცნების სამ ფორმას — სენსიტიურს, დემონსტრატიულს და ინტუიტიურს), მაგრამ ჰიუმეს მახვილმაგონებამ შეამჩნია ეს შინაგანი წინააღმდეგობა და ინგლისურ სენსუალიზმის გამოსავალი პრინციპების თანმიმდევნო ლოგიკურ განვითარებით უარყო, საზოგადოდ ლოგიკური კატეგორიების (მათი ობიექტურ, საყოველთაო აუცილებელი მნიშვნელობის თვალსაზრისით) შესაძლებლობა. ფილოსოფიის ასეთ უნუგეშო მდგომარეობას ლებულობს კანტი ისტორიულ მემკვიდრეობით და ის სახავს

ამოცანად გაკაფოს ფილოსოფიის ისეთი ახალი გზა, რომელიც მას უვნებლად გაიყვანდა სცილასა და ხარიბლას შორის — ღოგმატიზმსა და სკეპტიციზმს შორის. ასე დაიბადა ე. წ. კრიტიკული ანუ ტრანსცენდენტალური ფილოსოფია.

მაგრამ კანტმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, ვინაიდან მან თვითონ პრობლემის ფესვებს ვერ მიაგნო და შეეცადა მოწინააღმდეგე მიმართულებათა გარეგნული შეერთება-შერიგებას, რაც ეკლეკტიზმის გზას ვერ აცდებოდა. „წმინდა გონების კრიტიკის“ სახელწოდებით კანტმა მოგვცა არა თვითონ გონების და მისი კატეგორიების კრიტიკა, არამედ მხოლოდ მათი პრეცენზიების, მათი გამოყენების არეს განხილვა. მარქსისტულ-ლენინურად ოდნავ მაინც მომზადებული მკითხველი აღვილად შეამჩნევს, რომ კანტმა დოგმატიზმი ხელუხლებლად დასტოვა სწორედ გადამწყვეტ პუნქტში—თვით გონების ბუნების, მისი სტრუქტურის საკითხში. როგორც აღვნიშნეთ, კანტის აპრიორიზმი რაციონალიზმის უკიდურესი გამოზატულებაა. ის ნიშნავს, რომ აზროვნება, მისი სტრუქტურა, მისი კატეგორიები ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობა-ცვალებადობის გარეშეა. კანტს ეგონა, რომ მან დაარღვია ჰიუმეს სკეპტიციზმი — სინამდვილეში კი კანტმა გვერდი აუხვია ჰიუმეს მიერ პირდაპირ და მწვავედ დასმულ პრობლემას და უდაო ჭეშმარიტების სახით დაუპირისპირა ის, რაც ჰიუმესათვის კარგად იყო ცნობილი და რასაც იგი კანონიერად უარყოფდა. ჰიუმე ამტკიცებს, რომ საყოველთაო, აუცილებელი მნიშვნელობის ობიექტური ცნება (კატეგორია) შეუძლებელია, იმიტომ, რომ ასეთი ცნება უნდა გამოხატავდეს ობიექტურ საგნებს, მათ მიმართებას, ხოლო უკანასკნელი კი ჩვენ მხოლოდ ცდაში გვეძლევა. ცდა კი ყოველთვის პრობლემატი-

ურია, ის დამთავრებული და შეზღუდულია, ვინაიდან ერთის მხრივ ის მოიცავს არა ყველა, არამედ მხოლოდ გამოცდილ შემთხვევებს, მეორე მხრივ ის ეხება მხოლოდ წარსულს და არა მომავალს. ლოგიკურ კატეგორიას კი აბსოლუტური, საყოველთაო და აუცილებელი მნიშვნელობის პრეტენზია აქვს. ცხადია, რომ ჰიუმე ერთის მხრივ ცდას ზღუდავს შინალოგიკური სტრუქტურით და არ იხილავს მას ისტორიულ ასპექტში, მეორეს მხრივ ის იზიარებს მეტაფიზიკურ შეხედულებას ლოგიკური კატეგორიის აბსოლუტურ, დაუსრულებელ, უცვლელ მნიშვნელობის შესახებ.

დაუმტკიცა თუ არა კანტმა ჰიუმეს საწინააღმდეგო? ვერ დაუმტკიცა, ვინაიდან თვითონაც საბოლოოდ არ გასცილებია მეტაფიზიკას. ლოგიკური კატეგორია იმიტომაა აბსოლუტური, საყოველთაო და აუცილებელი მნიშვნელობის, რომ ის ჩვენი საკუთარი აზროვნების აპრიორული ფორმაა და აბსოლუტურად დამოუკიდებელია ცდისაგან, რომლის პირველ პირობასა და საფუძველს თვითონ წარმოადგენს — ამბობს კანტი. ჰიუმეს ხომ ადვილად შეეძლო შეენიშნა, რომ თუ ლოგიკური კატეგორია ჩვენი საკუთარი აზროვნების აპრიორული ფორმაა, მაშინ მათ მხოლოდ სუბიექტური და არა ობიექტური მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ მათ საფუძველზე ობიექტურ სინამდვილის მეცნიერება ვერ შეიქმნება. განა თვითონ ჰიუმე არ აღიარებდა, ასეთ აპრიორულ-დემონსტრაციულ კატეგორიებს მათემატიკაში? კანტი უსაყვედურებს ჰიუმეს, რომ უკანასკნელმა მათემატიკის პრიცეპი ბუნებისმეტყველებაზე ვერ გაავრცელა, მაგრამ ჰიუმეს საამისო საბუთი გააჩნდა. ის ანსხვავებდა ერთი-მეორისაგან მათემატიკის და ბუნებისმეტყველების საგანს და მათემატიკურ მეცნიერებათა აპრიორულ-დემონსტრაციულ

რატიულ ხასიათს ხსნიდა იმით, რომ თვით მათი საგანი მისი აზრით სუბიექტურ კონსტრუქციას წარმოადგენს.

კანტმა ვერ შეამჩნია, რომ პიუმე წვალობდა სწორედ მეცნიერების ობიექტურ ღირებულების გარჩევა-დასაბუ-თების გარშემო და რაკი ეს ვერ მოახერხა გამოსავალი პრინციპების უმწეობის გამო, საზოგადოთ უარყო, ან ყოველ შემთხვევაში, ეჭვის ქვეშ დააყენა საერთოდ შე-მეცნების შესაძლებლობა.

წინაკანტიური რაციონალიზმი შემეცნების ობიექ-ტურობის დასაბუთებას ცდილობდა ჰეშმარიტი იდეათა თან-დაყოლილობის ცნებით, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ის იღებდა ცნებას ისტორიულ გენეზისის გარეშე როგორც აზროვნების ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ ელე-მენტს. მაგრამ სწორედ შემეცნების კრიტერიუმის საკითხში ამჟღავნებს ასეთი შეხედულება თავის უმწეობას, ვინაი-დან შემეცნების ობიექტური საგნობრივი ღირებულება უნდა შემოწმდეს არა თვით შესაცნობ საგანთან შეფარ-დებით (ასეთი შესაძლებლობა კლასიკურ რაციონალიზმში ლოგიკურად გაძორიცხულია) არამედ თვით იდეათა შინაგანი სტრუქტურის მიხედვით.

როგორ სწყვეტს კანტი ამ პრობლემას? თანდაყოლილო-ბის კარტეზიანულ-ლეიბნიცინურ თეორიას ის უარყოფს, ვინაიდან მისი თვალსაზრისით, ყოველი შემეცნება ცდით უნდა დაიწყოს და ცდის გარეშე საგანი არ შეიძ-ლება შოცემული იყოს. მაგრამ თუ ცნება მხოლოდ მისი გააზრებაა, რაც ცდაშია მოცემული, მაშინ აპრიორიზმი ხომ შინაგანი წინააღმდეგობაა? სწორედ აქა მთელი კანტიანიზმის პრობლემათა ღერძი. ჩვენ ზემოთ აღვნი-შნეთ, რომ კანტმა განსჯა და გრძნობელობა შემეცნე-ბის ორ ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელ წყაროდ გამო-აცხადა და ამით ერთი-მეორეში არია შემეცნების წყარო

და მისი იარაღი. დიალექტიკური სინთეზის წაცელად შივილეთ გარევნული გაერთიანება მედიუმის საშუალებით. აპრიორიზმია უფრო გაამწვავა სუბიექტ-ობიექტის მიმართების — ფილოსოფიის ამ ძირითადი საკითხის — პრობლემა. შემეცნების ობიექტურობის დასაბუთება ამ გზით შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან აპრიორიზმი ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვს შემეცნების საგნის დამორჩილებას აზროვნების ფორმებისადმი. ეს გარემოება განსაკუთრებით იჩენს თავს აპრიორულ სინთეტიურ მსჯელობათა საკითხში, რაც თვითონ კანტმა ფილოსოფიის ცენტრალურ საკითხად აღიარა.

აპრიორული სინთეტიური მსჯელობის მიღება ნიშნავს, ამის აღიარებას, რომ შემეცნების ფორმები აბსოლუტური და დამოუკიდებელია, ხოლო შემეცნების საგანი კი თავის დამოუკიდებელ ფორმებს მოკლებული, გაურკვეველი ქაოსი, რომელიც უნდა დალაგდეს შემეცნების უცვლელ ფორმებში. გამოდის, რომ აზროვნება თავის ფორმებით ჭარმოადგენს შტამპს, რომელიც საგნებს, როგორც ქაოტიურ მასალას; თავის ფორმებში მოაქცევს. ამით შემეცნების გაობიექტურობის ნაცვლად ვლებულობთ შემეცნების საგნების გასუბიექტურება.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ გადამწყვეტ პუნქტში — შემეცნების ობიექტურობის საკითხში — კანტის მეთოდი მარცხით დამთავრდა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უდიდეს შეცდომას ჩადიან ისინი ვინც ამის გამო კანტის ფილოსოფიას სუბიექტურ იდეალიზმად აღიარებენ. სწორედ სინთეზის საკითხში იჩენს თავს კანტის არა სუბიექტური იდეალიზმი, არამედ დუალიზმი. მართალია, შემეცნების საგანი შემეცნების გარეშე არ არსებობს, რამდენად მას პირველად თვით შემეცნება აფორმებს, მაგრამ შინაარსის მხრივ საჯარო სუბიექტი

შემოქმედება არ არის, არამედ შეღეგია თავის-თავად არ-სებული ნივთის ზემოქმედებისა ჩვენს აზროვნებაზე. ასე რომ არა მარტო ნივთი თავისთავად დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, არამედ მოვლენაც (შემეცნების საგანი) შინაარსის მხრივ ობიექტური წარმოშობისა. სწორედ ამიტომ გრძნობს თვით კანტი შინაგან წინააღმდეგობას ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხში. ლოგიკას შეუძლია დაადასტუროს ჭეშმარიტება მხოლოდ შემეცნების ფორმის და არა შინაარსის მხრივ. ზოგიერთს ჰგონია, რომ ამიზ კანტმა დაანგრია თავისი „კოპერნიკანული ნაბიჯი“, სინამ-დვილეში კი, პირიქით ასეთი შეხედულება პირდაპირ გამომდინარეობს. კანტის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპებიდან. ცხადია, აქ სასტრუ შინაგან წინააღმდე-გობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ჩვენ შევიცნობთ, არა ნივთს თავისთავად, არამედ მოვლენას, ე. ი. მას, რაც ჩვენში გამოწვეულია თავისთავად არსებულ ნივთის ზე-გავლენით; მაგრამ ეს შინაგანი წინააღმდეგობა სწორედ დუალიზმის ნიშანია და არა სუბიექტური იდეალიზმის. ტრანსცენდენტალური სქემატიზმის და თვით სინთეზის პრობლემა სავსებით მოხსნილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი თვითონ აღმოჩნდებოდა შემეცნების საგნის შემომქმედი. წარმოსახვის პროდუქტიული უნარი სინ-თეზის მთავარი პირობაა, არა იმიტომ, რომ ის ქმნის სა-განს — მაშინ ხომ სინთეზი ზედმეტი იქნებოდა — არა-მედ იმიტომ, რომ ის უკავშირებს ერთი-მეორეს ინტუ-იტურ შასალას და დისკურსიულ ფორმებს. ინტუიციის ფორმები (დრო, სივრცე) რეცეპტივია, პასიურია, იმიტომ, რომ მათ გარედან ეძლევათ მასალა, ხოლო დისკურსიუ-ლი ფორმები (კატეგორიები) აკტივია, იმიტომ, რომ ისინი გონების საერთო წესების მიხედვით აერთიანებენ (სინთეზს უკეთებენ) ინტუიციის მრავალსახიან მასალას. ეს სინთე-

ზი კანტმა ვერ დაასაბუთა და ტრანსცენდენტალური სქემატიზმის მთელმა როტულმა და მძიმე აპარატმა საკითხის გაშუქების ნაცვლად მისი დაბნევა გამოიწვია, რასაც თვითონ კანტი კარგად გრძნობდა. (იხილეთ მისი წერილი ბეჭის მიმართ ამ საკითხის გარშემო). ეს ასეც უნდა მომზღდარიყო რადგანაც კანტმა როგორც რაციონალიზმი, ისე შენსუალიზმი მათ ცალმხრივ წინაკანტიურ ფორმებში ხელუხლებლად დასტოვა, გონება და გრძნობელობა შემცნების ერთი შეორისაგან დამოუკიდებელ წყაროებად აღიარა და შეეცადა მათ გარეგნულ, მექანიკურ შეერთებას. სწორედ იმიტომ, რომ კანტის ფილოსოფია დუალისტური იყო, მას აკრიტიკებდნენ მარჯვნივაც (იდეალისტები) და მარცხნივაც (მატერიალისტები). ეს გარემოება გენიალურად გაარკვია ლენინმა თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“.

სავსებით გასაგებია, რომ ბურუჟაზიული ფილოსოფოსები (კოპენი, კასირერი, კრონერი და სხვ.) ცდილობენ კანტის ფილოსოფიის სუბიექტური იდეალისტურ ინტერპრეტაციას, მაგრამ გასაოცარია, რომ მას შემდეგ, რაც ენგელსმა და ლენინმა კლასიკური სიცხადით გაარკვიეს, კანტის ფილოსოფიის დუალისტური ბუნება, ზოგიერთი ჩვენი ინტერპრეტატორები თავიანთ თავს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის შიმდევრებად აცხადებენ და იმავე დროს მოწაფურად მისდევენ სწორედ ზემოთხამოთ-ვლილ იდეალისტებს და არა ენგელსსა და ლენინს (იხ. ქართული წიგნი „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“).

ორიოდე სიტყვა დიალექტიკური მეთოდის შესახებ კანტის ფილოსოფიაში. მას შემდეგ, რაც დებორინმა კანტი დიალექტიკოსად გამოაცხადა (იხ. მისი წერილი კანტის შესახებ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის

არქივში, პირველი გამოცემა, პირველი ტომი) ერთგვარ შოდაში შევიღა დიალექტიკური მეთოდის ძება ყველგან და ყოველ დროს. დებორინის მოწაფეებმა „განავითარეს“ თავისი მასწავლებელი იმ გზით, რომ დიალექტიკური მეთოდი აღმოაჩინეს ბეკონთან, დეკარტესთან, სპინოზასთა, ლეიბნიცთან და სხვებთან. ამ შეხედულების საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ თვით დიალექტიკის განვითარების ისტორიას არადიალექტიკურად გვისახავს. მართლაც ამ თვალსაზრისით გამოდის, რომ დიალექტიკური მეთოდი ნაწილ-ნაწილ იქმნებოდა, დიალექტიკის შემადგენელი ელემენტები შექანიკურად გროვდებოდა და ასე შეიქმნა მთელი სისტემა. ეს უცნაური შეხედულება ხშირად იშველიებს ენგელსის შენიშვნას იმის შესახებ, რომ დეკარტესთან, სპინოზასთან და სხვებთან ჩვენ ვცვდებით დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს, მაგრამ დიდი გონებამახვილობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ ნიმუშები და მთლიანი სისტემა ერთი მეორისაგან განვასხვაოთ არა მარტო ქვანტიტატიურად, არამედ ქვალიტატიურადაც.

ეჭვს გარეშეა, რომ დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუში უფრო მეტია კანტთან, ვიდრე დეკარტესთან და სპინოზასთან. კიდევ მეტი — კანტის ფილოსოფია უშუალოდ იწყებს დიალექტიკურ მეთოდის სისტემატიურ დამტუშვებას გერმანულ ფილოსოფიაში, მაგრამ მაინც მას ჩვენ ვერ ვუწოდებთ დიალექტიკურ სისტემას, ის საბოლოო ანგარიშში. მეტაფიზიკურ პოზიციებზე რჩება. ამაზე ჩვენ ნათლად მიგვითითებს ლენინი (იხ. „Философские тетради“ გვ. 109 კანტიანობა-მეტაფიზიკა).

სადაა ის ძირითადი საკითხი, რომელ შიაც სჩანს კანტის ენერგიული ბრძოლა მეტაფიზიკის წინააღმდეგ? ეს არის ტრანსკენდენტალური სინთეზის და ლოგიკური კატეგო-

რიების ოშიექტური, საგნობრივი მნიშვნელობის სფეითზ.

თუ ერთის მხრივ ინგლისური ემპირიზმი დაიყვანდა ცნებას შთაბეჭდილებათა (ინგლისელ ემპირისტების ტერმინოლოგიის თანახმად — იდეათა) მიმატება-გამოკლებაზე, ე. ი. წმინდა გარეგნული ოპერაციებზე და ამით არსებითად აიგივებდა ცნებასა და წარმოდგენას, თუ მეორეს მხრივ, რაჭონალიზმი ცნებას უშუალოდ თანდაყოლილად აცხადებდა, და არც კი იხილავდა მის შინაგან სტრუქტურას, კანტმა მწვავედ დასვა საკითხი ცნების სინთეტიური ბუნების შესახებ და ამით გახსნა გზა (თუმცა თვითონ ვერ გაკაფა იგი) დიალექტიკური განვითარებისათვის. ცნება ანუ კატეგორია არის მრავალსახიანობის სინთეზი (და არა მისი მექანიკური კომპლექსი) რომელიც ხდება აზროვნების ზოგადი წესების მიხედვით. ტრანს-ცენტრალური აპერცეპციის საკითხში კანტმა შეამჩნია აზროვნების და სინამდვილის ზოგადი კანონების ურთიერთ დამთხვევა, ამით მან შეარყია პსიქოლოგიზმი და წარმართა შემეცნება ობიექტური გზით (სწორედ ამ პუნქტში უნდა ვეძიოთ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასაწყისი) მაგრამ აზროვნებისა და სინამდვილის კანონების ურთიერთ დამთხვევის ისტორიული ბუნება კანტმა სრულებით ვერ გაიგო და ნაცვლად იმისა, რომ აზროვნების ზოგადი კანონები გაეგო როგორც ობიექტური სინამდვილის კანონების ასახვა, მიღებული აზროვნების ისტორიული განვითარების შედეგად, მან ისინი გამოაცხადა სინამდვილისაგან სრულიად დამოუკიდებელ, ჟეისტორიულ ლოგიკურ კანონებად, რომლებსაც თვით აზროვნება უკარნახებს სინამდვილეს. ამრიგად სინთეზის ცნება, რომელსაც ეგზომ დიდი მნიშვნელობა ქმნდა კანტის (და საერთოდ კლასიკურ გერმანულ) ფილოსოფიაში აცდა დიალექტიკურ გზას, და მოექცა შეტაჭიში-

კის სფეროში, ვინაიდან დიალექტიკური, სინთეზი მხოლოდ .ისტორიზმის ჭრით მიიღება, კანტმა კი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, აზროვნება აიღო ყოველგვარი ისტორიზმის, ყოველგვარი განვითარების გარეშე.

აქედან გამომდინარეობს კანტის მარცხი მეორე საკითხშიაც — ლოგიკურ კატეგორიების ობიექტურ საგნობრივ მნიშვნელობის დასაბუთების საკითხში. ცნობილია, რომ კანტი ანსხვავებდა თავის ტრანსცენდენტალურ ლოგიკას ე.წ. ზოგად ანუ ფორმალური ლოგიკისაგან იმით, რომ თუ უკანასკნელი კმაყოფილდებოდა მხოლოდ აზროვნების ფორმებისა და მათი შინაგანი ურთიერთობის გამორკვევით და არ სვამდა საკითხს მათი ობიექტური გამოყენების შესაძლებლობის და ფარგლების შესახებ, — პირველი კასწორედ ამ პრობლემას აცხადებს სიმძიმის ცენტრად ესეც უკველად დიდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ შეასრულა თუ არა კანტმა თავისი მოთხოვნა? რა თქმა უნდა, არა! ის ვერ შეასრულებდა თავის მოთხოვნას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პრინციპების მხრივ სრულიად უცვლელად აიღო ძველი (ფორმალური) ლოგიკა და ახალი დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ნაკვლად სცადა ძველი, ფორმალური ლოგიკის დიალექტიკური (ობიექტური) გამოყენება. ამრიგად, ტრანსცენდენტალური ლოგიკა, მიუხედავად ფორმალური ლოგიკის დაძლევის ცდისა, საბოლოო ანგარიშში, თვითონ დარჩა ფორმალური ლოგიკის პოზიციებზე.

ეს აშკარად სჩანს იქიდან, რომ კანტმა არა მარტო ლოგიკური კატეგორიები აღიარა აბსოლუტურად, ზეისტორიულად, არამედ მათი გამოყენების ე.ი. შემეცნების ფარგლებშიც მეტაფიზიკურად განსაზღვრა, მოხსნა შემეცნების ისტორიული განვითარება და აღიარა აბსოლუტურად

შეუცნობელი ნივთი თავისთავად, რითაც მეტაფიზიკურად მოსწყვიტა ერთი-მეორეს მოვლენა და არსება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ადვილი გასაგებია, რომ თუმცა თვითონ კანტია ვერ დასძლია მეტაფიზიკური, ფორმალურ-ლოგიკური მეთოდოლოგია, მაგრამ მაინც მიუთითა შემდგომ აზროვნებას გზა დიალექტიკური განვითარებისაკენ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ტრანსცენდენტალური დიალექტიკის, განსაკუთრებით ანტინომიების საკითხების გარჩევას, ვინაიდან მათი ბუნება ადვილი გასაგებია კანტის მეთოდოლოგიის გამოსავალი. პრინციპებიდან — ისტორიზმის და წინააღმდეგობის, როგორც ობიექტური მოვლენის — მეტაფიზიკური უარყოფიდან. ასევე არ შეგვიძლია ჩვენ აქ შევჩერდეთ თეორიული და პრაქტიკულ გონების ურთიერთობის საკითხზე კანტთან; ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, მათი მეტაფიზიკური დაპირისპირების ზოგადი საფუძველი; აქ დავუმატებთ მხოლოდ, რომ თეორიულ და პრაქტიკულ გონებას შორის არსებული მიშართება კანტთან გამოხატავს მის ეკლეკტიზმს, მის კომპრომისს მეცნიერებასა და რელიგიას შორის. რაციონალურ პსიქოლოგიის, რაციონალურ კოსმოლოგიის და რაციონალურ თეოლოგიის კრიტიკით კანტს სრულიად არ უნდოდა ღმერთის, სულის უკვდავების და თავისუფლების კრიტიკა და უარყოფა. პირიქით, კანტის აზრით, ეს იყო ერთადერთი წინა ათეიზმისგან. მეცნიერებისა და რელიგიის (რწმენის). სფეროების გამოყოფა კანტის ორიგინალური საქმე არ არის — ეს ბურუუაზიული კომპრომისის ზოგადი: კა-

მოხატულებაა — მაგრამ კანტის თავისებურება ამ საკითხში იმაში მდგომარეობს, რომ მან გაიგო რელიგიის მარცხის აუცილებლობა, თუ მისი საფუძვლები თეორიული გონების (მეცნიერების) სფეროში მიექცევა. რელიგიის საკითხების მეცნიერების სფეროდან გაყვანით კანტი ცდილობს დაასაბუთოს, რომ თუ მათი დამტკიცება არ შეიძლაბა, არ შეიძლება მათი უარყოფაც და რწმენას რჩება თავისუფალი არე. კანტის არ დაუმაღავს (იხ. გონების კრიტიკის შესავალი) რომ მან შეგნებულად შეზღუდა გონება იმისათვის, რომ გაეკაფა გზა რწმენისათვის.

რაც შეეხება კანტის მორალურ ფილოსოფიას მას ახასიათებს იგივე ანტიისტორიზმი და ფორმალიზმი, რაც ახასიათებს საერთოდ მის მეთოდოლოგიას. ამიტომ ებლა-უჭება მას ოპორტუნიზმი ე.წ. ეთიკური სოციალიზმის სახით, რომელიც წარმოადგენს რეაქციურ მიმართულებას და რომლის საშუალებით ბურჯუაზია ცდილობს ანტიკომუნისტური გზით წარმართოს მუშათა მოძრაობა.

კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების ამ მეტად მოკლე მიმოხილვიდან სჩანს, რომ მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აზროვნების ისტორიულ განვითარება-ში, რომლის გვირგვინს წარმოადგენს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება. „პროლეგომენების“ ქართული გამოცემა შესაძლებლობას მისცემს მოსწავლე ახალგაზრდობას უშუალოდ გაეცნოს კანტის ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს.

ორიოდე სიტყვა ქართული თარჯმანის შესახებ. პროფ. ჰესჭ გოგიშვილი მიკიდა საკრაოდ რთულ და

მელ საქმეს. ერთის მხრივ ჭართული ფილოსოფიური
ტერმინოლოგიის არასაკმაო გარდენულობა, შეორეს მხრივ
კანტის ენისა და ტერმინოლოგიის სირთულე უქმნიდა
კანტის მთარგმნელს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, რაც
უთუოდ დაეტყო თარგმანს. თარგმანის რედაქტორი ვერ
იკისრებდა თარგმნის სტილის შესწორებას. მიუხედავად
უდაო ნაკლისა, თარგმანი მაინც გამართლებულად უნ-
და მივიჩნიოთ. შემდგომ გამოცემებში, რისი საჭიროება
ჩვენის აზრით, მოკლე ხანში აღმოჩნდება ფილოსოფიისა-
დმი დიდი ინტერესის გამო, რომელსაც იჩენს არა მარტო
ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ მთელი ჩვენი საბ-
ჭოთა ინტელიგენციის ფართო მასები — მთარგმნელიც
და რედაქტორიც შეეცდებიან გამოასწორონ აღნიშნული
ნაკლი.

პროფ. პ. ჭარლიძე.

ტფილისი
1936 წ. იუნისი.

მინასიტაზაობა

„პროლეაგომენების“ ქართული
თარგმანისათვის

1. კანტის ფილოსოფიის ყოველი მცოდნე დაგვეთან-
ხმება, რომ ტრანსცენდენტალური იდეალიზმის შესწავ-
ლა „პროლეაგომენებით“ უნდა დავიწყოთ. ისტორიული-
ფაქტია, რომ „პროლეაგომენების“ დაწერის მიზანი, პი-
რობები და მისი წარმოშობის მიზეზები მჭიდროდ დაკავში-
რებული იყო „წმინდა გონების კრიტიკა“ მი-
ერ მოცემული იდეების განმარტებასა და პროპაგანდასთან,
როგორც ვიცით, „წმინდა გონების კრიტიკა“ გამოვიდა
1781 წელს. დასავლეთის ფილოსოფიაში უსაოულოდ ეპოქის
შემქმნელ ამ ნაწარმოებს, როგორც კანტი ამბობს, მნიშ-
ვნელოვან ხანს დუმილით გაუმასპინძლდა თანამედრო-
ვეობა. როგორც მარკუს ჰერცისა და მიწერილი
წერილიდან ჩანს, თვით კანტიც არ მოელოდა, რომ მის მძი-
მე სტილითა და უკიდურეს პუნქტუალურ ცნებათა ლო-
გიკით დაწერილს წიგნს გამოსვლისთანავე შეისწავლი-
დენ და გაიგებდენ. მაგრამ რაც მოხდა, იმას „კრიტიკის“
ავტორი, რასაკვირველია, არ მოელოდა. კანტი დარწმუ-
ნებული იყო, რომ მან თავისი კრიტიკით დოგმატური მეტა-
ფიზიკის გზა სამუდამოდ აღკვეთა, აზროვნება უნაპირო
და უძირო ოკეანის საშიშ ტალღებს გადაარჩინა, ღმერთის
არსებობისა და სულის უკვდავების დასაბუთების მოვა-
ლეობისაგან გაათავისუფლა და ცდის თეორიითა და აპ-

პიონერული შემცირების კატეგორიებით შეიარაღებული, ქრისტიკა სავსებით ახალ ფილოსოფიურ მეთოდად ჩამოა-ყალიბდა. ეს „გეომეტრიისა და მათემატიკის მიხედვით ჩა-მოყალიბებული“ ფილოსოფიური მეთოდი, კანტის აზ-ტით, საბოლოოდ აღმოჩენილი და იმდენად ჩამოყალიბე-ბული იყო, რომ მისი ავტორი ამიერიდან მის გაფართო-ებასა და განვითარებას აღარ მოელოდა. ემ. კანტმა სატ-ლავში ჩაიტანა ის რწმენა, რომ მას ბუნებამ წილად არ-გუნა, გაეხსნა ადამიანის აზროვნების საბოლოო საიდუმ-ლოება, რომ როგორც ნიუტონმა მსოფლიო მექანიზმის საიდუმლოება გახსნა, ისევე „კრიტიკულმა ფილოსო-ფიმ“ — ყოველი მეცნიერული აზრის ლოგიკური ავე-ბულება. ეს რწმენა და ოპტიმიზმი „წმინდა გონების კრიტიკის“ ავტორს არც ერთხელ არ შერყევია. ყოველ შემოტევას „კრიტიკის“ წინააღმდეგ ის თვლიდა დოგმა-ტიკური მეტაფიზიკის აზრმოკლებულ მსჯელობად და მოწინააღმდევის გაუწვრთვნელობად კრიტიკულს აზროვ-ნებასა და ახალი დროის ზუსტი მეცნიერების ელემენ-ტებში.

2. დრო გადიოდა, მაგრამ „წმინდა გონების კრიტიკის“ შესახებ რეცენზია არსად ჩანდა. კანტი ჯერ თავს იიმე-დებდა იმით, რომ მისი „წიგნი თუმცა გადაფურცლეს, მაგრამ არ გაუაზრებიათო“. ხოლო როცა მეგობრებისაგან გაიგონა, რომ წიგნი ძალიან ძნელი იყო და მისი ცნე-ბათა ენა თითქმის დაუძლეველი, განსაკუთრებით როკა მარკეს ჰერცმა შეატყობინა, რომ თვით მოსე მენდე ელ-ს თან მა წიგნი წაუკითხავად განზე გადადოო, მაშინ კანტს როგორც ეს იმდროინდელი კანტის, გამომცემელი ჰარტ-ფინონის, ჰამინის და ჰერდერის წერილებიდან ჩანს — გადაუწყვეტია ახალი, მოკლე და უფრო გასაგები კრიტიკული წიგნი გამოიეცა. თუ როგორიც უნდა ყოფილი

ყო ეს ახალი წიგნი, ამაზე დიღი დავა არსებობს კანტის ფილოლოგიაში. იყო ეს მოფიქრებული პოპულარულ რეფერატად საშუალოდ განათლებული მკითხველისათვის, როგორც ჰერდერის ერთი წერილი გვატყობინებს, თუ მოკლე კრიტიკული წიგნი სპეციალისტებისათვის, როგორც ეს სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, ეს დღეს ძნელი დასადგენია. „პროლეგომენები“ ყოველ შემთხვევაში არავითარი პოპულარული წიგნი არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანტს არასოდეს არ უფიქრია პოპულარული წიგნის დაწერა, პოპულარულ წიგნს სხვები მოელოდენ — ჰამანი, ჰერდერი, შულცი და სხვა, ალბათ ამიტომ აფრთხილებს კანტი მკითხველს „პროლეგომენების“ წინასიტყვაობაში, რომ ავტორს „პროლეგომენები“ მოსწავლეთა სახელმძღვანელოდ არ დაუწერია, არამედ მომავალ მასწავლებელთათვის და სხვ., ჩვენი აზრით, თვითონ კანტს „პროლეგომენების“ ძირითად მნიშვნელობად მიაჩნდა „წმინდა გონების კრიტიკის“ იმ ადგილების უფრო ზუსტად, გარკვეულად და ნათლად გამოთქმა, რომლებიც მას პირველი გაფორმების სახით არ აკმაყოფილებდენ. მაგ., „პროლეგომენებში“ კანტი ხომ ურჩევს მკითხველს, ამიერიდან კატეგორიების დედუქციის პრობლემა შეისწავლოს არა დიღი შრომის მიხედვით (ე. ი. „წმ. გონ. კრ“), არამედ იმის მიხედვით, რაც „პროლეგომენებშია“ მოცემული. მაშასადამე, „პროლეგომენები“ კანტისათვის „კრიტიკის“ ზოგი გადამწყვეტი ადგილის უკეთესი გაფორმების საშუალება იყო. ამ მოსაზრებას ისიც ასაბუთებს, რომ 1787 წელს გამოსულ „წმინდა და გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემაში კანტს მთელი აბზაცები და გვერდები გადაუტანია „პროლეგომენები-დან“ თითქმის სიტყვა-სიტყვით.

3. ამიტომ ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია ის აზრი,

ვითომც „პროლეგომენების“ დაწერის ძირითადი მიზეზი ყოფილიყოს ე. წ. გარვე-ფერის რეცენზია, რომელიც პირველი რეცენზია იყო კანტის კრიტიკული წიგნის შესახებ, და რომელსაც კანტი გამანადგურებელი კრიტიკით და გაწიწმატებული ტონით უპასუხებს „პროლეგომენების“ ბოლოში. ჩვენ გვვონია, რომ „პროლეგომენების“ გამოცემამ კანტს საბაბი მისცა თავისი რეცენზენტისათვის ეპასუხა. არც მეტი და არც ნაკლები. დასახელებული რეცენზია გამოვიდა უურნალში „Göttinger Anzeigen von gelehrten Sachen“ 1782 წ. 19 იანვრას უურნალის რედაქტორი იყო ეკლექტიკოსი ი. გ. ვა-დერი. ამ ყოვლად უმნიშვნელო, მაგრამ ძალიან ქედმალ ფილისტერს კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ თვითონ არ წაუკითხავს, რადგან მისი აზრით, თურმე ეს წიგნი „დროის გენიის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა“ და რეცენზიის დაწერა ხრისტიან გარვესათვის დაუვალებია. გარვეს მიერ დამზადებული რეცენზია ძალიან ღიღი მოცულობისა ყოფილა, და რედაქტორს იგი არამცუ შეუსწორებია და ძალიან შეუმოკლებია, არამედ მთელი რიგი ისეთი აღვილებითა და მსჯელობით შეუმკია, რომლებიც „კანტისათვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში ეს გამომდინარეობს იმ მიწერ-მოწერიდან, რომელიც გარვესა და კანტს შორის გაიმართა. „პროლეგომენების“ გამოსვლის შემდეგ. — ეს რეცენზია სულ რომ არ დაწერილიყო, კანტი „პროლეგომენებს“ მაინც გამოუშევებდა. ჩვენი აზრით, კანტისათვის ამ რეცენზიაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მისი ღიღი წიგნი იმ დროის საუკეთესო გონების პატრონებსაც ვერ გაევოთ. მოსე მენდელსონმა რომ წაუკითხავად განზე გადასდო ეს ძნე-

ლი წიგნი, კანტს ეს, ოსაკვირველის, უფრო აწუხებდა, ვიდრე ანონიმური რეცენზია. „პროლეგომენებში“ გზა-დაგზა რომ კანტი პრობლემებზე კამათობს, ეს ანონიმური რეცენზიის ავტორების მიერ წამოყენებული საკითხები კი არ არის, არამედ ეს პრობლემები ეცუთვნის იმათ. რომლებსაც კანტის შესახებ ჯერ არაფერი დაეწერათ, მაგრამ კანტს თავიანთ აზრებს და თავიანთ ეჭვებს „კრი-ტიკის“ ამათუმ ადგილების შესახებ ზეპირად და კერძო ხასიათის წერილებით ატყობინებდენ. ასე იყო თუ ისე, აქ არსებითი ის არის, რომ „პროლეგომენების“ გამოცემის ასი წლის თავზე ეს რეცენზია საბაბად შეიქმნა დიდი ისტორიულ-ფილოსოფიური კამათისა და, ის კი არა, მთელი „კანტ-ფილოლოგიის“ შექმნისაც.

4. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ბ ე ნ ო ე რ დ მ ა ნ ი ს ჰიპოთეზი. 1878 წ. ბენო ერდმანმა გამოსკა კანტის „პროლეგომენები“. ამ გამოცემას წარუმაღლვარა დიდი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა, სადაც წამოაყენა შეხედულება, რომ „პროლეგომენები“ არ არის მონოლითური ნაწარმოები, არამედ იგი შედევგია „ორმაგი რედაქციისა“. *) სამართლიანად ამტკიცებს ერდმანი, რომ კანტს ე. წ. „პოპულარული რეფერატი“ არასდროს არ დაუწერია, სამაგიეროდ მან შეადგინა მოკლე ესკიზი, თავისი დიდი წიგნის ზოგი განყოფილების განმარტებისა და გამახვილებისათვის. ეს შედგენილი იყო ჯერ კიდევ მანამ, სანამ რაიმე რეცენზია გამოვიდოდაო, დასძენს ბენო ერდმანი, — და ეს შენიშვნაც უსათუოდ სამართლიანია. მაგრამ როცა „გოტინგენური რეცენზია“ გამოვიდა,

*) იხ. Im. Kant: Prolegomena etc., herausgegeben und historisch erklärt von Beuno Erdmann. Leipzig 1878, ჩვენ ვისარგებლეთ მოსკოვის პირველი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ექზემ-პლარით.

მაშინ ეითომც კანტის დაეწეროს „პროლეგომენების“ ახალი შაწილები, პირველად ვანზრახული ტექსტი აშ უკანასკნელით შექვსოს და ასეთი „ორმაგი რედაქტიით“ შედგენილი ტექსტი გამოიცეს. მაგრამ ერდმანი ამით არ დაქმაყოფილდა, იგი პირდაპირ გადაჭრით ამტკიცებს, რომ „შესაძლებელია, ორივე ჰეტეროგენული ნაწილი ერთმანეთს სავსებით მოვაშოროთ“. „პროლეგომენების“ დასახელებულ გამოცემაში ერდმანმა კიდევაც განახორციელა ეს შეხედულება. მან ორი სხვადასხვა შრიფტით დაბეჭდა „პროლეგომენების“ ტექსტი. ერდმანის ვამოცემა ისეა გაკეთებული, თითქოს ორი ნაწარმოები იყოს აქ მექანიკურად შეზავებული და ერთ წიგნად გამოცემული. ერდმანი ამტკიცებს, როგორც ორივე ნაწილის დამოუკიდებლობას, ისე მათი ცალკ-ცალკე შესწავლის შესაძლებლობას. მიუხედავად ერდმანის დიდი ივტორიტეტისა და ცოდნისა კანტის ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხებში, ჩვენ მაინც გვინდა ვითიქროთ, რომ ეს არის ყოვლად დაუშვებელი ოპერაცია კანტის სულიერ ორგანიზმზე, ეს არის ის სავალალო შედეგი ფილოლოგიური განსწავლულობისა და პედანტიზმისა, რომლის შედეგადაც არა ერთი და ორი ცოცხალი აზრი, გარკვევის მაგივრად, დაბნელებულა და დაბნეულა. რასაკვირველია, დასაშვებია, რომ რეცენზიის გამოსვლის შემდეგ კანტმა „პროლეგომენების“ უკვე დამზადებულ ტექსტს ესათუის შენიშვნა და ბოლოში დართული „ნიმუშები“ დაუმატა, მაგრამ აქიდან ძალიან შორს ვართ ერდმანის „ორმაგი რედაქტიის“ პიპოთეზამდე. „პროლეგომენები“ ჩვენი აზრით, მონოლითურად მთლიანია და არა მექანიკურად შეკოწიწებული ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწარმოები; „ორმაგ რედაქტიაზე“ ლაპარაკე ჰაშინ ექნებოდა რაიმე აზრი, თუ დავუშვებდით, რომ კო-

ტინგენური ოცნებისა იმდენად მნიშვნელოვანი იყო კანტისათვის, რომ „კრიტიკის“ ავტორმა პროლეგომენების უკვე გამზადებული ტექსტის სხეულზე საჭიროდ დაინახა ოპერაციების მოხდენა ოცნების გაცნობის შემდეგ. მაგრამ, მგონია, არც ერთი საბუთი არ არსებობს ასეთი აზრის მიღებისათვის. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ე. ა. რანთლდის ბრძოლა ერდმანის წინააღმდეგ ძირითადად სწორია, თუმცა „შეიძლება ცოტათი ცალძხრივი. 1879 წ. არნოლდი უპასუხებს ერდმანს, რომ „პროლეგომენების“ არავითარი ორმაგი ოცნებია არ არსებობს, რომ 1781 წლის დასასრულს კანტს დღევანდელი „პროლეგომენების“ სრული გეგმა უკვე მზად ჰქონდა და 1782 წლის სექტემბრისათვის „პროლეგომენები“ უკვე დაწერილი იყოო.“

5. ამის შემდეგ კანტოლოგებს შორის ატეხილია გრძელი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე, მაგრამ პრინციპულად ახალი რამ არავის გამოუთქვამს. მითუმეტეს არაფერი გამოთქმულა ისეთი, რომ კანტის ფილოსოფიის განმარტებისა და გაგების საქმე წინ წაეწიოს. ამ ორ უკიდურეს მოწინააღმდეგეს შორის დაიწყეს საშუალო პოზიციების ძებნა. ასეთებს შორის აღსანიშნავია კანტის ცნობილი კომენტატორი, „კანტის საზოგადოების“ დამაარსებელი და ე. წ. „ფილოსოფია ფილოსოფია და“-ს შემქმნელი ჰ. ფ. ა. ი. ჰ. ნ. გ. ე. რ. ი. ერდმანისა და არნოლდის დავაში ფაიპინგერი საშუალო ხაზს იჭერს, მაგრამ თვითონ კიდევ ერთი ახალი ჰიპოთეზით ართულებს „პროლეგომენების“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების, საკითხს. ეს, ე. წ. ფ. ა. ი. ჰ. ნ. გ. ე. რ. ი. ს. ჰ. ი. თ. ე. ზ. ი. „შემქმნება „პროლეგომენების“ დასაწყისს პარაგრაფებს. ფაიპინგერმა მკაცრი ანალიზით დაასაბუთა, რომ როცა კანტს „პროლეგომენების“ ტექსტი მზად ჰქონდა, მაშინ შემთხვევა ჰ. წ. „პროლეგომენების“

ჭით, თუ რაღაც სხვა მიზეზის გამო, დასაწყისი გვერდების ფურცლები ერთმანეთში აერიაო. ამ გვერდების არევის მიზეზი ყოფილა ის, რომ მეორე პარაგრაფის დასასრული, რაოდენობით ხუთი აბზაცი, მეორე პარაგრაფში მოხვედრილა, სახელდობრ მე-4 პარაგრაფის აბზაცები 2, 3, 4, 5, 6. ფაიზინგერის ერთ-ერთი მოწაფე ბეჭდვითი ტექნიკის განხილვით დამატებით ასაბუთებს, რომ ეს გვერდების არევა მომხდარა სტამბაში და შემდეგ ასე დარჩენილა პროლეგომენების ტექსტში. უნდა ითქვას, რომ ფორმალურად ფაიზინგერის არგუმენტები ძალიან დამაჯერებლად არის წარმოდგენილი. ფილოლოგების საერთოდ ცნობილ უნარს შეადგენს ის გარემოება, რომ როცა სწერენ და ლაპარაკობენ, უშუალო მაყურებელს მათი მსჯელობის ლოგიკა უდავოდ სწორად ეჩვენება, მაგრამ როგორც კი საქმის შინაარს დამოუკიდებლად მოვიფიქრებთ, მაშინვე ფილოლოგების არგუმენტები ამდენადვე საეჭვო ხდება. როცა ფაიზინგერს და მის მოწაფებს ვკითხულობთ ამ საკითხის შესახებ, გამოდის, რომ ყველაფერი რიგზეა და კანტს მართლაც რაღაც უნცაური მექანიკური შეცდომა მოსვლია. მაგრამ უცნაურია, თუ რატომ ვერ შეამჩნია ეს შეცდომა თვით კანტმა. კანტს თავისი ლიტერატურული საქმიანობის დროს რამდენიმეჯერ ჰქონდა შემთხვევა თვით გაესწორებინა ეს შეცდომა. მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა; „პროლეგომენების“ სწორედ ამ აღგილების შესახებ კანტთან კამათი ჰქონდა ებ ე რ ჰ ა რ ტ ს. თავის პასუხში კანტმა თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაბეჭდა პროლეგომენების სწორედ ეს ადგილები, მაგრამ სრულებით არ შეუმჩნევია, რომ აქ ფურცლები იყო ერთმანეთში არეული. ფაიზინგერის მიმდევრები პირდაპირ ამბობენ, რომ „ბეჭდვის ეს შეცდომა კანტს მხედველობიდან გამოჰყარება“.

ვიაო". რაღაც უცნაური და დაუჯერებელი ამბავია! ფორმალურად მართლაც მეოთხე პარაგრაფის დასახელებული აბზაცები მეორე პარაგრაფის ბოლოს ეკუთვნის. შაგრაშ, მართლი მოგახსენოთ, მე არ ვიცი, თუ რა საშუალებით უნდა დაიჯეროს აღამიანმა, რომ იმ. კანტმა ასეთი რამ თვითონ ვერ შეამჩნია თავის წიგნში, ასი წლის მანძილზე არ შეუმჩნევია არავის და მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდა იგი, რაც ბენო ერდმანმა „პროლეგო-მენების“ ტექსტის დახმარებით კანტის ფილოლოგიის შექმნა სცადა!..

6. „პროლეგომენები“ გამოვიდა 1783 წ. იმავე ჰარტკნოსთან (ქ. რიგაში), საღაც „წმინდა გონების კრიტიკა“ იყო გამოცემული. ლიტერატურული მასალა, რომელიც მის გამოსვლასთან არის დაკავშირებული, საბოლოოდ ასაბუთებს იმ აზრს, რომ „პროლეგომენები“ კანტის მიერ დაწერილია, როგორც ამას ჰამანის ერთი იმდროინდელი წერილი გვაცნობს, არა რომელიმე კრიტიკისის საპასუხოდ, არამედ როგორც „კრიტიკის“ განმარტება და დამატება, როგორც „დიდი ორგანოს ძირი და გული“. როგორც პროლეგომენების დაბოლოებიდან ჩანს, კანტი უპასუხებს არა მარტო გოტინგენური რეცენზიის ავტორს, არამედ კიდევ ერთ სხვა რეცენზენტს (რომლის გვარი ყოფილა ე. ვ. ა. ლ. დ. ი., რაინჰოლდის ცნობის თანახმად — ცნობა ამოლებულია კ. ფორლენდერის წინასიტყვაობიდან), რომლის რეცენზიით კანტი, როგორც ჩანს, კიმაყოფილი დარჩენილა. ეს ფაქტი კიდევ უფრო ასაბუთებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „პროლეგომენების“ დაწერის მიზეზი გოტინგენური რეცენზია არ ყოფილა. „პროლეგომენების“ დაწერა საბაბად გამოიყენა კანტმა, რათა რეცენზენტებისათვის ეპასუხნა. ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენთვის ბენო

ერდმანის „ორმაგი რედაქციის“ ჰიპოთეზიც მოხსნილია - „ორმაგი რედაქციის ჰიპოთეზიც“ ბოლოს და ბოლოს იმ შეხედულებიდან გამოდის, რომ კანტის მიერ მეორე შე-მეცნება-კრიტიკული წიგნის დაწერის საბაბი ვოტინგე-ნური რეცენზია იყოო, რაც, ჩვენი აზრით, მეტს ამტკი-ცებს, ვიღრე ამისათვის საჭირო ფაქტები მოგვეპოვება.

„პროლეგომენების“ გამოსვლითაც არ გაუმართალდა კანტს თავისი იმედები. მძიმე და გაუგებრობამდე ლრმა აზრებს, გახვეულს ბნელსა და მოუხეშავს სტილში, ჯერ კიდევ თავისი გზა ვერ გაუკავა. „პროლეგომენების“ გა-მოსვლის შემდეგაც ვკითხულობთ კანტის წერილებში, რომ მისი ფილოსოფია ჯერ არავის მიერ არ არის გაგე-ბული და სხვ., მართალია, ინტერესი კანტის ფილოსო-ფიისადმი დიდად გაიზარდა და მთელი რიგი რეცენზიე-ბი გამოვიდა, მაგრამ ყოველი ახალი აზრის უდიდესმა სამსჯავრომ, „ფართო საზოგადოებამ“, ჯერ კანტისა არაფერი იცოდა. კანტის წერისა და აზროვნების მანერა, მისი ენა და სტილი, თითქოს წინასწარ უკვე სიძნელეებს. აკანონებდა ამ „ფართო საზოგადოებისათვის“. 1784 წელს გამოვიდა ვინმე ლოსიუსის რეცენზია. ამ რეცენ-ზიაში სურვილი იყო გამოთქმული, რათა კანტს თავისი წიგნები ლათინურ ან ფრანგულ ენაზე დაწერა. კანტის გერმანული კი იმდროინდელ ფილოსოფიის პროფესო-რებს პირდაპირ გაუგებრად მიაჩნდათ. კანტს და მის წიგნებს უცნაური ლიტერატურული ბედი ჰქონდათ. კო-ლეგები და თანამედროვეობა მას უდიდეს გენიოსად-სთვლიდენ, მისი წიგნებით აღფრთოვანებული იყვნენ, მაგრამ თვითონვე სცნობდენ, რომ მთლად კარგად არ ესმოდათ, თუ რა ეწერა ამ წიგნებში. დაბოლოს, კანტ-საც გამოუჩნდა თავისი პროფესიარიზატორი, კანტის ფი-ლოსოფიაც. შეიქნა, ეპოქისა და ფართო საზოგადოების-

სამოქალაქო საზოგადოების, საკუთრება. 1786-87 წლ. გამოვიდა „კარლ რაინჰოლდის სახელგანთქმული Briefe über die Kantische Philosophie — წერილები კანტის ფილოსოფიის შესახებ“. ეს იყო წელი აგრეთვე „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე შესწორებული და საბოლოო გამოცემისა, ე. ი. წელი ტრანსცენდენტალური იდეალიზმის საბოლოო გაფორმებისა კანტის მიერ. რაინ-ჰოლდმა კანტი ფართო საზოგადოების საკუთრებად გახდა. დაიწყო კანტიანიზმის ისტორია. გერმანული თეორია ფრანგული რევოლუციის სა — მარქსის გენიალური სიტყვებით რომ ვთქვათ — ჩამოყალიბებული იყო. საუკუნე-ნახევარია ემსახურება კანტის მსოფლმხედველობა სამოქალაქო საზოგადოებას, ე. ი. ბურჟუაზიას. კანტი კაპიტალიზმის ეპოქის უღიძესი კლასიკოსია, იგი, წარმოშობილი გერმანიაში რევოლუციის დაგვიანების ნიადაგზე, რასაკვირველია, გერმანული ისტორიის თავისებურების გამოხატვასაც იძლევა, მაგრამ მთლიანად აღებული, იგი არ ეკუთვნის არც ერთ ერს; მარქსმა ყველაზე დღრე გაიგო ამ ფილოსოფიის ნამდვილი ისტორიული აზრი: კანტი, ისე, როგორც საფრანგეთის რევოლუცია, კაპიტალიზმის ეპოქის საკუთრებაა.

7. ჯერ კიდევ კანტის სიცოცხლეში გამოსულია „პროლეტარიატის“ რამდენიმე გამოცემა, მაგრამ ყველა ეს გამოცემა პირველი გამოცემის განმეორებას წარმოადგენს და პირველს ტექსტში კი არავის, არც ავტორს, არც რომელიმე გამომცემელს, არავითარი შესწორება არ შეუტანია. როზენ კრანცის 1838 წ. გამოცემის შემდეგ იწყება „პროლეტარიატის“ ტექსტში ჯერ უმნიშვნელო სარედაქციო შესწორებების შეტანა და ეს რედაქციები ბენო ერლებანის „ორგანიზაციის“ პიპოთეჭამდე

აღწევენ. ბენო ერდმანის ექსტრემი, რასაკვირველია, შემდგომ გამოცემებში არ დაკანონებულა, მაგრამ მაინც დღეს ჩვენ მოგვეპოვება კანტის რამდენიმე გამოცემა, სა-დაც „პროლეგომენების“ ესათუის აღგილი სხვადასხვა-ფილოლოგიური ინტერპრეტაციით არის მოცემული. ქართული თარგმანისათვის ჩვენ ავიღეთ ორი ვარიანტი, პარალელურ ფორმების მიერ გამოცემული ე. წ. „ფი-ლოსოფიური ბიბლიოთეკის“ გამოცემლობაში და კარლ შულცის მიერ გამოცემული „რეკლამის ბიბლიოთეკა-ში“. პრუსიის აკადემიის დიდი გამოცემებისათვის არ მიგვიმართავს: ჯერ ერთი, ეს გამოცემა ტექილისში ვერც ვიშოვეთ და შემდეგ, აკადემიის გამოცემა მისდევს კონ-სერვატორულს ტექსტს და ამ მხრივ აზალი რაიმეს ძო-ცემა მას არ შეუძლია. გარეგნულად უმნიშვნელო შეს-წორება, რომელიც რედაქტორებს „პროლეგომენების“ ტექსტში შეაქვთ; შინაარსის მხრივ ძალიან ხშირად მნიშ-ვნელოვან სხვაობას იძლევა. ასეთი საბაო ადგილები ქართულს გამოცემაში გაღმოთარგმნილია უკვე საკუთა-რი ინტერპრეტაციის მიხედვით. იყო შემთხვევები, სა-დაც მე შულცის ვარიანტს ვემხრობოდი და ამის მიხედ-ვით ვთარგმნე, მაგრამ არის ისეთი ადგილები, სადაც მე ფორლენდერის ინტერპრეტაცია სწორედ ჩავთვალე, და, ცხადია, ეს ადგილები ფორლენდერის მიხედვით ვთარ-გმნე.

გვგონია, „პროლეგომენების“ ქართულად წამკითხველი თვითონვე გაიგებს, თუ რაოდენ ძნელ საჭმეს წარმოად-გენდა კანტის ქართულად თარგმანის ცდა. ქართულს ჯერ კიდევ აკლია საჭირო ტერმინოლოგია და გამოთქმის ტექნიკა. ვინც ქართული ენის ერთაღერთ თვისებას მარ-ტივი წინადაღების ნაშენში ხედავს, იგი, რასაკვირვე-ლია, შემინებული უკან დაიხევს კანტის ქართული თარ-

გმანისაგან. მარტივი გრამატიკული წინადადებით აშენებული ქართული სტილი, ცხადია არ გამოღვება კანტისა და ჰეგელის თარგმანისათვის; ფილოსოფიური აზროვნების ისტორია სავსეა კონფლიქტით ენის ტექნიკასა და სტილთან; გერმანული იდეალიზმი ამ კონფლიქტის მწვერვალია. კანტი, ფიხტე და ჰეგელი გერმანული სტილისათვისაც უხეში და სადაც მიშვებული სტილით სწერენ. ეს აიხსნება კლასიკური იდეალიზმის ლოგიკური თავისებურებით. ვინმე პატარა კაცს ლოსიუსს ეგონა, რომ გერმანული ენა არ ვარგოდა კანტის აზრებისათვის და, როგორც ვხედავთ, კანტს ურჩია, თავისი შრომები ფრანგულად დაეწერა. ისტორიულად ქცეული გერმანული იდეალიზმის სტილის თავისებურების საიდუმლოება ჰეგელმა გახსნა, ოგიუსტ კონტის წინადადებაზე, რომ ერთ-ერთი თავისი სუმარული ხასიათის შრომა ფრანგულ ენაზე დაეწერა, უპასუხა, რომ ჩემი ფილოსოფია ფრანგულ ენაზე სრულიად ვერ დაიწერებაო, ე. ი. ჰეგელი ფიქრობდა, რომ ფრანგული ენის ნათელ სტილში და მარტივ წინადადებაში სავსებით ვერ მოთავსდებოდა იდეალისტური ლოგიკიზმი.

ამიტომ კანტის ერთი უმნიშვნელესი ნაწარმოების ქართულად თარგმნა მე მიმაჩნია ჯერ კიდევ ცდად; ეს პირველი ნაბიჯია, თუ იგი სწორი აღმოჩნდა, ჩვენ შეორეს გადავდგამთ და „წმინდა გონების კრიტიკასაც“ გადმოვთარგმნით.

პროფ. მოსე გოგიძემისვი

1934 წ. 7 ნოემბერი.

PROLEGOMENA

zu

einer jeden
künftigen Metaphysik,

die
als Wissenschaft
wird auftreten können

von

IMMANUEL KANT.

RIGA,

bey Johann Friedrich Hartknoch

1783

რო აუგის 19 ივნით მოხდა ათენის კონკრეტულ
ცარიელობისაგან არ ა დაუდი ა მომიშვილი დაუდის სიცოცხლის
ა აუგის 19 ივნით მოხდა ათენის კონკრეტული ათენის კონკრეტული

თვეს ა აუგის 19 ივნით მოხდა ათენის კონკრეტული ათენის კონკრეტული

III 6 1 3 1 4 0

ეს პროცეგომენები მოსწავლეთა სახელმძღვანელოდ
არ არიან განკუთვნილი, არამედ მომავალ მასწავლებელ-
ფრთვის უკანასკნელთ ისინი სამსახურს გაუწევენ არა
უჭიშვი არსებული მეცნიერების სწავლება-დალაგებრსათვის,
არამედ უწინარეს ყოვლისა თვით ამ მეცნიერების შექმ-
ნისათვეის.

ა არსებობენ სწავლულნი, რომელთათვისაც ფილჩსოფის
სტორია (როგორც ძველის, ისე ახალის) მათი საკუ-
თარი ფარლოსოფია არის; ამათთვის ეს პროცეგომენები
არ ლიამდინება, მათ უნდა დაუცალონ იმათ, რომლებიც
უშესაძლოდ გონებრი წყაროებიდან იკვლევენ, როცა ეს
უკანასკნელნი თავიანთ საქმეს გააკეთებენ, მაშინ პირ-
ველთ შეუძლიათ ქვეყანას მომხდარ გარემოებათა შესახებ
თავიანთი, ცნობა მიაწოდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისე-
თვის არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, რაც მათი შეხედულე-
ბით უკიდურა ნათებები არ ყოფილიყო; მართლაც, ეს
კქნებოდა უცდომელი წინასწარმეტყველება ყველა მომა-
ცხლია შესაძლებლობისათვის; რადგან ადამიანის განსჯას.
მრავალი საუკუნის მანძილზე უამრავი საგნისა და მოვ-
ლენის შესახებ, სხვადასხვა აზრი გამოუთქვამს, ამიტომ
ძალიან დადგილი საქმეა ყოველივე ახალი გარემოებისაო-
ვის. ა ძველი გამოინახოს, რომელიც ნაწილობრივ შეს
მსგავსი იქნებოდა.

ჩემი ჩემი შეხედულება დავარწმუნო ისინი, რომლებიც
მეტადიზიკას ამუშავებენ, რომ გვერდაუქცეველი აუ-

ცილებლობაა, რათა ყოველივე დღემდე არსებული არ არსებულად მიიჩნიონ და ყოველივე საგნის განხილვამდე საკითხი წამოაყენონ: „ისეთი რამ, როგორიც მეტაფიზიკა არის, შესაძლებელია თუ არა საერთოდ“.

თუ იგი მეცნიერებაა, მაშინ სხვა მეცნიერებასავით მას საყოველთაო და ხანგრძლივი მოწონება რატომ ვერ მოუპოვებია? თუ იგი მეცნიერება არ არის, მაშინ როგორ ხდება, რომ მეტაფიზიკა ყოველთვის მეცნიერების ნილაბს მოფარებული საქმიანობს და ადამიანის გონებას შუდამ დაუშრეტელი, მაგრამ დაუკმაყოფილებელი იმედებით ასაზრდოებს? შეიძლება, მაშასადამე, რომ ვიცოდეთ, ანდა კიდევ არათერიც არ ვიცოდეთ, მაგრამ ბოლოს ხომ აუცილებელია ამ მოჩვენებითი მეცნიერების შესახეს რაიმე მტკიცე და გარკვეული გამოითქვას; დიდი ხნით ასეთს მდგომარეობაში მისი დატოვება, როგორშიაც ის დღეს არის, ყოვლად შეუძლებელია. პირდაპირ სასაცოლო მდგომარეობა იქმნება იმის გამო, რომ თითოეული სხვა მეცნიერება შეუჩერებლად ვითარდება და წინ მიდის, ხოლო ის სიბრძნე კი, რომლის წინასწარმეტყველუბას თითოეული აღამიანი მოვალეა დაეკითხოს, მუდანი ერთ ადგილზე ტრიალებს და ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წაწეულა. მეტაფიზიკამ უკვე ძალიან ბევრი მიძრევარი დაპკარგა, და ვისაც სხვა რომელსამე მეცნიერებაში ლირსშესანიშნავის გაკეთება შეუძლია, ის თავის სახელს მეტაფიზიკაში აღარ გამოკლის, სადაც ჟენელა საქმეში უცოდინარი აღამიანიც კი უყოყმანოდ მსჯელობს; ამ სამყაროში მართლაც არავითარი მტკიცე ცოდნა არ არსებობს, ზომა და წონა ძალაში არ არის და ლაყბობისა და საფუძვლიანი ცოდნის განსხვავება შეუძლებელია.

მაგრამ რაღაც გაუგონარი რამ არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ მეცნიერებაში ხანგრძლივი მომზადების

შემდეგ, ბოლოს იქამდე მივაღწიოთ, რომ საკითხი წამოვაყენოთ: შესაძლებელია თუ არა ასეთი მეცნიერება, ან როგორ არის იგი შესაძლებელი? აღაშიანის გონებას ხომ უკრაური აღმშენებლობის წყურვილი ახასიათებს, იგი ხომ ხშირად კოშკებს აშენებს და შემდეგ ხშირად თვითონვე ანგრევს, რათა ამ საშუალებით თავისი საფუძვლის სიმტკიცე კარგად გამოიკვლიოს. მგონია არასოდეს არ არის გვიანი, გავჭდეთ გონიერი და ბრძენი. მაგრამ თუ ეს შეხედულება დაგვიანებით შევითვისეთ, ძალინ საქმის დაწყება ცოტა ძნელი ხდება.

საკითხი: შესაძლებელია თუ არა ესა თუ ის მეცნიერება, გულისხმობს, რომ მის ნამდვილობაში ეჭვი შეუტანიათ. ასეთი იჭირი, ცხალია, შეუზრაცხყოფს თითოეულს, რომლის მთელი ავლადიდება ამ მოჩვენებითი ტანთსამოსიდან შედგებოდა; ამიტომ ამ ეჭვის გამომთქმელი უნდა მოელოდეს; რომ მას ყოველი მხრიდან თავს დაესხმიან.

ზოგიერთები, ამაყი შეგნებითა და თავიანთი ძველი და ამიტომ საშართლიანად მიჩნეული მეტაფიზიკური კომპენდიუმებით ხელში, ზიზღით შეხედავენ ასეთ დაეჭვებას; სხვები, რომლებიც არაფერს ხელავენ ისეთს, რაც შეგვაჲში არ იყოს მათ მიერ საღმე უკვე ნახულისა ცხალია, ამას ვერ გაიგებენ; ამის გამო ერთხანს მდგომარეობა ისე დარჩება, ვითომც არაფერი არ შომხდარიყოს და მოახლოვებულ ცვალებადობას რაიმე იმედის და ზრუნვის ღირსი არც კი გამოეწვიოს.

მიუხედავად ამისა, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროლეგომენების დამოუკიდებლად მოაზროვნე მკითხველი არა მარტო დაიჭიდება აქამდე არსებულ მეტაფიზიკაში, არამედ თანდათან იმაშიაც დარწმუნდება, რომ ასეთს მეცნიერებას არსებობის უფლება სრულებით არა აქვს, თუ აქ წამოყენებულ მოთხოვნილებებს არ დააკმა-

ყოფილებს; ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზეა და-
მოკიდებული მისი შესაძლებლობები, მაგრამ რადგან ეს
შეუძლებელია, ამიტომ დასახელებული მკითხველი დარ-
წმუნდება, რომ მეტაფიზიკა საერთოდ შესაძლებელი არ
არის და არც არსებობს. მაგრამ ამის გამო მოთხოვნილე-
ბა მეტაფიზიკაზე საკისებით მაინც არ შეწყდება. *) არ
შეწყდება იმიტომ, რომ აღაშიანური გონიერის ზოგადი
ინტერესები მასთან ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირე-
ბული, ამიტომ ჩვენი მკითხველი სცნობს, რომ მეტაფიზი-
ზიკის სრული რეფორმა, ან და უკეთ მისი. ახალი დოკუ-
დე უცნობი გეგმით დაბადება დღის წესრიგში დგას.
დღეს შეიძლება ბევრი იყოს ამის წინააღმდეგ ამხედრუ-
ბული, მაგრამ აღრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება.

ლოკის და ლაიბნიცის ცდების შემდეგ, მით-
უმეტეს, მეტაფიზიკის წარმოშობის შემდეგ, მთელი მისა-
ისტორიის გასწვრივ, თითქმის არაფერი მომხდარა ისე
ლის შესანიშნავი და ამ მეცნიერების ბედილბლისათვის
ისე გადამწყვეტი, როგორც დავით ჰილე შეტე-
ვები მის წინააღმდეგ. შემეცნებათ ამ სფეროში პრუმშე
თუმცა სინათლე არ შეუტანია, მაგრამ მან მოგვცემა
პერშკალი, რომელსაც დიდ ცეცხლად გადაქცევა შეეძლო,
საჭირო იყო ცეცხლფარეში, რომელიც ნაპერშკალს მო-
უვლიდა და გააღვივებდა.

პიუმე ამოგიდა. მეტაფიზიკის ურთადერთი, მაგრამ
დიდმნიშვნელოვანი ცნებისაგან, სახელდობრი შიშუ-
ზისა და შედეგის ურთიერთ დაუყოფებელ გადა-
ცნებისაგან ამის მრმცვენს ცნებისაგან ძალისა და

*) Rusticus expectat, უაჯ დეჭავ ამას, at ille არ თუდო
Labitur et labetur in omne voluminis aevum.

გლეხი უცდის, რომ მდინარე ჩამოდინდება (გამოილევა), მაგრამ
იჯი მიდინარეობს, და, მარად იმდინარებს.

თუ და თა მძრდელი იყომონი უკავშირი მომდევ და და

მოქმედების ურთიერთობის შესახებ); მან მოსთხოვა გო-
ნებას, რომელიც მოჩვენებას ჰქმნიდა, რომ ეს საკითხე-
ბი მისი საშოს პირმშო ყოფილიყო, რათა თავისი სიტყვა
ეთქვა და პასუხი გაეცა, თუ რატომ ფიქრობდა იგი, რომ
აველაფერი ისეთია, როგორც ეს მას დაუმკვიდრებია, და
ამის გამო აველაფერის სხვა გვარადაც დამკვიდრება შეიძ-
ლება აუცილებლობის მიხედვით; სწორედ ამას გულისხ-
მობს მიზეზის ცნება. მან ულაპარაკოდ დაასაბუთა, რომ გო-
ნებას არ შეუძლია პპრიორულად და ცნების მეშვეობით
ასეთი კავშირის განაზრება, არ შეუძლია იმიტომ, რომ
იგი (კავშირი) აუცილებლობას შეიცავს; მაგრამ შეუძ-
ლებელია გავიგოთ; თუ რატომ, რადგან რაღაც არსე-
ბობს, ეს რაღაც აუცილებლობის მიხედვით უნდა არსე-
ბოდეს, ე. ი. შეუძლებელია გავიგოთ, თუ როგორ შეიძ-
ლება ასეთი კავშირის ცნება აპრიორულად იქნას მოხმარე-
ბული. აქიდან დაასკვნის ჰიუმე, რომ გონებას ასეთი ცნებე-
ბის ატანა არ შეუძლია, რომ იგი მათ უკანონოდ თავის
საკუთარ შვილებად სთვლის. რომ ის ფანტაზიის ნაყოფი;
რომელიც ცდის მიერ განაყოფიერებულა ზოგი ცნება ასო-
ციაციის კანონებისათვის დაუჭრემდებარებია, აქიდან
წარმომდგარი სუბიექტური აუცილებლობა, ე. ი. ჩ ვ ე უ-
ლ ე ბ ა, ობიექტურ, გონიერ აუცილებლობად გაუსაღე-
ბია. აქიდან კი მან დაასკვნა, რომ გონებას არა აქვს არა-
ვითარი უნარი, ასეთი კავშირები გაიაზროს, თუ გინდ
სავსებით ზოგად ფორმებში, წინააღმდეგ შემთხვევაში
მისი ცნებანი მხოლოდ შეთხზული წარმოსახვანი იქ-
ნებოდენ, და ყველა მისი, ვითომცდა აპრიორულად
არსებული შემეცნება, სხვა არაფერია, თუ არ ყალბა
ჩეჭდით დათარიღებული ჩვეულებრივი ცდები: ეს გარე-
მოება, მისი აზრით, აგრეთვე იმის მთქმელია, რომ არ

არსებობს არავითარი მეტაფიზიკა და არც შეიძლება არსებობდეს *).

რაგინდ აჩქარებული და უმართებულო ყოფილიყო მცი დასკვნები, ისინი მაიც გამოკვლევას ეყრდნობოდენ და ეს გამოკვლევა უსათუოდ იმის ღირსი იყო, რომ მის ირგვლივ იმ ეპოქის საუკეთესო ძალები შეკრებილიყვნენ და დასმული ამოცანა, ჰიუმეს მიერ ნაჩვენები გზით, გადაეჭრათ. ამით მალე მეცნიერების სრული რეფორმა შეიძლებოდა წარმოშობილიყო.

მაგრამ მეტაფიზიკის ძველ ბედისწერას სურდა, რომ ჰიუმე სწორად არავის გაეგო. უხერხულობის გრძნობა დაგვეუფლება იმ წამსვე, რა წამს ვნახავთ, თუ როგორ ვერ არჩევენ ჰიუმეს მოწინააღმდეგენი რიდი, ოსვალდი, ბიტი და უკანასკნელად კიდევ პრისტლი მისი ამოცანების ძირითად მომენტს, ყოველთვის უდაოდ მიიჩნევენ იმას, რასაც ჰიუმე ეჭვის თვალით უყურებდა, იმას კი, რასაც იგი უეჭვოდ მისაღებად სთვლიდა, დიდის ენერგიითა და თავდადებით ეწინააღმდეგებიან, მისი თვალსაზრისის გაუმჯობესებაზე უარს ამბობენ, რის გამოც ყოველივე წინანდელ მდგომარეობაში დარჩია. საკითხი იმას ხომ არ შეეხებოდა, მიზეზის ცნება სწორი იყო თუ არა, ანდა ის მოსახმარი და საჭი-

*) მიუხედავად ამისა, ამ თავისს ყველაფრის დამწგრევ ფილოსოფიას ჰიუმე მეტაფიზიკას უწოდებს და მას ძალიან დიდ ლირებულებას აკუთვნებს მეტაფიზიკა და მორალი, ამონბს იგი, (Versuch, 4. Teil, გვ. 214 ეკრანანული თარგმანი), რეცნიერების უძირითადესი ნაწილებია, მათგამატიკას და ბუნებათმეცნიერებას ამის ნახევარი უზრებულებაც კი არ გააჩნიათ". ამ გონებამაზე ილ ადამიანს აქ მხედველობაში აქვს ის ნეგატიური სარგებელი, რომელსაც მივიღებთ სპეციალური გონების გადაჭარბებულ მოთხოვნილებათა შემცირებით, რაც უთუოდ თავიდან აგვაშორებს იმ უძირო და გაუთავებელ დავას, რომელიც დიდიხანია ადამიანის მოდგმას გზებს უბრნეს; მაგრამ ამ შემჯხევებაში მან ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია იმ პოლიტიკურ ზარალს, რომელიც იმ წამსვე თავს იჩენს, რა წამს გონებას იმ მნიშვნელოვან პერსპექტივებს წაართმევენ, რომლისაკენაც მისი ნებისყოფა, როგორც უმაღლესი მიზნისაკენ, მიპყრობილია.

რო იყო თუ არა ბუნებათშეცნიერებისათვის, ეს ჰიუმექი ეჭვის საგნად არასდროს არ გაუხდია, საკითხი შეეხებოდა იმას, შეუძლია თუ არა გონებას მისი აპრიორული გააზრება და ამ საშუალებით ცდისაგან დამოუკიდებელი შინაგანი ჰეშმარიტების მიღწევა და აქიდან ისეთი მოხმარება, რომ იგი ცდის საგნებისაგან დამოუკიდებული არ იყოს; ჰიუმე ამის შესახებ მსჯელობდა. დიახ, ლაპარაკი იყო ამ ცნების დასაბამზე და არა მისი მოხმარების აუცილებლობაზე მისი წარმოშობა გაქვლეული რომ ყოფილიყო, მაშინ მისი მოხმარების პირობებისა და მოცულობის საკითხი თავისთავად გაირკვეოდა.

ამ ამოცანების დაძლევისათვის სახელგანთქმული ადამიანის მოწინააღმდეგები მოვალენი იყვნენ გონებას სილრმემდე ჩასწევდომოდენ, და რამდენადაც საკითხი წმინდა აზროვნებას შეეხებოდა, იგი საფუძვლიანად დაემუშავებინათ; ეს კი მათს შესაძლებლობას აღემატებოდა. ამიტომ მათ მიმართეს უფრო ადვილ საშუალებას, რომელიც ცოდნის გარეშეც ლაპარაკის უფლებას იძლევა, სახელდობრ, ე.წ. ჩვეულებრივ ანუ საღადა მიანურ განსჯანს საჭარბოა. მართლაც, ხომ მაღალი განგების საჩუქრად უნდა ჩაითვალოს, თუ სწორი (ან როგორც მას ამ უკანასკნელ დროს უწოდეს უშუალო) ადამიანური განსჯა გავაჩნიათ, მაგრამ მისი არსებობა საჭირო უნდა დაამტკიცოთ მოფიქრებულით და გონიერით, ნათქვამით და ნააზრევით, მაგრამ თუ გონიერი არგუმენტი შემოგაქლდათ და მას მიმართეთ ვითარცა ორაկულს, ეს არა-ფრად ვარგა. თუ ცოდნა და მეცნიერება ამ გზას გაჰყვა, მაშინ ჩვეულებრივი ადამიანური განსჯის უნარზე დაყრდნობა საკმარისი იქნება და ეს იქცევა უახლოესი ეპოქის იმ სუბტილურ გამოგონებად, რომლითაც უნიადაგო მოლაპბეს შეუძლია გაედავოს და გაუსწორდეს უსაფუძველი „პროლეგომენები“

ლიანეს მოაზროვნეს. მაგრამ ვიღრე გონიერების მცირე-
ოდენი ნაწილი მაინც დარჩენილა, თითოეული უარს
იტყოდა ასეთი საშუალებისათვის მიემართა. დღის
სინათლეზე თუ განვიხილავთ, მთელი ეს აპელაცია სხვა
არაფერია, თუ არ ბრძოს მსჯელობაზე დაყრდნობა,
ე. ი. ტაშის დაკვრით საკითხის გადაწყვეტა, რაც ყოველ
ფილოსოფოსს გააწითლებდა და რასაც ჰოპულარული
ხუმრობა თავისი განვიდებისათვის და აურზაურისათვის
გამოიყენებს. მე მგონია უფლება მაქვს ვითიქრო, რომ
ჰიუმეს იმოდენა პრეტენზია მაინც ჰქონდა ჯანსაღ აღა-
მიანურ განსჯაზე, რაოდენიც ბიტის, გარდა ამისა, მას გაა-
ჩნდა კიდევ ის, რაც ბიტის არ ჰქონია, სახელდობრი,
კრიტიკული გონება, კრიტიკული გონება კი ჩვეულებრივ
განსჯას ფარგლებში იჭერს და ნებას არ აძლევს სახეკუ-
ლაციების უსაზღვრო სივრცეში შეტობოს და თან აჩვე-
ნებს, რომ ჩვეულებრივ განსჯას, რომელსაც თავისი სა-
კუთარი საფუძვლების გამართლება არ შეუძლია, საკით-
ხების გადაჭრისათვის არავითარი მიღრეკილება არ უნდა
ჰქონდეს; მხოლოდ ამ ფარგლებში შეუძლია მას ჯანსაღ
განსჯად დარჩეს. სატესი და ჩაქუჩი კარგი იარაღია ხის
ნაჭერის დამუშავებისათვის, მაგრამ სპილენძისათვის სულ
სხვა ხელსაწყოა საჭირო. საკეთი ასე დგას საკითხი
ჯანსაღი და სპეციულატური განსჯის შესახებ, ორივე მო-
სახმარია თავის საკუთარ სფეროში და თავისებურ პირო-
ბებში: პირველი იმ შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხება
მსჯელობებს, რომლებიც თავიანთ უშუალო გამოყენებას
ცდაში ნახულობენ, მეორე იქ, საღაც მსჯელობა მხო-
ლოდ ზოგად, უბრალო ცნების მიხედვით უნდა შესრულ-
დეს, მაგ., მეტაფიზიკაში, საღაც განსჯა, რომელიც თავის
თავს, ძალიან ხშირად per antifrasin ჯანსაღს უწო-
დებს, ვერავითარ მსჯელობას ვერ შეასრულებს.

მე თავისუფლად ვაცხადებ: დავით ჰიუმეს მოგონება მრავალი წლის წინ ჩემთვის იყო ის გარემოება, რომელ-მაც მე დოგმატური თვლემა შემაწყვეტინა და ჩეძს კვლევებს სპეციალური ფილოსოფიის არეში სულ სხვა მიმართულება მისცა. მე, რასაკვირველია, მისი დასკვნებისათვის ჩემი ყურადღება არ დამითმია, ისინი, ჩემი აზრით, იქიდან გამომდინარებენ, რომ მათს ავტორს თავისი ამოცანა სავსებით სწორად არ ჰქონდა წარმოდგნილი, ჩემი ყურადღება შეეხებოდა მისი ფილოსოფიის მხოლოდ ერთ ნაწილს, რომელიც თუ მთლიანს მხედველობიდან გაუშვებთ, ვერაფერს მოგვცემს. თუ დავიწყებთ დაფუძნებული, მაგრამ დაუმთავრებელი აზრისაგან, რომელიც ჩვენ რომელიმე წინაპარმა დაგვიტოვა, მაშინ, მგონია, უფლება მაქვს ვიმედო, რომ ხანგრძლივი მოფიქრებით საჭმეს გაცილებით წინ წავწევ, ასეთი იყო ჩემი დამოკიდებულება ამ გონებამახვილ ადამიანთან; სინათლის პირველ ნაპერწყალს ჩვენ უთუოდ მას უნდა უუძადლოდეთ.

მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, მე შევეცადე გამომეკვლია — შეიძლებოდა თუ არა ჰიუმეს არგუმენტაციის განზოგადება და სულ მალე აღმრვაჩინე, რომ მიზეზისა და შედეგის დაკავშირების ცნება სრულიად არ არის ერთადერთი ცნება, რომლითაც განსჯა საგანთა დაკავშირებას აპრიორულად აზროვნობს, პირიქით, მთელი მეტაფიზიკა ასეთი ცნებისაგან შედგება. მე შევეცადე გამომერკვია ასეთი ცნებების რიცხვი და რადგან მე მათი ერთი გარკვეული პრინციპისაგან დადგინება შევძელი, ამიტომ ხელი მოვკიდე ამ ცნების დედუქციას; ახლა მე უკვე გარკვეული ვიყავი, რომ ეს ცნებები ცდისაგან არ გამომდინარებენ, როგორც ეს ჰიუმემ წარმოადგინა, არამედ წმინდა განსჯისაგან იყვნენ წარმოშობილი. ჩემს

გონებამახვილს წინაპარს ეს დედუქტია შეუძლებელ საქ-
მედ მიაჩნდა, სხვებს კი ასეთი რამ აზრადაც არ მოსვ-
ლიათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებებს ყველანი ხმა-
რობენ, მაგრამ არავინ არ ეკითხებოდა თავის თავს, თუ
რაზე იყო დამყარებული მათი ობიექტური გავლენა. ეს
დედუქტია, სახელდობრ, ყველაზე უძნელესი საქმე იყო,
რაც ოდესმე მეტაფიზიკის სახელით კი ყოფილა წამოწ-
ყებული; საქმეს აძნელებდა კიდევ ის: გარემოება, რომ
აქ ჩემთვის უკვე არსებულ მეტაფიზიკას არავითარი დახ-
მარების გაწევა არ შეეძლო, არ შეეძლო იმიტომ, რომ
თვით ამ დედუქტის უნდა დაესაბუთებინა თვითონ მე-
ტაფიზიკის შესაძლებლობა. რაღან მე შევძელი გადა-
მეჭრა ჰიუმეს პრობლემა არა რომელიმე კერძო შემთხვე-
ვის მიმართ, არამედ წმინდა გონების მთელი უნარის მი-
მართ, ამიტომ მე შევძელი გადამედგა მტკიცე, თუმცა არა
ნელი ნაბიჯები და ამ საშუალებით დასასრულ წმინდა-
გონების მთელი მოცულობა სავსებით გამერკვია ზოგადია
პრინციპების მიხედვით, — როგორც მისი საზღვრებისა,
ისე მისი შინაარსის მიხედვით. ეს იყო სწორედ ის რაც
მეტაფიზიკასაც ესაჭიროებოდა, რათა მისი სისტემა
მტკიცე გეგმის მიხედვით ყოფილიყო შესრულე-
ბული.

მაგრამ მე კუშობ, რომ ჰიუმეს პრობლემის გადა-
წყვიტას მისი უდიდესი გაფართოების საზ-
ღვრებში (სახელდობრ წმინდა გონების კრიტიკის საზ-
ღვრებში), იგივე მოუვა, რაც მოუვიდა თვით პრობლე-
მას, როცა ეს უკანასკნელი პირველად იყო წარმოდგე-
ნილი. ამაზედაც (ჩემს კრიტიკაზე) არა სწორად მსჯე-
ლობენ, იმიტომ რომ იგი ვერ გაიგეს და მას ვერ გა-
გებენ, რაღან წიგნი თუმცა გადაფურცლებს, მაგრამ სა-
ფუძვლიანად არ შეისწავლეს. ჩემს წიგნზე თურმე იმი-

ტომ არ დახარჯეს საჭირო ჯაფა, რომ ივა მშჩბლი და
 შნელი ყოველია, რადგან იგი ჩვეულებრივ ცნებებს ეწინა-
 აღმდეგებოდა და ამის გარდა ფართოდ დაწერილიც არის.
 უნდა განვაცხადო, რომ მე არ მოველოდი თუ რომელიმე
 ფილოსოფოსი ბრალს დამდებდა პოპულარობის უქონ-
 ლობაში, ანდა იმაში, რომ ჩემი წიგნი თავის შესაძლებად
 არ გამოდგება; საცა საკითხი შეეხება უცილობელ შემე-
 ცნებას, რომელიც მხოლოდ უმკაცრესი წესების და უმ-
 ტკიცესი პუნქტუალობით შეიძლება მიღწეულ იქნას.
 იქ პოპულარობა შესაძლებელია თან ახლდეს საქმეს, მაგ-
 რამ პოპულარობით დაწყება ყოვლად დაუშვებელია. რაც
 შეეხება ცოტა სიბრძლეს, იგი ნაწილობრივ გეგმის სიდი-
 დე-სიფართოვიდან გამომდინარეობდა, ამან ხელი შემი-
 შალა გამოკვლევის ძირითადი ნაწილისათვის ჯეროვანი
 ყურადღება მიმექცია, ამიტომ ამ საყვედურს მე ვღებუ-
 ლობ და ვეცდები წინამდებარე პროლეგომენებით საჭმე-
 გამოვასწორო. ის ნაწარმოები, რომელიც წმინდა გონიე-
 ბის შთელს უნარს როგორც თავისი საზღვრე-
 ბის, ისე მოცულობის მიხედვით იკვლევს, ყოველთვის
 დარჩება საფუძვლად; ეს პროლეგომენები მას მიეკუთვნე-
 ბიან, როგორც წინასწარი გარჯიშობანი. სანამ დაუშვებ-
 დეთ მეტაფიზიკის წარმოშობის შესაძლებლობას, ანუა
 სანამ შორეულ იმედს გამოვთქვამდეთ ასეთს შესაძლებ-
 ლობაზე, მანამდე ეს კრიტიკა უნდა შოცემული იყოს,
 როგორც სისტემატური მეცნიერება და ყველა უმცირე-
 სი. ნაწილით ჩამოყალიბებული.

დიდიხანია დაჩვეული ვართ იმ გარემოებას, რომ
 ქველსა და გაცვეთილს შემეცნებას ახლად შეაკეთებენ,
 მას ქველი პირობებიდან ამოიღებენ, ახალ მოდის ტან-
 საცმელში გამოახვევენ და ახალსახელწოდებას მიანიჭე-
 ბენ. მკითხველთა დიდი ნაწილი ნამდვილად ჩვენი კრიტი-

კიდანაც ამას მოელის, მგონია ეს პროლეგომენები მას დაარწმუნებენ, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთს სავსებით ახალ მეცნიერებასთან, რომლის შესახებ არავის აქამდე აზრადაც კი არაფერი მოსვლია, რომლის იდეაც კა უცნობი იყო და რომლისათვისაც დღემდე არსებულ არც ერთ გარემოებას არავითარი სამსახურის გაწევა არ შეეძლო; ერთადერთი, რასაც დახმარება შეეძლო ეს იყო ჰიუმეს ეჭვი, მაგრამ არც იგი ასეთი ფორმალური მეცნიერების არსებობაზე აგრეთვე არაფერს გრძნობდა. ჰიუმემ თავისი გემი, რომელსაც ქარიშხლისაგან უნდა გადავერჩინეთ, სკეპტიციზმის ნავთსაყუდელში მიიყვანა და იქ დატოვა. სულ სხვაა ჩემი საქმე: ჩემთვის ძირითადია გამოვნახო ისეთი პილოტი, რომელიც კაპიტანის ხელოვნების უტყუარი ცოდნით აღჭურვილი, გლობუსის პრინციპების (კოდნით შეიარაღებული, სრულყოფილი საზღვაო რუკითა და კომპასით თავის გემს გაბედულად იქ წაიყვანს, სადაც ეს მისთვის საჭირო იქნება.

ისეთ ახალ მეცნიერებას, რომელიც სხვათაგან სავსებით იზოლირებულია და თავისებური, ხშირად ხვდებიან წინასწარ შემუშავებული აზრით, ვითომც და შესაძლებელი იყოს მისი ძველისძველ მოპოებული ცოდნით განსჯა; აქ ავიწყდებათ, რომ სწორედ ეს (კოდნა არის ის, რომლის ჩემთვები დაეჭვებული ვართ და ამიტომ, კხადია, ასეთს შემთხვევაში ბევრი ისეთი გამოთქმა აღმოჩნდება, რომელიც ძველს ემსგავსება; მთელი მოძღვრება შეიძლება უაზრობად და უსაქმო ლაყბობადაც კი მიიჩნიონ და ყველაფერი ამის საფუძველი არის ის, რომ ავტორის აზრებს კი არ ეხებიან, არამედ ასეთ შემთხვევაში ეყრდნობიან თავისი საკუთარი ხანგრძლივი ჩვევებისაგან ბუნებრივად გადაჭცეულ აზრებს. ნაწარმოების სიფარითოვე, რაშლენადაც ეს გამოწვეულია თვით შეცნი-

უჩებისაგან და არა გაღმოცემის წესისაგან, ამასთან აუცილებელი სიმშრალე და სქოლასტიკური პუნქტუალობა, ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც შეიძლება თვით საქმისათვის ძალიან საჭიროც იყოს, მაგრამ წიგნისათვის, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, ერთობ მავნებელია.

რასაკვირველია, ყოველ კაცს არ შეუძლია სწეროს რე მკაცრად, მაგრამ მიმზიდველად, როგორც და ვით ჰი მეს, ანდა ისე საფუძვლიანად, და იმავე დროს ელეგანტად, როგორც მოსე მენდელსონს. მაგრამ (შემიძლია ვიფიქრო) პოპულარობა მეც შემეძლო ჩემი დალაგებისათვის მიმეცა; მე რომ მიზნად დამესახა გეგმის შედგენა, ხოლო მისი შესრულება სხვებისავთის დამეთო, მეცნიერება, რომელსაც მე ამოდენი შრომა შევწირე, ჩემთვის სასხვათაშორისო საქმე რომ ყოფილიყო, მაშინ, ცხადია, პოპულარობას ადვილად მივაღწევდი. მგონია, დიდი გამძლეობა და მსხვერპლია იმისათვის ნაჭირო, რათა უარი თქვა შენი შრომის ნააღრევ და მიმზიდველ აღიარებაზე და დაუცადო მომავალს, თუმცა გვიანს, მაკრამ საფუძვლიანს შეფასებას.

გეგმების შედგენა ხშირად განდიდების მაძიებელი, ბრჭყვიალა საქმიანობა არის; ხშირად შემოქმედების გენიოსის სახელის დამსახურებას იმით ეძებენ, რომ სხვებისაგან ისეთს რამეს მოითხოვენ, რის გაკეთებაც თვით არ შეუძლიათ, დაიწუნებენ ისეთს, რაც თვითონ არ იციან; გონების ზოგადი კრიტიკის ხეირიანი გეგმისათვის კი ყოველთვის გაცილებით მეტია საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით უდანაშაულო სურვილების ჩვეულებრივ დეკლამაციებს. წმინდა გონება არის ისეთი განკერძოებული, თავის თავში ჩაკეტილი სფერო, რომ წარმოუდგენელია მის რომელსამე ნაწილს შე-

ვეხოთ და სხვა ყველა დანარჩენი ნაწილი ხელუხლებელი დაცოვოთ; ვერაფერს ვერ მოვიმოქმედებთ ჩვენ მის შესახებ, თუ წინასწარ თითოეულს თავისი ადგილი და თავისი გავლენა არ მივუჩინეთ, რადგან არაფერი არ არის გონიერის გარეშე, რასაც შეუძლია ჩვენი მსჯელობა განსაზღვროს, ამიტომ ყოველი მისი ნაწილის მნიშვნელობა და მოხმარება დამოკიდებულია იმ მიმართებაზე, რომელშიაც იგი იმყოფება გონების სხვა ელემენტებთან, როგორც თითოეული ორგანული სხეულის ნაწილების აგებულობა ისეთია, რომ თითოეული ნაწილის მიზანი დამოკიდებულია ორგანული მთლიანობის ჯებაზე, ისეთივეა დამოკიდებულება გონების ნაწილებს შორისაც. ამიტომ ყოველთვის სამართლიანი იქნებოდა ისეთი კრიტიკის დაწუნება, რომელიც წმინდა გონებას მის მთლიანობაში ვერ განიხილავს ან და წმინდა გონების ყველა ელემენტის მიმართ ჯეროვნად შესრულებული ვერ იქნება; კრიტიკა, რომელსაც არ შეუძლია მთელი აშ უნარისა და მისი სფეროს შეფასება და გარკვევა, არაფრად არ ვარგა.

რამდენადაც ყოვლად უვარგისი, გაუგებარი და მოუხერნებელია ისეთი გეგმა, რომელიც წმინდა გონების კრიტიკას წინ უსწრებს, იმდენად კარგი და სასარგებლოა იგი, თუ კი ასეთს კრიტიკის შემდეგ მოჰყვება. ამით მოგვეცება საშუალება მთლიანობას თვალი გადავავლოთ, ძირითადი მომენტები, რომლებიც გაღამწყვეტია ამ მეცნიერებისათვის, ნაწილ-ნაწილ გამოვიკვლიოთ, ზოგი რამ დალაგების მხრითაც უკეთესად გავაკეთოთ, ვიდრე ყველაფერი ეს ნაწარმოების პირველი შესრულებისას იყო გაკეთებული.

აქ მოკემულია ასეთი გეგმა დამთავრებული ნაწარმოების სახით, იგი შესრულებულია ანალიზური მეტოდის მიხედვით, თვით ნაშრომი კი სინთეზური

მოძღვრების სახით უნდა ყოფილიყო გაკეთებული, რა-
 თა შესაძლებელი იყოს მეცნიერება და ყველა მისი არ-
 ტიკულაცია წარმოდგენილ იქნას, როგორც ბუნებრივი
 კავშირი შემეცნების უნარის ნაწილთა აგებულობისა.
 ვინც ამ გეგმასაც, რომელსაც მე, ვითარცა პროლეგო-
 მენებს, წინვუმძღვარებ ყველა მომავალ მეტაფიზიკას,
 ბნელად მიიჩნევს, მან მოიფიქროს, რომ აუცილებელი
 არ არის, რათა ყოველი აღამიანი მეტაფიზიკას სწავ-
 ლობდეს, და რომ არსებობს ზოგი ნიჭი, რომელიც საფუ-
 ძვლიან და ლრმა მეცნიერებას, რომელიც შევრეტე-
 ლობასთან ახლოს დგას მშვენივრად ითვისებს, მაგრამ
 მისი ტალანტი განყენებულ სფეროში შედეგს ვერ იძ-
 ლევა; ამ შემთხვევაში თავისი ნიჭი სხვა საგანზე უნდა
 მოიხმაროს ის კი ვინც მეტაფიზიკაზე იმსჯელებს, ანდა
 ვისაც მეტაფიზიკის შედგენა სურს, მოვალეა დააკმაყო-
 ფილოს ყველა აქ წამოყენებული მოთხოვნილება. ეს მას
 შეუძლია გააკეთოს სხვადასხვანაირად; მას შეუძლია ჩე-
 მი თეორია მიიღოს ანდა იგი საფუძვლიანად უარყოს და
 მისი ადგილი ახალი თეორიით დაიჭიროს, — მისი უბრა-
 ლო უკუგდება კი შეუძლებელია. ასეთ ყბად აღებულ
 სიბნელესაც აქვს თავისი სარგებლობა (იგი ჩვეულებრივი
 ფანდია საკუთარი უაზრობისა და უცოდინარობის დასა-
 ფარავად), ვინაიდან ყველა ის ვინც სხვა მეცნიერების
 მიმართ დარბაისლურად სდუმს, მეტაფიზიკის საკითხებში
 დიდი ოსტატობით ლაპარაკობს და უშიშრად საკითხებს
 წყვეტს, რაღაც მისი უცოდინარობა აქ სხვა მეცნიერების
 წინააღმდეგ ნათლად არ გამომჟღავნდება, მაგრამ იგი
 გამომჟღავნდება ნამდვილი კრიტიკული პრინციპების
 წინააღმდეგ; ამათ შესახებ, მაშასადამე, შეიძლება ითქვას:
Ignavum, fucus, pecus a praesepibus arcent.

ფინგილ.

პროლეტარიატი

წ 0 6 1 6 7 1 6 0 უ მ 6 0 7 3 6 9

უოგელი მეტაფიზიკური შემქუცნების თავისებურების
ხალვას.

§ 1

მ ა ტ ა ფ ი ზ ი პ ი ს ჭ ყ ა რ ა ლ ე ბ ი ს უ მ ს ა კ ა მ ა .

თუ რომელსამე შემეცნებას მეცნიერების სახით
დავალაგებთ, ამისათვის აუცილებელია წინასწარ სის-
ტორით გამოვარკვიოთ, ის განმასხვავებელი, რაც მას
რომელსამე სხვასთან საერთო არა აქვს და რაც, მაშასა-
დამე, მის თავისებურებას შეაღვენს; წინააღმდევ შემთხვევაში საზღვრები ყველა მეცნიერებისა ერთმანეთში
აირეოდა და არც ერთი მათგანი, მისი ბუნების მიხედ-
ვით, საფუძვლიანად გარკვეული არ იქნებოდა.

ეს თავისებურება შეიძლება მდგომარეობდეს ობიექ-
ტისა, შემეცნების წყაროისა, ანდა კიდევ
შემეცნების სახეობის განსხვავებაში. სადაც სამივე
ეს მომენტი ერთად მოცემული არ იქნება, იქ ერთერთ
მათგანზეა დამყარებული ყოველი შესაძლებელი მეცნი-
ერების იღეა და მისი ტერიტორია.

უწინარეს ყოვლისა, რაც შეეხება მეტაფიზიკური შე-
მეცნების წყაროებს, ეს უკვე მათს ცნებაშია მოცე-
მული, ისინი არ შეიძლება იყონ ემპირიული. მათი
58

პრინციპები (რომელთაც ეკუთვნის არა მარტო ძირითადი დებულებანი, არამედ მათი ძირითადი ცნებებიც), მაშასადამე, | შეუძლებელია ცდისაგან იქნას აღებული; მართლაც და იგი უნდა იყოს მეტაფიზიკური და არა ფიზიკური შემეცნება, ე. ი. ცდის მიღმა მოთავსებული შემეცნება უნდა იყოს დგი. ამრიგად, მის საფუძვლად არ გამოდგება არც გარეგანი ცდა, რომელიც წყაროა ფიზიკისა, არც შინაგანი ცდა, რომელიც ემპირიული ფსიქოლოგის საფუძველია. მაშასადამე, იგი არის წმინდა განსჯასა და წმინდა გონებაზე დაყრდნობილი შემეცნება a priori.

ამ მიმართულებით მას ბევრი რამ არ ასხვავებს წმინდა მათემატიკისაგან; მას აშიტომ წმინდა ფილოსოფიური შემეცნება უნდა ეწოდოს; ამ გამოთქმის მნიშვნელობა გავარკვიე მე „წმინდა გონების კრიტიკის“ მე-712 გვ. და ქვ., სადაც გონების მოხმარების ამ ორი სახით განსხვავება ნათლად და საკმარისად არის დალაგებული — ეს ვიჟუაროთ მეტაფიზიკის წყაროების შესახებ.

§ 2

შემთხვევის სახეობაზე, რომელსაც უდიდესია მათ-ლოდ მიტაციისური მართვა.

a) განსხვავებაზე ანალიზურსა და სინთეზურს მსჯელობას შორის საერთოდ.

მეტაფიზიკური შემეცნება შხოლოდ აპრიორულ. მსჯელობებს უნდა შეიცავდეს; ეს გამოწვეულია მეტაფიზიკის წყაროთა თავისებურებისაგან. მაგრამ სულ ერთია მსჯელობას რომელი დასაბამიც არ გააჩნდეს, სულერთია აგრეთვე, თუ როგორი იქნება იგი თავისი ლოგიკური ფორმის მიხედვით, შინაარსის მიხედვით შეინც ჩაება

საშუალება განვასხვაოთ მსჯელობები, ისეთებად რომლებიც შხოლოდ გან შმარტებელი და შემეცნების შინაარს არაფერს უმატებს, ანდა გამფართოებელი და მოცემულ შემეცნებას აღიდებს; პირველს შეგვიძლია ვუწოდოთ ან ალიზური, ხოლო მეორეს სინთეზური მსჯელობები.

ანალიზური მსჯელობები პრედიკატში ისეთს არაფერს გამოთქვამენ, რაც სუბიექტის ცნებაში, თუმცა არა ისე ნათლად და არა ასეთი ცნობიერებით, მაგრამ გაინც ნამდვილად გააზრებული არ ყოფილიყოს. თუ მე ვიტყვი: ყოველი სხეული არის განფენილი, ამით მე ჩემი ცხება სხეულის შესახებ სრულიად არ გამიფართოებია, არამედ მხოლოდ გავხსენი, განფენილობა ამ ცნების შესახებ, თუმცა ნათლად გამოთქმული არ იყო, მაგრამ სინამდვილეში მსჯელობამდე იყო გააზრუბული; ამიტომ ეს მსჯელობა არის ანალიზური. დებულება კი: ზოგი სხეული მძიმეა, ისეთს რამეს შეიცავს პრედიკატში, რაც სხეულის ზოგად ცნებაში ნამდვილად გააზრებული არ არის, იგი (ჩემს) ცნებას რაღაცას უმატებს და ამით აღიდებს ჩემს ცოდნას, და აშიტომ მას სინთეზური მსჯელობა უნდა ეწოდოს.

b) ყველა ანალიზური მსჯელობისათვის - საერთო

პრინციპი არის წინააღმდეგობის დებულება.

ყველა ანალიზური მსჯელობა მთლიანად დაყრდნობილია წინააღმდეგობის დებულებაზე, ისინი თავიანთი ბუნებით არიან აპრიორული შემეცნებანი, ცნებები, რომლებიც მათს მატერიას შეადგენენ, შეიძლება იყვნენ ემპირიულიც და არა ემპირიულიც. რაღვანაც დადგებითი ანალიზური მსჯელობის პრედიკატი სუბიექტის ცნებაში უკვე წინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელია, ასევე ამ პრე-

დიკატის მოპირისპირე წინააღმდეგობის დებულების სა-
შუალებით ოწევს უარყოფით ანალიზურ მსჯელობაში
სუბიექტის მიმართაც აუცილებელ უარყოფას. ასევეა
აშენებული მსჯელობები: ყოველი სხეული განვითნილია
და არც ერთი სხეული არის არაგანვენილი (მარტივი).

სწორედ ამიტომ ყველა ანალიზური დებულება არის
აპრიორული მსჯელობა, მაშინაც კი, როცა მისი ცნებები
ემპირიულია, მაგ., ოქრო ყვითელი შეტალია; ამ უკანას-
კნელი გარემოების ცოდნისათვის მე არ მჭირდება არა-
ვითარი შემდგომი ცდა, გარეშე ოქროს ცნებისა, ოქ-
როს ცნება უკვე შეიცავს, რომ ეს სხეული ყვითელია და
თან შეტალი: ეს გარემოება შეადგენდა ცნებას და მე მო-
ვალე არ ვყოფილვარ რაიშე სხვა მომენასა, არამედ მხო-
ლოდ იგი უნდა დამენაწევრებია.

c) სინთეზური მსჯელობანი საჭიროებენ სხვა პრინ-
ციპს, ვიდრე წინააღმდეგობის დებულებას.

არსებობენ სინთეზური მსჯელობანი *a posteriori*
(აპოსტერიორული), რომელთა დასაბამი ემპირიულია, მაგ-
რამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც აპრიორულად
ცხადი არიან, და რომლებიც წმინდა განსჯისაგან და
წმინდა გონებისაგან წარმოსდგებიან. ორივეს კი ის აქვს
საერთო, რომ ისინი ანალიზის ძირითადი დებულებიდან,
ე. ი. წინააღმდეგობის დებულებიდან არ შეიძლება წარ-
მოსდგებოდენ. მათთვის საჭიროა სულ სხვა პრინციპი;
თუმცადა, როგორიც არ უნდა იყოს მათი საფუძველი,
თითოეული ამ დებულების გამოსაყვანად მაინც წი-
ნააღმდეგობის დებულების საწინააღმდეგო თუმცა არა-
ფერი არ შეიძლება იყოს, მაგრამ ყველაფერი მისგან

შაინც არ გამოიყვანება. სინთეზური მსჯელობები მე
წინდა შემდეგ კლასებად დავანაწილო.

1. ცდის მსჯელობები ყოველთვის სინთეზური
არიან. უმართებულო იქნებოდა ანალიზური მსჯელობა
ცდაზე დაგვეფუძნებია, ამ შემთხვევაში მსჯელობის შედ-
გენისთვის მე უფლება არა მაქვს ცნების ფარგლებიდან გა-
მოვიდე და, მაშასადამე, ცდის დამოწმება სრულიად არ
ჭირდება, რომ სხეული განფენილია, ეს ისეთი დებულე-
ბაა, რომელიც აპრიორულად მტკიცება და ცდის დამოწ-
მებას არ საჭიროებს, ამიტომ არ არის იგი ცდის მსჯელო-
ბა. სანამ მე ცდას მივმართავდე, უკვე მანამდე მსჯელო-
ბისათვის საჭირო ყველა პირობა ცნებაში მაქვს მოცემუ-
ლი, აქიდან გამოყავს მე პრედიკატი წინააღმდეგობის
დებულების მიხედვით, ამით ნათელი ხდება ჩემთვის მსჯე-
ლობის აუცილებლობა და ცდას აქ არაფრის გაკე-
თება არ შეუძლია.

2. მათე მატიკური მსჯელობა ყველა სინთე-
ზურია. ეს დებულება თუმცალა უკამათოდ ცხადია და მისი
შედეგები ძალიან საჭირო, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი
აღამიანის აზროვნების ანალიტიკოსებს მხედველობიდან
გამოჰქმდარვიათ, დიახ, იგი ყველა მათ შეხედულებათა
წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. რადგანაც ხედავ-
დენ, რომ მათემატიკის ყველა დასკვნა წინააღმდეგო-
ბის დებულებიდან გამომდინარეობდა (რაც აუცილებე-
ლია ყოველი აპოდიქტური სიცხადის ბუნებისათვის),
ამიტომ დარწმუნდენ, რომ ვითომც მათემატიკის ძირი-
თაღი დებულებებიც წინააღმდეგობის პრინციპიდან შეი-
ცნობოდა; მაგრამ სწორედ ამაში ცდებოდენ ისინი. მარ-
თალია, სინთეზური დებულება წინააღმდეგობის დებუ-
ლების მიხედვითაც შეიძლება იქნას წარმოდგენილი,
მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხვა

სინთეზური დებულება იქნება ნაგულისხმევი და პირველი ამ უკანასკნელისაგან შედეგის სახით იქნება გამოყვანილი, თავისთავად კი შეუძლებელია სინთეზური მსჯელობა წინააღმდეგობის პრინციპისაგან პირდაპირ გამოჰყიყვანოთ.

განმარტებისათვის უნდა შევნიშნოთ, რომ ნამდვილი მათემატიკური დებულებები ყოველთვის აპრიორული მსჯელობებია და არა ემპირიული, ისინი აუცილებლობას თვითონვე ატარებენ და ცდისაგან არ გამოიყვანებიან. და თუ მე ამაში არ დამეთანხმებიან, კეთილი, მაშინ ამ დებულებას წმინდა მათემატიკით შემოვფარგლავ, რომლის ცნება უკვე თავისთავად ნათელჰყოფს, რომ იგი წმინდა აპრიორულს შემეცნებას შეიცავს და არა ემპირიულს.

დასაწყისში შესაძლებელია გვეფიქრა, რომ დებულება $7+5=12$ უბრალო ანალიზური დებულებაა, რომელიც შვიდისა და ხუთის ცნების ჯამისაგან წინააღმდეგობის დებულების მიხედვით არის გამოყვანილი. მაგრამ თუ საკითხს ახლო განვიხილავთ, უთუოდ დავინახავთ, რომ ხუთისა და შვიდის ჯამის ცნება არაფერს სხვას არ შეიცავს, გარდა ორი რიცხვის შეერთებისა ერთად-ერთ რიცხვში, რომლითაც სრულიად არ არის გააზრებული, თუ რომელია ის ერთადერთი რიცხვი, რომელიც ორსავე აერთიანებს. თორმეტის ცნება, რასაკვირველია, იმით ჯერ კიდევ არ არის გააზრებული, რომ მე შვიდისა და ხუთის გაერთიანება მოვისაზრე, მე შემიძლია ასეთი შესაძლებელი ჯამის ცნება სურვილისამებრ გავანაწილო, მაგრამ თორმეტის ცნებას მე მასში, ცხადია, ვერ ვნახავ. საჭირო ხდება ასეთი ცნების ფარგლებს გავშორდეთ და მჭვრეტელობა დავიხმაროთ, მაგ., ავილოთ ხუთი თითი ახ და (როგორც ზეგნერი თავის არითმეტიკაში) ხუ-

თი წერტილი და თანდათანობით მჭვრეტელობაში მოცე-
 მული ხუთის ერთეულები შვიდის ცნებას მივუმატოთ.
 ამრიგად, ჩვენი ცნება დებულებით $7+5=12$ ნამდვილად
 ფართოვდება, პირველს ჩვენს ცნებას მეორე ისეთი ემატება,
 რომელიც იმთავითვე გააზრებული არ ყოფილა; ეს იმას
 ნიშნავს, რომ არითმეტიკული დებულება ყოველთვის
 სინთეზურია; ეს მით უფრო ნათელი ხდება, ოც უფრო
 დიდ რიცხვებს ავილებთ მაგალითებისათვის; ამ შემოხვე-
 ვაში უკვე სავსებით ნათელია, რომ შეგვიძლია: ცნებები-
 ვატრიალოთ და ვაბრუნოთ რამდენიც გვსურს, მაგრამ
 მჭვრეტელობის დაუზრაობებლად, ცნებების უბრალო და-
 ნაწილებით, ჯამს ვერასოდეს ვერ მივიღებთ. არც წმინ-
 და გეომეტრიის რომელიმე დებულებაა: ანალიზური:
 რომ სწორი ხაზი უმოკლესი მანძილია. ორ წერტილს
 შორის, ესეც სინთეზური დებულებაა: და მართლაც, ჩე-
 მი ცნება სწორის შესახებ სიდიდეს არ შეიცავს, არამედ
 მხოლოდ კვალიტეტს. უმოკლესის ცნება მთლიანად თან-
 დართულია და არავითარი ანალიზის საშუალებით სწორი
 ხაზის ცნებიდან არ გამოიყვანება. აქ დახმარება მხოლოდ
 მჭვრეტელობას შეუძლია და მისი საშუალებით მოდის
 სინთეზი სისრულეში.

ზოგი სხვა ძირითადი დებულება, რომელსაც გეომეტ-
 რია ეყრდნობა, მართალია, ანალიზური არის და, რო-
 გორც ასეთი, წინააღმდეგობის პრინციპს ემყარება, მაგ-
 რამ ასეთები მხოლოდ იდენტური დებულებების როლს
 ასრულებენ, ერთგვარ მეთოდურ კავშირს გამოხატავენ
 და არა პრინციპს, მაგ., $a=a$ — მთლიანი იგივეა თავის
 საკუთარ თავთან, ან $(a+b) > a$, ე. ი. მთლიანი მეტია,
 ვიდრე მისი ნაწილი. მაგრამ ასეთი დებულებებიც, თუმ-
 ცა მათი გავლენა მათი ცნებით არის განსაზღვრული,
 მათემატიკაში მხოლოდ იმიტომ ნახულობენ გამოყენე-
 ცე

ბას, რომ შესაძლებელია მათი მჭვრეტელობაში დალაგება. გამოითქმის ორაზრობაზეა ის გარემოება აშენებული, რომ ასეთს შემთხვევებში შეხედულება იქმნება, ვითომც ასეთი აპოლიქტური მსჯელობის პრედიკატი უკვე ჩვენს ცნებაში იყოს მოცემული და მსჯელობა კი—ანალიზური. მოცემულ ცნებას ჩვენ გარკვეული პრედიკატი უნდა მივაკუთვნოთ და ეს აუცილებლობა უკვე ივით ცნებებზეა თანდართული. მაგრამ საკითხია არა ის, თუ რა უნდა გავიაზროთ მოცემული ცნებისათვის, არამედ ის, ნამდვილადაც რას ვაზროვნებთ მასში, თუ გინდ მხოლოდ ბუნდოვნად. ამ შემთხვევაში კი ნათელი ხდება, რომ პრედიკატი ამ ცნებებს მიეკუთხება, თუმცა აუცილებლად, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ მჭვრეტელობის მეშვეობით თან ერთვის შას.

§ 3

ზენიშვნა მსჯელობათა ჰორიზონტალური დანართის სათვის არალიზურად და სიცოცხლისად

აღამიანის განსჯის კრიტიკისათვის ეს დანაწილება აუცილებელია და ამიტომ იგი ღირსია იყოს კლასიკური; თორემ მე არ ვიცი, სხვა მიმართულებით ამ დანაწილებას რომ რაიმე ნაყოფის მოტანა შეეძლოს. მე მონია, ეს არის იმის მიზეზიც, თუ რატომ სტოვებდენ უყურადებოდ მას ღოგმატური ფილოსოფისები, (რომლებიც მეტაფიზიკურ მსჯელობათა წყაროს ყოველთვის თვით მეტაფიზიკაში და არა მის გარეთ, არა საზოგადოდ წმინდა გონების კანონებში, დაეძებდენ) ე. ი. ამ დანაწილებას, რომელიც თავისთავად თვალნათლივია; ეს არის იმის მიზეზიც, თუ რატომ დაეძებენ წინააღმდეგობის დებულებაში სახელგანთქმული ვოლფი ანდა მის ფეხისხმას იყონ „პროლეგომენები“

ლილი გონებამახვილი ბაჟ მგარტენი საბუთს
საკმაო საფურცლიანობის კანონისათვის, რომელიც ცხა-
დია სინთეზურია. ლოკის ნარკვევებში აღამიანის გან-
სჯის შესახებ მეუკვე ვნახულობ ნიშანს ასეთი დანაწილები-
სათვის. მართლაც, მეოთხე წიგნის ს 10-ში მესამე ძირი-
თადი ნაწილის ს 9 და შემდეგ, საღაც ჯერ ლაპარაკია
წარმოდგენების სხვადასხვა დაკავშირებაზე მსჯელობაში
და ამათ წყაროებზე, რომლებიღანაც ერთ ნაწილს იგი
იგივეობის ან წინააღმდეგობის მიხედვით ალაგებს (ანა-
ლიზური მსჯელობანი), მეორეს კი ათავსებს სუბიექტში
წარმოდგენების არსებობაში (სინთეზური მსჯელობანი),
ამბობს ლოკი, რომ ჩვენი შემეცნება (a priori) ამ
უკანასკნელის შესახებ უმნიშვნელოა და თითქმის არა-
ფერი არ არისო. მაგრამ რაც ასეთი შემეცნების შესახებ,
ლოკის შეირაა ნათქვამი, იმდენად გაურკვეველია და იმდე-
ნად წესებზე დაულაგებელია, რომ არავის არ უნდა გაუ-
კვირდეს, თუ მთლად შეუმჩნეველი დარჩა იგი. თვით ჰიუ-
მეც კი ასეთი შემეცნების გარკვევისათვის არავითარ სა-
ბაბს არ იძლევა. ასეთი ზოგადი, მაგრამ მაინც გარდი-
ული პრინციპები იმათგან ძალიან ძნელად შეისწავლება,
რადგან მათ მხოლოდ ბუნდოვანი ჭმანების სახით მოს-
ჩვენებიათ ისინი. საჭირო იყო ჯერ საკუთარი მოფიქრე-
ბით მივდგომოდით ამ პრინციპებს და მხოლოდ შემდევ
შეიძლებოდა მათი სხვაგან აღმოჩენაც. წინასწარ მათ
ავტორი სხვასთან ვერ ნახავდა, ის კი არა, ავტორმა ჯერ
ნათლად ისიც კი არ იცოდა, რომ საკუთარ შენიშვნებს
საფუძვლად ასეთი იდეა ჰქონდა. ისინი კი, რომლებიც ასე-
თებზე თვითონ არ აზროვნებენ, მას შემდეგ, რაც მათ
ყველაფერი აჩვენეს, უკვე შორს მჭვრეტელნი ხდებიან
და მათ იქ მოსძებნიან, საღაც უწინ არავინ არაფერს ხე-
დავდა.

პ რ ლ ლ ი გ რ ა ვ ე ნ დ ი ს

ზოგადი საკითხი:

შესებაზემდების სამიზნოდ მეტაფიზიკა თუ არა?

§ 4

მეტაფიზიკა, რომ ნამდვილი ყოფილიყო და შესძლებოდა მას თავისი თავი მეცნიერებად შეენარჩუნებინა, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა: აქ არის მეტაფიზიკა, რომლის შესწავლა თქვენ შეგიძლიათ, იგი თქვენთვის უძლევი და უცვლელი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საკითხი საჭიროც აღარ იქნებოდა; საკითხად დარჩებოდა მხოლოდ ის, რაც ჩვენი გონებამახვილობის გამოცდას უფრო შეეხებოდა, ვიდრე თვითონ საჭმის არსებობას, სახელდობრ ის, თუ ორგორად იგი შესაძლებელი და როგორ იწყებს გონება მის მიღწევას. მაგრამ აღამიანის გონებას ამ შემთხვევაში ასეთი ბელა წვლილად არ ხდომია. არაფის არ შეუძლია გვიჩვენებენი, მაგალითად, ისე, როგორც ევკლიდეს გვიჩვენებენ, და გვითხრას: აი ეს არის მეტაფიზიკა, აქ ნახავთ ამ მეცნიერების საპატიო მიზანს, უზენაესი არსების და მომავალი ქვეყნიერების შემეცნებას. დასაბუთებულს წმინდა გონების პრინციპებით. თუმცა შესაძლებელია ბევრს ისეთს დებულებაზე მიგვითოთოს, რომლებიც აპოდიქტურად ცხადი არიან და კამათის საგნად არ გახდებიან, მაგრამ ეს დებულებანი ყველანი ანალიზურნი არიან და შეეხებიან უფრო მეტაფიზიკის საშენ მასალას და სხვა მატერიალებს, ვიდრე შემეცნების გაფართოების საქმეს, ჩვენი მიზანი კი ამ უკანასკნელს შეეხებოდა (§ 2, a, b, c). თუ იგი სინთეზურ მსჯელობასაც გვიჩვენებს (მაგ., საკმაო საფუძვლიანობის დებულებას), რომელიც არასდროს

არ შეიძლება მარტო გონებისაგან, — ე. ი. როგორც მო-
ვალეობა იყო, — აპრილულად დაგვემტკიცებრა, და შე-
ეცდება ეს მოიხმაროს როგორც ძირითადი მიზანი, იგი
მაშინ ჩავარდება ისეთს მდგომარეობაში, ისეთს უსაფუძ-
ვლო და უმწეო მტკიცებაში, ანდა საფუძვლის მიხედვით
ისე ეწინააღმდეგება ყოველივეს, რომ ყოველივე პრეტენ-
ზია მეტაფიზიკის ხანგრძლივი გავლენისათვის მოსპობი-
ლია. ის კი არა, ასეთი მეცნიერების ჩამოყალიბების ცდება-
უთუოდ იყო პირველი მიზანი ადრევე წარმომდგარი-
სკეპტიკიზმის წარმოშობისა, აზროვნების იმ თავი-
სებური სახეობისა, რომლის სახით გონება იმ-
დენად ძალას ატანს საკუთარ თავს, რომ სრულს
უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში ნახულობს
თავის მნიშვნელოვან შეხედულებათა დაკმაყოფილე-
ბას; მართლაც, დიდიხნით ადრე, სანამ ბუნების
მეთოდურ დაკითხვას დაიწყებდენ, ეკითხებოდენ მარტო
თავის გამოკერძოებულ გონებას, რომელიც გულუბრყვი-
ლო ცდის მიერ უკვე საკმაოდ გავარჯიშებული იყო; გო-
ნება ჩვენთვის ხომ ყოველთვის თანხლებულია, ბუნების
კანონები კი, როგორც ცნობილია, დიდი შრომით და-
თანდათანობით უნდა გამოინახოს. სწორედ ამიტომ მე-
ტაფიზიკა ქაფივით მაღლა ამოტივტივდა და, როგორც
მოსალოდნელი იყო, ზოგიერთებმა შრომა გაიადვილეს
და იგი გულმოღვინედ შეაგროვეს; მოვლენების მიზანის-
სილრმეში ძებნის მაგივრად, ბრძნულად დაკმაყოფილ-
დენ იმით, რომ ბუნების კანონების შრომითა და მოთმი-
ნებით ძებნას დაცინვით გაუმასპინძლდენ,

არსებითი და განმასხვავებელი რამ წმინდა მათ ე-
მატიკური შემეცნებისა ყველა სხვა აპრილული შე-
მეცნებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი არასდროს
არ გამომდინარეობს ცნებებისაგან, არამედ მხო-

ლოდ ცნებების კონსტრუქციისაგან. (Kr. d. r. Vern. გ . 713) და რაღაც წმინდა მათემატიკა თავისი დებულებებით ყოველთვის იმის გალმა უნდა წავიდეს, რასაც მისი ცნებების მიერ ნაგულისხმევი მჰვრეტელობა შეიცავს, ამიტომ მისი დებულებანი ცნებების დანაწევრებით, ე. ი. ანალიზური გზით, არასდროს არ მიიღებიან და არც უნდა მიიღებოდენ. ამიტომ ყველა მისი დებულება სინთეზურია.

მაგრამ მე არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ რა თვალსაჩინო ზიანი მიაყენა ფილოსოფიას ამ ვითომცდა უმნიშვნელო დაკვირვების უგულვებელყოფამ. ჰიუ მევ, იგრძნო რა ნამდვილი ფილოსოფოსის ღირსეული მოვალეობა, მთელი თავისი ყურადღება. წმინდა აპრიორული შემეცნების მთელს გასაქანს მიაპყრო და იფიქრა რა, რომ აქ აღამიანის განსჯას ძალიან დიდი ტერიტორიის დაპყრობა მოუსურვებია, ძალით და მოუფიქრებლად ჩამოგლიჯა მას თვალსაჩინო პროცენტია, სახელდობრ წმინდა მათემატიკა; თითქოს მათემატიკა და, ასე ვთქვათ, მთელი მისი სახელმწიფო კონსტიტუცია სულ სხვა პრინციპზე იყოს დაყრდნობილი, სახელდობრ მხოლოდ წინააღმდეგობის პრინციპზე; და მას თუმცა არ მოუცია არც ზოგადად და ფორმალურად დებულებათა დანაწილება, არც ისეთი განსაზღვრებანი, როგორიც აქ არიან წამოუწყებულნი, მაგრამ მისი აზრები მაინც შეიძლება ისე გავიგოთ, თითქო მას ეთქვას: წმინდა მათემატიკა შეიცავს მხოლოდ ან ა ლ ი ზ უ რ მსჯელობებს, მეტაფიზიკა კი სინთეზურს a priori. ამაში კი იგი თვალსაჩინოდ ცდებოდა და ამ შეცდომამ ჰიუმეს მთელი აზროვნების მიმართ ძალიან ცუდი შედეგები მოიპოვა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ მას აღვილად შეეძლო სინთეზურ მსჯელობათა წარმოშობის საკითხი მარტო თავისი კაუზალობის მეტაფიზიკური ცნებით არ განესაზღვრა და

აპრიორული მათემატიკის შესაძლებლობაზედაც გაევრა-
ცელებინა. მაშინ იგი ამ უკანასკნელსაც სინთეზურ
დებულებათა სფეროდ მიიჩნევდა. ამის გამო აღარ მოი-
სურვებდა თავისი მეტაფიზიკური დებულებანი მხოლოდ
ცდაზე დაემყარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხომ
იძულებული იქნებოდა წმინდა მათემატიკის აქსიომებიც.
ცდისათვის დაეჭვებდებარებინა, ასეთს უაზრობას კი ისე-
თი საქმეში ჩახედული კაცი, რასაკვირველია, არ ჩაიდენ-
და; კეთილი საზოგადოება, რომელშიაც ახლა მეტაფიზი-
კა აღმოჩნდებოდა, გადაარჩენდა მას უხეში შეცდომების
საშიშროებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ მეტა-
ფიზიკის უმართებულობანი მათემატიკასაც უნდა გაემეო-
რებინა, ასეთი რამ კი არც იყო და არც შეიძლება ყო-
ფილიყო ჰიუმეს შეხედულება. ამით ეს აზრმახვილი აღა-
მიანი ისეთსავე გამოკვლევათა გზას დაადგებოდა, რო-
გორსაც ჩვენ აქ ვაწარმოებთ, და მისი ისედაც შეუდა-
რებლად ლამაზი აზროვნება უსასრულოდ ბევრს მოი-
გებდა.

3. ნიშანდობლივ მეტაფიზიკური მსჯე-
ლობები ყველა სინთეზურია. საჭიროა განვასხვაოთ ნი-
შანდობლივ მეტაფიზიკური მსჯელობა.
შეტაფიზიკისა და მის უბრალოდ მიკუთ-
ნებული მსჯელობებისაგან, ამათ შორის ძალიაშ-
ბევრი ანალიზურიც არის, მაგრავ ისინი მხოლოდ
საშუალებას შეადგენენ მეტაფიზიკური მსჯელობისათვის;
მეცნიერების მიზანი კი სავსებით მთლიანად ამათზეა მი-
მართული და ესენი კი ყველანი სინთეზური არიან. თუ
ცნებები მეტაფიზიკას ეკუთვნიან, როგორიც არის, მაგ-
სუბსტანციის ცნება, მაშინ, რასაკვირველია, ამ ცნებე-
ბის დანაწევრებიდან მიღებული მსჯელობებიც აუცი-
ლებლივ მეტაფიზიკას ეკუთვნიან, მაგ., სუბსტანცია არის

ის, რაც სუბიექტის სახით არსებობს და სხვ., რამდენიმე ასეთი ანალიზური მსჯელობის შეშვეობით ვცდილობთ ჩვენ ცნების განმარტებასთან ახლოს მივიღეთ, რადგან თითოეული განსჯის წმინდა ცნების ანალიზი (ისეთებისა, რომლებსაც მეტაფიზიკა შეიცავს) არ შეიძლება სხვარი-გად სისრულეში მოვიდეს, თუ არა ყოველი სხვა და თუ გინდ ემპირიული ცნებების დანაწევრებით, ამიტომ ცნებაა და არა ანალიზური მსჯელობა ნიშანდობლაც მეტაფიზიკური. ეს ემპირიული ცნებები კი მეტაფიზიკას არ ეკუთვნის, მაგ., ასეთია მსჯელობა: ჰაერი არის ელას-ტიკური სითხე, რომლის ელასტიკურობას ვერ მოხსნის ვერც ერთი ნაცნობი ხარისხი სიცივისა. ამ მეცნიერებას აქვს რაღაც თავისებური და განმასხვავებელი თავისი შე-მეცნება ა priori-ს წარმოებისათვის, რომელიც მას ყოველ-თვის ასხვავებს დანარჩენი განსჯით შემეცნებისაგან, ასე, მაგ., მსჯელობა, ყოველივე, რა საგნებში არის სუბსტან-ცია, არის მყარი; არის სინთეზური და ნიშანდობლივ მეტაფიზიკური მსჯელობა.

თუ აპრიორული ცნებები, რომლებიც მეტაფიზიკის მატერიას და საშენ მასალას შეადგენენ, წინასწარ შეა-გროვეს გარკვეული პრინციპების მიხედვით, მაშინ ამ ცნებათა დანაწევრებას ძალიან ღიღილებულება ექი-ბა. შეიძლება აგრეთვე მათი ცალკე განსაკუთრებული ნაწილად (ვითომც და ერთგვარი *phiosophia definitiva*) გამოყოფა, რომელიც განსხვავებული იქნება თვით მეტა-ფიზიკის შემადგენელი ყველა სინთეზური დებულებისა-გან. ეს დებულებები თუმცა ყველა ანალიზური იქნება, მაგრამ მაინც მეტაფიზიკაზე მიკუთვნებული, და შე-საძლებელი იქნება მათი ცალკე დალაგებაც; მართლაც და ამ დანაწევრებას მეტაფიზიკის გარეშე არსად ოვალ-საჩინო სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, ე. ი. მათ

სარგებლობის მოტინა შეუძლიათ მხოლოდ სინთეზური დებულებების შედგენისთვის; სინთეზური დებულებაში ამ შემთხვევაში იმ წინასწარ დანაწევრებული ცნებები-საგან უნდა წარმოიშვან.

მაშასადამე, ამ პარაგრაფის ღასკვნა იქნება: მეტაფიზიკას საქმე აქვს მხოლოდ სინთეზურ დებულებებთან ათვე და მხოლოდ ეს უკანასკნელნი შეადგენენ მის მიზანს; მართალია, ამ მიზნისათვის მეტაფიზიკას ზოგი თავისი ცნების დანაწევრებაც და, მაშასადამე, ანალიზური მსჯელობებიც სჭირდება, მაგრამ მთელ ამ გარემოებას სხვა არავითარი დანიშნულება არა აქვს, თუ არა შემეცნების სხვა სახეობათა მოქმედება, როდესაც ანალიზის საშუალებით საჭირო ცნებებს მხოლოდ თვალნათლივს გახდიან. აპრიორულ ანალიზურ შემეცნებათა წარმოება, როგორც მშევრეტელობის, ისე ცნების მიხედვით, დაბოლოს, აპრიორული სინთეზური დებულებანი ფილოსოფიური შემეცნების თვალსაზრისით, — აი არსებითი შინაარსი ყოველი მეტაფიზიკისა.

ამრიგად, ჩვენ განზე ვტოვებთ ღოგმატიზმს, რომელიც არაფერს არ გვასწავლის; განზე ვტოვებთ აგრეთვე სკეპტიციზმსაც, რომელიც ჩვენ არაფერსაც კი არ გვპირდება, არ გვპირდება არც დასვენებას ნებადართული უცოდინარობისაგან, გამოწვეულს შემეცნების მნიშვნელობით, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება, და დაეჭვებული ხანგრძლივი გამოცდილებით შემეცნებაში, რომელსაც ჩვენ წმინდა გონების სახელით გვაწვდიან, ვიტოვებთ მხოლოდ ერთ კრიტიკულს საკითხს, რომლისთვისაც პასუხის გაცემაში უნდა მდგომარეობდეს მთელი ჩვენი შემდგომი ძიება:

შესაძლებელია საერთოდ მეტაფიზიკა თუ არა? მაგრამ ამ საკითხზე პასუხი უნდა გავცეთ

არა უკვე ნამდვილ არსებულ მეტაფიზიკის რომელიმე სკეპტიკური არგუმენტებით, რომლის არსებობას ჯერ ჩვენ არ ვცნობთ, არამედ მხოლოდ პრობლემატური ცნებებით ასეთი მეცნიერებისა.

წმინდა გონების კრიტიკაში მე შევეცადე ეს საკითხი სინთეზურად დამემუშავებინა, სახელდობრ მე ვიკვლევდი თვით წმინდა გონებას და ამ წყაროში ვეძებდი, როგორც ელემენტებს, ისე პრინციპებსა და კანონებს მათი წმინდა მოხმარებისათვის. ეს ჩემი შრომა მძიმე და ძნელია. იგი საჭიროებს მტკიცე ნებისყოფის მკითხველს, რომელიც თანდათანობით შეეცდება სისტემაში აზროვნებით შევიდეს, ის აღმოაჩინოს, რაც არ ეყრდნობა არაფრენის, გარდა თვით გონებისა, და მაშასადამე, რომელიმე გარკვეულ ფაქტებზე დაუყრდნობლადაც შესძლებს შემეტნება მის ჩანასახშივე შეამჩნიოს. პრობლემენები კი წინასწარ სავარჯიშოს წარმოადგენენ. მათ უფრო უნდა გვიჩვენონ, ვიღრე დაგვიმტკიცონ, თუ რა გზებით გადაიჭირება ესათუის მეცნიერება სინამდვილედ. ისინი ისეთს რასმე უნდა დაეყრდნონ, რაც უკვე მტკიცედ არის ცნობილი, რომლიდანაც ნდობით შეიძლება გამოვიდეთ და წყაროებს მივმართოთ, რომლებსაც ჯერ თუმცა არ ვიცნობთ და რომელთა აღმოჩენას ვერ უზრუნველყოფს ის, რასაც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ ბევრი შემეტნების მოცულობა ამავე წყაროებს ექვემდებარება და მათ წარმოადგენს. მეთოდური ძიება პროლეგომენებისა, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებმაც მომავალი მეტაფიზიკისათვის უნდა მოგვამზადონ, მაშასადამე, ანალიზური იქნება.

საბეღნიეროდ ის კი სწორია, რომ თუმცა ჩვენ ვერ მივიღებთ, ვითომც მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება, ნამდვილი იყოს, მაგრამ მაინც უტყუარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგი წმინდა შემეტნება a priori

ნამდვილია და მოცემულია, ასეთია სახელდობრ, წმინდა
შათემატიკა და წმინდა ბუნებათმეცნი-
ერება, ორივენი შეიცავენ დებულებებს, რომელთა ნა-
წილი უკვე უბრალოდ გონიერის მიერ აპოდიქტურად ცხა-
დია, ნაწილობრივ მათი სიცხადე თუმცა ცდასთან ზოგა-
დად შეთანხმებულია, მაგრამ მაინც თავიდან ბოლომდე
ცდისაგან სავსებით დამოუკიდებლად არის მიჩნეული.
მაშასადამე, ჩვენ გაგვაჩნია მთელი რიგი, ყოველშემთხვე-
ვაში უდაოდ აპრიორული სინთეზური შემეცნებანი, და
მოვალე არა ვართ ვიკითხოთ მათი შესაძლებლობა,
(რადგან ისინი ნამდვილი არიან), არამედ მხოლოდ: რო-
გორ არიან ისინი შესაძლებელნი; ამით
ჩვენ შევძლებთ მოცემულთა შესაძლებლობის პრინცი-
პიდან გამოვიყვანოთ ყველა დანარჩენის შესაძლებლობა.

პ რ ლ ლ ი ბ რ ი ვ ი ბ ი ს ე

ზოგადი საკითხი:

როგორ არის შესაძლებელი ჯეშეცვენა წილი

გონიერისაგან.

§ 5

ჩვენ ზევით უკვე ვნახეთ მნიშვნელოვანი განსხვავება.
ანალიზურსა და სინთეზურს შეჯელობას შორის. ახალიზურ
დებულებათა შესაძლებლობა ძალიან აღვილი გასაგებია,
იგი სავსებით დაყრდნობილია წინააღმდეგობის დებულება-
ზე; განსაკუთრებული ახსნა-განმარტება არ სჭირდება, აგრ
ძეოთვე არც აპოსტერიორულ ე. ი. ცდისაგან გამოყვანილ
სინთეზურ დებულებათა შესაძლებლობას, ეს იმიტომ რომ
თვით ცდა სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა აღქმათა
უწყვეტ შეჯამებას (სინთეზს). მაშასადამე, ჩვენ გვრჩება

აპრიორული სინთეზური დებულებანი, რომელთა შესაძლებლობა უნდა მოინახოს და გამოირკვეს, ეს იმიტომ, რომ აპრიორული სინთეზური დებულება სავსებით სხვა პრინციპს უნდა დაეყრდნოს და არა წინააღმდეგობის დებულებას.

ასეთ დებულებათა შესაძლებლობას, რასაკვირველია, ჩვენ ახლა აქ ძებნა არ უნდა დავუწყოთ, ე. ი. არ უნდა ვიკითხოთ, შესაძლებელნი არიან თუ არა ისინი. ისინი ყოველთვის საკმარისი რაოდენობით და, ის კი არა, უდაო სიცხადით არიან მოცემული, რადგან მეოთხო, რომელსაც ჩვენ ახლა მოვყვებით, ანალიზური უნდა იყოს, ამიტომ ჩვენ ამგვარი სინთეზური მეოთხო, მაგრამ წმინდა გონების შემეცნების ნამდვილობის აღიარებით, დავიწყებთ. მაგრამ შემდგომ ჩვენ მოვალენი ვართ ამ შესაძლებლობის საფუძველი მაინც გამოვიკვლიოთ და ვიკითხოთ, თუ როგორ არიან შესაძლებელნი ეს შემეცნებანი. ამით ჩვენ საშუალება მოგვეცემა მათი შესაძლებლობის პრინციპებისაგან მათი მოხმარების პირობები, მათი მოცულობა და მათი საზღვრები გავარკვიოთ. დამახასიათებელი და სკოლური სიზუსტით გამოთქმული ამოცანა, რომლისაგან ყველაფერი დამოკიდებულია, მაშასალამე, იქნება შემდეგი:

როგორ არიან შესაძლებელნი აპრიორული სინთეზური დებულებანი? შე ზევით, პოპულარობის მოსაზრებით, ეს დებულება ცოტა სხვანაირად გამოვთქვი, სახელით, იგი იყო გამოხატული, როგორც საკითხი წმინდა გონებიდან გამომდინარე შემეცნებისა, რასაც მე ამ შემთხვევაში საძიებელი შეხედულების დაუზიანებლად მივაღწევ; ეს იმიტომ, რომ აქ უმთავრესად მეტაფიზიკაზე და მის წყაროებზეა ლაპარაკი, ეს მე იმედს მაძლევს ვიფიქრო, წინა ნათქვამის

დანაც აღვილი მოსაგონარია ის გარემოება, რომ თუ ჩეკინ
წმინდა გონებიდან გამომდინარე შემეცნებაზე ვლაპარა-
ქობთ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს სინთეზური შე-
ტკიცება და არა ანალიზური. *)

ამ ამოცანის მოგვარებაზეა დამოკიდებული მეტაფიზი-
კის ფეხზე დგომა თუ წაჭყევა, ერთი სიტყვით, მთელი
შისი არსებობა. შეიძლება ვინმემ თავისი შტკიცებანი
ორაჩვეულებრივი დიდი მოჩვენებით წარმოგვიდგინოს,
დანასკვი დანასკვზე თუგინდ ცამდე შეახოხოლოს, მაგრამ
მან წინასწარ იმ საკითხზე თუ საკმაო პასუხი არ მოგვცა, მე
მაინც უფლება მექნება ვანგაცხადო: ყველაფერი ეს
მოსაწყენი და უსაფუძვლო ფილოსოფია, ყალბი სიბ-
რძნეა და სწვა არაფერი. შენ ლაპარაკობ წმინდა გო-
ნების სახელით, შენ ლამობ აპრიორული შემეცნებანი
პირდაპირ გააჩინო, იმის მაგივრად, რომ მოცემული ცნე-
ბები ღაანაწევრო, შენ იძლევი ახალ შეკავშირებებს, რომ-
ლებიც წინააღმდეგობის დებულებას არ ეყრდნობა და
რომლითაც თითქოს ცდისაგან სავსებით დამოუკიდებლად
აღწევ მაგრამ ერთი მოგვახსენეთ, თუ როგორ მიხ-
ვალ შენ მანამდე? რით შევიძლია გაამართლო ასეთი მე-

*) შეუძლებელია დამიალოს ის გარემოება, რომ თუ შეტკიცნება
თანდათანობით წინ მიაწევს, მაშინ ცნობილი, უკვე კლასიკურად
გამნდარი გამოიტევბი, რომელ ეგიც მეცნიერებას ბავშვის ასკი-
დანვე თან აწლდენ, უკვე საკმარისნი აღარ არიან და, ის კი არა,
აქა-იქ ხელისშეზღულო ხდებან, და ახალს საქმესთან მათი უფრო
შევუძებული მოხმარება ხშირად ძეველში შერევის საფრთხეში გარ-
დება. ანალიზური მეთოდი, რამდენადაც იგი სინთეზურს უპირის-
პირდება, სულ სწვა რასმე წარმოადგენს ვიდრე ანალიზურ დებუ-
ლებათა უბრალო კრებადობა, ის ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იქი
დან, რასაც დავეძებთ, უკვე ამოგალთ, ვითაშიც და იგი მოცემული
ყოფილიყოს და იმ პირობებთან მივალთ, რომელთა გათვალისწინე-
ბით იკი შესაძლებელი არის. ამ საჭიროა თვის ხშირად სინთეზურ მე-

დიღურობა? ზოგად-ადამიანური გონების გარკვეულობათა საფუძველზე დაყრდნობა შენთვის ხომ ნება დართული არ არის; ეს ხომ ისეთი მოწმეა, რომლის პრესტიული ბრძოს შეხედულებებს ეყრდნობა.

Quodcumque ostendis mihi sic, incredulus odi. ყოველივე, რასაც შენ მაჩვენებ, მე არ მწამი, მაგრამ მძაგს კი.

ჰ თ რ ა ც .

მაგრამ რამდენადაც აუცილებელია ამ საკითხზე პასუხის გაცემა, იმდენადვე ძნელია იგი. თუმცა საპატიო მიზეზი იმისა, თუ ამ საკითხისათვის რატომ ამდენ ხარ პასუხი ვერ მოუძებნიათ, იმაში მდგომარეობს, რომ არავის თავშიც კი არ მოსვლია ეს საკითხი სწორად დაეკუნებინა, მაგრამ დასახელებულ სიძნელეს მეორე მიზეზიც აქვს. ეს იმაში მდგომარეობს, რომ ამ საკითხის დამაკმაყოფილებელი პასუხისათვის აუცილებელია გაცილებით უფრო ღრმა, ხანგრძლივი და მძიმე მოაზრება, ვიდრე ამას ფართო პრეტენზიების მქონე მეტაფიზიკაროდისმე გააკეთებდა. საქმეში ჩახედული მკითხველიც, თუ კი იგი ამ ამოცანას მთელი მისი მნიშვნელობით გაითვალისწინებს, დასაწყისში უსათუოდ სიძნელეებს შეუშინდება, და რომ სინამდვილეში მართლაც არ არსებულება წმინდა აპრიორული შემეცნება, იგი მთელს ამ საქმეს დაუძლევლად და გაუგებრად ჩათვლიდა. ეს აპრიო-

თოდას მოიხმარებ, რის მაგალითსაც მათემატიკური ანალიზი წარმოადგენს; მაშინ მას რეგრესული მეთოდი უნდა ეწოდოს, განსასხვავებლად სინთეზურისაგან, ანუ პროგრესული განმინირების; მართლაც ანალიტიკა შეიძლება აგრეთვე ვიზუარით ლოგიკის: მირითადი ნაწილის სახელწოდებად; ამ შემთხვევაში იგი იქნება ჭეშმარიტების ლოგიკა და დაუბირდაპირდება დიალექტიკას; აქ რასაც ირველია, იმას სრულიადაც აღარ ექცევა ყურადღება-- დიალექტიკის ან ლოგიკის მიკუთნებული შემეცნებანი ანალიზურნი იქნებიან, თუ სინთეზურნი.

რული სინთეზური შემეცნება დავით ჰიუსაკი
შეხვდა, მაგრამ საკითხი მან ისეთი ზოგადობით მაინც
ჟარ დააყენა, როგორითაც იგი აქ არის გარკვეული; სა-
ჭრაშის ამგვარი დაყენება კი მთელი მეტაფიზიკისთვის
გადამწყვეტი უნდა გახდეს. როგორ არის ეს შესაძლებე-
ლიო, ამბობდა გონება-მახვილი დ. ჰიუმე, რომ თუ მე
ცნება მოცემული მაქვს, მე შემიძლია მის მიღმა გავიდა,
მხვა რომელიმე ცნება ამას დავუკავშირო, და ის კი არა
იმგვარად, რომ ვითომც მათ შორის აუცილებელი
ურთიერთობა სუფევდეს? მხოლოდ ცდას შეუძლია მომ-
ცეს მე ასეთი დაკავშირების გამართლებაო, ამტკიცებდა
იგი, და მთელს ამ მოჩვენებითს აუცილებლობას, ანდა
ამისდაგვარად შემეცნებას a priori სთვლიდა ჰიუმე
ხანგრძლივი ჩვეულების შედეგად, რისამე ჰეშმარი-
ტებად მიჩნევა ჩვეულებას ნიშნავდა მისთვის, და ამრი-
გად სუბიექტურ აუცილებლობას ობიექტურად თვლიდა
იგი.

თუ მკითხველი შემომჩიდებს, რომ ჩემ მიერ დასმუ-
ლი ამოცანების დაძლევა როული და ძნელია, მაშინ მე
მას უნდა ვსთხოვო, კეთილინებოს და უფრო აღვილად გა-
მიკეთოს ეს. შეიძლება ის ისეთებს შეუერთდეს, რომე-
ბმაც ასეთს მძიმე და ღრმა საკვლევ შრომას მოჰკიდონ
ხელი და, უწინარეს ყოვლისა, საქმის გააღვილებით და-
იწყონ. ასეთი საქმიდან, ცხადია, დაღებითი არაფერი
გამოვა. მთელი წლების მძიმე შრომა დაგვჭირდა ყველა
ამ ამოცანის მისი საყოველთაო და ზოგადი სახით (მათე-
მატიკოსების გაგებით, საყოველთაო ნიშნავს იმას, რაც
ყველა შემთხვევაზე გავრცელდება) გადაწყვეტისათვის
და, დასასრულ, მისი იმ ანალიზური სახით ჩამოყალიბე-
ბისათვის, რომელსაც მკითხველი აქ ნახულობს.

ამრიგად, ყოველი შეტაფიზიკა კანონიერად და საჯაროდ

გადაყენებულია, ვიდრე დამაკმაყოფილებლად პასუხს გავცემდეს საჭითხზე:

როგორ არის შესაძლებელი აპრილული კინ თე ჟური შემეცნება? მხოლოდ ამის პასუხში შეიძლება მდგომარეობდეს ის კრედიტივი, რომელსაც მეტაფიზიკა გვიჩვენებდა, თუ იგი წმინდა გონების სახელით ლაპარაკს დაიწყებდა. თუ ეს გარემოება დააკლდა მაშინ, ცხადია, თითოეული გონიერისაგან ის ყველა პრეტენზიაზე უარის თქმას უნდა მოელოდეს.

თუ მეტაფიზიკა უარს იტყვის მეცნიერებაზე და თავის საქმეს განავითარებს, როგორც სათნო ხელოვნება, რომელიც საყოველთაო აღამიანურ გონებასთან შეგუებული ენით ლაპარაკობს, ამ საქმეში, რასაკვირველია, მას ხელს არავინ შეუშლის. მხოლოდ ამ შემთხვევაში მან უნდა აირჩიოს მოკრძალებითი სიტყვა ე.წ. გონიერი სარწმუნოებისა და საჯაროდ განაცხადოს, რომ მას არ ძალუს თუგინდ ერთხელ მაინც გაიხედოს იმისაკენ, რაც შესაძლებელი ცდის საზღვრებს იქით არის მოთავსებული, მას ამიერიდან აღარავითარი უფლება არ ექნება ერთი სიტყვითაც რისამე ცოდნაზე ილაპარაკოს, მას შეეძლება (რასაკვირველია, არა სპეცულატური მოხმარებისათვის, — ვინც ცოდნაზე უარი თქვა, მას ამის უფლება აღარა აქვს, არამედ მხოლოდ პრაქტიკულისათვის) ის მიიღოს, რაც გონებისა და ნებისყოფის წარმართვისათვის ცხოვრებაში შესაძლებელია და, შეიძლება კი არა, აუცილებელიც არის. მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მათ საჭირო და ბრძენი აღამიანების სახელწოდება ატარობ, ე. ი. რამდენადაც მეტაფიზიკოსობაზე უარს იტყვიან ისინი, იმდენად დიდი იქნება ეს უფლება, ვინაიდან მათ სურთ სპეცულატური ფილოსოფოსები გახდენ, და რადგან იმ შემთხვევაში, როცა საქმე აპრიორულ

მსჯელობებს შეეხება, უსუსური ალბათობით ვერ დავკა-
მაყოფილდებით და, მაშასადამე, მათ უფლებასაც ვერ
მივცემთ უბრალო მოფიქრებებით ითამაშონ; მათი მტკი-
ცებანი ან მეცნიერება უნდა იყოს ან და არაფრად გა-
მოღვებიან ისინი.

შეიძლება თქვან, მთელი ტრანსცენდენტალური ფი-
ლოსოფია, რომელიც აუცილებლობის მიხედვით წინ
უსწრებს ყოველ მეტაფიზიკას, თვითონ არის მხოლოდ სის-
ტემატური წყობით და დეტალურად აქ წამოყენებული
საკითხების გადაწყვეტის ხერხი და სხვა არაფერიო, ე. ი.
ჯერ თვით, ე. წ. ტრანსცენდენტალური ფილოსოფია არ-
სად ყოფილაო; გამოდის, რომ ამ სახელწოდებას მეტაფი-
ზიკის ერთი ნაწილი ატარებს და სხვა არაფერი. მაგრამ
ასეთი მეტაფიზიკის უცნაურობა იმაშია, რომ აქ ნაგუ-
ლისხმევი მეცნიერება თვით მეტაფიზიკას წინ უნდა უს-
წრებდეს; არ უნდა გაგვაკვირვოს, არც იმ გარემოებამ,
რომ საჭიროა მთელი ხალი მეცნიერება, რათა თუ გინდ
ერთადერთი საკითხისათვის დამაკმაყოფილებელი ჰა-
სუხი გამოინახოს; თვალსაჩინო სიძნელე და, ის კი არა.
სიძნელეც ამ საკითხის გადაჭრასთანაა დაკავშირებული.

რადგან ჩვენ ახლა საკითხის გადაწყვეტაზე გადავდი-
ვართ და ამისათვის ანალიზურ მეთოდს მიჰყევებით (რო-
მლითაც ვგულისხმობთ, რომ წმინდა გონებაზე დაყ-
რდნობილი ასეთი შემეცნებანი ნამდვილნი არიან), ჩვენ
შეგვიძლია თეორიული შემეცნების ორს მეცნიერებას
მიემართოთ, (მხოლოდ ასეთებზეა აქ ლაპარაკი)
სახელდობრი, წ მ ი ნ დ ა მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა ს და
წ მ ი ნ დ ა ბ უ ნ ე ბ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს. მხოლოდ
ამათ შეუძლიათ საგანი მჭერეტელობაში წარმოგვიდგინონ
და ამით, თუ მათ არეში აპრიორული შემეცნება აღმოჩ-
ნდება, მისი ჭეშმარიტება, ე. ი. მისი თანხმობა სუბიექ-

ტან *in concreto*, ე. ი. მისი სინამდვილე გვიჩვენონ; აქიდან კი მათი შესაძლებლობის საფუძვლებამდე მხოლოდ ანალიზური გზით არის მისასვლელი. ეს კი საქმეს ძალიან აადვილებს, აქ ზოგადი მოსაზრებანი მარტო ფაქტებზე კი არ მოიხმარებიან, ის კი არა ისინი ფაქტებიდან გამოიყვანებიან, სინთეზური მეთოდის მოხმარებისას კი ყველანი ცნებიდან *in abstracto* უნდა იქნან გამოყვანილნი.

მაგრამ ამ ნამდვილი და ამასთან დასაბუთებული წმინდა შემეცნებიდან *a priori* შესაძლებელ და მეცნიერულად დასაბუთებულ მეტაფიზიკამდე რომ მივაღწიოთ, ამისათვის აუცილებელია, რათა ბუნებრივად გამომწვევი (თუმცა ჭეშმარიტების მიხედვით არც მთლად უდავო) შემეცნება *a priori* დაედვას მას საფუძვლად, რის კრიტიკის გარეშე დამუშავებას, ჩვეულებრივ, მეტაფიზიკას უწოდებენ. მოკლედ, საჭიროა გავიგოთ ბუნებრივი მდგომარეობა ასეთი მეცნიერებისა ჩვენ მიერ წამოყენებული ძირითადი საკითხის გათვალისწინების ნიაღავზე, ამიტომ ტრანსცენდენტალური ძირითადი საკითხი ოთხ სხვა საკითხად უნდა გაიყოს და თანდათანობით გაირკვეს:

1. როგორ არის შესაძლებელი წმინდა მათემატიკა?
2. როგორ არის შესაძლებელი წმინდა ბუნებათმეცნიერება?
3. როგორ არის შესაძლებელი მეტაფიზიკა საერთოდ?
4. როგორ არის შესაძლებელი მეტაფიზიკა როგორც მეცნიერება?

ადვილი დასანახავია, რომ ამ საკითხების გარკვევა კრიტიკის ძირითად შინაარს შეადგენს; მაგრამ გარდა

ამისა შას აქვს კიდევ რაღაც თავისებურება, რომელიც
თავისთვალ ლირსია ყურადღებისა; სახელდობრ, ეს იმაში
მდგომარეობს, რომ აქ მოცემული მეცნიერებისათვის
წყაროს გონიერებაში დაეძებენ. ამით კი გონიერის უნარი
აპრილიული შემცნებისა, ე. ი. საქმის მეშვეობით შე-
მცნებისა და გამოკვლევის უნარი მოპოებულია; ამით
კი ეს მეცნიერებანი, თუ მათი შინაარსის მხრივ არა, მა-
თი სწორი მოხმარების მხრივ, მოიგებენ და იმით, რომ
ამისუმეშვეობით უზაღლეს საკითხს სინათლე მოეფინება,
საბუღანის და გონიერება დამისათვისაც რათა თვით საკუთარი ბუნე-
ჭია უკუთესად. გამოიწვევეს

ქილითაღი ტრანსველებისა და ური საკითხის პირველი ნაწილი.

როგორ არის შესაძლებელი ფინანსი მათებათიკა?

§ 6

აქ ჩვენ საქმე გვაქვს დას და ნაცად შემეცნება-
თან, რომელსაც ახლაც ძალიან ფართო მოცულობა გააჩ-
ნია, - მომავლისათვის კი იგი განვითარებისა და გაფარ-
თოების უსასრულო შესაძლებლობას შეიცავს. ის თავი-
დან ბოლომდე აპოდიქტურია, ე. ი. აბსოლუტურ აუც-
ლებლობას თან ატარებს, მაშასადამე ცდისეულ საფუძ-
ველს არ ემყარება და გონიერების წმინდა პროდუქტია. ამას-
თან ერთად იგი მთლიანად და სავსებით სინთეზურია;
„მაგრამ როგორ შეუძლია აღამიანის გონიერას ასეთა
შემეცნება მთლიანად a priori სისრულეში მოიყვა-
ნოს?“ რადგან იგი ცდას არ ემყარება და არც შეიძლება
ემყარებოდეს, ამიტომ შეიძლება იგი შემეცნების ისეთი
აპრიორული საფუძველის არსებობას გულისხმობდეს, რო-
მელიც ღრმად არის დამალული, მაგრამ თავისი მოქმე-
დებით იმ წამსვე თავს ამხელდეს, რა წამსაც მის პირ-
ველ დასაბამს გულმოლგინეთ განვიხილავთ?

§ 7

მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა მათემატიკურ შემეც-
ნებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ იგი ჯერ თავის

ცნებას აპრიორულად ადგენს მჭვრეტელობა ში, რომელიც არ არის ემპირიული, არაშედ წმინდა მჭვრეტელობაა, ამ საშუალების გარეშე მათემატიკურ შემეცნებას არც ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა არ შეუძლია. მათემატიკის მსჯელობანი ამიტომ ყოველთვის ინტუიტუიტულია და კმაყოფილ-დეს მხოლოდ ცნებებიდან აშენებული და ისკურსი იუ-ლი მსჯელობებით; მისი აპოდიქტური მოძღვრებანი თუმცა მჭვრეტელობით განიმარტებან, მაგრამ მჭვრეტელობიდან არასდროს არ გამოიყვანებიან. ეს დაკვირვება მათემატიკის ბუნებაზე გვაძლევს მითითებას მათემატიკის შესაძლებლობის პირველსა და უმაღლეს პირობაზე: მას საფუძვლად ყოველთვის რომელიმე წმინდა ა მჭვრეტელობა უნდა გააჩნდეს, რომელშიაც ყველა თავისი ცნება in concreto მაგრამ მარნც აპრიორულად უნდა წარმოადგინოს. ამას ეწოდება მათემატიკური კონსტრუირება (იხ. Kr. d. r. Vern. გვ. 713). თუ ჩვენ შევძლებთ გამოვნახოთ ეს წმინდა მჭვრეტელობა და ასეთი კონსტრუირების შესაძლებლობა, ამისაგან თავის-თავად იისნება, თუ როგორ არის ზესაძლებელი სინთეზური დებულებანი a priori წმინდა მათემატიკაში და ამასთან ერთად მთელი ეს მეცნიერება: როგორც იმას აკეთებს ემპირიული მჭვრეტელობა ყოველივე სიძნელის გარეშე, რომ ცნებას, რომელსაც მჭვრეტელობის ობიექტიდან ავიღებთ თვით მჭვრეტელობიდან აღებული ახალი პრედიკატით ცდაში სინთეზურად გავაფართოვებთ, ასე გააკეთებს ამას წმინდა მჭვრეტელობაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელ შემთხვევაში სინთეზური მსჯელობა აპრიორულად ცხადი და აპოდიქტური იქნება, პირველს შემთხვევაში კი მხოლოდ აპო-

ტერიორულად და ემპირიულად ცხადი. ეს უკანასკნელი უოველოვის იმას შეიცავს, რაც შემთხვევით შეგვხვდება ემპირიულს მჭვრეტელობაში, პირველი კი მხოლოდ იმას, რაც აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელია შეგვხვდეს წმინდა მჭვრეტელობაში, იგი როგორც აპრიორული მჭვრეტელობა, განუყრელად დაკავშირებულია ცნებასთან უკვე უოველოვი და ცდამდე ან ცალკე აღქმამდე.

§ 8

მაგრამ, როგორც ჩანს, აჭ სიძნელე მატულობს და არ ფლებულობს. ახლა საკითხი დგას ასე: როგორ არის ეს შესაძლებელი, რომ რასმე აპრიორულად განვითაროს განვითაროს? მჭვრეტელობა ისეთი წარმოდგენაა, რომელიც საგნის მყოფობიდან უშუალოდ გამომდინარეობს. ამიტომ ჩანს, ვითომც შეუძლებელია რისამედასაბამში ვითომც აპრიორული განჭვრეტა; რადგან არ შეიძლება მჭვრეტელობა სისრულეში მოვიდეს, თუ ან წინასწარ და ან მომავალში ნაგულისხმევი არ იქნება საგანი, რომელსაც იგი უნდა გამოხატავდეს, არც მჭვრეტელობაა. აპრიორულად შესაძლებელი. მართალია, არსებობენ ცნებები, სახელდობრ ისეთები, რომლებიც საგნის აზროვნებას საერთოდ შეიცავენ, რომლებიც შესაძლებელია საგნებიდან სავსებით დამოუკიდებლად და მთლიანად აპრიორულად გაკეთდენ, ასე მაგ., ცნება სიდიდისა, მიზეზისა და სხვ., მაგრამ ამათთვისაც კი, თუ მათ მნიშვნელობასა და აზრს გამოვუნახავთ, აუცილებელია გარკვეული მოხმარება in concreto ე. ი. გამოყენება რომელსამე მჭვრეტელობაზე; მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება საგანი იყოს მოცემული; მაგრამ როგორ შეიძლება საგნის შევრეტელობა საგნამდე არსებობდეს?

§ 9

ჩვენი მჭვრეტელობა, რომ ისეთი ყოფილიყო, რომ —
ლიც საგნებს ისე წარმოადგენდა, როგორც ისინი
თავისთავად არიან, მაშინ არავითარი აპრიორუ-
ლი მჭვრეტელობა არ იარსებებდა, არამედ ყველა მჭვრე-
ტელობა ემპირიული იქნებოდა. თუ რას შეიცავს საგანი-
თავისთავად, ეს მაშინ შემიძლია ვიცოდე, თუ საგანი მო-
ცემულია და ნათელია ჩემთვის. მართალია აქ გაურკვე-
ველი რჩება, თუ როგორ შეუძლია მჭვრეტელობას ისე
შემამეცნებინოს რომელიმე აწმყოში მოცემული გარე-
მოება, როგორც ის თავისთავად არის, მაგრამ მათ თვი-
სებებს ხომ არ შეუძლიათ ჩემი წარმოდგენის უნარში
გადასახლდენ. ასეთის შესაძლებლობაც რომ დაგუშვათ.
ამგვარი მჭვრეტელობა მაინც არ იქნებოდა აპრიორულად
შესაძლებელი, ე. ი. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ მე საგა-
ნი უნდა მქონდეს წარმოდგენილი. ამ გარემოების გარეშე
არ შეიძლებოდა რაიმე საფუძველი გამოშენაა, რომე-
ლიც ჩემი წარმოდგენისა და საგნის დამოკიდებულებას
გაამართლებდა — შეგვეძლო მხოლოდ შთაგონების დაშ-
ვება. მაშასადამე, არსებობს ერთად ერთი შესაძლებლობა
იმისათვის, რომ ჩემი მჭვრეტელობა საგნის სინაშდვილეს
წინ უსწრებდეს, მაგრამ როგორც აპრიორული შემეც-
ნება სისრულეში მოღიოდეს, სახელდობრ, თუ იგი
არაფერს სხვას არ შეიცავს, გარდა
მგრძნობელობის ფორმისა, რომელიც
ჩემს სუბიექტს ყველა ნამდვილ შთაბეჭ-
დილებამდე წინ უსწრებს, რომლის სა-
შუალებითაც მე საგნებიდან შეიძლება
ვიყო აფიცირებული. გრძნობადი საგნები მხოლოდ

მგრძნობელობის ამ ფორმის მიხედვით რომ შეიძლება განიჭერიტონ, ეს მე უსათუოდ აპრიორულად შემიძლია ვიცოდე. აქიდან გამომღინარებას, რომ დებულებები, რომლებიც მხოლოდ გრძნობადი მჭვრეტელობის ამ ფორმას შეეხებიან, გრძნობების საგნების მიმართ შესაძლებელნი და გავლენის მქონენი არიან, თუმცა პირიქით, მჭვრეტელობანი, რომლებიც აპრიორულად არიან შესაძლებელნი, არასდროს არ შეიძლება სხვა საგნებს შეეხებოდენ, გარდა ჩვენი გრძნობების საგნებისა.

§ 10

მაშასადამე, გრძნობადი მჭვრეტელობის ფორმა არის ის, რის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია საგნები აპრიორულად განვჭერიტოთ, რომლითაც ობიექტებს ისე შევიმეცნებთ, როგორც მათ შეუძლიათ მოვლინდენ (ჩვენი გრძნობებისათვის) მაგრამ არა ისე, როგორც ისინი თვისთავად შეიძლება იყვნენ. და თუ სინთეზური აპრიორული მსჯელობების შესაძლებლობას დაკუშვებთ, ეს პირობანი უთუოდ აუცილებელნი არიან, ანდა ისეთს შემთხვევაში, როცა ისინი ნამდვილად არიან მოცემულნი, მათი შესაძლებლობა უნდა იქნას გაგებული და წინასწარ გარკვეული.

დრო და სივრცე კი არის მჭვრეტელობა, რომელიც საფუძვლად უდევს წმინდა მათემატიკის ყველა შემეცნებას და მსჯელობას, რაც გვევლინება, როგორც აუცილებელი და აპოლიქტური. მათემატიკამ ყველა თავისი ცნება წინასწარ მჭვრეტელობაში, ხოლო წმინდა მათემატიკამ წმინდა მჭვრეტელობაში, უნდა დააღავოს. ეს არის მათი კონსტრუირება, ურომლისოდაც მას არ შეუძლია არც ერთი ნაბიჯის გადადგმა, (არ შეუძლია იმიტომ, რომ მისი გზა არ არის ანალიზური, ცნებების და-

ნაწევრებით მიღებული, არამედ მხოლოდ სინთეზური), არ შეუძლია მანამდე, სანამ მას აკლია წმინდა მჭვრეტელობა, რომელშიაც შესაძლებელია იყოს მოცემული მასალა სინთეზური მსჯელობისათვის *a priori*. გეო-მეტრიის საფუძველი არის სივრცის წმინდა მჭვრეტელობა, არითმეტიკას თავისი რიცხვის ცნებები სისრულე-ში მოჰყავს ერთეულების დრო ში სუკცესური (თანამიმდევნო) მიყოლებით, განსაკუთრებით წმინდა მექანიკას თავისი ცნებები მოძრაობის შესახებ მხოლოდ დროის წარმოდგენის დახმარებით შეუძლია განახორციელოს. ორივე ეს წარმოდგენა არის უბრალოდ მჭვრეტელობა; მართლაც თუ სხეულების ემპირიულ მჭვრეტელობას და მათს ცვალებადობას (მოძრაობას), ყოველივე ემპირიულს, ე. ი. რაც განცდას ეკუთვნის, მოვაშორებო, მაშინ, რასაკვირველია, დრო და სივრცე და დარჩება; ესენი, ცხადია, წმინდა მჭვრეტელობანი არიან, იმათთვის აპრიორულ საფუძველს შეადგენენ და ამიტომ არასდროს არ შეიძლება მათი თავიდან მოშორება, მაგრამ სწორედ იმით, რომ ისინი აპრიორული წმინდა მჭვრეტელობანი არიან, იმასაც ამტკიცებენ, რომ მგრძნობელობის უბრალო ფორმები არიან — და ყოველ ემპირიულ მჭვრეტელობას, ე. ი. ნამდვილ საგანთა აღქმას წინ უსწრებენ. მათი მიედვით შეგვიძლია საგნები აპრიორულად შევიმეცნოთ, მაგრამ, ცხადია, ისე, როგორც ისინი ჩვენ გვევლინებიან.

§ 11

ამრიგად, ამ ნაკვეთის ძირითადი ამოცანა პასუხებაცემულია. წმინდა მათემატიკა, როგორც სინთეზური აპრიორული შემეცნება, იმით არის შესაძლებელი, რომ იგი მხოლოდ გრძნობის საგნებს ეხება, რომელთა ემპირიულ მჭვრეტელობას საფუძვლად უდევს წმინდა და

აპრიორული მჭვრეტელობა დროისა და სივრცისა. ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ისინი მხოლოდ მგრძნობელობის ფორმები არიან, რომლებიც საგნის ნაშ-დვილ მოვლენას წინ უსწრებენ და ამით მათ ფაქტიულ და სინამდვილედ აქცევენ. მიუხედავად ამისა, ეს უნარი აპრიორული მჭვრეტელობისა მაინც არ შეეხება მოვლე-ნის მატერიას, ე. ი. იმას, რაც მისი შეგრძება არის, — ეს კი არის ის, რაც ემპირიულია მასზე, — არამედ მხო-ლოდ მის ფორმას, დროისა და სივრცეს. თუ ვინმე იმ გა-რემონტი დაეჭვდებოდა, რომ დროისა და სივრცეს არ შეუძლიათ ნივთის თავისთვად დამახასიათებელ გარკვე-ულობაზე პასუხის გაცემა არამედ მარტო მგრძნო-ბელობისადმი მათ დამოკიდებულებაზე მაშინ მე ძა-ლიან მეინტერესება ვიცოდე, თუ როგორ შეიძლებოდა მათი აპრიორული ცოდნა, ე. ი. მათი ცოდნა საგნებრს გაცნობამდე, როგორი უნდა ყოფილიყო მათი მჭვრეტე-ლობა. ეს ყველაფერი სულ ადვილად გასაგებია, თუ ორივეს ჩვენი მგრძნობელობის მხოლოდ ფორმალურ პი-რობად წარმოვიდგენთ; საგნები ამ შემთხვევაში მხოლოდ მოვლენები არიან, ამიტომ ყოველთვის შეგვიძლია მოვ-ლენის ფორმა, ე. ი. წმინდა მჭვრეტელობა, ჩვენი საკუ-თარი თავიდან, ე. ი. აპრიორულად წარმოვიდგინოთ.

§ 12

განმარტებისა და დასაბუთებისათვის ცოტა რამ კი-დევ რომ მივუმატოთ, განვიხილოთ საკმარისად ცნობილი და აუცილებელი გეომეტრიული მეთოდი. ყველა მტკიცება ორი მოცემული ფიგურის სრული ტოლობის შესახებ, როცა ერთ მათგანს ყველა თავისი ჩაწილის მიხედვით შეუძლია მეორის აღვილი დაიჭიროს, ბოლოს დაბოლოს ყოველთვის იმას ემყარება, რომ ისინი ერთი შეორეს

ფარავენ; ეს კი, ცხადია, უშუალოდ მჭვრეტელობაზე
დაყრდნობილი სინთეზური დებულებაა, ხოლო ეს მჭვრე-
ტელობა წმინდა უნდა იყოს და აპრიორულად მოცემუ-
ლი; წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ ნაგულისხმევი
დებულება აპოდიქტურად ცხადი არ იქნებოდა, არამედ მას
ექნებოდა მხოლოდ ემპირიული სიცხადე. ეს კი იმას ნიშ-
ნავდა, რომ გვეთქვა: ამას ყოველ დროს ასე უყურებენ
და მას მხოლოდ მანამდე აქვს გავლენა, სანამ ჩვენი აღ-
ქმა შეგვიძლია გავაგრძელოთ, რომ სრულყოფილ სივ-
რცეს (რომელიც არ არის საზღვარი სხვა რომელიმე,
სივრცისა) სამი განზომილება აქვს და რომ სივრცეს სა-
ერთოდ მეტი განზომილება არ შეიძლება ჰქონდეს, ეს
აშენებულია იმ დებულებაზე, რომ ერთ წერტილში სამ
ხაზზე მეტს არ შეუძლია ერთმანეთი სწორკუთხედად გა-
დასჭრან. ამ დებულების გამოყვანა კი ცნებებიდან შეუძ-
ლებელია, იგი უშუალოდ მჭვრეტელობას ემყარება, მაგ-
რამ წმინდასა და აპრიორულს, იმიტომ რომ იგი აპოდიქ-
ტურად ცხადია. მოთხოვნილება, რომ ხაზი უსასრულო-
ბამდე (in indefinitum) გავაგრძელოთ, ანდა (კვა-
ლებადობის მწერივი (მაგ. უკანდატოვებული სივრცეების
მოძრაობით) უსასრულოდ წინ წავწიოთ, რასაკვირვე-
ლია, წინასწარ საფუძვლად დროისა და სივრცის ისეთს
წარმოდგენას გულისხმობას, რომელიც მხოლოდ მჭვრე-
ტელობაზეა დამოკიდებული, — ეს იმდენად ცხადია,
რამდენადაც არაფრით არის განსაზღვრული; ცნებიდან
მისი დასკვნის სახით მიღება შეუძლებელი საქმეა. მაშა-
სადამე, მათემატიკას მართლაც და წმინდა აპრიორული
მჭვრეტელობა უდევს საფუძვლად. ეს ხდის შესაძლებ-
ლად მისი სინთეზურისა და აპოდიქტური გავლენის მქო-
ნე დებულებებს. ამიტომ ჩვენი ტრანსცენტური
დედუქცია სივრცისა და დროის ცნებებისა გვიხსნის ამავე

დროს წმინდა მათემატიკის შესაძლებლობას, რომელიც
ასეთი დედუქციის გარეშე არასდროს ნათლად დასაბუ-
თებული არ იქნებოდა, ე. ი. იმის გარეშე, რომ ჩვენ მი-
ვიღებთ: „ყველაფერი, რაც კი ჩვენს გრძნობებს შეიძლება
მოცემული ჰქონდეთ (მათი გარეგანი — სივრცეში, ხო-
ლო მათი შინაგანი — დროში) ჩვენ ისე უნდა განვჭრი-
ტოთ, როგორც ისინი გვევლინებიან და არა ისე, როგორც
ისინი თავისთავად არიან“.

§ 18

ისინი, ვინც ჯერ კიდევ იმ შეხედულებისანი არიან, ვი-
თომც დროსა და სივრცეს ისეთი ნამდვილი არსებობა
გააჩნდეთ, რომელიც ნივთს თავისთავად ახასიათებს, თავი—
ანთ აზრმახვილობას შემდეგ პარადოქსზე გამოცდიან და
როცა პარადოქსის გახსნაში ძალონეს უშედეგოდ დახარ-
ჯავენ, მაშინ ერთი წუთისათვის მზა-მზარეული შეხე-
დულებისაგან განთავისუფლდებიან და შეამჩნევენ, რომ
დროსა და სივრცის ამ დამცირებას (ჩვენი მცვრეტელო-
ბის ფორმებამდე მათ დაყვანას) თავისი საფუძველი აქვს.

თუ ორი ნივთი ყველა თავისი ნაწილით, რომლებიც
ცალკ-ცალკე ყოველთვის შეიძლება შემცნებული იყოს.
(ყველა სიღიღისა და კვალიტეტის შესახებ გარკვეულობის
მიხედვით), სავსებით ერთი და ივივეა (ტოლია), მაშინ აქი-
დან უნდა გამომდინარეობდეს, რომ თუ ერთის ადგილზე
მეორეს მოვათავსებთ, ეს ადგილების შეცვლა შესამჩნე-
ვი არ უნდა იყოს. ბრტყელი ფიგურების მიმართ გეო-
მეტრიაში ეს მართალაც ასეა. მაგრამ სფერული სიდი-
დენი კი მიუხედავად მათი სრული შინაგანი შესატყვისო-
ბისა ისეთ გარეგან განსხვავებას იძლევიან, რომ ერთის
მეორის ადგილზე მოოავსება ყოვლად შეუძლებელია,
მაგ. ავილოთ ორი სფერული სამკუთხედი ორივე ჰემოს-

ფეროდან, რომლებსაც ეკვატორის ერთი რკალი საერთო
პაზისად აქვთ, ისინი შეიძლება სავსებით თანატოლი იყ-
ვნენ, როგორც კუთხეების, ისე ფერდოების მიხედვით,
ისე რომ, თუ ერთს რომელიმე მათგანს მთლიანად ავ-
წერთ, ვერაფერს ვნახავთ ისეთს, რაც მეორესაც არ გა-
აჩნდეს, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია რომ ერთი მე-
ორის აღგილზე მოვათავსოთ (სახელდობრ, შეუძლებე-
ლია, ერთი ჰემოსფერო მეორე, ე. ი. მოპირდაპირე ჰე-
მოსფეროს აღგილზე მოვათავსოთ), აქ ჩვენ საქმე გვაქვს,
უთუოდ, ორივე სამკუთხედის იმ შინაგან სხვაობასთან,
რომელსაც ვერც ერთი განსჯა ასეთი სახით ვერ გვა-
ჩვენებს; მათი სხვაობა ნათელი ხდება მხოლოდ სივრცე-
ში მოცემული გარეგანი არსებობის ზეგავლენით. მაგრამ
მე მინდა აქ სავსებით უბრალო მაგალითები მოვიყვანო,
რომლითაც სავსეა ჩვეულებრივი ცხოვრება.

აბა, რა უნდა ვნახო ჩემი ხელისა და ჩემი ყურის უფ-
რო სწორი და ტოლი ყველა მათი ნაწილის შინედვით,
ვიდრე მათივე სურათი სარკეში. მიუხედავად ამისა, სარ-
კეში დანახული ხელი მე მაინც არ შემიძლია ნამდვი-
ლი ხელის აღგილზე მოვათავსო; მართლაც თუ ჩვენ საჭ-
მე გვქონდა მარჯვენა ხელთან, მაშინ მისი სურათი სარ-
კეში მარცხენა იქნება, ეს ასეა ყურის შესახებაც. მართა-
ლია, აქ გონებას არავითარი შინაგანი მიზეზის მოყვანა
არ შეუძლია, მაგრამ განსხვავება მაინც შინაგანია;
გრძნობა გვასწავლის, რომ მიუხედავად ყოველივე მსგავ-
სებისა, მარჯვენა ხელს მარცხენა ხელის აღგილის და-
ჭრა მაინც არ შეუძლია, მარჯვენა ხელის ხელთაომანი
მარცხენა ხელზე ხომ არ მოიხმარება. როგორ აგხსნათ
ეს საიდუმლოება? ეს საგნები თავისიაუდ არსებულ
ნივთთა წარმოდგენები ხომ არ არიან, რომელთა შემეც-
ნება მხოლოდ წმინდა გონებას შეუძლია, არამედ ესენა

ზომ გრძნობადი მჭვრეტელობის საგნებია, ე. ი. ისეთი მოვლენები, რომელთა შესაძლებლობა დამყარებულია დამოკიდებულებაზე ჩვენს მგრძნობელობას და ჩვენთვის უცნობ ნივთებს შორის. ამათგან სივრცე არის გარეგანი მჭვრეტელობის ფორმა და ამიტომ შინაგანი განსაზღვრა ყოველი სივრცისა შესაძლებელია გარეგანი დამოკიდებულების განსაზღვრით მთელი სივრცის მიმართ, რომლისაც ის ერთი პატარა ნაწილია, ე. ი. ნაწილი შესაძლებელია მხოლოდ მთლიანის მეოხებით; ეს გარემოება მიმართ ნივთებისა თავისთავად, როგორც მხოლოდ აზროვნების საგნებისა, არასდროს ძალაში არ არის, მაგრამ მოვლენების სამყაროში იგი ყოველთვის სწორია. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია არავითარი ერთი ცნების საშუალებით დავადგინოთ განსხვავება მსგავსისა და ტოლისა, მაგრამ მაინც ინკონგრუენტი ნივთებისა; ასეთი განსხვავება შეგვიძლია მხოლოდ მარჯვენა და მარცხენა ხელის დამოკიდებულების საშუალებით დავადგინოთ, ეს კი უშუალოდ მჭვრეტელობაზეა დამოკიდებული.

შენიშვნა I.

წმინდა მათემატიკას განსაკუთრებით კი წმინდა გეომეტრიას მხოლოდ იმდენად შეიძლება ობიექტური რეალობა მივაკუთვნოთ, რამდენადაც იგი მხოლოდ გრძნობის საგანზე არის დაყრდნობილი. ამის შესახებ კი ძალაშია დებულება, რომ ჩვენი მგრძნობელობითი წარმოდგენები კი არ არიან წარმოდგენები ნივთებზე თავისთავად, არამედ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ მოგვევლინა ჩვენ ეს ნივთები. აქიდან ის კი არ გამომდინარეობს, რომ გეომეტრიის დებულებანი ჩვენი პოეტური ფანტაზიის თავისუფალი ქმნილება არიან და ამიტომ ნამდვილ საგანზე მათი უცდომელი გამოყენება არ შეიძლება, არამედ,

მხოლოდ ის, რომ ისინი აუცილებლობის წესით ქალაში არიან სივრცისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც კი სივრცესთან არის დაკავშირებული; ეს იმიტომ, რომ სივრცე სხვა არაფერია, თუ არა ის ფორმა ყველა გარეგანი მოვლენებისა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია გრძნობის საგნები მოგვეცეს. მგრძნობელობა, რომლის ფორმა გეომეტრიის საფუძველს შეადგენს, ის არის, რაზედაც გარეგანი მოვლენების შესაძლებლობაა დამყარებული. ამათში, მაშასადამე, არ შეიძლება ჩაიმე ისეთი იყოს, რაც მათვის გეომეტრიას არ უკარნახებია. რასაკვირველია, საჭმე სულ სხვაგვარად იქნებოდა, რომ გრძნობას ობიექტები ისე წარმოედგინა, როგორც ისინი თავისთავად არიან. მაშინ სივრცის წარმოდგენიდან სულ არ გამოვიდოდა, რომ ყველაფერი ეს, მისგან გამომდინარე მოვლენებითურთ, ბუნებაში ისეა მოცემული, როგორც ეს გეომეტრიას ყველა თავისი თვისებით *a priori* საფუძვლად უდევს. გეომეტრიის სივრცეს ჩათვლიდენ უბრალოდ შეთხულ გარეშობად და შას ყოველივე ობიექტურ გავლენაზე უარს ეტყოდენ. ასეთი მიღვომა აუცილებელი იქნებოდა იმიტომ, რომ არავითარი საშუალებით არ შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ შეესატყვისებიან საგნები სურათებს აუცილებლობის მიხედვით. ამ სურათებს კი ჩვენ თვითონ და საგნებამდე ვაკეთებთ. თუ ეს სურათი, ან ეს ფორმალური მჟღარეტელობა არსებითი თვისებაა ჩვენი მგრძნობელობისა, რომლის საშუალებითაც ჩვენ საგნები გვეძლევა, და თუ ეს მგრძნობელობა წივთებს თავისთავად კი არ ეხება, არამედ მათს თვისებას წარმოადგენს, მაშინ ძალიან ადვილი გასაგებია და წინააღმდეგობის გარეშე დასამტკიცებელი, რომ ჩვენი მგრძნობელობის ყველა გარეგანი საგანი. გეომეტრიის დებულებებთან აუცილებლობის მიხედვით და ყველა ნა-

წილით შესატყვისებულია, იმიტომ, რომ მგრძნობელობა თავისი გარეგანი ჭვრეტის ფორმების (სივრცის) საშუალებით თვით ამ საგნების მოვლენებად გადაქცევას შესაძლებელს ქმნის. ყველა დროისათვის ღირსშესანიშნავ ფენომენად დარჩება ფილოსოფიის ისტორიაში ის გარემოება, რომ ერთხელ თვით მათემატიკოსები, რომლებიც ამავე დროს ფილოსოფოსებიც იყვნენ, თუმცა არ დაეჭვებულან გეომეტრიის დებულებების სისწორეში, რამდენადც ისინი სივრცეს შეეხებოდენ, მაგრამ დაეჭვდენ ამ ცნების ობიექტურობაში და ყველა გეომეტრიული გარკვეულობის ბუნების მიმართ მათ გამოყენებაში. ისინი ფიქრობენ, რომ ხაზი ბუნებაში მართლაც შეიძლება ფიზიკური წერტილებისაგან შედგებაო და ამასთან ერთად ჰეშმარიტი სივრცე ობიექტში მარტივი ნაწილებისაგან, რის გამოც სივრცე, რომელიც გეომეტრს თავის აზრებში აქვს, ამ ნაწილებისაგან არ შედგება. იმათ ვერ ვაიგეს, რომ ეს აზრებში აღებული სივრცე, ე. წ. ფიზიკურ სივრცეს, ე. ი. მატერიის განთვალისწილობას, შესაძლებელს ხდის, — რომ ეს არ არის თვისება ნივთებისა თავის-თავად. არამედ მხოლოდ ფორმა ჩვენი გრძნობადი წარ-ცოდგენის უნარისა, რომ ყველა საგანი სივრცეში უბრა-ლო მოვლენებია, ე. ი. არა ნივთები თავისთავად, არამედ წარმოდგენები ჩვენი გრძნობადი ჭვრეტისა. და რადგანაც სივრცე, როგორც მას გეომეტრი აზროვნებს, სავსე-ბრთისებრი, როგორიც ფორმა გრძნობადი განჭვრეტისა, რომელსაც პასიონარულად ჩვენში ვნახულობთ, და რადგან ზეგი პასიურშეტლი ყველა გარეგანი მოვლენისა (ცორმის მიხედვით), ამიტომ ეს გეომეტრის დებულებებთან აუცილებლივ და ზუსტდა არის შესატყვისებული. გეომეტრისას დებულებები კი რომელიმე შეთხული ცნებიდან კიდება გამომრჩნარებულენამაშედ ყოველი გა- დასა დანართ სიმომხრიც იმცემ ერთობო ამცირა.

რეგანი მოყლენის სუბიექტური საფუძვლიდან, ე. ი. თვით
შემდებრებლობიდან. ამ და არაეითარი სხვა საშუალე-
ბით შეუძლია გეომეტრს რომელიმე ზერელე მეტა-
ფიზიკის ხრიკების საწინააღმდეგოდაც თავისი დებულე-
ბების ეჭვმიუტანელი ობიექტური რეალობა დაგვიმ-
ტკიცოს, მეტაფიზიკოსს კი, რადგან იგი ამ ცნებების წყა-
როებამდე ვერ აღწევს, შეუძლია გაკვირვებული დარჩეს.

შენიშვნა II.

ყოველივე, რაც საგნად უნდა იქნას მოცემული, უსა-
თუოდ მჭვრეტელობაში უნდა მოგვეცეს. ყოველი ჩვენი
მჭვრეტელობა კი გრძნობების მეშვეობით მიმდინარეობს.
განსჯა არაფერს არ სჭვრეტს, იგი მხოლოდ რეფლექტი-
რობს. მაგრამ რადგან თანახმად ახლა დამტკიცებულისა,
გრძნობა არასდროს და არც ერთს ნაწილს ნივთისას თა-
კისთავად არ იმეცნებს, არამედ მხოლოდ მათს მოვლე-
ნებთან აქვს საქმე, ესენი კი გრძნობელობის უბრალო
წარმომადგენლები არიან, „ამიტომ ყველა სხეული სივ-
რცითურთ, რომელშიაც ისინი იმყოფებიან სხვად არაფ-
რად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუ არ უბრალო ჩვენი წარ-
მოდგენებად, და არ შეგვიძლია მათ სხვაგან არსებობა
მრვაწეროთ, თუ არ ჩვენს აზრებში“. ამის თუ არა ეს
უდაო იდეალიზმი?

იდეალიზმი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ არ არსე-
ბობს სხვა არსება გარეშე მოაზროვნე არსებისა, ყველა
სხვა ნივთი, რომლებსაც ჩვენ მჭვრეტელობით აღვიქ-
ვამთ, იდეალიზმისათვის არის მხოლოდ წარმოდგენა
მოაზროვნე არსებისა, რომელსაც სინამდვილეში არავი-
თარი მის გარეშე არსებული საგანი არ შეეფარდება. მე
კი ამის საწინააღმდეგოდ ვლაპარაკობ: ჩვენ მოცემული
გვაქვს ნივთები, როგორც ჩვენი გრძნობის გარეშე არსე-

ბული საგნები, მაგრამ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ისინი თავისთავად, ჩვენ არაფერი ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი მოვლენები, ე. ი. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის წარმოდგენები, რომლებიც ჩვენი გრძნობების აფიცირებით ჩვენში მათ გამოუწვევია. მაშასადამე მე მაინც უშვებ ყოველ შემთხვევაში, რომ ჩვენს გარეშე სხეულები არსებობენ, ე. ი. ნივთები, რომლებიც, თუმცა ჩვენთვის სავსებით უცნობია თუ რა უნდა იყვნენ თავისთავად, მაგრამ ჩვენ წარმოდგენებით ვიცით, თუ რა გავლენას ახდენს მათი არსებობა ჩვენს მგრძნობელობაზე; ამით ვაძლევთ ჩვენ სხეულის სახელწოდებას და ეს სიტყვა, მაშასადამე, ნიშნავს თუმცა ჩვენთვის უცნობის, მაგრამ ჩვენზე მაინც მოქმედი და ნამდვილი საგნის მოვლენას. შეიძლება დავარქვათ ამას იდეალიზმი? ეს ხომ პირდაპირ მისი საწინააღმდეგოა.

გარეგანი საგნების ნამდვილი არსებობისათვის ზიანის მიუყენებლად შეიძლება ითქვას მთელს რიგ მათ პრედიკატებზე, რომ ისინი არ ეკუთვნიან ამ საგნებს თავისთავად, არამედ მხოლოდ მათი მჭვრეტელობისა და ჩვენი წარმოდგენების გარეშე არავითარი სხვა არსებობა არ გააჩნიათ — ყოველგვარი ეს უკვე ლოკამდე განსაკუთრებით კი ლოკის შემდეგ საერთოდ, მიღებული და აღიარებული იყო. ასეთს პრედიკატებს ეკუთვნოდა სითბო, ფერი, გემო და სხვ., მაგრამ არც იმისათვის შეიძლება კაცს იდეალისტი დავარქვათ, რომ მან სხეულთა კვალიტეტის სხვა ძირითადი მიზეზი, რომელსაც პირველობით ითის მიზეზს უწოდებენ, განფენილობა, ადგილი; სივრცე საერთოდ და სხვა დანარჩენი ამასთან დაკავშირებული (შეუვალობა, მატერიალობა, აღნაგობა, და სხვ.,) აგრეთვე უბრალო მოვლენად ჩასთვალოს. ამის საწინააღმდეგოდ ისე არ შეიძლება რაიმე საფუძვლი-

ანი არგუმენტის მოყვანა, როგორც იმ შეხედულობის, რომლისთვის ფერი ობიექტზე თავისთავად მოცენული თვისება კი არ არის, არამედ ხედვის გრძნობის მოდიფი-კაციაზე დამოკიდებული გარემოება. და თუ ეს იდეალიზმი არ არის, მაშინ ჩემს მოძღვრებას სულ აღარ შეიძლება იდე-ალისტური ვუწოდოთ; მარტო იმისათვის ხომ არ უნდა უწოდოთ მას იდეალისტური, რომ მე სხეულის მჭვრეტე ლობისათვის ყველა აუცი-ლებელ თვისებას მხოლოდ მის მოვ-ლენას მივაკუთვნი და მის მოვ-ლენას მივაკუთვნი. აქ საგნის არსებობა ისე ხომ არ არის უარყოფილი, როგორც ამას ნამდვილი იდეალისტი შვრება, არამედ ნაჩვენებია, რომ გრძნობების საშუალებით ჩვენ არ შეგვიძლია საგანი შევიმეცნოთ, როგორც იგი თავისთავად არსებობს.

მე ძალიან მეინტერესება ვიცოდე, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი არგუმენტაცია, რომ რამენაირად იდეალიზმი არ შეიცვდეს. ნამდვილად მე უნდა ვთქვა, რომ წარ-მოდგენა სივრცეზე ნამდვილად კი არ ეთანხმება მგრძნო-ბელობისა და მისი ობიექტის დამოკიდებულებას, ეს მე უკვე ვთქვი, არამედ ნამდვილად მე უნდა ვთქვა, რომ იგი სავსებით მსგავსია ობიექტისა; ასეთს მტკიცებაში კი მე არავითარი აზრის დანახვა არ შემიძლია, ისე რო-გორც უაზროა შეხედულება, ვითომცდა წითელის შეგ-რძნობა მსგავსი იყოს სალებავისა, რომელმაც ჩემში ეს შეგრძნობა გამოიწვია.

შენიშვნა III.

აქიდან შეგვიძლია ერთი ადვილად წინასწარ შესამჩნე-ვი, მაგრამ სუსტი არგუმენტი თავიდან მოვიშოროთ: „სახელდობრი ის, რომ დროისა და სივრცის იდიალობით მთელი გრძნობაზი ქვეყანა მარტო მოჩვენებად გადაიჭ-

ცეოდაო". მას შემდეგ, რაც ყოველი ტანსოფური თვალსაზრისი გრძნობადი შემეცნების ბუნები. შესახებ უკვე იმით გააფუჭეს, რომ მგრძნობელობა ბუნდობა წარმოდგენის სახეობად დასახეს, რომლის მიხედვითაც ჩან ვითომჟ ნივთებს ისე შევიმეცნებთ, როგორც ისინი თავისთავად არიან, მაგრამ ამ წარმოდგენის უნარით ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ჩვენი შემეცნება, ნათელი და ცნობიერი გავხადოთ, — ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მიერ დამტკიცებულია, რომ მგრძნობელობა არ მდგომარეობს ამ ლოგიკურ განსხვავებაში ნათელსა და ბნელს შორის, არამედ შემეცნების დასაბამის გენეტიკურ განსხვავებაში, დამტკიცებულია, რომ გრძნობადი შემეცნება ნივთებს ისე კი არ წარმოადგენს, როგორც ისინი არიან, არამედ იმ სახით, რა სახითაც ისინი ჩვენი გრძნობების მიერ აფიცირებულნი არიან. მაშასადამე, განსჯას სარეფლექსიოდ თვით საქმე (საგანი) კი არ ეძღვავა, არამედ მხოლოდ მისი მოვლენა. ამ აუცილებელი განმარტების შემდეგ დაუშვებელია და უაზროა ჩვენს მიზართ ის შეხედულება, ვითომც ჩვენი მოძღვრება გრძნობადი ქვეყნის ყველა ნივთს უბრალო მოჩვენებად აქცივდეს.

თუ ჩვენ მოვლენა მხოლოდ მოგვეცა, ჯერ ჩვენ სავსებით თავისუფალი ვართ, თუ რა მსჯავრს გამოვიტანთ მის შესახებ. ის, ე. ი., მოვლენა ეყრდნობა გრძნობებს, ეს ე. ი. ჩვენი მსჯელობა კი — განსჯას, და საკითხი რჩება, საფნის ასეთი განსაზღვრა ჭეშმარიტებაა თუ არა? მაგრამ განსხვავება ჭეშმარიტებასა და სიზმარს შორის წარმოდგენების აგებულებაში კი არ მდგომარეობს, — ამის მიხედვით სიზმარი და ჭეშმარიტება ერთნაირია. არამედ მათ დაკავშირებაში იმ წესების მიხედვით, რომლებიც არ-კვევენ წარმოდგენის კავშირს განსაზღვრული ობიექტის

~~ცნებებთან დამას თუ რამდენად შეუძლიათ მათ ცდა-ში ერთად ჩვენებ მოცემულნი. თუ ჩვენი შემეცნება მო-ჩვენები ჰეშმარიტებად მიიღებს, ამაში მოვლენა სავსე-ბის არის დამნაშავე, ე. ი. მოვლენის დანაშაული არის ის, რომ მჭვრეტელობა, რომლის საშუალები-თაც ჩვენ ობიექტი მოგვეცა, საგნის ცნებად, ის კი არა საგნის არსებობად, ჩათვალეს. პლანეტების მსვლელო-ბას ჩვენ გრძნობები გვიჩვენებენ ხან წინ მსვლელობად და ხან უკან მსვლელობად, და აქ არავითარი ჭეშმარიტება და მკდარობა არ არის, რადგან სანამ ვიცით, რომ ეს მხოლოდ მოვლენაა, მანამდე მათი მოძრაობის ობიექტურ აგებულებაზე მსჯელობა არ არსებობს. თუ განსჯა ყუ-რადღებას არ აქცევს, რათა ეს სუბიექტური წარმოდგე-ნის სახეობა ობიექტურად არ მიიჩნიონ, მაშინ, რასაკვირ-ველია, მკდარი მსჯელობა ადვილად ჩამოყალიბდება. და ასეთ შემთხვევაში იტყვიან: როგორც გვეჩვენება პლანეტები უკან მიღიან. მაგრამ ეს მოჩვენება გრძნობებს კი არ მიეწერება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ განს-ჯას, რადგან მოვლენებიდან ობიექტური მსჯელობის გა-მოყვანა განსჯის საჭმეს შეადგენს.~~

ამრიგად, თუ ჩვენ წარმოდგენების დასაბამზე არც ვი-ფიქრებთ და ჩვენს მგრძნობელობითს მჭვრეტელობას დროსა და სივრცეში, მათი შინაარსის მხედველობაში მიუღებლად, უბრალოდ შემცნების (კდაში ერთმანეთ-თან დაკავშირების წესით ჩამოვაყალიბებთ, რასაკვირ-ველია, იმის მიხედვით, თუ როგორ მოვიქცევით წინ-დაუხედავთ თუ ფრთხილად, მოჩირნებას ან ჭეშმარი-ტებას მივიღებთ. ეს ცხადია, შეეხება გრძნობადი წარმოდ-გენების მოხმარებას განსჯის ფარგლებში და არა პათ დასაბამს. აგრეთვე, თუ მე გრძნობების ყველა წარმოდ-გენას ყველა მათი ფორმით, სახელდობრ, დროსა და სივ-

რცეს, მხოლოდ მოვლენად, უ. ი. გრძნობის უბრალო ფორმად მივიჩნევ, რომლებიც მათ გარეშე, ს. ი. ობიექტებზე სრულიად : რ შეგვხვდება. და თუ მე ამ დარმოდგენებს მხოლოდ შესაძლებელი ცდის ფარგლებში აკვითარ, ამაში უ. ი. იმაში, რომ მე მათ მხოლოდ მოვლენებად ვთვლი, რასაკვირველია, არავითარი საუკუნეელი არ არის იმისა, რომ მე მოჩვენებამდე და შეცდომამდე მივალ. კადია მათ ჰეშმარიტების ყველა წესის დაკვას მიხედვით შეუძლიათ კლაში განხორციელდენ. ამ წესების მიხედვით გეომეტრიის ყველა დებულება ძალაშია, როგორც სივრცის, ისე გრძნობის ყველა საგნის მიმართ, და რასაკვირველია, შესაძლებელი ცდის თვალსაზრისითაც სულერთია — მე სივრცეს განვიხილავ როგორც მგრძნობელობის უბრალო ფორმას, თუ როგორც ისეთს, რაც ნივთს თავისთავად ახასიათებს. როგორც მე პირველ შემთხვევაში გავიგებ, თუ როგორ შემიძლია ეს დებულებები გარეგანი ჭვრეტის ყველა საგანზე აპრიორულად ვიცოდე, ასე შემიძლია შესაძლებელი ცდის მიმართაც მოვიქცე: ყველაფერი ისე დარჩება, ვითომცდა ჩვეულებრივი თვალსაზრისისაგან დაშორება სრულიად არ მომხდარიყოს.

მაგრამ მე თუ გავტედავ დროისა და სივრცის ჩემი ცნებებით გავშორდე ყოველი შესაძლებელი ცდის სახლვრებს, — ეს აუცილებელი იქნება, რა წამს მათ ნივთების თავისთავად დამახასიათებელ თვისებად გამოვაკადებ (აბა, რას უნდა შევეჩერებინე მე აქ; როგორც არ უნდა იყვნენ ჩემი გრძნობები, მე მაინც ხომ შემეძლო დასხელებული დებულება სწორად მივიჩნიო?) — მაშინ შეიძლება ღირსშესანიშნავი შეცთომა წარმოიშვას. ეს შეცთომა დამყარებული იქნება იმ მოჩვენებაზე, რომ ის, რაც ჩემი სუბიექტის თანხლებით პირობა იყო საგნების განჭვრეტისათვის და გრძნობების ყველა საგნისათვის და რა-

საკვირველია, შესაძლებელი ცდისათვისაც ძალაში იყოს
საყოველთაოდ საგალდებულოდ მივიჩნიე, მე გავავრცე-
ლე ჰაელაფერი ეს ნივთებზე თავისთავად და ვერ შემოვ-
ფარგლე მათი მოქმედება ცდის პირობებით, ამიტომ
წარმოიშვა დასახელებული შეცომა.

მაშასადამე, ჩემი მოძლვრება სივრცისა და ღროის იდეა-
ალობაზე მთელ გრძნობადს ქვეყანას უბრალო მოჩვენე-
ბად კი არ აქცევს, არამედ იგი იძლევა ერთადერთს სა-
შუალებას რათა უზრუნველვყოთ ერთერთი ძირითადი შე-
მეცნების გამოყენება, ფ. ი. უზრუნველვყოთ მათემატიკის
აპრიორული შემეცნების ნამდვილ საგნებზე გამოყენება.
იგი გვიცავს შეცომისაგან, რათა ეს შემეცნება უბრალო
მოჩვენებად არ მივიჩნიოთ, რის გარეშეც შეუძლებელი
იქნებოდა დაგვემტკიცებინა, რომ ღროსა და სივრცის
მჰვრიტელობა, — რომელიც ჩვენ ცდიდან არ გვაქვს მი-
ღებული, მაგრამ ჩვენი წარმოდგენებისათვის აპრიორუ-
ლად არის მოკემული, — უბრალოდ ფანტაზიის ნაყოფი
არ არის, რომელსაც არავითარი შესატყვისი (ადექვატად
შესატყვისი, ყოველ შემთხვევაში) საგნები არ გააჩნია-
სინამდვილეში, იგი გვიცავს, რათა გეომეტრია უბრალო
მოჩვენებად არ ჩავთვალოთ და გვარტმუნებს გეომეტრიის
დებულებების აუცილებელ სისწორეში გრძნობადი ქვეყ-
ნის კველა საგნის მიმართ; რადგან ეს საგნები, მხოლოდ
მოვლენებია, ამიტომ შეიძლება მათი გეომეტრიული
შემეცნება.

და ქვევით: ჩემი მოძლვრება გრძნობების წარმოდგე-
ნებიდან მოვლენების გამოყვანის შესაძლებლობას რომ
იძლევა, ამით იგი ცდის ჭეშმარიტებას უბრალო მოჩვე-
ნებად კი არ აქცევს, არამედ, პირიქით, იგი ერთადერთი
საშუალებაა ტრანსკრინდენტალური მოჩვენების თავიდან
ასაშორებლად; ამ უკანასკნელი გარემოებით კი შეტაყი-

ზიკა ძველი დროიდანვე სარგებლობდა და ბავშვურ მისწრაფებამდე მივყავდით, საპნის ბუშტებით თავს ვიკმა-ყოფილებდით, ე. ი. მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ წარმოდგენებია, ვთვლიდით ნივთებად თავისთავად, რის გამოც შემეცნების ხაზზე გონების ის საკვირველი ანტი-ნომიები გამოცხადდებიან, რომელთა შესახებ მე კიდევ ვილაპარაკებ და რომელთა თავისდან მოშორება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი პასუხით: მოვლენა, სანამ იგი კდის ფარგლებშია მოთავსებული, მანამ იძლევა ჭეშმარიტებას, როგორც კი ცდის საზღვრებს გაშორდება და ტრანსცენდენტი გახდება, იმ წამსვე მხოლოდ უბრალო მოჩვენებად იქცევა.

მაშასადამე, მოვლენებს, რომლებსაც ჩვენ გრძნობებით წარმოვიდგენთ, მე სინამდვილეს ვუტოვებ, მხოლოდ ამ საგნების ჩვენ გრძნობელობით ჭვრეტას იმ მიმართულებით ვამოკლებ, რომ არავითარ ნაწილს, თვით წმინდა მჭვრეტელობას დროსა და სივრცეზე მეტს არ მივაკუთნებ, ვიდრე მხოლოდ საგნების მოვლენად ყოფნას, არასდროს: არ დავავალებ მე მათ წარმოიდგინონ, თუ როგორია ამ საგნების აგებულება თავისთავად; ამიტომ ეს არ არის პრავითარი ჩემს მიერ შეთხზული და ბუნებაზე ძალით თავზე მოხვეული მოჩვენება და ჩემი პროტესტი იღეა-ლიზმის ჩემზე მოწერის წინააღმდეგ იმდენად საფუძვლი-ანია, რომ ავილა ეს განმარტება უდაოა და მკითხვე-ლიკ ადვილად დამეთანხმება ამაში; დამეთანხმება, რომ ქვეყანაზე უმართებულო მსაჯულები არ არსებობდენ, რომლებიც ვერ უძლებენ ვერავითარ გადახრას მათ შეხედულებიდან, იბრძვიან ძველი სახელწოდების შენარჩუნებისათვის და არა ფილოსოფიური დებულებების აზ-რისათვის, მათ აზრზე მეტად ანბანი ეინტერესებათ, მზად არიან საკუთარი. აბდაუბდა გარკვეული. ფილოსოფიური

ცნებების მაგივრად გაასაღონ, ეს უკანასკნელი კი, რაც შე-
იძლება, დამახინჯონ და გააფუჭონ. მე რომ ჩემს თეო-
რიას ტრანსცენდენტალური იდეალიზმი ვუწოდე, ეს კიდევ
არავის აძლევს უფლებას, რათა დ ე კ ა რ ტ ე ს ემპირიული
იდეალიზმსა (დეკარტეს აზრით მისი იდეალიზმი იყო ამო-
ცანა, რომელიც ყველა აღამიანს სრულ უფლებას აძლევ-
და გარემყარი ქვეყნის საგანთა არსებობაზე უარი ეთ-
ქვა, — ეს იმიტომ, რომ არასდროს დამაქმაყოფილებელი
პასუხი ამ სხეულების არსებობისათვის არ გამოინახებო-
და) ან და ბ ე რ კ ლ ი ს მისტიკურ და ფანტასტიკურ
იდეალიზმი აურიოს იგი. (პირიქით, ჩვენი კრიტიკა შე-
იცავს ყველა საშუალებას, რათა ბერკლისა და სხვა მის-
გვარი მოაზროვნის ბოდვა გავანადგუროთ). ჩე-
მი, ე.წ. იდეალიზმი საგნების არსებობას სრულიად არ
ეხება (ამათში ეჭვის შეტანა კი არის იდეალიზმის ძირი-
თადი თვისება), საგნის არსებობაში ეჭვის შეტანა მე
არასდროს აზრადაც კი არ მომსვლია; მე მესაჭიროება
მხოლოდ საგნების გრძნობადი წარმოდი დ ე ნ ე ბ ი,
უპირველეს ყოვლისა, დრო და სივრცე, ამათ შესახებ და
ყველა მოვლენის შესახებ, საერთოდ მე ვამტკიცებ, რომ
ისინი საგნები არ არიან, და არც საგნებისადმი თავისთვალ
მიკუთვნილი გარკვეულობანი. სიტყვა ტრანსცენდენ-
ტალური, რომელიც ჩემთან არ გამოხატავს ჩვენი შემეც-
ნების დამოკიდებულებას ნივთებისადმი, არამედ მხოლოდ
შემეცნების უნარისა და მი, მე იმიტომ ვიხმარე;
რომ ამ გაუგებრობიდან განვეთავისუფლებინე, მაგრამ
როგორც ეტყობა, მან ეს სამსახური ვერ გამიწია, ამიტომ
მე იგი უკან მიმაჭვს და მსურს ჩემს თვალსაზრის კრა-
ტიკული ვუწოდო, თუ ის არის უარსაყოფი იდეალიზმი,
რომელმაც ნამდვილი საგნები უბრალო წარმოდგენებად
გადააჭირა, მაშინ რა სახელწოდება უნდა ჰქონდეს ისეთ

თვალსაზრისს, რომელიც, პირუკუ, უბრალო წარმოდგენებს საგნებად აქცევს? ასეთს იდეალიზმს, მე ვფიქრობ, მაგრავი ვი იდეალიზმი უნდა ვუწოდოთ, განსასხვავებლად პირველისაგან, რომელიც მეოცნებე იდეალიზმი იქნება. ორივე კი ალაგმულია ჩემი ე. წ. ტრანსცენდენტალური, უკეთ თუ ვიტყვით, კრიტიკული იდეალიზმის მიერ.

ძირითადი ტრანსცენდენტალური საკითხების

მეორე ნაწილი.

როგორ არის შესაძლებელი ფანდა გუნდებათმეცნიერები?

§ 14

ბუნება არის არსებობა ნივთებისა, რამდენადაც იგი გარკვეულია ზოგადი კანონების მიერ. ბუნება რომ ყოფილიყო არსებობა ნივთებისა თავისთავად, მას ჩვენ ვერასდროს ვერც *a priori* და ვერც *a posteriori* შევიმეცნებდით. აპრიორულად ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიკოდეთ, თუ რა მიეკუთნება ნივთებს თავისთავად, ესენი ხომ ჩვენი ცნებების დანაწევრებით (ანალიზური გზით) არასდროს არ მიიღებიან; მე არასდროს არ შემიძლია ვიკოდე, თუ რას შეიცავს ჩემი ცნება ამათუმ ნივთზე (ეს ეკუთვნის მის ლოგიკურ არსებას), არამედ მხოლოდ ის, თუ ნივთის სინამდვილისაგან რა არის მიკუთვნილი მისი ცნებისაღმი, რითაც თვითონ ნივთის არსებობა ჩემი ცნების გარეშეა განსაზღვრული. ჩემი განსჯა და ის პირობები, რომლებიც მან ნივთის გაურკვევლობაში მათ არსებობას შეუძლია დაუკავშიროს თვით ნივთებს არავითარ წესებს არ უკარნახებს. ესენი ჩემი განსჯის მიხედვით კი არ მოქმედებენ,

არამედ ჩემი განსჯა მოქმედებს მათი მიხედვით, მაშა-
სადამე, ისინი მე მოცემული უნდა მქონდენ მანამ — სანამ
მე მათგან გარკვეულობებს ავიღებდე; ე. ი. მათი აპრიო-
რული შემეცნება შეუძლებელია.

ასეთი შემეცნება ნივთისა თავისთავად აპოსტერი-
ორულადაც შეუძლებელია. თუ ცდამ მე უნდა მასწავ-
ლოს კანონები, რომლებიც მე ნივთების თავისთავად
არსებობას გამაცნობენ, მაშინ, ცხადია, რომ ეს კანონები,
რამდენადაც ისინი შეეხებიან საგნებს თავისთავად,
ჩემი ცდის გარეშეც მათ აუცილებლად უნდა მიეკუ-
თვნონ. ცდა კი მე თუმცა მასწავლის, რა არის და როგორ
არის, მაგრამ არასოდეს იმას არ მასწავლის, რომ ეს აუ-
ცილებლობის მიხედვით ასეა, და სხვაგვარად ყოფნა არ
შეუძლია. მაშასადამე, ცდას არ შეუძლია მასწავლოს მფ-
ბუნება ნივთისა თავისთავად.

§ 15

მაგრამ ჩვენ ხომ ნამდვილად მოგვეპოვება წმინდა
ბუნებათმეცნიერება, რომელიც აპრიორულია და ყველა
იმ აუცილებლობით აღჭურვილია, რაც აპოდიქტურ დე-
ბულებებს ახასიათებს და ისეთს კანონებს შეიცავს;
რომლებსაც ბუნება ექვემდებარება. მე აქ მოწმედ უნდა
დავასახელო ბუნებისმეტყველების ის პროცედევტიკა,
რომელიც ზოგადი ბუნებათმეცნიერების სახელით ყოველ
ემპირიულად დასაბუთებულ ფიზიკას წინ უსწრებს. აქ
ჩვენ ვნახულობთ მათემატიკას, გამოყენებულს მარტო
დისკურსიულ დებულებებზე, მოვლენებზე, რომლებიც
წმინდა ბუნებათმეცნიერების ფილოსოფიურ ნაწილს შე-
ადგენენ. მაგრამ მასში ისეთი რამეც არის, რაც ცდის
წყაროებისაგან მთლად დამოუკიდებელი არ შეიძლება:
იყოს; ასეთია ცნება მოძრაობისა, შეუვალობისა.

(ამაზეა დამყარებული ემპირიული ცნება მატერიისა), ინ ერ ციისა და სხვა. ესენი განსაზღვრავენ იმ გარე-მოებას, რომ მას მთლად წმინდა ბუნებათმეცნიერება არ შეგვიძლია ვუწოდოთ, გარეშე ამისა, იგი შეეხება გარე-განი გრძნობის საგნებს, ე. ი. ვერ იძლევა ვერც ერთ მაგალითს, რომელიც ზუსტად ამართლებდეს წმინდა ბუნებათმეცნიერებას. იგი ეხება ბუნებას საერთოდ და ალაგებს მას ზოგადი კანონების მიხედვით და ამ დროს არ ერკვივა იმაში, თუ როგორია მისი საგანი, არის იგი გარეგანი, თუ შინაგანი გრძნობის (ე. ი. ფიზიკის თუ ფსიქოლოგიის) საგანი, მაგრამ ზოგადი ფიზიკის დებუ-ლებებს შორის გვხვდება დებულებები, რომლებიც მარ-თლა აკმაყოფილებს ჩვენ მიერ მოთხოვნილ პირობებს და მართლაც ზოგადობას შეიკავენ, ასეთია დებულებები: სუბსტანცია არსებობს და არის მყარი; ყო-ველივე, რაც კი ხდება, გამოწვეულია, ყოველთვის ერთი გარევიული მიზეზით, წინასწარ გარკვე-ულია კანონების მიერ და სხვ., ესენი არიან, მართლაც და ნამდვილი ბუნების ზოგადი კანონები და არსებო-ბენ საკისებით აპრიორულად. მაშასადამე, წმინდა ბუნე-ბათმეცნიერება სინამდვილეში არსებობს და საკითხია მხოლოდ, როგორ არის იგი შესაძლებელი?

§ 16

მაგრამ, სიტყვა ბუნებას სხვა მნიშვნელობაც გააჩნია, ეს ის მნიშვნელობაა, რომელიც ობიექტს არკვევს, და საგნების არსებითს გარკვეულობათა კანონზომიე-რებას იძლევა. ბუნება, მაშასადამე, განხილული materialiter არის კრებადობა ცდის ყველა საგანთა. ბუნების ისეთ გაგებასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე, რომლის გარეშე ნივთები არასდროს ცდის საგნები არ გახდებიან,

თუმცა შეიძლება ცნების სახით ჩამოვაყალიბოთ, მაგრამ მათი მნიშვნელობა (ე. ი. შესაძლებელი კდის რომელსამე მაგალითში) ჩვენ არასდროს ხელთ არ გვექნება და, მაშასადამე, მათი ბუნების შესახებ ჩვენ თუმცა ცნებები გვექნება, მაგრამ არაფერი გვეცოდინება მათს რეალობაზე, ე. ი. საკითხზე, ისინი მართლა მიმართული არიან საგანზე, თუ მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი იყვნენ, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით. ის, რაც არ შეიძლება გახდეს კდის საგანი, მისი შემეცნება ჰიპერფიზიკური იქნებოდა და ჩვენ კი ასეთებთან არ გვაქვს აქ საჭმე, არამედ ბუნების შემეცნებასთან, რომლის რეალობა ცდით შეიძლება იყოს შემოწმებული, თუმცა ის შესაძლებელია აპრიორულად და წინ უსწრებს ყოველ ცდას.

§ 17

მაშასადამე, ბუნების ფორმალური მხარე ამ ვიწრო მნიშვნელობით არის ცდის საგნების კანონზომიერება, და რამდენადაც ეს ფორმალური აპრიორულად შეიმეცნება, იმდენად არის იგი ბუნების აუცილებელი კანონზომიერება. მაგრამ სწორედ ახლა იქნა დალაგებული, რომ რამდენადაც კანონები საგანზე განხილულია არა შესაძლებელი ცდის დამოკიდებულებაში, არამედ როგორც ნივთები თავისთავად, იმდენად მათი აპრიორული შემეცნება შეუძლებელია. აქ კი ჩვენ საჭმე გვაქვს არა ნივთებთან თავისთავად (მათს ამ თვისებას ჩვენ აქ ყორადღებას არ ვაქცევთ), არამედ უბრალოდ ნივთებთან, რამდენადაც ეს ნივთები შესაძლებელი ცდის საგნებს შეადგენენ. ამ ნივთების კრებადობას ვუწოდებთ ჩვენ აქ ბუნებას. და თუ მე ვიკითხავ აპრიორულად ბუნების შემეცნების შესაძლებლობაზე. მაშინ უმჯობესია ამოცანა შემდეგნაირად დავაყენოთ: როგორ არის შესა-

ლებელი ნივთების, როგორც ცდის საგნების კანონზომიერება? ანდა როგორ არის შესაძლებელი აპრიორულად შევიმეცნოთ თვით (კადის უფილებელი კანონზომიერება ყველა მისი საგნის მიმართ)?

ამ საკითხის გადაწყვეტა, რა სახითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ იგი, წმინდა ბუნების შემეცნების მიმართ (რაც საკითხის საფუძველს შეადგენს) ერთი და იგივე დარჩება. სუბიექტური კანონები, რომელთა მეშვეობითაც ნივთების ცდისეული შემეცნება შესაძლებელია, ძალაში რჩებიან აგრეთვი მიმართ ამ ნივთებისა, როგორც შესაძლებელი ცდის საგნებისა (რასაკვირველია, არა ისე, როგორც ნივთების მიმართ თავისთავად, მაგრამ ამაზე აქ არც არის ლაპარაკი). ეს სავსებით სულ ერთია, თუ მე ვიტყვი: თუ არა გვაქვს კანონი, რომლის მიხედვითაც ყოველივე შემთხვევის აღქმა ისეთ რამეზეა დაყრდნობილი, რაც მას წინასწარ ნაგულისხმევი უნდა ჰქონდეს, ისე შეუძლებელია აღქმის მსჯელობას ცდისათვის ძალა გააჩნდეს, თუ ვიტყვი: ყველაფერს, რის მოვლინებაზე ცდა გვასწავლის, უთუოდ მიზეზი უნდა გააჩნდეს მეთქი.

უმჯობესი კი არის, თუ პირველს ფორმულას ავირჩევთ. თუმცა ჩვენ აპრიორულად ყველა მოცემულ სავნამდე შეგვიძლია გაგვაჩნდეს შემეცნება ყველა იმ პირობისა, რომელთა გათვალისწინების პირობებში შესაძლებელია ცდა, მაგრამ არასდროს არ გვექნება შემეცნება იმ კანონებისა, რომლებსაც ის ექვემდებარება გარეშე შესაძლებელი ცდის გათვალისწინებისა, ასე ვთქვათ, თავისთავად. სწორედ ამიტომ ნივთების ბუნება აპრიორულად სხვაგვარად არ შეგვიძლია შევისწავლოთ, თუ არა იმ პირობებისა და ზოგადი კანონების (თუმცა სუბიექტურის) გამორკვევით, რომელთა მეშვეობითაც ასეთი შემეცნება (მისი ფორმების მიხედვით), როგორც ცდა, შესაძლე-

შელია. ამით კი ნივთების შესაძლებლობაც როგორც ცდის საგნებისა, გაირკვევა. თუ მე აკირჩევ საკითხის მეორე ფორმას და იმ აპრიორული პირობების ძებნას დავიწყებ; რომელთა შეშვეობით ბუნება ა შესაძლებელია, როგორც კდის საგანი, მაშინ შეიძლება მე აღვილად ჩავიტრინი გაუგებრობაში და წარმოვიდგინო, ვითომც ჩემი მოვალეობა იყოს ვილაპარაკო ნივთებზე თავისთვად; ამით, რასაკვირკველია, მე უნაყოფოდ ვიტრიალებდი უსასრულო ფაცაფუცში და ისეთი ნივთებისათვის დავიწყებდი კანონების გამონახვას, რომლებისაც მე არაუერი გამაჩნია.

— მაშასადამე, ჩვენ აქ საქმე გვექნება მხოლოდ ცდასთან, მისი შესაძლებლობის ზოგად და აპრიორულად მოცემულ პირობებთან და აქიდან გამოსული შევიცდებით გავარკვით ბუნება, როგორც შესაძლებელი ცდის მთლიანი საგანი. ვფიქრობ, რომ მე გამიგებენ: მე აქ ბუნებაზე და კვირვების წესებს კი არ ვგულისხმობ, რომლებიც უკვე მოცემული არიან და ცდის არსებობას წინასწარ გულისხმობენ, (ე. ი. ჩვენთვის ბუნებისაგან კანონებს კი არ სწავლობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ესენი არ იქნებოდენ აპრიორული კანონები და წმინდა ბუნებათ-მეცნიერებას ვერ მოგვცემდენ), არამედ იმას, თუ როგორ არიან კდის შესაძლებლობის აპრიორული პირობები შესაძლებელნი და იმავე დროს არიან წყაროებიც, რომლისაგანაც ბუნების ყველა ზოგადი კანონი გამომდინარეობს.

§ 18

ამრიგად ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ყველა ცდისეული მსჯელობა ემპირიულია, ე. ი. მათ საფუძველი გრძნობების უშუალო აღჭრებში, აქვთ,

მაგრამ, პირუკმო, ეს ძალაში არ არის, ყველა ემპირიული მსჯელობა ცდისეული მსჯელობა არაა, არამედ მათ ზეები პირიულად და, საერთოდ, ზეგრძნობადი მსჯელობის გზით მოკემული განსაკუთრებული ცნებები უნდა დაუმატოს, რომელთა დასაბამი სავსებით წმინდა განსჯაშია მოთავსებული და რომელსაც ყოველი აღქმა სუბსუმირების წესით უნდა დაიჩვემდებაროს და ამის საშუალებით კვდად გადაიქცივა.

ე მ პ ი რ ი უ ლ ი შ ს ჯ ე ლ ო ბ ა ნ ი, რ ა მ დ ე-ნ ა დ ა ც მ ა თ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი გ ა ვ ლ ე ნ ა გ ა ა ჩ ნ ი ა თ, ც დ ი ს ე უ ლ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ნ ი ა რ ი ა ნ; ისეთებს კი, რომლებსაც მხოლოდ სუბიექტური გა ა ვ ლ ე ნ ა აქვთ, მე უბრალოდ აღქმითს მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ს ვუწოდებ, ამ უკანასკნელთ წმინდა განსჯითი ცნება კი არ სჭირდებათ, არამედ მხოლოდ აღქმათა ლოგიკური დაკავშირება მოაზროვნე სუბიექტში. პირველთათვის კი აუცილებელია გრძნობადი განჭვრეტის წარმოდგენაზე ზემდგომი, განსჯაში დასაბამი დანვე წარმოშობილი ცნება, რომლის გამო ცდისეულ მსჯელობას ობიექტური გა ვ ლ ე ნ ა გააჩნია.

ყველა ჩვენი მსჯელობა, უწინარეს ყოვლისა მხოლოდ აღქმითი მსჯელობაა, იმათ გავლენა აქვთ ჩვენთვის, ე. ი. ჩვენი სუბიექტისათვის და ამის შემდეგ მაძლევენ მე ახალ დამოკიდებულებას, სახელდობრ, ობიექტისას, და ცდილობენ, რათა ჩვენს მიმართ და ამასთან ყველა სხვა სუბიექტის მიმართ ყოველთვის ძალაში რჩებოდენ. თუ ერთი მსჯელობა შესატყვისებულია საგანთან, მაშინ ცხადია, რომ ყველა მსჯელობა ამ საგნის შესახებ თავიანთ შორისაც შესატყვისებული უნდა იყვნენ; ამიტომ ცდის სეული მსჯელობის ობიექტური გავლენა ყოველთვის

ნიშნავს მის ზოგად გავლენიანობასაც, ეს პირუკმოც სწორია, თუ ჩვენ საფუძველი გვაქვს ესათუის მსჯელობა აუცილებლივ ზოგად გავლენიანად მივიჩნიოთ (რომელიც არასდროს არ შეიძლება აღწმას ემყარებოდეს, არამედ მხოლოდ წმინდა განსჯითს (კნებას, რომლის ქვეშ აღწმას სუბსუმირებული), მაშინ ჩვენ იგი ობიექტურადაც უნდა ჩავთვალოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამოთქვამს არა მარტო აღწმის დამოკიდებულებას სუბიექტისადმი, არა მედ საგნის აგებულებასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ უნდა ყოფილიყვნენ სხვების მსჯელობანი აუცილებლივ ჩემს მსჯელობასთან შესატყვისებულნი; საგნის მთლიანობა რომ არ ყოფილიყო, რომელსაც ეს მსჯელობები დაეყრდნობოდენ და რომელსაც შეესატყვისებოდენ, მათ ხომ თავიანთ შორისაც არ შეეძლო შესატყვისება.

§ 19

ამიტომ ობიექტური გავლენა და აუცილებელი ზოგადი გავლენიანობა (ყველასათვის) ერთმანეთის შემცვლელი ცნებებია, თუმცა ჩვენ იმ თავითვე ობიექტს თავისთვად არ ვიცნობთ, მაგრამ როცა მსჯელობას აუცილებლობას და ამით ზოგად გავლენასაც მივაწერთ, მაშინ აქ უსათუოდ ობიექტური გავლენა გვესმის. ამ მსჯელობით ჩვენ შევიმეცნებთ ობიექტს (თუმცა სხვა გზებით მისი თავისთვად არსებობა შეუცნობელი დარჩებოდა) მოცემული აღწმების აუცილებელი და ზოგად გავლენიანი კავშირების საშუალებით; რადგან ეს ასე ხდება გრძნობის ყველა საგნის მიმართ, ამიტომ ცდისეული მსჯელობები თავიანთ ობიექტურ გავლენას საგნის უშუალო შემეცნებისაგან (ეს ხომ შეუძლებელია) კი არ ღებულობენ, არამედ მხოლოდ გმპირიული მსჯელობის ზოგად გავლენიანობის პიროვნეულების დარღვევობის გამო.

ბისაგან. ეს კი ოოგორუ უკვე თქმულია, არ
შეიძლება ემპირიული, საერთოდ გრძნობადი პირო-
ბისაგან წარმოსდგებოდეს, არამედ მხოლოდ შმინდა
განსჯითი ცნებისაგან. ობიექტი თავისთავად ყოველთვის
უცნობი რჩება. თუ განსჯითი ცნების მიერ გრძნობისად-
მი მიცემული წარმოდგენების ერთმანეთან დაკავშირე-
ბა გარკვეულია, ოოგორუ ზოგად გავლენიანი, მაშინ
ამ დამოკიდებულებით საგანიც გარკვეულია და შესაფე-
რისი მსჯელობა კი ობიექტური.

მე მინდა ეს განვმარტო: ოთახი რომ თბილია, შაქა-
რი რომ ტკბილია, ამპარტავნობა რომ დასაგმობია, *) ყველა
ეს მხოლოდ სუბიექტური გავლენის მქონე მსჯელობებია. აქ
მე არ მოვითხოვ, რომ ყოველი ეს ყველა დროისათვის
და ყველა სხვა ადამიანისათვის ასე იყოს, ესენი გამოხა-
ტავენ ორი შეგრძნების დამოკიდებულებას ერთი და
იმავე სუბიექტის მიმართ, ე. ი. ჩემს მიმართ და ისიც
ჩემი აღქმების მხოლოდ ახლანდელი მდგომარეობის შე-
მართ, ამიტომ მათ არავითარი გავლენა არა აქვთ ობი-
ექტის მიმართ. სწორედ ასეთებს ვუწოდებ მე აღქმითს

*) მე ვაცხადებ სიამოვნებით, რომ ეს მაგალითები ისეთს აღ-
ქმითს მსჯელობებს არ წარმოადგენენ, რომლებიც ყოველდროს
შეიძლება ცდისეულ მსჯელობებად გადაიქცნენ, თუ კი მათ ერთ განს-
ჯითს ცნებასაც მოეუმატებდით. ე. ი. რადგან ისინი ყოველთვის
განცდაზე, იმაზე, რასაც ყოველი კაცი სუბიექტურად ღებულობს და
ობიექტს არას გზით არ მიეკუთვნება, არიან დამოკიდებული, ამიტომ
არასდროს არ შეიძლება ობიექტური იყვნენ. აქ მე მინდოდა მხო-
ლოდ ისეთი მაგალითი მეჩვენებინა, რომლის დროსაც მსჯელობას
მხოლოდ სუბიექტური გავლენა აქვს და არავითარ საფუძველს არ
შეიცავს არც ზოგადი გავლენიანობისათვის და არც ობიექტზე აუ-
ცილებელი დამოკიდებულებისათვის. ისეთი აღქმითი მსჯელობის
მაგალითი კი, რომელსაც განსჯითი ცნების მიმატებით, ცდისეულ
მსჯელობად გადავაჭცევთ, განხილული იქნება შემდეგ შენიშვნაში.

მსჯელობებს. სულ სხვაგვარი გარემოებაა ცდისეული მსჯელობა, რასაც ცდა მე გარკვეულს პირობებში მასწავლის, იგივე უნდა მასწავლის მან მე და ყველა სხვას ყველა სხვა დროსაც და მისი გავლენა არ არის სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობით შემოფარგლული. ამიტომ ასეთ მსჯელობებს მე ობიექტურ გავლენას მივაწერ; მაგ., თუ მე ვიტყვი: ჰაერი ელასტიკურია, ეს მსჯელობა უპირველეს ყოვლისა აღქმითი მსჯელობაა, მე აქ არი შეგრძნება ჩემს გრძნობაში ერთმანეთან ურთიერთობაში მომყავს. თუ მე მინდა, რომ ეს ცდისეული მსჯელობა იყოს, მაშინ მე უნდა მოვითხოვო, რომ ეს დაკავშირება ისეთს პირობას დაექვემდებაროს, რომელიც მას ზოგად გავლენიანად გადააქცევს. მე მსურს, მაშასადამე, რომ მე და სხვა ვინმე ყოველთვის და ყოველ დროს ამავე აღქმას ამავე პირობების დაცვით აუცილებლად ასე დავაკავშირებდეთ.

§ 20

ამიტომ ჩვენ ცდა უნდა გავაანალიზოთ საერთოდ, რათა შევიტყოთ, თუ რას შეიცავს ეს გრძნობებისა და განსჯის პროდუქტი და როგორ არის შესაძლებელი თვითონ ცდისეული მსჯელობა. მას საფუძვლად უდევს მჭვრეტელობა, რომელიც ჩემთვის ცნობიერია, ე. ი. აღქმა (perception), რომელიც გრძნობებს ეკუთვნის. მაგრამ მეორეს მხრივ, იგი ეკუთვნის მსჯელობას, რომელიც განსჯას მიეწერება. ეს მსჯელობა შეიძლება იყოს ორგვარი: ერთი, თუ მე აღქმებს ერთმანეთს შევადარებ ჩემი ცნობიერების მდგომარეობაში და მეორე, თუ მე მათ ერთმანეთს დავაკავშირებ ცნობიერებაში საერთოდ. პირველი მსჯელობა არის უბრალო აღქმითი მსჯელობა და აქვს ამდენად მხოლოდ სუბიექტური გავლენა. ეს არის მხოლოდ აღქმათა დაკავშირებების შემთხვევა.

შირება ჩემი ნიჭის მდგომარეობაში, საგანთან ყოველივე დამოკიდებულების გარეშე. ამიტომ არ არის ცდისათვის საკმარისი (როგორც ამას საყოველთაოდ ჩადიან) აღქმების ერთმანეთთან შედარება და მათი რომელსამე ცნობიერებაში მსჯელობის მეშვეობით ერთმანეთზე დაკავშირება, ამ გზით არ წარმოიშობა მსჯელობის ზოგადგავლენიანობა. და აუცილებლობა, უამისოდ კი არ შეუძლია მას ობიექტური გავლენის შობოება ე. ი. ცდად ყოფნა.

მაშასადამე, სანამ აღქმიდან ცდა აშენდებოდეს, მანამ სულ სხვა მსჯელობა უკვე უნდა არსებობდეს. მოცუმული მჭვრეტელობა ცნების ქვეშ უნდა იქნას სუბსუმირებული. ეს ცნება არის განმსაზღვრელი მსჯელობის ფორმისა მჭვრეტელობის მიმართ, ე. ი. ის, რაც ამ უკახასკნელის ემპირიულ ცნობიერებას ცნობიერებაში საერთოდ დაკავშირებს და ამით ემპირიულ მსჯელობას ზოგადგავლენიანობას მიანიჭებს. ასეთი ცნება არის აპრიორული წმინდა განსჯითი ცნება, რომელიც სხვას არა-ცერს აკეთებს, გარეშე იმისა, რომ მჭვრეტელობას გზას უჩვენებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი მსჯელობისათვის. თუ, მაგ., ასეთი ცნება არის მიზეზის ცნება, მაშინ იგი არკვევს იმ მჭვრეტელობას, რომელიც ამ ცნებაშია სუბსუმირებული. მაგ., ასეთია ჰაერის მჭვრეტელობა მსჯელობის მიმართ საერთოდ, სახელმობრი ის, რომ ჰაერის ცნება განძაბვის მიმართ, როგორც მიმართება წინამძღვარისა თანამომდევნოსთან, გამოიხატება ჰაპო-თეზურ მსჯელობაში. მაშასადამე, მიზეზის ცნება წმინდა განსჯითი ცნებაა, რომელიც ყველა შესაძლებელი აღქმისაგან სავსებით განსხვავებულია. იგი იმას ემსახურება, რათა მასში მოქცეული წარმოდგენა მსჯელობის მიმართ, საერთოდ გაარკვიოს და ამით ზოგადგავლენიანი მსჯელობა შესაძლებელი გახადოს.

მაგრამ, სანამ აღქმითი მსჯელობისაგან ცდის მსჯელობა წარმოსდგებოდეს, მანამ აუცილებელია, რათა აღქმა განსჯითი ცნების ქვეშ სუბსუმირებული იყოს. მაგ., ჰაერი მიეკუთვნება მიზეზის ცნებას და ეს ცნება არკვევს მსჯელობას მის განთვენილობის შესახებ და აძლევს მას ჰიპოთეზურ სახეს. *) ამის მეშვეობით ეს განუენილობა ისე კი არ არის წარმოდგენილი, თითქოს იგი იყოს ჰაერის აღქმა ჩემს მდგომარეობაში; თუ სხვების ამგვარ მდგომარეობაში, არამედ იგი არის წარმოდგენილი, როგორც ჰაერისადმი აუცილებლად მიკუთვნილი გარემოება; მსჯელობა: ჰაერი არის ელასტიკური, იქნება ზოგადგავლენიანი და მხოლოდ ამით ცდისეული მსჯელობა; ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი რიგი მსჯელობები წინასწარ უნდა არსებობდეს, რათა ჰაერის მჭვრტლელობა მიზეზისა და შედეგის ცნების ქვეშ სუბსუმირებულ იქნას, რომლის მეშვეობითაც აღქმა უბრალოდ ერთომეორის შემდეგ კი არ უნდა მიმდინარეობდეს ჩემს სუბიექტში, არამედ მსჯელობის ფორმის მიხედვით (ჩვენს შემთხვევაში ჰიპოთეზურია იგი) საერთოდ უნდა იყოს გარკვეული. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ემპირიულმა მსჯელობამ ზოგადგავლენიანობა მოიპოვოს.

*) ადვილად გასაგები მსჯელობის მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ შემდეგი: თუ მზე ქვას ანათებს, ქვა გათბება. ეს მსჯელობა არის უბრალოდ აღქმითი მსჯელობა და არავითარ აუცილებლობა, არ შეიცავს. მე შემიძლია ეს მოვლენა ძალიან ბევრჯერ აღვიწევა და სხვებსაც შეუძლიათ ამის ბევრჯერ აღქმა. ყველა შემთხვევაში აღქმა ჩვეულებისამებრ ასეთსავე კავშირში იქნება მოცემული. მაგრამ მე თუ ვიტყვი: მზე ათბობს ქვას, აქ აღქმას წინ უსწრებს განუჯითი ცნება მიზეზისა, რომელიც მზის განათების ცნებას აუცილებლობის მიხედვით აკავშირებს სითბოს ცნებასთან. ამიტომ ეს სინთეზური მსჯელობა აუცილებლივ ზოგადგავლენიანია, მაშა-ქადამე, ობიექტურია და აშიტომ აღქმას აქცევს ცდად.

უველა სინთეზურ მსჯელობას თუ დავანაწევრებთ, რამდენადაც მათ ობიექტური გავლენა აქვთ, ენახავთ რომ ისინი მარტო მჭვრეტელობისაგან არასდროს არ შედგებიან (როგორც ვიცით, მჭვრეტელობანი მსჯელობაში უბრალო შედარებით უკავშირდებიან ერთმანეთს), ისინი სავსებით შეუძლებელნი იქნებოდენ, რომ მჭვრეტელობიდან განსხვავებული წმინდა განსჯითი ცნება არ მიმატებოდა, რომლის ქვეშ ის ცნებები სუბსუმირებული იქნებოდენ და ამის შემდეგ ობიექტურ გავლენიან მსჯელობაში ერთმანეთს დაუკავშირდებოდენ. თვით წმინდა მათემატიკის მსჯელობანი მათი უმარტივესი აქსიომებითაც კი ამ პირობიდან გამონაკლისს არ შეაღენენ. დებულება: სწორი ხაზი უმოკლესია ორ წერტილს შორის, წინასწარ გულისხმობს, რომ ხაზი სიღიდის ცნების ქვეშ სუბსუმირებულია და ეს, ცხადია, უბრალო მჭვრეტელობაარ არის, არამედ თავისი ადგილი განსჯაში გააჩნია და იმას ემსახურება, რათა ხაზის მჭვრეტელობა გაარკვიოს მის შესახებ შესრულებული მსჯელობის თვალსაზრისით, მიზნით მსჯელობის ქვანტიტეტის გამოკვლევისა, სახელდობრ სიმრავლისა (როგორც *iudicia plurativa* *), რომელიც გულისხმობს რომ მოცემულ მჭვრეტელობაში შეთავსებულია ბევრი ერთნაირი.

*) მე მირჩევნია ასეთი სახელწოდება მივცე იმ მსჯელობებს, რომლებსაც ლოგიკაში particularia-ს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ტერმინი შეიცავს აზრს, რომ ისინი ზოგადი არ არიან. თუ მე ერთიანობას თავი გავანებე და სავსეობას მივუხლოვდი, მაშინ მე არ შემიძლია აქ რაიმე დამოკიდებულება სავსეობის მიმართ საქმეში ავტიო: მე ვაზროვნებ მხოლოდ სიმრავლეს სავსეობის გარეშე და არა რაიმე გამონაკლისს აშ მდგომარეობიდან. ეს კი აუცილებელია, რათა მე წნინდა განსჯითს ცნებებს ლოგიკური მომენტები მივსცე საფუძვლად; უბრალო ლოგიკური მოხმარების დროს კი შესაძლებელია ყოველივე ეს ძველებურად დავტოვოთ.

§ 21

მაშასადამე, ცდის შესაძლებლობა, რამდენადაც ეს შესაძლებლობა წმინდა განსჯითს ცნებას a priori ემყარება, რომ დავალაგოთ, წინასწარ უნაკლო ცხრილის საწით უნდა ჩამოვაყალროთ ის, რაც მსჯელობას საერთოდ ეკუთვნის და რაც განსჯის სხვადასხვა მომენტს იძლევა მასში. წმინდა განსჯითი ცნებები, რომლებიც მხოლოდ მჭვრეტელობის ცნებების და ამათუიმ მომენტის მიხედვით მსჯელობაში გარკვეული არიან, როგორც აუცილებელი და ზოგადგავლენიანი, რასაკვირველია, მჭვრეტელობის მიმართ პარალელურად შეიძლება მოთავსდენ. ამით კი აპრიორული პრინციპები ყოველივე ცდის შესაძლებლობაზე, როგორც ობიექტურად გავლენიანი ემპირიული შემეცნების საფუძველი, სავსებით ზუსტად ჩამოყალიბდებიან. ისინი ხომ მხოლოდ ისეთი დებულებანი არიან, რომლებიც ყველა აღქმას (მჭვრეტელობის ზოგად პირობებთან შეთანხმებით) წმინდა განსჯითი ცნებების ქვეშ ასუბსუმირებენ.

მსჯელობათა ლოგიკური ცხრილი.

1. კვანტიტეტის მიხედვით

1. ზოგადი.
კერძოობითი.
მშოლოობითი

2. კვალიტეტის მიხედვით.

- პოულფითი
უარყოფითი
უსასრულო.

3. რელაციის მიხედვით.

- კატეგორული
ჰიპოთესური
დისიუნქტური.

4. მოდალობის მიხედვით.

- პრობლემატური
ასერტორული
აპოდიქტური.

**განსჯითი ცხვებების (კატეგორიების)
ორანეცხლებითადური ცხრილი.**

1. კვანტიტეტის მიხედვით.

ერთიანობა (ზომა)
სიმრავლე (სიღიღე)
საყსებობა (შთლიანობა).

2. ქვალიტეტის მიხედვით. 3. რელაციის მიხედვით.

რეალობა	სუბსტანცია
ნეგაცია	მიზეზი
განსაზღვრა.	ურთიერთობა.

4. მოდელობის მიხედვით.

შესაძლებლობა
არსებობა
აუცილებლობა:

**ბულებათშეცნობებების ზოგადი დეფულებების
ჭრის და ფიზიკურ და გარემონტირებული ცხრილი.**

1. მატერიალობის
აქსიომები.

2. აღმას
ანტიპაციები.

3. ცდის
ანალიზიები.

4. პოსტულატები

ემპირიული ასროვნებისა- საერთოდ.

§ 21a

ყველაფერი აქამდე ნათქვამი ერთ ცნებად რომ დავა-
გროვოთ და იგი მკითხველს გავახსნოთ, ნათელი იქ-
ნება, რომ აქ ცდის წარმოშობაზე კი არ არის ლაპარაკი,
არამედ იმაზე, რაც ცდაში დევს. პირველი ეკუთვნის ემ-
პირიულ ფსიქოლოგიას და მას მეორისაგან დამოუკიდებ-
ლად (მეორე კი შემეცნების და, განსაკუთრებით, განსჯითი
ქრიტიკას ეკუთვნის) არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

ცდა შედგება მჭვრეტელობისაგან, რომელიც გრძნობის კუთვნილებაა, და მსჯელობისაგან, რომელიც მხოლოდ განსჯის საქმეს შეადგენს. ის მსჯელობაზი კი, რომლებსაც განსჯა გრძნობადს მჭვრეტელობაზე აკეთებს, ჯერ კი-დევ არ არიან ცდისეული მსჯელობანი. იგი რომ ასეთი ყოფილიყო, მაშინ ერთს შემთხვევაში ცდა მხოლოდ აღ-ქმებს იმგვარად დააკავშირებდა, როგორც ისინი გრძნო-ბადს მჭვრეტელობაში მოცემული არიან, მეორე შემ-თხვევაში კი მსჯელობამ უნდა გვითხრას, თუ რა არის ცდა საერთოდ, რას შეიცავს იგი, ე. ი. მან უნდა გვით-ხრას მეტი, ვიდრე უბრალო აღქმა შეიცავს, რომლისა გავლენა მხოლოდ სუბიექტური ბუნებისა არის. ცდისე-ულმა მსჯელობამ, მაშასადამე, უნდა გვითხრას რამე, როგორც გრძნობადს მჭვრეტელობაზე, ისე მის ლოგი-კურ დაკავშირებაზე, მან მსჯელობაში ის რაღაც უნდა შემოიტანოს, რაც სინთეზურ მსჯელობას აუცილებლო-ბას და აქიდან ზოგადგავლენიანობას მიანიჭებს, და ეს შეიძლება იყოს ის ცნება, რომელიც მსჯელობის ერთი ფორმის მჭვრეტელობას უკეთესად წარმოიდგენს, ვიდრე მეორისას, ე. ი. იგი უნდა იყოს ცნება მჭვრეტელობათა იმგვარ სინთეზურ მთლიანობაზე, რომლის წარმოდგენა უსაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ მსჯელობის ლოგიკური ფუნქციის მეშვეობით.

§ 22

თუ შევაჯამებთ ნათქვამს, მივიღებთ: განჭვრეტა არის გრძნობების საქმე; აზროვნება კი განსჯის საქმეა. მაგრამ აზროვნება ნიშნავს წარმოდგენების ვაერთიანებას (კნო-ბიერებაში). ეს გაერთიანება შეიძლება იყოს შეფარდე-ბული სუბიექტზე და იქნება შემთხვევითი და სუბიექტუ-რი, ან იგი ხდება საყოველოთაოდ და არის აუცილებელი

და ობიექტური. ცნობიერებაში წარმოდგენების გაერთიანება არის მსჯელობა. მაშასადამე, აზროვნება ნიშნავს იმასვე, რასაც მსჯელობა, ან წარმოდგენების მეფელობაზე მიმართებას. ამიტომ მსჯელობები არიან ან სუბიექტურნი, ამ შემთხვევაში წარმოდგენები მარტო სუბიექტის ცნობიერებაზე არიან მიმართულნი და ცნობიერებაშივე გაერთიანებულნი, ან ისინი არიან ობიექტურნი, ე. ი. ცნობიერებაში საერთოდ აუცილებლობის მიხედვით არიან გაერთიანებულნი. ყველა მსჯელობის ლიოგიური მომენტები იმდენი სახეობისა შეიძლება იყოს, რამდენიც წარმოდგენების გაერთიანება ცნობიერებაში. თუ ისინი ცნებების როლს ასრულებენ, მაშინ ისინი ცნობიერებაში აუცილებელი გაერთიანების პრინციპები არიან. ე. ი. ობიექტური გავლენის მქონე მსჯელობათა პრინციპები. ეს გაერთიანება ცნობიერებაში ან ანალიზურია იგივეობის მეშვეობით, ან სინთეზური სხვადასხვა წარმოდგენის ერთმანეთზე მიმატებით და შეკავშირებით არის მიღებული. ცდა მდგომარეობს მოვლენების (აღქმების) სინთეზურ გაერთიანებაში ცნობიერების მეშვეობით და მათი აუცილებლობის გათვალისწინებით. ამიტომ წმინდა განსჯითი ცნებები ისინი არიან, რომელთა მიმართ ყველა აღქმა წინასწარ სუბსუმირებული უნდა იყოს. ამის შემდეგ შეუძლიათ მათ ცდისეული მსჯელობების მოვალეობა შეასრულონ; ცდისეულ მსჯელობაში კი აღქმების სინთეზური ერთიანობა წარმოიდგინება, რაგორც აუცილებელი და ზოგადგავლენიანი *).

*) მაგრამ დებულება, რომ ცდისეული მსჯელობანი თავიანთ აუცილებლობას აღქმათა სინთეზში უნდა ღებულობდენ, როგორ არის შეთანხმებული ჩემ მიერ ბევრჯერ გამახვილებულ დებულებასთან, რომ ცდას, რაოგორც აპოსტერიორულ შემეცნებას, მხოლოდ შემთხვევითი ცოდნის მოცემა შეუძლია? თუ მე ვიტყვი, ცდა რამეს

მსჯელობანი, რამდენადაც მათ განვიხილავთ, როგორც მოცემულ წარმოდგენების რომელსამე ცნობიერებაში გაერთიანების პირობებს, არიან წესები. ჩამდენადაც ეს წესები ამ გაერთიანებას აუცილებლივ იძლევიან, იმდენად არიან აპრიორული წესები, და რამდენადაც მათ ზევით არაფერი აღარ მოთავსდება, იმდენად ისინი ძირითადი დებულებანი იქნებიან. თუ ჩვენ ცდაზე მხოლოდ აზროვნების ფორმას განვიხილავთ და არა ცდისეული მსჯელობის იმ პირობებს, რომლებიც მოვლენებს განსჯითს ცნებებს უქვემდებარებენ და ემპირიულ მსჯელობას ობიექტურ გავლენას ანიჭებენ, მაშინ ყოველი ცდის შესაძლებლობის თვალსაზრისით ეს დებულებანი არიან შესაძლებელი ცდის აპრიორული დებულებანი.

შესაძლებელი ცდის ძირითადი დებულებანი ამავე დროს არიან ბუნების ზოგადი კანონები, რომელთა აპრიორული შემეცნებაა შესაძლებელი. ამიტომ ახლა ახსნილი გვაქვს ჩვენი მეორე საკითხი: როგორ არის შესაძლებელი წმინდა ბუნებათმეცნიერება? ის სისტემატურობა, რაც ამათუიმ მეცნიერების ფორმისათვის საჭიროა, აქ სავსებით მოცემულია..

მასწავლის, ვგულისხმობ, რასაკეირველია, აღქმას, რომელიც მასშია-მოთავსებული, მაგ., ქვის განათებას მზის მიერ ყოველთვის შედეგად გათბობა რომ მოჰყვება, აქ ცდისეული მსჯელობა შემთხვევითა. რომ ეს გათბობა მზის განათებიდან აუცილებლივ გამოიმდინარეობს, თვითმცა ცდისეულ მსჯელობაშია (მიზეზის ცნების მეშვეობით) მოქცეული, ამას შე ცდისაგან არ ვსწავლობ, არამედ პირიქით, თვით ცდა წარმოადგენს ამ განსჯითი ცნების დამატების (ე. ი. მიზეზის) ნაწარმოებს. თუ როგორ აღწევს აღქმა ამ მიმატებამდე, ამის შესახებ სრულს პასუხს ვნახავთ „წმინდა გონების კრიტიკაში“, თაურში ტანაცენდენტულური განსჯის უნარის შესახებ, გვერდი 137 და სხ..

შართლაც და, უკვე დასახელებული ყველა მსჯელობის ფორმალური პირობების გარდა, მაშასადამე, ყველა წე-
ტის გარდა, ე. ი. ყველა იმის გარდა; რასაც ლოგიკა იძ-
ლევა, აღარაფერი არ არის შესაძლებელი. ეს არის სრუ-
ლი ლოგიკური სისტემა, მასზე აშენებული ცნებანი ჭი,
რომლებიც ყველა სინთეზური და აუცილებელი მსჯე-
ლობისათვის აპრიორულ პირობებს იძლევიან, შეადგე-
ნენ ტრანსცენდენტალურ სისტემას და, დასასრულ, დე-
ბულებანი, რომელთა მეშვეობითაც ყველა მოვლენა ამ
ცნების ქვეშ არის სუბსუმირებული, შეადგენენ ფიზიო-
ლოგიურს, ე. ი. ბუნების სისტემას, რომელიც ყველა
ემპირიულ ბუნების შემეცნებას წინ უსწრებს, მის შე-
მეცნებას შესაძლებელს ხდის და ამიტომ სწორედ მას
ზოგადი და წმინდა ბუნებათმეცნიერება უნდა ეწოდოს.

§ 24

დასახელებულ *) ფიზიოლოგიურ დებულებათა პირვე-
ლი ძირითადი დებულება თავს უყრის ყველა მოვლენას;
როგორც მჭვრეტელობას დროსა და სივრცეში, სი-
დიდის ცნების ქვეშ და ამდენად არის პრინციპი მათე-
მატიკის გამოყენებისათვის ცდის მიმართ. მეორე ძირი-
თადი დებულება (ფიზიოლოგიური) თავს უყრის ემპირი-
ულს, სახელდობრ, შეგრძნებას, იმას რაც მჭვრეტელო-
ბის ჩეალობაა, მაგრამ არა სიდიდის ცნების ქვეშ:
შეგრძნება არ არის ისეთი მჭვრეტელობა, რომელიც
დროსა და სივრცეს შეიცავდეს, თუმცა მათ მიერ ნა-

*) მომდევნო სამი პარარაფი ძნელი გასაგები იქნება, თუ იმას
არ გავითვალისწინებთ, რასაც, „წმ. გონ. კრიტიკა“ ძირითადი დე-
ბულების შესახებ იძლევა. ამიტომ შესაძლებელია ესენი. ზოგად
გადავიცითხოთ და ჩვენი ყურადღება ძირითადი მომენტის დაჭირას
მიერაყორთ.

გულისხმევ საგნებს შეგრძნებაც ეხება. შეგრძნება მო-
 თავსებულია რეალობას (შეგრძნების წარმოდგენა) და
 ნულს შორის, ე. ი. დროის მჭვრეტელობის სრულს სი-
 ცალიერეში, მაგრამ ეს არის განსხვავება, რომელსაც
 რაღაც სიდიდე გააჩნია. ასე, მაგ., სინათლის და სიბნე-
 ლის ყველა მოცემულ ხარისხს შორის, სრულ სითბოსა
 და სრულს სიცივეს შორის, სიმძიმის რაღაც ხარისხსა
 და აბსოლუტურ სიმჩატეს შორის, სივრცის სავსეობის
 რაღაც ხარისხისა და აბსოლუტურ ცალიერ სივრცეს
 შორის, — ყოველთვის მოთავსებულია რაღაც უმცირესი
 ხსრისხი, თვით ცნობიერებასა და აბსოლუტურ არა-ცნობი-
 ერს შორისაც რაღაც უმცირესი გრადაციები და გადა-
 სვლები არსებობენ, ამიტომ აღქმა არ შეიძლება სისრუ-
 ლეში მოვიდეს, იქ სადაც აბსოლუტური არარაობა იქ-
 ნება. მაგ., არ შეიძლება ფსიქოლოგიური სიბნელე წარ-
 მოვიდგინოთ, თუ იგი ცნობიერებაში მეორე, მასზე უფ-
 რო ძლიერი სიბნელის მიერ შეცვლილი არ იქნება. ასე
 ხდება ეს შეგრძნების ყველა მაგალითის დროს. ამიტომ
 განსჯას თვით ისეთი შეგრძნებების ანტიციპაცია, რო-
 მელიც ემპირიული წარმოდგენის (მოვლენის) კვალი-
 ტეტს შეადგენს, მხოლოდ იმ ძირითადი დებულების და-
 ხმარებით შეუძლია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ყველა-
 დერს და მათ შორის ყოველი მოვლენის რეალობასაც,
 თავისი გრადაცია (ხარისხი) აქვს. ეს გარემოება კი იძლე-
 ვა მათემატიკის (mathesis intensorum) ბუნებათმეცნი-
 ერებაზე მეორე გამოყენების შესაძლებლობას *).

§ 25

მოვლენათა დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, სა-
 ხელდობრ, მათი არსებობის გამოკვლევის მიზნით, ამ

*) კრიტიკული ფილოსოფიის ეს ძალიან მძიმე და ბნელი ად-
 გილი, საღაც, ეტყობა, რომ თვით მისი ავტორი ყველა საკითხის-

დამოუკიდებლობის განსაზღვრა არ არის მათემატიკური, არამედ დინამიკური ხასიათისაა იგი; მას არ შეუძლია იყოს ობიექტურგავლენიანი და ცდის მიმართ გამოსაყენებელი, თუ ეს ცდა თვით არ ექვემდებარება სერის აპრიორულ ძირითად დებულებებს, რომლებიც ცდისეულ შემეცნებას თვითონ ხდიან შესაძლებლად. ამიტომ მოვლენები უნდა დაუქვემდებარდენ ან სუბსტანციის ცნებას, რომელსაც არსებობის ყველა გარკვეულობა. ვითარცა ნივთის ცნება, საფუძვლად უდევს, ან მეორეს მსრივ, რამდენადაც მოვლენებს შორის ღროვის მიმდევნობა, ან წარმოშობა აღმოჩნდება, იმდენად მოვლენები უნდა დალაგდენ შედეგის ცნების მიხედვით და მიზუნებები დამოკიდებულებით, ან და რამდენადაც ერთად ყოვნა აბიექტურად, ე. ი. ცდისეული მსჯელობით იქნება შემეცნებული, იმდენად ერთობის (ურთიერთქმედების) ცნების ქვეშ უნდა იქნან მოვლენები სუბსუმირებული; მხოლოდ ამ პირობებით არიან აპრიორული ძირითადი დებულებანი საფუძველი, თუმცა ემპირიული, მაგრამ აბიექტურ-გავლენიანი, ე. ი. შესაძლებელი ცდისა, ე. ი. იმდენად, რამდენადაც ისინი საგნების არსებობას ბუნებაში ერთმანეთთან აკავშირებენ. ეს ძირითადი დებულებანი არიან ნიშანდობლივ ბუნების კანონები, მათ შეიძლება დინამიკური ეწოდოს.

სიღრმეს ბოლომდე არ ჩაჰყოლია, ერთადერთი ადგილია კანტის აზროვნებაში, სადაც თვით კანტისათვის, ჯერ შეიძლება ყველა გარკვეულობის მიუღწევლად, მაგრამ მაინც გასაგებად, წამოიჭრა საკითხის „ას რა უ ლო მცირე სიდიდი ს მეთოდოლოგიურ გამოყენებაშე ფილოსოფიურ შემეცნებაში“. გერმანული იდეალიზმის შემდგომს ისტორიაში ეს პრობლემა ქვაკუთხედი შეიქნა სოლომონ მაიმონის ნააზრევში და შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჰეგელის „უსასრულობის აზროვნების“ დიალექტიკურ სერჩებში. უდიალექტიკოდ, მეტაფიზიკური ლოგიციზმის ნიადაგშე ამ პრიმდლების სრულ რესტავრაციას ჰქონდა.

მ. გ-ძ.

დასასრულ ცდისეულ მსჯელობებს ეკუთვნის აგრძელებულ შემეცნება შესატყვისობისა და დაკავშირებისა ურთიერთშორის, არა მარტო მოვლენების ცდაში, არამედ უფრო მათი დამოკიდებულებისა ცდასთან საერთოდ, რომელიც ყოველთვის ქმნის ან შესატყვისობას განსჯის მიერ შემეცნებულ ფორმალურ პირობებთან, ან კავშირს გრძნობების და აღქმების მატერიალებთან, ანდა ორიგულ ერთად-ერთს ცნებაში აერთიანებს, მაშასადამე, იგი შეიცავს ზოგადი ბუნების კანონების | მიხედვით შესაძლებლობას, ნამდვილობას და აუცილებლობას, ე. ი. იმას, რასაც გვასწავლის ფიზიოლოგიური მეთოდოლოგია (განსხვავების დადგინება ჭეშმარიტებისა და ჰიპოთეზის შორის ამ უკანასკნელის მოხმარების საზღვრების. დადგინებით).

§ 26.

განსჯის ბუნებიდან კრიტიკული მეთოდით ჩამოყალიბებული მესამე ცხრილი ძირითადი დებულებებისა თუმცა ძალიან სრულქმნილ სახეს ატარებს, რითაც იგი ყველა სხვაზე მაღლა დგას, რაც კი ამ საჭმის შესახებ დოგმატიური წესით (თუმცა უნაყოფოდ) ოდესმე გამოუცდიათ, ან რასაც მომავალში გამოცდიან: სახელდობრი ის, რომ მასში ყველა სინთეზური ძირითადი დებულება ა ყრიორ მთელი სისრულით და ერთი პრინციპის მიხედვით არის ჩამოყალიბებული, იგი ჩამოყალიბებულა მსჯელობის შესრულების უნარის მიხედვით საერთოდ, რომელიც, როგორც ვიცით, იძლევა ცდის არსებას განსჯაზე გამოყენების თვალსაზრისით. ამათ საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ მეტი ასეთი ძირითადი დებულებანი აღარ არსებობენ (კმაყოფილება, რომელსაც დოგმატური მეთოდი ვერასოდეს ვერ მოგ-

ცცემს), მაგრამ ეს კიდევ არ არის ამ ცხრილის ყველაზე თვალსაჩინო დამსახურება.

ყურადღება უნდა მიექცეს დასაბუთების საფუძველს, რომელმაც ამ აპრიორული შემეცნების შესაძლებლობა აღმოაჩინა, მაგრამ ყველა ასეთი ძირითადი დებულება პირობით შემოფარგლა, რის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია, თუ არ გვინდა გაუგებრობაში ჩავარდეთ და მისი მოხმარება უფრო გავაფართოვოთ, ვიდრე ეს მისი დანიშნულების აზრში განსჯას დასაბამიდანვე მოუთავსებია: სახელდობრ ის, რომ ისინი მხოლოდ შესაძლებელი ცდის პირობებს შეიცავენ, რამდენადაც ეს უკანასკნელი აპრიორული კანონებს ექვემდებარება. ამიტომ არ ვამბობ მე, რომ ნივთები თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ სიდიდეს შეიცავსნ. შათი რეალობა—ხარისხს, მათი არსებობა—აქციდენტიების დაკავშირებას მოცემულ სუბსტანციაში და სხვ., ამის დამტკიცება არაა ის შეუძლია. ისეთი სინთეზური დაკავშირება უბრალო ცნებებისა, სადაც არ არის მოცემული არავითარი დამოკიდებულება გრძნობად მჭვრეტელობასთან, არავითარი მათი დაკავშირება შესაძლებელ ცდაში, არავის შეუძლია სისრულეში მოიყვანოს. ცნებათა არსებითი შემოფარგლა. ამ დებულებებით, მაშასადამე, ასეთი იქნება: ყველა ნივთი დასახელებულ პირობებში აუცილებლივ აპრიორულად წარმოდგენილია, როგორც ცდის საგნები.

მეორე მხრივ, აქიდან გამომდინარეობს მათი თავისებური და სპეციფიკური დასაბუთების წესი: ის, რომ დასახელებული ძირითადი დებულებანი შეიძლება გამოყენებულ იყვნენ არა პირდაპირ მოვლენებზე და მათ დამოკიდებულებაზე, არამედ მხოლოდ ცდის შესაძლებლობაზე, რომლისათვისაც მოვლენები მატერიად და არა ფორმა, უ. ი. ეს ძირითადი დებულებანი გამოყენებული იქნებიან

ობიექტურ და ზოგად სავალდებულო სინთეზურ. დებულებებზე, რითაც სახელდობრ, ცდისეული მსჯელობანი უბრალო აღმითი მსჯელობებისაგან განსხვავდებიან. ეს ასე, იმიტომ ხდება, რომ მოვლენები, როგორც მხოლოდ მჭვრეტელობანი (რომ ლებიც დროსა და სივრცის ნაწილის სახეს დებულობენ), სიდიდის ცნებას ექვემდებარებიან; სიდიდის ცნება კი მათს სიმრავლეს აპრიორულად და სინთეზურად წესების მიხედვით აერთიანებს, ისე რომ, რამდენადაც აღქმა მჭვრეტელობის გარეშე შეგრძნობასაც შეიცავს რომელსა და ნულს შორის, ე. ი. მასა და მის სრულ გაქრობას შორის, ყოველთვის რაღაც გადასასვლელი შემცირების საშუალებით ყალიბდება, ე. ი. მოვლენათა რეალობას ხარისხი უნდა ჰქონდეს, რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც იგი დროისა და სივრცის არცერთს ნაწილს არ მიიღებს, *) მაგრამ გადასასვლელი მასთანმ ცალიერი დროიდან და სივრციდან მხოლოდ დროში იქნება შესაძლებელი. ამასთან ერთად, თუმცა შეგრძნობა, როგორც ემპირიული მჭვრეტელობის კვალიტეტი იმის მიხედვით, რითაც იგი მე-

*) სითბო, სინათლე და სხვა, მცირე სივრცეშიც იმდენია ხარისხის მიხედვით, რაოდენიც უფრო დიდში. ასევე შინაგანი წარმოდგენები, ტკივილი; ცნობიერება საერთოდ ხარისხის მიხედვით იმაზე არ არის დამკიდებული—გრძელ სა თუ მოკლე დროში მიმდინარეობს. ამიტომ აქ სიდიდე ერთ წერტილში და ყრთ წამში იმდენად დიდია, რაოდენადაც უფრო დიდს სივრცეში და უფრო დიდ დროში. ხარისხი უფრო დიდი შეიძლება იყოს, მაგრამ არა მჭვრეტელობაში, არამედ უბრალო შეგრძნების მიხედვით; იგი შეიძლება უფრო დიდი იყოს როგორც მჭვრეტელობის საფუძვლის სიდიდე, და შეიძლება მისი 1 ისა და 0-ის ურთიერთობით გამოხატვა, ე. ი. იმით, რომ თითოეული მათგანი ურთიერთშორის უსასრულოდ მცირდება გაქრობამდე, ანდა ნულიდან დაწყებული იგი მატულობს უსასრულო ნამატს გარკვეულ შეგრძნებამდე და ამისათვის ხარჯავს გარკვეულ დროს (Quantitas qualitatis est gradus — თვისების სიდიდე არის ხარისხი).

ორე შეგრძნებიდან განსხვავდება, აპრილულად არასდროს არ შეიძლება შემეცნებულ იქნას, მაგრამ შესაძლებელ შე-მეცნებაში, საერთოდ, როგორც აღქმის სიღიდე იგი შე-საძლებელია ინტენსიურად განსხვავებულ იქნას ყველა მისგვარი შეგრძნობებისაგან. აქიდან კი გრძნობადი მჭვრეტელობის მიხედვით შესაძლებელი ხდება მათემა-ტიკის ბუნებაზე გამოყენება და სრული განსაზღვრა.

მთავარი ყურადღება მკითხველმა უნდა მიაქციოს ძი-რითად დებულებათა დასაბუთების იმ სახეობას, რომელიც ცდის ანალოგიების სახელწოდებით გვხვდება. ისინი შათე-მატიკის ბუნებათმეცნიერებაში გამოყენების დებულებებ-სავით მჭვრეტელობის წარმოშობას კი არ შეეხებიან, არამედ მათი არსებობის ერთმანეთთან ცდაში დაკავში-რებას; ეს დაკავშირება კი შესაძლებელია, როგორც, არსებობის დაღვინება დროში იმ აუცილებელი კა-ნონების მიხედვით, რომელთა შეშვეობითაც მჭვრეტელობა ობიექტური მოვლენა, ე. ი. ცდა ხდება; ეს დასა-ბუთება ნივთების თავისთავად ერთმანეთთან დაკავშირების სინთეზურ ერთიანობას კი არ შეეხება, არამედ მხოლოდ აღმებს; და ამ უკანასკნელთა არა შინაარსს, არამედ დროის გარკვეულობასა და არსე-ბობის დამოკიდებულებას მათში ზოგადი კანონების მი-ხედვით. ეს ზოგადი კანონები, მაშასადამე, შეიცავენ არსებობის დროში გარკვევის აუცილებლობას საერთოდ (ე. ი. განსჯის ერთერთი აპრილული წესის მიხედვით); ეს პირობაა, რათა ემპირიული გარკვეულობა რელატიურ დროში ობიექტურ-გავლენიანი და ამასთან ერთად ცდა გახდეს. ამაზე მეტი მე აქ, პროლეგომენებში, რასაკვირ-ველია, არ შემიძლია გავაშუქო, ე. ი. მე შემიძლია მკით-ხველს, — რომელიც ძველთაგანვე დაჩვეულია, ცდა ჩას-თვალს აღმზათა უბრალო ემპირიულ კრებადობად და

ამის გამო აღარ ფიქრობს, რომ ცდა გაცილებით უფრო შორს მიდის, ვიდრე აღქმათა კრებაღობა, სახელდობრ ემპირიულ მსჯელობებს ზოგადგავლენიანობას ანუჭებს და ამისთვის კი თვით ესაჭიროება წმინდა განსჯითი ცნება, რომელიც აპრიორულად წინ არის, — ვუჩიო: მხედველობაში მიიღოს ცდის ეს განსხვავება აღქმათა უბრალო აგრეგატისაგან და ამ თვალსაზრისით იმსჯელოს დასაბუთების იმ სახეობაზე.

§ 27

აქ უკვე შესაძლებელია ჰიუმეს ეჭვს საფუძვლები ვამოვაცალოთ. ის ამტკიცებს სამართლიანად, რომ ჩვენ კაუზალობის შესაძლებლობას, ე. ი. ერთი საგნის არსებობის მეორე საგანზე ისეთს დამოკიდებულებას, რომლითაც ერთი მეორეს აუცილებლობის მიხედვით გულისხმობს, გონიების საშუალებით ვერასდროს უერ დავინახავთო, მე ამას მივუმატებ, რომ ჩვენ არც სუბსტანციის ცნება შეგვიძლია დავინახოთ, ე. ი. არ შეგვიძლია აუცილებლობა ვნახოთ მაში, რომ ნივთების არსებობას საფუძვლად სუბიექტი უდევს, რომელიც თვითონ არ არის პრედიკატი რომელი-მე სხვა ნივთისა; დიახ, ასეთი ნივთის შესაძლებლობის შესახებ ჩვენ ცნების შემუშავებაც კი არ შეგვიძლია (თუმცა ცდაში ასეთის მოხმარების მაგალითების ჩვენება ყოველთვის შესაძლებელია), აგრეთვე გაუგებარია ნივთთა ერთობა, ე. ი. არ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ დავამყაროთ რაიმე დამოკიდებულება ნივთის მიკემული მდგომარეობიდან სულ სხვა ნივთის მდგომარეობაზე. და, პირუკმო, სუბსტანციები, რომელთაგან თითოეულს თავისი განკერძოებული არსებობა გააჩნია, როგორ უნდა იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებული და ისიც აუცილებლობის მიხედვით. აგრეთვე მე ძალიან

შორს ვარ იმისაგან, რომ ეს ცნებები უშუალოდ ცდისა-
გან მიღებულად მივიჩნიო, და აუცილებლობა, რომელიც
მათ თან ახლავს, უბრალო შეთხზულად და მოჩვენებად
ჩავთვალო, რომელიც ვითომც ჩვენთვის სანგრძლივს
ჩვეულებას მოულანდებია. პირიქით, მე დამაკმაყოფილე-
ბლად ვაჩვენე, რომ ისინი და მათი ძირითადი დებულე-
ბანი ყოველივე ცდამდე აპრიორულად არსებობენ და
მათ ეჭვმიუტანელი ობიექტური სისწორე გააჩნიათ, რა-
საკვირველია ცდის თვალსაზრისით.

§ 28

მაშასადამე, თუმცა მე ნივთების თავისთავად ისეთს
კავშირებზე, როგორიც არის მათი სუბსტანციის სახით
არსებობა, ან მიზეზის სახით მოქმედება, ან ერთი ნაწი-
ლის მეორე ნაწილთან (როგორც რეალური მთლიანის-
ნაწილებისა) ერთობის სახით ყოფნა, წარმოდგენაც კი
არ მაქს; ამაზე ნაკლებად შემიძლია მე ასეთი თვისე-
ბები მოვლენებზე მოვისაზრო (რადგან ის ცნებები მხო-
ლოდ ისეთს რასმე შეიცავენ, რაც განსჯამ უნდა იაზროვ-
ნოს და არა ისეთს, რაც მოვლენას გააჩნდეს); მაგრამ
ჩვენს განსჯაში წარმოდგენების ასეთს დაკავშირებაზე-
სახელდობრ მსჯელობებში საერთოდ, ჩვენ საჭირო ცო-
დნა მაინც გაგვაჩნია: სახელდობრ ის, რომ, ერთის მხრივ,
წარმოდგენები მსჯელობაში ერთმანეთს ეკუთვნიან,
როგორც სუბიექტი პრედიკატს, მეორეს მხრივ, ისე, რო-
გორც საფუძველი შედეგს, და, მესამეს მხრივ, ისე, რო-
გორც იმ ნაწილების ურთიერთშორის დამოკიდებულება,
რომლებიც ერთად შესაძლებელ ცოდნას იძლევიან-
შემდეგ ჩვენ აპრიორულად შევიმეცნებთ, რომ ჩვენ არ-
შეგვიძლია საგნების შესახებ გვქონდეს შემეცნება, თუ-
არ გვაქვს წარმოდგენა ობიექტზე ერთ-ერთი დასახელე-

შული მომენტის გარკვეული გათვალისწინებით; და თუ ჩვენ ვიხილავთ საგანს თავისთავად, მაშინ სწორედ შეუძლებელია თუგინდ ერთი ნიშანი ვნახოთ, რომლის მიმართ მე გაგება შემეძლოს, რომ იგი დასახელებული მომენტებიდან ერთ-ერთის მიერ გარკვეულია, ე. ი. მე არ შემიძლია არასდროს გავიგო, რომ იგი ეკუთვნის ან სუბსტანციის ან მიზეზის ან ერთობის ცნებას. არსებობის ამგვარი დაკავშირების შესაძლებლობაზე მე არავითარი ცნება არ გამაჩნია. მაგრამ საკითხი არც იმაში მდგომარეობს, თუ როგორ არის გარკვეული ნივთი თავისთავალ, მსჯელობათა მომენტის მიმართ, არამედ მხოლოდ იმაში, თუ როგორ უნდა გავიაზროთ ცდისეული მსჯელობა ნივთების შესახებ, ე. ი. იმაში, თუ ნივთები, როგორც ცდის საგნები, განსჯითი ცნების ქვეშ როგორ შეიძლება და უნდა იყვნენ სუბსუმირებული. და აქ ნათელია, რომ მე სავსებით შემიძლია დავინახო, რომ მე გამაჩნია არამც ჟუ შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაც, რათა ყველა მოვლენა ამ ცნებების ქვეშ დავალაგო, ე. ი. ისინი შესაძლებელი ცდის ძირითად დებულებებად მოვიხმარო.

§ 29

ჰიუმეს პრობლემატური ცნების მიმართ (მისი ფილოსოფიის ამ *cruix metaphysicorum*-ის მიმართ) სახელდღობრ, მიზეზის ცნების მიმართ, ერთი გამოცდილება რომ გავაკეთოთ, ამისათვის მე ჯერ ლოგიკის საშუალებით აპრიორულად მოცემული მაქს ფორმა განსაზღვრული მსჯელობისა საერთოდ, სახელდღობრ, მოცემული მსჯელობა როგორც ფუძე და შემდეგ იგი მოცემული მაქს, როგორც დანასკვი და შემიძლია ასე მოვიხმარო. მაგრამ შესაძლებელია, აღქმაში შეგვხვდეს დამოკიდებულების ისეთი წესი, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოცე-

მულ მოვლენას მეორე მოვლენა ყოველთვის მოჰყება
(მაგრამ არა პირუკმო) და ეს არის შემთხვევა, როცა მე
შემიძლია ჰიპოთეზური მსჯელობა მოვიჩირო და, მაგ-
ვთქვა: თუ სხეულს დიღი ხანია მზე ანათებს, მაშინ იგი
გათბება: აქ, რასაკვირველია, დაკავშირების აუცილე-
ბლობა არა გვაქვს და არც მიზეზის ცნება. მაგრამ, მე
მივდივარ წინ და ვამბობ: თუ წინა დებულება, რომე-
ლიც აღქმათა უბრალო სუბიექტური დაკავშირება
არის, ცდისეულ დებულებად უნდა გახდეს, ამისათვის სა-
ჭიროა, რათა იგი აუცილებლად და ზოგად გავლენიანად
ჩავთვალოთ. ასეთი დებულება კი იქნებოდა: მზე თავისი
სინათლით არის სითბოს მიზეზი. ის წინანდელი ემპირი-
ული წესი, მაშასადამე, აქ კანონად არის მიჩნეული, და
არა მარტო მოვლენებზე გამოსაყენებელ კანონად, არამედ
შესაძლებელ ცდაზე მოხმარების მიზნით, ამას კი ყველა-
აუცილებელი გაფლენის მქონე წესები ესაჭიროება. მაშა-
სადამე, მიზეზის ცნებას მე ვუყურებ ისე, როგორც ცდიზ-
ფორმისადმი აუცილებლად კუთვნილ ცნებას, რომლის შე-
საძლებლობა სისრულეში მოდის ცნობიერებაში აღქმათა
სინთეზური ვაერთიანების საშუალებით. მაგრამ ნივთის-
შესაძლებლობას საერთოდ, როგორც მიზეზისა, მე სრუ-
ლიად არ ვხედავ, და ეს იმიტომ, რომ მიზეზის ცნება
ისეთი ცნება არ არის, რომელიც ნივთებს გულისხმობდება,
არამედ მხოლოდ ცდის დამახასიათებელ ჰიროპებზე მი-
უთითებს იგი, სახელდობრ იმაზე, რომ ცდა მხოლოდ ის
შემთხვევაში შეიძლება იყოს მოვლენათა ობიექტურ-გა-
ვლენიანი და მათი დროში თანმიმდევრობის შემეცნება,
თუ წინანდელი შემდგომს უკავშირდება ჰიპოთეზური-
მსჯელობის წესის მიხედვით.

ამიტომ წმინდა განსჯის ცნებებს (კატეგორიებს) არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებათ, თუ ისინი ცდის საგნებს თავს გაანებებენ და ნოუმენებზე (ნივთებზე თავისთავად) მოისურვებენ დაკავშირებას. იმათი მოვალეობაა მოვლენების დაანბანება, რათა შემდეგ მათი ცდის სახით წაკითხვა შესძლონ. ძირითადი - დებულებაა ნი, რომლებიც გრძნობადი ქვეყნისადმი დამოკიდებულებისაგან წარმოსდგებიან, სჭირდება ჩვენს განსჯას ცდაზე მოხმარებისათვის; ამის მიღმა ისინი არიან ობიექტურ რეალობას მოქლებული თავისუფლად აღებული დაკავშირებანი, რომელთა შესაძლებლობა არც აპრიორულად შეიმეცნება და არც მათი დამოკიდებულება საგნებისადმი რომელიმე მაგალითით დასაბუთდება და გასაგები გახდება; ეს არ შეიძლება იმიტომ, რომ ყველა მაგალითი უსათუოდ აღებულია რომელიმე შესაძლებელი ცდისაგან და ამიტომ ამ ცნებათა საგნები არსად სხვაგან არ შეგვხვდება, გარეშე შესაძლებელი ცდისა.

ეს სრული, თუმცა მისი წამომწყების შეხედულებათა წინააღმდეგ ჩამოყალიბებული, გადაწყვეტა ჰიუმეს პრობლემისა, წმინდა განსჯითს ცნებებს უნარჩუნებს მათს აპრიორულ დასაბამს და ბუნების ზოგად კანონებს კი — მათს გავლენას განსჯის კანონების სახით, მაგრამ იმგვარად, რომ მათ მოხმარებას შემოფარგლავს მხოლოდ ცდით; ეს იმიტომ, რომ მათს შესაძლებლობას განსჯისა და ცდის დამოკიდებულებაში აქვს თავისი საფუძველი; მაგრამ ისე კი არა, რომ ეს კანონები ცდისაგან იყვნენ გამოყანილი, არამედ, პირიქით, ცდაა მათგან გამოყვანილი, ე. ი. ისეთ შეხედულებასთან გვაქვს საქმე, რომელიც პიუმეს აზრადაც არ მოსვლია.

აქიდან გამომდინარეობს ჯერხნობით წარმოებულია კვლევის შემდეგი რეზულტატი: „ყველა სინთეზური ძირითადი დებულება a priori არიან მხოლოდ შესაძლებელი ცდის პრინციპები“ და არასღროს არ შეიძლება მათი ნივთებზე თავისთავად მოხმარება, არამედ მხოლოდ მოვლენებზე, როგორც ცდის საგნებზე. ამიტომ წმინდა მათემატიკას და წმინდა ბუნებაომეცნიერებას სხვა არაფრის მოცემა არ შეუძლია, გარეშე მოვლენისა და ყოველთვის იმას წარმოიდგენენ, რასაც ან ცდა საერთოდ შესაძლებლად ხდის, ანდა იმას, რაც, ამ პრინციპებიდან გამოყენილი, შესაძლებელ ცდაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

§ 31

და ამ საშუალებით ჩვენ მოვიპოვეთ ის გარკვეულია რაღაც, რომელიც აუცილებელია, რათა ვუხელმძღვანელოთ გაბედულს, მაგრამ ყოველთვის ბნელს წამოწყებას მეტაფიზიკისას, რომელიც განსხვავებათა გაუთვალისწინებლად ყველაფრის დაძლევას ლამობს. ღოგმატურად მოაზროვნებს, აბა ოდესმე აზრადაც ხომ არ მოუვიდოდათ, რომ მათი ძიების მიზანი ასე მოკლე აღმოჩნდებოდა; და ისინიც კი რომლებიც წინდაუხედავად არ ეყრდნობიან თავიანთ ჯანსაღ გონებას, მიმართავენ წმინდა გონების ცნებებს და ძირითად დებულებებს, — რაც კანონიერია და ბუნებრივი, მაგრამ მაინც ცდისეული მოხმარებისათვის არიან დანიშნული, — ისინი კი იმ შეხედულებიდან გამოდიოდენ, რომელმაც გონებისათვის არავითარი გარკვეული საზღვარი არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რაღვანაც ასეთი წმინდა განსჯის ბუნებისა და შესაძლებლობის შესახებ იმათ არასღროს არ უფიქრიათ და არც შეეძლოთ ეფიქრათ.

წმინდა გონების ზოგი ნატურალისტი (ამ სახელწოდე-

ბის ქვეშ მე მესმის ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყოველივე მეცნიერების გარეშე შეუძლიათ მეტაფიზიკის საჭ-
 მების გადაწყვეტა) გვეტყოდა, რომ რაც აქ ვითომ ამო-
 დენა პედანტობითა და ქედმაღლობით არის გაღმოცემუ-
 ლი, მისი ჯანსაღი გონების მიზნობრივი ხელოვნებით
 დიდიხანია ნაგრძნობი კი არა, არამედ გარკვეულად და-
 ნახულიც იყო, ვითომ დიდი ხანია იკოდა მან, „რომ ჩვენ
 ჩვენი გონებით ვერასდროს ცდის არეს ვერ გავშორდე-
 ბით“. მაგრამ თუ ამ ადამიანს მისი გონების პრინციპების
 შესახებ თანდათანობით გამოვკითხავთ, უთუოდ აღმოჩ-
 ნდება, რომ მას ბევრი ისეთი პრინციპი გააჩნია, რომე-
 ლიც ცდისაგან არ არის აღებული, პირიქით, ცდისაგან
 დამოუკიდებელი და აპრიორული არის; მერე ასეთი სა-
 ფუძვლებით როგორ სურს მას ჯერ დოგმატიკოსი და
 შემდეგ საკუთარი თავი კალაპოტში ჩააყენოს, დოგმატი-
 კოსიც ხომ ამ ცნებებსა და ძირითად დებულებებს ყოვე-
 ლივე შესაძლებელი ცდის ზევით იმიტომ ხმარობს, რომ
 მათ ცდისაგან დამოუკიდებლობას ფიქრობს დაეყრდნოს
 და თეოთონ ეს, ჯანსაღი გონების ადეპტიც, არ არის აქ
 დაცული იმისაგან, მიუხედავად მისი ადვილად და უდა-
 ვოდ შეძენილი სიბრძნისა, რომ თავისთავისთვის შეუძ-
 ნევლადაც ცდის საგნების შესახებ შეიძლება შეტოპოს
 ქიმერების უნაპირო სამყაროში; კარგა გვარიანადაც არის
 იგი აქ ჩაფლული. თუმცა თავისი პოპულარული ენით,
 მით, რომ ყველაფერს იგი ასაღებს აღბათობად, უბრალო
 გონიერ მიხევდრად ან და ანალოგიად, თავისი უსაზღვრო
 მეღიღურობისათვის ზოგ გასამართლებელ ნიშანსაც იძ-
 ლევა.

§ 32

ფილოსოფიის უძველესი დროიდან. წმინდა გონების
 შკვლევარნი გრძნობადი სამყაროს ან მოვლენების (Pha-

წომენა), რომლებიც ამ გრძნობად ქვეყანას იძლევიან, მიღმა სცნობდენ კიდევ განსჯის არსებების არსებობას (თიუ-თენა) რომლებიც განსჯის ქვეყანას იძლევიან, და რადგან ისინი (ეს კი უნდა ვაპატიოთ იმ ჯერ კიდევ განუვითარებელ დროს) მოვლენას და მოჩვენებას ერთმანეთისა-გან ვერ ასხვავებდენ, ამიტომ მხოლოდ განსჯის არსო მიაწერდენ ნამდვილობას.

მართლაც, თუ ჩვენ გრძნობის საგნებს, როგორც მიღებულია, მხოლოდ მოვლენებად ჩავთვლით, ამით ჩვენ უკვე ისიც ვცანით, რომ მათ საფუძვლად აქვთ ნივთები თავისთავად, თუმცა თუ რა აგებულებისაა ეს ნივთი თავისთავად ჩვენ არ გვეცოდინება, ჩვენ გვეცოდინება მხოლოდ მისი მოვლენა, ე. ი. ის თუ როგორ შეიძლება ამ უცნობი რაღაცის მიერ ჩვენი გრძნობების აფიცირება. მაშასადამე, განსჯა იმით, რომ მოვლენების არსებობას დაუშვებს, უშვებს აგრეთვე ნივთების თავისთავად არსებობასაც. ამდენად და მხოლოდ ამდენად შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, რომ ისეთ არსებათა წარმოდგენა, რომლებიც მოვლენებს საფუძვლად აქვთ, და, მაშასადამე, მხოლოდ განსჯითი არსებანი არიან, არამეც თუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა.

ჩვენი კრიტიკული დელუქციაც ამგეარ ნივთებს (თიუ-თენა) კი არ უარყოფს, არამედ ესთეტიკის (ე. ი. გრძნობადი სამყაროს კანონებს). **მ. გ.**) ძირითად დებულებებს ფარგლავს იმდენად, რომ მათ თავიანთი გავლენა ყველა ნივთზე კი არ გაავრცელოს (რომლითაც ყველაფერი უბრალო მოვლენებად გადაიქცეოდა), არამედ მხოლოდ ისეთებზე, რომლებიც შესაძლებელი ცდის ობიექტად გადაიქცევიან. მაშასადამე, აქ დაშვებულია განსჯითი არსებანი, მაგრამ ისეთი შემოფარგლული წესით, რომელმაც არავითარი გამონაკლისი არ იცის; ეს ის არის;

რომ ამ განსჯითი არსების შესახებ ჩვენ არაფერი გარკვეულად არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ; ეს იმიტომ, რომ ჩვენი წმინდა განსჯითი ცნებები (კატეგორიები) და ჩვენი წმინდა მჰვრეტელობანი სხვაზე არაფერზე არ ვრცელდებიან, გარეშე შესაძლებელი ცდის საგნებისა, ე. ი. ისინი ვრცელდებიან მხოლოდ გრძნობების არსებებზე და როგორც კი ამათ შედევლობიდან გავუშვებთ, მაშინვე ის ცნებები ყოველივე მნიშვნელობას ჰქონდებინ.

§ 33

1) მართლაც თითქოს რაღაც უცნაური ქალა იზიდავს. ჩვენს წმინდა განსჯითს ცნებებს ტრანსცენდენტური მოხმარებისაკენ. ტრანსცენდენტურს ვუწოდებ მე ისეთ მოხმარებას, რომელიც ყოველივე შესაძლებელი ცდის მიღმა გასვლას ლამობს. ჩვენი ცნება სუბსტანციისა, ძალისა, მოქმედებისა, რეალობისა და სხვ., არამცუ სრულად დამოუკიდებელია ცდისაგან, და, მაშასაღამე, თითქოს შეუძლია გრძნობად მოვლენებს მოშორდეს და საგნებთან თავისთავად (postumena) საჭმე დაიჭიროს, არამედ ამ შეხედულებას კიდევ ის აძლიერებს, რომ დასახელებული ცნებები რაღაცას ისეთს შეიცავენ, რაც ცდის სრული თანატოლი არასადროს არ გახდება. მიზეზის ცნება შეიცავს ისეთ წესს, რომლის მიხედვითაც ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობა აუცილებლობის მიხედვით გამომდინარეობს. მაგრამ ცდა აქ შხოლოდ იმას გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მეორდება ის, რომ საგნის ერთ მდგომარეობას მეორე მისდევს, მაგრამ მას არც ზუსტი ზოგადობისა და არც აუცილებლობის მოცემა არ შეუძლია.

აქიდან გვეჩვენება, რომ განსჯის ცნებებს მეტი მნიშვნე-

ლობა და შინაარსი უნდა გააჩნდეთ, ვიდრე ის დებულება, რომელიც ამბობს, რომ მთელი მათი არსება (კიდაზე) მოხმარებით ამოიწურებათ. ამრიგად და ასე შეუმნევ-ლად აშენებს განსჯა ცდის სახლზე კიდევ ერთ ახალ შენობას, პრეტენზიების მქონე ნაგებობას იგი ავსებს აზრი-სეული არსებით, და ვერ ამჩნევს იმ გარემოებას, რომ (ამ სხვა მხრივ სწორი ცნებებით) კანონიერი საზღვრები მათი მოხმარებისა დიდი ხანია მიტოვებულია.

§ 34

მაშასადამე, საჭირო იყო ორი მნიშვნელოვანი, დიალ, აუცილებელი, თუმცა ძალიან მშრალი გამოკვლევა, რომ-ლებიც მოცემულია „წმინდა გონების კრიტიკის“, გვ. 137 და 235 etc. პირველმა ამათგანმა გვიჩვენა, რომ გრძნობა ხელზე არ იძლევა წმინდა განსჯითს ცნებას in concreto, არამედ მხოლოდ მისი მოხმარებისათვის დანიშნულ სქემას და ამიტომ მისი შესატერისი საგანი (როგორც პროდუქტი განსჯისა და მგრძნობელობის მა-სალებისა) შეიძლება მხოლოდ ცდაში შეგვხვდეს. მეორე გამოკვლევაში (კრიტიკა გვ. 235) არის ნაჩვენები, რომ მიუხედავად ჩვენი წმინდა განსჯითი ცნებებისა და ძირი-თადი დებულებების ცდისაგან დამოუკიდებლობისა, — დიალ მათი დამოუკიდებელი მოხმარების დიდი მოცუ-ლობის მოჩვენების მიუხედავად — მათი საშუალებით ცდის არეების მიღმა არაფრის გააზრება არ შეიძლება, არ შეიძლება იმიტომ, რომ მათ არაფრი სხვა რამის გა-კეთება არ შეუძლიათ, გარდა მოცემული მჭერეტელობის მიხედვით მსჯელობის ლოგიკური ფორმის გარკვევისა. მაგრამ რადგან მგრძნობელობის არეს იქით არავითარი მჭერეტელობა არ არსებობს, ამიტომ წმინდა ცნება მოკ-ლებულია ყოველივე მნიშვნელობას, არავითარი კონკრე-

ტული საშუალებით არ შეიძლება მისი დალაგება; მაშა-
საღამე, ყველა ასეთი იისოთი და მათი კრებალობა,
ინტელიგიბელი *) სამყარო, არის მხოლოდ ისეთი ამო-
ცანის წარმოდგენა, რომლის საგანი თავისთავად შესაძ-
ლებელია, მაგრამ მისი გაგება ჩვენი აზროვნების ბუნე-
ბით საკვებით შეუძლებელია. ჩვენი აზროვნება (განსჯა)
მჭვრეტელობის უნარი კი არ არის, არამედ მოცემული
მჭვრეტელობის ცდაში დაკავშირების უნარი, ამიტომ ეს
უნდა შეიცავდეს ყველა საგანს ჩვენი ცნებებისათვის, ამ
პირობის გარეშე ყველა სხვა ცნება, რაღაც იგი გამაგ-
რებული არ იქნება მჭვრეტელობის საფუძვლით, ყოვე-
ლივე მნიშვნელობას მოკლებული იქნება.

§ 35

შეიძლება ფანტაზიის ძალას აპატიონ, თუ იგი ხანდა-
ხან იოცნებებს, ე. ი. თავდაჭერილად ცდის ფარგლებში
არ დაეტევა, ასეთი თავისუფალი გარაცებით მან შეიძ-
ლება რამე ისწავლოს და განმტკიცდეს, ყოველთვის
უფრო ადვილი იქნება მისი გაბედულება. შევაკავით,

*) და არა ინტელექტუალური სამყარო, როგორც ამას-
ხშირად ხშარობენ. ინტელექტუალური არის განსჯით
მოცემული შემეცნება და ეს ჩვენი გრძნობების სამყაროს
შექნება: ინტელეგიბელი კი ჰქვია საგნებს ინდენად, რამ-
დენადაც ისინი მხოლოდ განსჯის მიერ იქნებიან წარ-
შოდგენილი და ოომლებსაც ჩვენი გრძნობადი მჭვრეტელობა-
არ ექნება, მაგრამ, რაღაც თითოეულ საგანს რომელიმე შესაძლებე-
ლი მჭვრეტელობა უნდა ჟთანხმებოდეს, ამიტომ თითქოს აუცილე-
ბელია ისეთი განსჯა მოვიაზროთ, რომელმაც ნივთების უბუალო
განჭვრეტა უნდა შესძლოს. მაგრამ ასეთს განსჯაზე ჩვენ არავითარი
წარმოდგენა არ გვაქვს და ამიტომ ჩვენ არაფერი ვიცით არც იმ
განსჯათა არსებების შესახებ, რომლებზედაც იგი უნდა-
გავრცელებულიყო.

ვიღრე მისი მოდუნება გამოვაცოცხლოთ. მაგრამ განსჯა, რომელიც მოვალეა ი ა ზ რ თ ვ ნ თ ს, თუ ამის მაგივრად თ ც ნ ე ბ ა ს გ ა ჰ კ ვ ა, ეს მას არასოდეს არ ეპატიება; ყველა დახმარება ხომ თვითონ მან უნდა გაგვიწიოს, რათა ჟაჭიროებისამებრ ფანტაზიის თცნებას საზღვარი დაედოს.

მაგრამ იგი ამას იწყებს ძალიან გულუბრყვილოდ და მოკრძალებით. ჯერ მას დღის სინათლეზე გამოჰყავს ის ელემენტალური შემეცნებანი, რომლებიც მას ყოველივე ცდამდე თან ახლავენ, მაგრამ თავიანთ მოხმარებას მაინც ცდაში ნახულობენ. თანდათანობით იგი თავიდან იშორებს ამ შემზღვდავ ფარგლებს, და ახლა, როცა განსჯაში თავისი ძირითადი დებულებანი თავისუფლად თავისი ფავიდან აიღო, რაღამ უნდა შეუშალოს მას ხელი? ახლა იგი ვრცელდება ბუნების ახლად მოფიქრებულ ძალებზე, მაგრამ მალე ბუნების მიღმურ არსებებზედაც, ე. ი. ისეთ სამყაროზე, რომლის აშენებისათვის მასალა აღარ მიგვაკლდება, რადგან მას ფანტაზიების მღიდარი მასალებიდან ვაშენებთ, და რომლის დამოწმება ცდას არასღროს არ შეუძლია, მაგრამ ცდას, არც მისი უარყოფა შეუძლია, ეს არის აგრძელებული იმის მიზეზი, თუ რაღ უყვარს ასე ახლგაზრდა მოაზროვნეს მეტაფიზიკის ეს დოკტორული შანერა და მას ხშირად თავის დროსა და სხვა საქმისათვის მოსახმარ ტალანტს ამსხვერპლებს.

არც იმას შეუძლია რაიმეში დაგვეხმაროს, რომ შევიც დებით წმინდა გონების უნაყოფო ცდები შევამსუბუქოთ სხვადასხვანაირი ბოდიშის მოხდით, მათი ღრმა საფუძვლების გაცნობის სიძნელეებზე, თვით ჩვენი გონების საზღვრების შემოფარგლულობისა და ჩვენი ცოდნის შეფარდებითი ბუნების შესახებ საჩივრებით. თუ გარკვეულად არ დავასაბუთეთ შთელი ამ წამოწყების სრული შეუძლებლობა, თუ გონების თვით შემეცნებას იმ ჭეშ-

მარიტ მეცნიერებად არ გადავაქცევთ, რომელიც თავისი მოხმარების როგორც სწორ, ისე მცდარ მხარეებს გეო-მეტრიული სიცხადით ერთმანეთისაგან განასხვავებს, ისე ის ყოყოჩი წამოწყება საფუძვლიანად დამარცხებული არას დროს არ იქნება.

§ 86

როგორ არის შესაძლებელი თვით გუნება?

ეს საკითხი, რომელიც უმაღლესი წერტილია, რომელ-საც კი შეიძლება შეეხოს ტრანსცენდენტალური ფილოსოფია, და რომლისაკენაც იგი, როგორც თავის საზღვართან და სისრულესთან ბუნებრივად მიისწრაფის, თვით ორს საკითხს შეიცავს.

პირველი: როგორ არის შესაძლებელი ბუნება მჭვრეტელობის მატერიალური მნიშვნელობის მიხედვით, როგორც მოვლენათა კრებადობა? ე. ი. როგორ არის შესაძლებელი სივრცე, დრო და ის, რაც ორივეს ავსებს—შეგრძნების საგანი? ამის პასუხი ასეთია: ეს შესაძლებელია ჩვენი მგრძნობელობის თავისებური აგებულების მეოხებით, რომლის გამო იგი თავისებური წესით, თავის-თავად შეუმეცნებელი და ყოველი მოვლენისაგან ვან-სხვავებული, საგნებთან ურთიერთობას ამყარებს. ეს პასუხი „კრიტიკაში“ მოცემულია თაურში ტრანსცენდენტალურ ესთეტიკაზე, აქ პროლეგომენებში კი—პირველი ძირითადი საკითხის პასუხში.

მეორე: როგორ არის შესაძლებელი ბუნება ფორმა-ლური მნიშვნელობით, როგორც იმ წესების კრებადობა, რომლებსაც ყველა შოვლენა უნდა ექვემდებარებოდეს? თუ ეს მოვლენები ცდაში უნდა იყვნენ დაკავშირებული. პასუხი არ შეიძლება სხვა იყოს თუ არა ეს: იგი შესაძ-

ლებელია ჩვენი განსჯის აგებულების მეშვეობით, რომლის მიხედვითაც მგრძნობელობის ყველა წარმოდგენა აუცილებლად ცნობიერებას უნდა ექვემდებარებოდეს, და რომლის გამოც ჩვენი აზროვნების თავისებურება, სახელდობრ წესები და ამათი საშუალებით ცდა, რომელიც ობიექტის თავისთავად შემეცნებისაგან განსხვავებულია, სისრულეში მოდის. ეს პასუხი „კრიტიკაში“ მოცემულია ტრანსცენდენტალურ ლოგიკაში, აქ პროლეგომენებში კი— მეორე ძირითადი საკითხის პასუხისგაცემის მიმღინარეობაში.

მაგრამ თუ როგორაა შესაძლებელი ეს თავისებური თვისება ჩვენი მგრძნობელობისა, ან ჩვენი განსჯისა და მასთან ერთად მთელი ჩვენი აზროვნების საფუძვლად დებული აუცილებელი აპერცეპციისა, აღარ შეიძლება ქვევით გარკვეულ და პასუხგაცემულ იქნას, არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველივე პასუხის გაცემისათვის და ყოველივე საგნობრივი აზროვნებისათვის ჩვენ სწორედ ეს თვისებანი გვჭირდება.

ბუნების ძალიან ბევრი კანონი არსებობს, რომლებიც მხოლოდ ცდის მეშვეობით შეგვიძლია ვიცოდეთ, მაგრამ მოვლენათა დაკავშირების კანონზომიერებას, ე. ი. ბუნებას საერთოდ, ვერავითარი ცდით ჩვენ ვერ გავიგებთ, ვერ გავიგებთ იმიტომ, რომ ცდას თვითონ ესაჭიროება ისეთი კანონები, რომლებიც მის შესაძლებლობას a priori საფუძვლად უდევს.

მაშასადამე, ცდის შესაძლებლობა საერთოდ, არის ამავე დროს ბუნების ზოგადი კანონი ღა პირველის ძირითადი დებულებანი ამ უკანასკნელის კანონებია. ბუნებას ჩვენ ვიცნობთ, როგორც მოვლენების კრებადობას, ე. ი. როგორც კრებადობას წარმოდგენებისა ჩვენში; ამიტომ მათი დაკავშირების კანონები შეგვიძლია ვნახოთ მხო-

ლოდ როგორც ძირითადი დებულებანი მათი ჩვენში და-
კავშირებისა, ე. ი. როგორც პირობა მათი აუცილებელი-
გაერთიანებისა იმ ცნობიერებაში, რომელიც ცდის შესა-
ძლებლობას იძლევა.

თვით ის ძირითადი დებულება, რომელზედაც აშენებუ-
ლი იყო მთელი ეს ნაკვეთი, ის, რომ ბუნების ზოგადი
კანონები შესაძლებელია აპრიორულად შემეცნებულ იქ-
ნან, თავისთავად მიგვიყვანს დებულებამდე, რომ ბუნების
უმაღლესი კანონმდებლობა თვით ჩვენში, ე. ი. ჩვენს განს-
ჯაში უნდა იყოს მოქცეული, და რომ მისი ზოგადი კა-
ნონები ცდის მეშვეობით ბუნებისაგან კი არ მიიღება,
არამედ პირუკმო, ბუნება თავისი ზოგადი კანონზომიერე-
ბის მიხედვით უნდა მოინახოს ჩვენი მგრძნობელობისა და
აზროვნების საფუძვლად დებულ ცდის შესაძლებლობას
პირობებში; აბა, როგორ იქნებოდა სხვანაირად შესაძლე-
ბელი ამ კანონების აპრიორული შემეცნება? ეს კანონები,
ანალიზურ შემეცნების წესები ხომ არ არიან, არაშედ შე-
მეცნების ჰერმარიტი სინთეზური გაფართოებანი. ასეთი
აუცილებელი შესატყვისობა შესაძლებელი ცდის პრინ-
ციპებს და ბუნების შესაძლებლობის კანონებს შორის,
შესაძლებელია სისრულეში მოვიდეს მხოლოდ ორნაირი
მიზეზის გამო: ან ეს კანონები ნასესხებია ბუნებისაგან.
ცდის მეშვეობით, ანდა, პირუკმო, თვითონ ბუნება გა-
მოყვანილია ცდის შესაძლებლობის კანონებისაგან საერ-
თოდ, და ამ უკანასკნელთა ზოგად კანონზომიერებასთან
სავსებით ერთიდაიგივეა. პირველი შემთხვევა თავისთავს
ეწინააღმდეგება, ბუნების ზოგადი კანონები (დამოუკი-
დებლად ყოველივე ცდისაგან) აპრიორულად უნდა იქნას
შემეცნებული, და განსჯის ყოველსავე ემპირიულ მოხმა-

რებას საფუძვლად უნდა დაედოს; მაშასადამე, დარჩება მხოლოდ მეორე შესაძლებლობა *).

მაგრამ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ბუნების ემპირიული კანონები, რომლებიც ყოველთვის განსაკუთრუბულ აღქმას წინამძღვარად გულისხმობენ, და ბუნების წმინდა, ანუ ზოგადი კანონები, რომლებიც განსაკუთრებული აღქმების წინასწარ არსებობას კი არ გულისხმობენ, არამედ შეიცავენ უბრალო პირობებს ამ აღქმების ცდაში აუცილებელი გაერთიანებისათვის. მხოლოდ ამ უკანასკნელთა თვალსაზრისით არის ბუნება და შესაძლებელი ცდა სავსებით ერთი და იგივე. და რადგან აქ კანონზომიერება დამყარებულია მოვლენების აუცილებელ დაკავშირებაზე მოცემულ ცდაში (უამისოდ ჩვენ არ შეგვიძლია გრძნობადი ქვეყნის არც ერთი საგნის შემეცნება) და რადგან ამასთან ერთად იგი დამყარებულია განსჯის პირველსაწყის კანონებზე, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში ცოტა გვეუცხოება, მაინც უდაოდ ცხადია, თუ მე უკანასკნელთა შესახებ ვიტყვი: განსჯა თავის კანონებს (ა. priori) ბუნებისაგან კი არ ღებულობს, არამედ იგი ბუნებას ამ კანონებს უკარნა ხებს.

*) მარტო კრუზიუსმა იცოდა საშუალო გზა. სახელდობრ, ის, რომ აზროვნებამ, რომელიც არც შეცდება და არც მოგვატყუებს, ეს კანონები დასაბამშივე შთავეინერგა. მაგრამ რადგან აქ ხშირად მცდარი დებულებანიც ჩაერევიან ხოლმე, ამის მაგალითებს ამ კაცის სისტემაც ძალიან ბევრს იძლევა, ამიტომ ამ თვალსაზრისს ყოველთვის აკლია უტყუარი კრიტერიუმი, რომლითაც სანდო და მის არა სანდო დასაბამს ერთმანეთისაგან განვასხვავებდით; ასეთი პრინციპის მოხმარება ყოველთვის ქანაობს და არასდროს სჭორად არ ეიცით თუ ვის ხელში ვიმყოფებით: ჰქეშმარიტების მქადაგებლისა, თუ სიცრუის გამვრცელებლისა.

§ 37

ჩვენ გვინდა ეს ვითომცდა ძალიან გაბეღული დებულება მაგალითით განვმარტოთ. ამ მაგალითმა უნდა გვიჩვენოს: რომ კანონები, რომლებსაც გრძნობადი ჭვრეჭის საგნებზე აღმოვაჩენთ, თუ აუცილებელ კანონებად მიჩნეული არიან, უთუოდ ჩვენ მიერ მიღებულია, როგორც ბუნებაში განსჯის მიერ ჩადებული, თუმცა ისინი თავიანთი ნაწილებით მსგავსი არიან ბუნების კანონებისა, რომლებსაც ჩვენ ცდას მივაწერთ.

§ 38

თუ ჩვენ შრის თვისებებს განვიხილავთ, დაფინახავთ, რომ ეს ფიგურა სივრცის ზოგ თვითნებურ განსაზღვრასაც კი ზოგადი წესის სახით აერთიანებს, ასე რომ აუცილებელი იქნება, ამ გეომეტრიულ ნივთს თავისებური ბუნება მივაწეროთ. მაგ., ორი ხაზი, რომლებიც ერთმანეთსა და წრესაც გადასჭრიან, დაახლოებით ისე ყოფენ ერთიმეორებს, რომ სწორკუთხედი თითოეული ხაზისა მეორესთან თანასწორია, ამიტომ ვკითხულობ მე: „სად დევს ეს კანონი, შრეში თუ განსჯაში?“ ე. ი. გააჩნია თუ არა ფიგურას ამ კანონის საფუძველი განსჯისაგან დამოუკიდებლად, ანდა რადგან განსჯა თავისი ცნებების შინედვით თვით ფიგურას აკონსტრუირებს, (სახელდობრ რადიუსების თანასწორობის გამო), რის გამო ქორდები იკვეთებიან გეომეტრიული პროპორციით? საკითხი ნათელი გახდება თუ ამ კანონის დამტკიცებას განვიხილავთ, სახელდობრ იმას, რომ ეს კანონი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებთან გამოვიყვანოთ, რომლებიც განსჯამ ამ ფიგურის კონსტრუქციას საფუძვლად დაუდო, ე. ი. რადიუსების თანასწორობისაგან. თუ ჩვენ ამ ცნებას გავათართოებთ,

რათა გეომეტრიულ ფიგურათა თვისებების სიმრავლის ერთიანობა ზოგადი კანონების სახით გამოვიკვლიოთ, და წრეს განვიხილავთ, როგორც ისეთ კონუსურ ნაკვთს, რომელიც სხვა კონუსურ ნაკვეთებთან კონსტრუქციის ერთნაირი პირობებით არის გაერთიანებული, ჩვენ ვნახევთ, რომ ქორდები, რომლებიც ერთმანეთს ამ ნაკვეთებში გადასჭრიან — ელიფსისში, პარაბოლში, პიპერბოლში, — ისე სჭრიან ერთი მეორეს, რომ სწორკუთხედები ამათი ნაწილებისაგან, თუმცა თანასწორნი არ არიან, მაგრამ ურთიერთთან ყოველთვის თანასწორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. თუ ჩვენ კიდევ ქვევით წავალთ, სახელდობრ, ფიზიკური ასტრონომიის ძირითად შოძლვრებისაკენ, აქ ვნახავთ კანონს, რომლებიც ვრცელდება მთელს მატერიალურს ბუნებაზე, ურთიერთ მიმზიდველობის კანონს, რომლის წესია, რომ იგი მიმზიდველობის თითოეული წერტილიდან მცირდება მანძილის კვადრატის უკუქცევითი მიმართებით, ხოლო სფერული ზედაპირების მიმართ, რომლებზედაც ეს ძალა ვრცელდება, იმავე სიღიდით იზრდებიან; გვეჩვენება, რომ ეს გარემოება თვით საგანთა ბუნებაში დევს და აძირომ წესატებელია მისი აპრიორული შემეცნება. რაც უნდა უძრალო იყოს ამ კანონის წყაროები, რომლებიც ემყარებიან სხვადასხვა რადიუსის მქონე სფერული ზედაპირის დამოკიდებულებას, — მისგან მიღებული შედეგები ისე ჩინებულია კანონზომიერებისა და კავშირების გამოკვლევისთვის, რომ არამც თუ ზეციურ სხეულთა ყველა ორბიტი უნდა გამოიხატოს კონუსური განკვეთით, არამედ მათ შორის ისეთი დამოკიდებულება იქნება, რომ მიმზიდველობის არც ერთ სხვა კანონს, გარდა დაშორებათა. შებრუნებული კვადრატული დამოკიდებულების კანონისა,

არ შეუძლია გამოგვადგეს. მსოფლიო სისტემის გაგები-
სათვის.

მაშასადამე, აქ გვაქვს ბუნება, რომელიც ისეთს კანო-
ნებზეა დაფუძნებული, რომელსაც განსჯა *a priori*
იმეცნებს და უმეტესად ეს შემეცნება სისრულეში მოღის
სივრცის გარკვეულობის ზოგადი პრინციპებისაგან. ასლა
მე ვკითხულობ: ბუნების ეს კანონები სივრცეში არიან და
მათ განსჯა იქიდან სწავლობს იმით, რომ გამოიკვლევს
სივრცის შინაარსით მდიდარს აზრს, თუ ეს კანონები
განსჯაში არიან მოცემული იმავე წესით, რა წესითაც
განსჯა არკვევს სივრცეს, ე. ი. სინთეზური მთლიანობის
წესებით? განსჯის ყველა ცნება ხომ ამავე პირობას და
წესს ექვემდებარება; სივრცე იმდენად ერთნაირია ყველა
განსაკუთრებული თვისების მიმართ და იმდენად გაურკვე-
ველი, რომ მკონია არავინ დაიწყებს მასში ბუნების კანო-
ნების საგანძურების ძებნას. პირიქით, ის, რაც სივრცეს
ანიჭებს წრის, სფეროს, თუ კონუსის გარკვეულობას, არის
განსჯა, ამ ფიგურათა კონსტრუქციის მთლიანობის სა-
ფუძველს მხოლოდ განსჯა შეიცავს. მჭვრეტელობის ის
უბრალო და ზოგადი ფორმა, რომელსაც სივრცე ეწოდე-
ბა, რასაკვირველია, სუბსტრატია ყველა გარკვეული ობი-
ექტის მჭვრეტელობისათვის; ამ მჭვრეტელობათა შესა-
ძლებლობის პირობები და მათი მრავალსახიანობა, რასა-
კვირველია, სივრცეშია მოცემული, მაგრამ ამ ობიექტე-
ბის ერთიანობას მხოლოდ განსჯა არკვევს იმ პირობე-
ბის მიხედვით, რომლებიც მის საკუთარ ბუნებას შეად-
გენენ; ამგვარად განსჯა არის ბუნების საყოველთაო წეს-
რიგის დასაბამი, იგი ყველა მოვლენას თავის საკუთარ
კანონებს უქვემდებარებს და ამ საშუალებით ცდაც (ფორ-
მის მიხედვით) *a priori* სისრულეში მოჰყავს, რის
გამოც ყოველივე ცდაზე აშენებული შემეცნება უთუ-

ოდ განსჯის კანონებს ექვემდებარება. ჩვერ საქმე გვაქვს არა ბუნებასთან ნივთებისა თავის თავად, რომელიც დამოუკიდებელია, როგორც ჩვენი გრძელების, ისე ჩვენი განსჯის პირობებისაგან, არამედ ბუნებასთან, როგორც შესაძლებელი ცდის საგანთან; აჭ კი განსჯა, რომელიც თვით ამ ცდას შესაძლებელს ხდის, აქანონებს იმ გარემოებას, რომ გრძნობადი სამყარო ან სულ არ უნდა გახდეს ცდის საგანი ანდა უნდა იყოს ბუნება.

§ 39

დ ა მ ა ტ ვ ბ ა

**წმინდა ბუნებათშეცნიერებისათვის. კატეგორიების
სისტემისათვის.**

ფილოსოფიისათვის არაფერი იქნება უფრო სასურველი, თუ კი იგი ცნებათჲ და ძირითად დებულებათა სიშრავლეს, რომლებიც მას წინასწარი მოხმარების დროს მხოლოდ დაბნეულად ეჩვენებოდა, ერთი მှც *concreto* გარკვეული. აპრიორული პრინციპისაგან გამოიყვანს და ამ გზით ყველაფერს ერთი შემეცნების სახით გააერთიანებს. წინათ ფიქრობდა იგი, რომ ის, რაც მას ნაცნობი აბსტრაქციის შემდეგ ხელთ დარჩა და რაც ერთმანეთთან შედარების გამო შემეცნების გარკვეულ სახეობას ჰგავდა, კითომც და სავსებით შეგროვილი ჰქონდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ აგრეგატი და სხვა არაფერი. ახლა კი იცის მან, თუ რა უნდა შეაღენდეს შემეცნების სახეობას, არც მეტი და არც ნაკლები, და ხედავს მისი დანაწილების აუცილებლობას, რაც გაგებაც არის, და ახლა აქვს მას, რასაკვირველია, სისტემაც.

ყოველდღიური შემეცნებებისაგან ისეთი ცნებები რომ ამოვკრით, რომლებსაც არავითარი განსაკუთრებული ცდა საფუძვლად არა აქვს, მაგრამ ყოველ ცდისეულ შე-

მეცნებაში გვხვდებიან, ოომლებშიაც ისინი მხოლოდ დაკავშირების ფორმას წარმოადგენენ, — ყოველივე ამისათვის არავითარი დიდი მოფიქრება და საქმეში ჩახედულება საჭირო არ არის. ეს იმას ჰგავს, რომ ოომელსამე ენაში სიტყვების ჩვეულებრივი მოხმარების წესებს გამოვნახავდით, და ამ საშუალებით გრამატიკის ელემენტებს თავს მოვუყრიდით (მართლაც ორივე ეს წამოწყება ერთმანეთია, ძალიან გვანან), მაგრამ არ შეგვეძლებოდა მიგვეთითებინა იმის საფუძველზე, თუ რატომ აქვს თითოეულ ენას მხოლოდ ეს გარკვეული აგებულება და არა ოომელიმე სხვა, თუ რატომ გვხვდება მასში მხოლოდ ასეთი და ამდენი ფორმალური გარკვეულობანი, არც მეტი და არც ნაკლები და სხვ.

არის ტოტელებმ ათს ასეთს წმინდა ელემენტარულ ცნებას თავი მოუყარა კატეგორიის სახელწოდებით. *) ამათ არისტოტელე უწოდებს აგრეთვე პრედიკა-მენტებს, და გრძნობს აგრეთვე აუცილებლობას მათ კიდევ ხუთი, ე.წ. პოსტპრედიკამენტი დაუმატოს**), რომლებიც ნაწილობრივ იმაში უკვე ნაგულისხმევი იყო (მაგ. prius, simul, motus) მაგრამ ეს რაფსოდიები უფრო წაქეზება იყო მომავალი მკვლევარისათვის, ვიდრე წესების მიხედვით შესრულებული იდეებით გამოსადეგი და მოსაწონი რამ. ამიტომ ისინი ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას, როგორც სავსებით მოუხმარებელი, არა ერთხელ თავიდან მოუშორებია.

*) 1. Substantia, 2. Qualitas, 3. Quantitas, 4. Relatio, 5. Actio, 6. Passio, 7. Quando, 8. Ubi, 9. Situs, 10. Habitus.

1. სუბსტანცია, 2. თვისება, 3. რაოდენობა-რიცხობრიობა, 4. მიმართება, 5. მოქმედება, 6. ტანჯვა, 7. როდის, 8. სად (ადგილი) 9. მდებარეობა, 10. მდგომარეობა.

**) პოსტპრედიკამენტები: 1. დაპირისპირება, 2. უწინ, 3. ერთად 4. მოძრაობა, 5. ქონება.—1. Oppositum, 2. Prius, 3. Simul, 4. Motus, 5. Habere.

ადამიანის შემეცნების წმინდა ელემენტების (ემპირიულისაგან თავისუფალის) გამოკვლევის დროს ძალიან ხანგრძლივი მოაზრების შემდეგ, პირველად მე შევძელი მგრძნობელობის წმინდა ელემენტალური ცნებების (დრო და სივრცე) განსჯის ელემენტალური ცნებებისაგან ვანმესხვავებინა და გამომდევ. ამიტომ არისტოტელის ცხრილიდან მე-7, მე-8 და მე-9 კატეგორია გამოვრიცხე. მაგრამ დანარჩენებიც მე არაფრად არ გამომადგა, რადგან არ იყო პრინციპი, რომლის მიხედვითაც განსჯას სწორედ გაეზომა, პრეცის და სისრულით გამოიკვლია ყველა ის ფუნქციები, რომლისაგან მისი წმინდა ცნებები წარმოსდგებოდენ.

ასეთი პრინციპი, რომ გამომენახა, მე ძებნა დავუწყე განსჯის ისეთს მოქმედებას, რომელიც ყველა დანარჩენს თვითონ შეიცავდეს, და მხოლოდ სხვადასხვა მომენტით ან მოდიფიკაციით სხვავდებოდეს და ამით წარმოდგენის მრავლობას აზროვნების ერთიანობის ქვეშ ათავსებდეს; აქ აღმოვაჩინე, რომ ასეთი განსჯითი მოქმედება არის მსჯელობა. აქ ჩემს წინ იდვა ლოგიკოსების გზა, მაგრამ რასაკვირველია, არა უნაკლო ნამუშევარი; ამან მომცა საშუალება წარმოეყენებინა უნაკლო ცხრილი წმინდა განსჯითი ცნებებისა (კატეგორიები) რომლებიც, ცხადია ობიექტის მიმართ ჯერ სავსებით გაურკვეველი იყვნენ. შემდეგ კი მე შევძელი ეს მსჯელობის ფუნქციები ობიექტებზე საერთოდ დამეკავშირებინა. ან, უკეთ თუ ვიტყვით, მე დავუკავშირე ისინი მსჯელობის ობიექტურგავლენიანობის შესაძლებლობას და აქიდან წარმოიშვენ წმინდა განსჯითი ცნებები, რომელთა შესახებ მე ყოველ ეჭვს გარეშე შე შემძლო მეთქვა, რომ მხოლოდ ესენი, და მათ შორის, ამდენი, და არა მეტი, იძლევიან საფუძველს მთელი ჩვენი საგანთა შემეცნების წმინდა განსჯიდან გამოყვანისათ-

ვის. მე მათ თავიანთი ძველი სახელი — კატეგორია უუწოდე. ამასთანავე, მე დავიტოვე უფლება ამათგან გამოსაყვან ცნებებს, — მიიღებიან ისინი მათი ერთმანეთისადმი დაკავშირებით, თუ მათი მოვლენის წმინდა ფორმის დაკავშირებით (დრო და სივრცე), თუ მათი მატერიით, რამდენადაც ისინი ემპირიულად გარკვეული არ იქნებიან, — პრედიკა ბილი იები უუწოდო და სავსებით მათ მივუმატო; რასაკვირველია, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის მთელი სისტემა, რომლის გულისათვისაც მე ახლა გონიერის კრიტიკას ვაწარმოებ, საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნება.

არსებითი კატეგორიების ამ სისტემაში, რომლითაც ისინი იმ ძველი, ყოველივე პრინციპის გარეშე მომქმედი რაფსოდიებისაგან განსხვავდებიან, და რომლის გამოც კატეგორიების ეს სისტემა ფილოსოფიის საგანძურს მიეკუთვნება, იმაში მდგომარეობს, რომ მათი საშუალებით წმინდა განსჯითი ცნების ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მისი მოქმარების პირობები ზუსტად და სწორად შეიძლება გარკვეულ იქნას. ჩვენ ვნახეთ, რომ ისინი თავისთვად მხოლოდ ლოგიკური ფუნქციები არიან, როგორც ასეთები სრულიადაც არ შეადგენენ ცნებას ობიექტზე თავის-თავადა არამედ მათ ესაჭიროებათ, რათა გრძნობადი მჟღვრეტელობანი ჰქონდეთ საფუძვლად და ამის შემდეგ ისინი ემსახურებიან იმას, რომ ემპირიული მსჯელობანი, რომლებიც მსჯელობის ფუნქციების შესრულების მიმართ გაურკვეველი და გულგრილი არიან, იმგვარად გაარკვიონ, რომ მათ ზოგადგავლენიანობა მოუპოვონ, და ამის მეშვეობით ემპირიული მსჯელობა საერთოდ შესაძლებელი გახადონ.

ასეთი შეხედულება კატეგორიათა ბუნებაზე, რომელიც

მათ ამავე დროს მხოლოდ ცდისეული მოხმარებისათვის შემოფარგლავს, არ ჰქონდა არც მის პირველს წამომწყობს და არც არავის სხვას, ვინც კი არისტოტელეს შემდეგ აც პრობლემაზე იაზროვნა. ასეთი შეხედულების გარეშე კი (რომელიც დამოკიდებულია მათი დედუქციის გამოყვანაზე) კატეგორიები სავსებით უნაყოფო არიან და წარმოადგენენ სამოწყალო სახელთა რეგისტრაციას, მათო მოხმარების ყოველივე განმარტების და ყოველივე წესების გარეშე. ასეთი რაიმე ძველებს როდისმე აზრად რომ მოსვლოდათ, მაშინ ეჭვს გარეშეა, შესწავლა წმინდა გონებრივი შემეცნებისა, რომელმაც მეტაფიზიკის სახელწოდებით მრავალი საუკუნის მანძილზე ბევრი ძალიან კარგი თავი გააფუჭა, ჩვენამდე სულ სხვა სახით მოაწევდა, და იგი ადამიანის განსჯას გაანათლებდა, იმის მაგივრად, რომ მას იგი ბუნდოვან და უშედეგო ფანტაზიებად გადაეჭცია და ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერებისათვის მოუხმარებელი გაეხადა.

კატეგორიების ეს სისტემა წმინდა გონების თითოეული საგნის მოხმარებას სისტემატურად აყალიბებს და უდაო ჩვენებას იძლევა იმისათვის, თუ როგორ და რომელ წერტილებსა და გზებზე უნდა გატარდეს ის მეტაფიზიკური შეხედულებანი, თუ რომ ისინი სრული და უნაკლო უნდა გახდენ. ეს ამოსწურავს განსჯის ყველა მომენტს, რომელსაც კი რომელიმე ცნება უნდა ექვემდებარებოდეს. ასე წარმოიშვა ძირითად დებულებათა ცხრილი, რომელთა სისრულეს ცხადჰყოფს კატეგორიათა სისტემა, ცნებათა იმ დანაწილებაშიც კი, რომელიც განსჯის ფიზიოლოგიურ მოხმარების საზღვრებს უნდა გაშორდეს (კრიტიკა, გვ. 344 და კიდევ გვ. 415), უნდა ვიხელმძღვანელოთ იმავე მაჩვენებლით, რომელიც ყოველთვის ერთნაირად მტკიცება და აღამიანის განსჯის აპრიორულად გამრკვევ წერტილებს

მიჰყვება, ოომელიც ყოველთვის დახურულ წრეს წარმოადგენს და ოომელიც არავითარ ეჭვს აღარ სტოვებს, ოომ გონების ან განსჯის თითოეული საგანი მხოლოდ იმდენად შეიძლება ფილოსოფიურად და აპრიორული ძირითადი დებულებების მიხედვით იქნას დამუშავებული, რამდენადაც ამ წესების მიხედვით იქნება უნაკლოდ შემეცნებული. ის კი არა, მე ეს გზის მაჩვენებელი ერთს ძალიან მძიმე და უაბსტრაქტეს ონტოლოგიურ დანაწილებაზე გამოვცადე, სახელდობრ, ძალიან მრავალ ფეროვანად განსხვავებულ ცნებაზე რაღაც ის და არარაობის შესახებ. ამავე საშუალებით მე შევაღვინე კატეგორიების წესწყობიერი და აუცილებელი ცხრილი (იხ. კრიტიკა გვ. 242 *).

სწორედ ეს სისტემა, ისე ოოგორც ყველა სხვა ზოგად პრინციპზე დაყრდნობილი ჰეშმარიტი სისტემა, იმითაც გვიჩვენებს თავის მართლაც საღიდებელ მოხმარებას, ოომ ყველა უცხო სახის ცნებებს, ოომლებიც იმ წმინდა განსჯის ცნებებში შერევას მოისურვებენ, გარეთ აძევებს და ყველა შემეცნებას თავის ადგილს მიაკუთვნებს. ის ცნებები, ოომლებიც მე რეფლექსი ის ცნებების სახელწო-

*) კატეგორიათა ამ ცხრილის შესახებ შესაძლებელია სხვადასხვანაირი შენიშვნა წამოვაყენოთ, სახელდობრ: 1) მესამე პირველისა და მეორის ერთ ცნებაში გაერთიანებისაგან წარმოსდგება; 2) სიდიდის და კვალიტეტის კატეგორიებში პროგრესი არსებობს ერთიანობიდან სავსეობამდე, ანდა რაღაცისაგან არარაობამდე (ამ თვალსაზრისით, კვალიტეტის კატეგორიები შემდეგნაირად უნდა დალაგდენ: რეალობა, შემოფარგვლა, სრული ნეგაცია) და არც კორრელაცია და არც ოპოზიცია ნაგულისხმევი არ არის, ხოლო რელაციისა და მოდალობის კატეგორიები correlatio და opposita-ს თან ატარებენ; 3) ოოგორც ლოგიკაში კატეგორიული მსჯელობა ყველა დანარჩენის საფუძველია, ასევე სუბსტანციის კატეგორია ნამდვილ ნივთთა ყველა ცნებას, საფუძვლად უდევს; 4) ოოგორც მოდალობა

დებით აგრეთვე კატეგორიის ჩვენების მიხედვით ცხრილის სახით ჩამოვაყალიბე, ონტოლოგიაში თავს უყრიან (მოუქმარებლად და უმართებულოდ) წმინდა განსჯითი ცნებების ქვეშ; თუმცა ეს დაკავშირებისა და ამათ ობიექტის ცნებები სავსებით განსხვავდებიან იმათგან, რომლებიც მოცემული ცნებების უბრალო შედარებას წარმოადგენენ და ამიტომ სავსებით განსაკუთრებული ბუნება და მოხმარება გააჩნიათ. ჩემი კანონზომიერი განაწილებით (კრიტიკა გვ. 260) ისინი ერთმანეთში ასეთი შერევისაგან განთავისუფლებული არიან. კიდევ უფრო ნათელი ხდება კატეგორიების ცხრილის გამოყოფით უზრუნველყოფილი სარგებლობა, თუ ჩვენ, როგორც მე ახლა ამას გავაკეთებ, გონიერის ცნებათა ტრანსცენდენტალურ ცხრილს რომლებსაც სულ სხვა ბუნება და დასაბამი (და ამიტომ სხვა ფორმაც) აქვთ, განვაშორებთ იმ განსჯითს ცნებებს; ეს, ასე აუცილებელი გამოყოფა მეტაფიზიკისა არც ერთს სისტემას ხომ არ მოუმოქმედებია, ამიტომ მეტაფიზიკაში ეს გონიერის იდეები განსჯის ცნებებთან ერთად დადიან, თითქოს ერთი ოჯახის წევრები; ეს არევდარევა და განსხვავების ვერ გაგება აუცილებელი ხდება მაშინ, როცა კატეგორიების გარკვეული სისტემა არ გაგვაჩნია.

მსჯელობაში განსაკუთრებულ პრედიკატს არ წარმოადგენს, ასევე მოდალური ცნებები ნივთს არავითარ გარკვეულობას არ უმატებენ და სხვა, და სხვა, ასეთს შენიშვნებს, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვთ. და თუ ამის გარეშე ყველა პრედიკა ბა და იკა ბა და იკა ბ ს ჩა მოვთვლით, რაც ადგილად შეგვიძლია ვნახოთ ყველა კარგს ონტოლოგის კურსში (მაგ. ბაუმგარტენის) და მათ კლასების მიხედვით კატეგორიებს დავუქვემდებარებთ, რის დროსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ამ ცნების სრული დანაწევრება თან მივუმატოთ, —ყველა ამით წარმოიშობა მეტაფიზიკის მხოლოდ ანალიზური ნაწილი. მას სინთეზური დებულება ჯერ კიდევ არ მოეპოება, რომელსაც თავისი გარკვეულობით და სასრულოვანებით არამც თუ სარგებლობის მოტახა შეუძლია, არამედ მასში მოქცეული სისტემატურის გამას შეუძლია კიდევ გარკვეულ მშვენიერწმინდესაც შეიცავდეს.

ძირითადი ტრანსლატორული საკითხის

მესამე ნაწილი.

როგორ არის გეორგიუსი საერთოდ შესაძლებელი?

§ 40

წმინდა მათემატიკასა და წმინდა ბუნებათმეცნიერებას-
თავიანთი თავდაცვისათვის და სიცხადის შენარჩუნები-
საოვის სავსებით არ დაჭირდებოდა ისეთი დედუქციები,
როგორიც ჩვენ აქ ორივეს შესახებ განვავითარეთ; პირველი
რომ თავის საკუთარ ევიდენტობას ემყარება; მეორე კი,
თუმცა განსჯის წმინდა წყაროებიდან მომდინარეობს,
მაგრამ მაინც უარს ვერ იტყვის ცდაზე, როგორც მისი
მთელი მსელელობის დამსაბუთებელზე და მოწმეზე;
უარს ვერ იტყვის იმიტომ, რომ იგი, მიუხედავად მთელი
თავისი სიცხადისა, როგორც ფილოსოფია, მათემატიკას-
თან გათანაბრებას მაინც ვერ შესძლებს. ორივე მეცნიე-
რებას, მაშასაღამე, დასახელებული გამოკვლევა ესა-
ჭიროებათ არა თავისთავისათვის, არამედ სხვა მეცნიერე-
ბისათვის, სახელდობრ მეტაფიზიკისათვის.

ცდაში ყოველდროს მოხმარებული ბუნების ცნებების
გვერდით მეტაფიზიკას ყოველთვის საქმე აქვს აგრეთვე
წმინდა გონების ცნებებთანაც; ეს უკანასკნელი კი არას-
დროს არ შეიძლება ამათუმდებარებულ ცდაში, იყოს

მოცემული, ამით მეტაფიზიკას საქმე აქვს ცნებებთან, რომელთა ობიექტური ჩეალობა (ე. ი. ის, რომ ისინი უანტაზიები არ არიან) უცნობია და ისეთს მტკიცებებიან, რომელთა ჭეშმარიტება და პცდარობა არავითარი ცდის საშუალებით არც აღმოჩინება და არც დასაბუთდება; სწორედ მეტაფიზიკის ეს ნაწილი არის ის, რაც მის არსებითს მიზანს შეადგენს, ყველა დანარჩენი საშუალებაა ამ მიზნისთვის, ამიტომ ამ მეცნიერებას ასეთი დედუქცია საკუთარი თარი თავისათვის ესაჭიროება. ჩვენ მიერ ახლა დასმული მესამე საკითხი, მაშასადამე, შეეხება მეტაფიზიკის თესლსა და თავისებურებას, სახელდობრ, გონების საქმიანობას თავისი საკუთარი თავის მიმართ, და რაღვან იგი თავისი საკუთარი ცნებებით თხზავს ვითომც აქტარმოშობილ ნაცნობობას ობიექტებისას, ამიტომ მას არ ესაჭიროება ცდის მეშვეობა და არც შეუძლია ცდის საშუალებით რაიმესთან მივიღეს *).

ამ საკითხის გარკვევის გარეშე გონებას არასდროს არ შეუძლია იყოს თავისი თავის კმაყოფილი. ცდის მოხმარება, რომელზედაც გონებამ წმინდა განსჯის საქმე შემოფარგლა, არ ამოსწურავს მთელს მის დანიშნულებას. თითოეული კერძო ცდა არის ერთი ნაწილი მისი მთელი ტერიტორიისა; ჭველა შესაძლებელი ცდის აბ-

*) თუ შესაძლებელია თქვან, რომ ესათუის შეცნიერება ყოველ-შემთხვევაში ყველა ადამიანის იდეაში შეიძლება ნამდვილი იყოს, თუ კი მისი ამოცანები ადამიანის გონების მიერ გამართლებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ძალიან ბევრი ცდა და ხშრად მცდარი ცდებიც აუცილებელი იქნებიან, ამ შემთხვევაში აუცილებლად ისიც უნდა თქვან, რომ მეტაფიზიკა არის სუბიექტურად (თუმცა აუცილებლობის წესით) ნამდვილი. აქ კი ჩვენ უფლება ზვაქვს ვიკითხოთ, როგორ არის იგი (ობიექტურად) შესაძლებელი?

სოლუტური საკსეობა კი თვითონ არ არის (კდა), მაგრამ იგი აუცილებელი პრობლემაა გონებისათვის, რომლის უბრალო წარმოდგენისათვისაც კი სულ სხვა ცნებები სჭირდება გონებას, ვიდრე ის წმინდა განსჯითი ცნებები, რომელთა მოხმარება მხოლოდ იმანენტურია, ე. ი. ცდას შეეხება რამდენადაც ეს ცდა შეიძლება მოცემული იყოს; გონების ცნებები კი საჭიროებენ სასრულოვნებას ე. ი. მთელი შესაძლებელი ცდის კოლექტიურ ერთიანობას, ამიტომ ისინი თითოეული მოცემული ცდის მიღმა გადიან, ე. ი. ტრანსცენდენტური არიან.

როგორც განსჯას სჭირდება კატეგორიები ცდისათვის, ისე გონებას თავისთავში აქვს საფუძველი იდეებისათვის, იდეა შესმის მე როგორც აუცილებელი ცნებები, რომელთა საგანი არც ერთს ცდაში არ შეიძლება იყოს მოცემული. ესენი სწორედ ისე არიან გონების ბუნებაში მოთავსებულნი, როგორც პირველნი განსჯის ბუნებაში; თუ ისინი მოჩვენებას თან ატარებენ, რომელსაც ადვილად შეუძლია შეგვაცდინოს, ეს მოჩვენება კი თითქმის აუცილებელია, თუმცა „მისი ცდუნებისაგან“ შეგვიძლია თავი დავითაროთ.

რადგან ყოველი მოჩვენება იმაში მდგომარეობს, რომ მსჯელობის სუბიექტური ძირი ობიექტურად არის მიჩნეული, ამიტომ არის წმინდა გონების თვითშემეცნება შის ტრანსცენდენტურ მოხმარებაში ერთად ერთი თავდაცვის საშუალება იმ დაბნეულობათა ასაშორებლად, რომელშიაც გონება გაიხლართება, რა წამს თავის დანიშნულებას ცუდად გაიგებს და ტრანსცენდენტური წესით ობიექტს თავისთავად იმას მიაკუთნებს, რაც მის საკუთარ სუბიექტს და მის თაოსნობას ყველა იმანენტური წესის მიხედვით შეეხებოდა.

§ 41

იდეების, ე. ი. წმინდა გონების ცნებების განსხვა-
ვება წმინდა განსჯის ცნებებისაგან, ანუ კატეგორიებისა-
გან, როგორც ისეთ შემეცნებათაგან, რომელიც სულ სხვა-
დასხვა სახეობისა, დასაბამისა და დანიშნულებისა არიან,
იმდენად მნიშვნელოვანი მომენტია იმ მეცნიერების ღა-
ფუძნებისათვის, რომელიც ყველა ამ პრიორული შემეც-
ნების სისტემას უნდა შეიცვდეს, რომ ასეთი გან-
სხვავების გარეშე მეტაფიზიკა ყოვლად შეუძლე-
ბელი იქნებოდა, უკეთეს შემთხვევაში იგი იქნებო-
და ყოველ წესრიგს მოქლებული ბუნდოვანი კდა;
მას არ ექნებოდა იმ მატერიალების ცოდნა, რომლები-
თაც მას უნდა ემოქმედა, და მისი ვარგისიანობა აშათუ-
იმ გარემოების მიმართ იქნებოდა სათამაშო ქალალდებისა-
გან აშენებული ხუხულას ვარგისიანობა. წმინდა გონიერის
კრიტიკას რომ მარტო ეს გაეკეთებინა, პირველად დღის
სინათლეზე მარტო ეს განსხვავება რომ გამოეტანა, ამი-
თაც მას მეტი ექნებოდა გაჭირებული ჩვენი შემეცნების
გაშუქებისათვის და გამოკვლევის ხელმძღვანელობისათ-
ვის მეტაფიზიკის არეში, ვიდრე ყველა იმ უნაყოფებ
ცდას ტრანსცენდენტური ამოცანების გადაწყვეტისათვის,
რასაც წმინდა გონების დასაკმაყოფილებლად ძველთა-
განვე მეტაფიზიკოსები ეწეოდენ, და ვერ ამჩნევდენ, რომ
სულ სხვა არეში იმყოფებოდენ, ვიდრე ვანსჯის არე
არის, ამიტომ განსჯისა და გონების ცნებებს ერთმანეთში
ურევდენ, თითქოს ისინი ერთი შთამომავლობისა ყოფილ-
იყვნენ.

§ 42

ყველა წმინდა განსჯითს შემეცნებას ის თავისებურება
ახასიათებს, რომ ყველა მისი ცნება ცდაში ხორციელდება

და ყველა მისი ძირითადი დებულება ცდით საბუთდება. ტრანსცენდენტური გონების შემეცნებანი და არც მათი ი დე ე ბი ცდაში არ ხორციელდებიან და არც მათი დებულებებით არასდროს ცდით არ იქნებიან არც დასაბუთებული და არც უარყოფილი. ამიტომ აქ შემოპარული შეცდომის აღმოჩენა მხოლოდ თვით წმინდა გონებით შეიძლება; ეს აღმოჩენა კი ძალიან ძნელი არის; იმიტომ, რომ სწორედ ეს გონება მისივე იდეების მეშვეობით დრალექტიკურად იქცევა და ეს უცილებელი მოჩვენება საჭირო მის არავითარი ობიექტური და დოგმატური გამოკვლევით არ შეიძლება შეიზღუდოს, არამედ მხოლოდ სუბიექტურით, თვითონ გონების, როგორც იდეათა წყაროს, საშუალებით.

§ 43

კრიტიკაში ჩემი მთავარი ყურადღება ყოველთვის იმას შეეხებოდა, რომ არა მარტო შემეცნების სახეობანი ერთ-მანეთისაგან ფრთხილად განმესხვავებინა, არამედ თითოეულ მათგანზე მიკუთვნილი ცნებაც მათი საერთო წყაროდან გამომეყვანა, რომ ამით მარტო მათი წარმოშობა კი არ მცოდნოდა, მათი მოხმარების ზუსტად განსაზღვრის მიზნით, არამედ ამის მთავარი და ძირითადი უპირატესობაც, რათა მომეცა აპრიორულ ცნებათა ჩამოთვლის კლასიფიკაციისა და სპეციალიზაციის სრული სახე და, მაშასადამე, შესაძლებლობა მათი პრინციპების მიხედვით ჟემეცნებისა. ამის გარეშე შეტათიზიკა უბრალო რაფსოდია, რომლის დროს არავინ არ იცის, საკმარისია თუ არა, რაც მაქვს, ანდა რა და სად გვაკლია კიდევ. რასაკვირველია, ეს უპირატესობა შეიძლება წმინდა ფილოსოფიაში გვქონდეს და სწორედ ეს არის კრიტიკის არსებითი მნიშვნელობა.

რაღვან მე კატეგორიების დასაბამი ვიპოვე ყოველი განსჯის მიერ. შესრულებული მსჯელობის ოთხს ლოგიკურ ფუნქციაში, ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ის, რომ იდეათა დასაბამს გონების დასკვნების სამს ფუნქციაში მოვნახავდი; თუ ასეთი წმინდა გონების ცნებები (ტრანსცენდენტალური იდეები) ერთხელ მოცემულია, თუ მათ თანდაყოლილად არ ჩავთვლით, მაშინ ისინი არსად შეიძლება სხვაგან ვნახოთ, თუ არა იმავე გონების მოქმედებაში, რომელიც, რამდენადაც მხოლოდ ფორმას შეეხება, იმდენად იძლევა გონების დასკვნების ლოგიკურ მოქმედს, რამდენადაც კი იგი განსჯითი მსჯელობის ამათუიმ აპრიორულ ფორმას შეეხება, იმდენად იძლევა წმინდა გონების ტრანსცენდენტალურ ცნებებს.

გონების დასკვნების ფორმალური განსხვავება იძლევა მათი დანაწილების აუცილებლობას კატეგორიულად, პიპოთეზურად და დისიუნქტურად. ამაზე აშენებული უნების ცნებები შეიცავენ, მაშასადამე, პირველად სრულყოფილი სუბიექტის იდეებს (სუბსტანციონალი), მეორედ — პირობებს სრულყოფილი მწერივისას, მესამედ — ყველა ცნების გარკვეულობას შესაძლებლობის სრულყოფილი კრებადობის იდეისათვის *). პირველი იდეა აურ

*) დისიუნქტურ (გაყოფითი) მსჯელობაში განვიხილავთ ყველა შესაძლებლობას ცნების მიმართ, როგორც დანაწილებულს—რომლისამე ნივთის სრულებრივი გარკვეულობის ონტოლოგიური პრინციპი (ყველა შესაძლებელი მოპირდაპირე პრედიკატიდან თითოეულ ნივთს რაიმე მიეკუთვნება), რომელიც აშავე დროს ყოველ დისიუნქტური მსჯელობის პრინციპიც არის, საფუძვლად უდევს შესაძლებლობის ცნების კრებადობას, რომელშიაც თითოეული ნივთის შესაძლებლობა საერთოდ გარკვეულად არის მიჩნეული. ეს გარემოება იძლევა ზემოთ მოცემული დებულების ზოგ განმარტებას: გონების მოქმედება დისიუნქტურ გონების დასკვნაში

ფსიქოლოგიური, მეორე კოსმოლოგიური, მესამე თეოლოგიური; და რაღაც სამივე დიალექტიკის საბაბს იძლევიან, რასაკვირველია, თითოეული თავისებურად, ამიტომ აქიდან გამომდინარეობს წმინდა გონების მთელი დიალექტიკის შემდეგი დანაწილება: პარალოგიზმები, ანტინომიები და დასასრულ წმინდა გონების იდეალი; ეს გამოყვანა სავსებით უზრუნველყოფს იმას, რომ წმინდა გონების ყველა პრეტენზია აქ სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი, რომ არ შეიძლება აკლდეს თუ გრძელოთიც, რაღაც გონების უნარი, რომლისგანაც ყველა ისინი თავიანთ დასაბამს ღებულობენ, აქ უნაკლოდაა გათვალისწინებული.

§ 44

ამ განხილვის დროს ის არის საზოგადოდ გასაკვირველი, რომ გონების იდეები, კატეგორიების დაგვარაც განსჯის ცდაზე მოხმარებისათვის კი არ გვეხმარებიან, არა მედ ამ საჭიროა პირდაპირ საჭირო არ არიან და გონების შემეცნების მაქსიმებისათვის ხელისშემუშავების როლს თამაშობენ, მაგრამ მომავალში სულ სხვა, ჯერ კიდევ გასარკვევი თვალსაზრისისათვის მაინც საჭირო არიან. სული, რომ თუ მარტივი სუბსტანციაა, — ეს საჭარებით სულერთია სულიერი ცხოვრების მოვლენების გაშუქების თვალსაზრისისათვის; ჩვენ ხომ არ შეგვიძლია მარტივი არსების ცნება რომელიმე შესაძლებელი ცდის საშუალებით გრძნობადად, ე. ი. *in concreto* გასაგები გავხადოთ; ამიტომ იგი მთლად ცალიერია მოვლენათა მი-

ფრარმის მიხედვით საესებით იმის დაგვარია, რომელსაც ყველა ერთ-მანეთისადმი მოპირდაპირე პრედიკატის პოზიტიური მომენტი გააჩნიათ, ამით კი ყოველივე რეალობის კრებადობის იდეა სისრულეში მოდის.

ზეზის გამოკვლევის მოლოდინისათვის და არ შეუძლია
შეასრულოს ისეთი პრინციპის ჩოლი, რომელიც საჭარბა
შინაგანი გინდ გარეგანი ცდის საქმიანობისათვის. აგრეთ-
ვე არ შეუძლიათ კოსმოლოგიურ იდეებს ქვეყნის დასა-
წყისზე ან ქვეყნის მარადიულობაზე (a parte ante) იმი-
სათვის გვემსახურონ, რათა თუ გინდ ერთი შემთხვევა
ამ ქვეყნად მათი საშუალებით განვმარტოთ. დასასრულ
ნატურფილოსოფიის სწორი მაქსიმებიდან გამოსვლით
თავი უნდა შევიკავოთ ბუნების აგებულებათა ყველა იმ
განმარტებისაგან, რომლებიც უზენაესი არსების ნების-
ყოფისაგან გამომდინარეობენ, თავი უნდა შევიკავოთ
იმიტომ, რომ ეს ნატურფილოსოფია კი აღარ არის, არა-
მედ იმის აღიარება, რომ ყოველი ნატურფილოსოფია
დასრულებულა. მაშასადამე, ამ იდეებს თავიანთი მოხმა-
რების სულ სხვა დანიშნულება გააჩნიათ, ვიდრე იმ კა-
ტეგორიებს, რომელთა მეშვეობით და მათზე დამყარებუ-
ლი ძირითადი დებულებებით, ცდა სისრულეში მოდის.
ისიც მართალია, რომ ჩვენი ბეჯითი და ძნელი ანალიტიკა
განსჯისა სავსებით ზედმეტია, თუ ჩვენი მიზანი სხვა, არა-
ფერი იქნებოდა, გარეშე ცდაში მოცემული უბრალო ბუ-
ნების შემეცნების გამოკვლევისა, მართლაც და გონიერა
თავის საქმეს მათემატიკისა და ბუნებათმეცნიერებაში ამ
სუბტილი დელუქტიებისათვის თავის შეუწუხებლადაც
ძალიან კარგად და მტკიცედ აკეთებს. მაშასადამე, ჩვენი
კრიტიკა განსჯისა ერთიანდება წმინდა გონების იდეებთან
ისეთს შეხედულებად, რომელიც განსჯის ცდისეულ მოხ-
მარების საზღვრებს სცილდება. და იმ მდგომარეობამდე
მიღის, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ იგი
შეუძლებელია და თავის საგანსა და მნიშვნელობას მოკ-
ლებულია. მიუხედავად ამისა, იმათ შორის, რაც გონე-
ბისა და განსჯის ბუნებას ეკუთვნის, მაინც ერთსულოვ-

შება უნდა არსებობდეს და პირველმა მეორის სრულ-შენისათვის თავისი წვლილი უნდა გაიღოს, ამიტომ არ შეიძლება მან იგი დააბნიოს.

ამ საკითხის გადაჭრა შემდეგი იქნება: წმინდა გონებას თავის იდეებს შორის ისეთი განსაკუთრებული საგნები არ გააჩნია, რომლებიც ცდის არეს იქით სწვდებოდენ, ამიტომ განსჯის მოხმარების სავსეობისათვის მას შეუძლია დახმარების გაწევა მხოლოდ ცდასთან დაკავშირებით. ეს სავსეობა კი შესაძლებელია იყოს პრინციპების სავსეობა და არა საგნებისა და მჭვრეტელობისა. ისინი რომ გარკვეულად წარმოადგინოს, გონება ისეთ ობიექტის შემეცნებას აზროვნობს რომლის შემეცნება წესების მიხედვით არის სავსებით გარკვეული. ეს ობიექტი კი არის მხოლოდ იდეა, გონება აზროვნობს მას, რათა განსჯითი შემეცნება იმ სავსეობას დაუახლოვოს, რომელიც იდეით არის გამოხატული.

§ 45

შინაგანი ჟანრისა და მიმღების გონიერების დასახურის დამოუკიდებლობის საფუძვლი.

ჩვენ ვნახავთ მე-33 და 34 პარაგრაფში, რომ კატეგორიის სიწმინდემ ყოველი გრძნობადი ნარევისაგან შეიძლება გონება იქით გადააცდინოს, რათა მან თავისი მოქმედება ყოველივე ცდის მიღმა, ნივთებზე თავისთავად გდავრცელოს, და რადგან იგი მჭვრეტელობას ვერ ნახავს, რომელმაც თავისი აზრი და მნიშვნელობა *in concreto* უზრუნველჰყოს, ამიტომ იგი წარმოადგენს საგანს საერთოდ, როგორც ლოგიკურ ფუნქციას; მაგრამ ეს ხომ არ არის გარკვეული ცნება რომელიმე ნივთის შესახებ. ასეთი პიპერბოლური ობიექტები სწორედ ისინი არიან, რომლებმაც ნოუ მენებს, ანუ წმინდა განსჯის არსებებს (უკათ,

აზრისეულ არსებებს) უწოდებენ, ოოგორც, მაგრა სუბსტანცია, რომელიც მყარობის გარეშე დროში იქნება მოაზრებული, ან მიზეზი, რომელიც დროში არ მოქმედებს დასხვ. დასხვ., რადგან ამათ პრედიკატებს მხოლოდ იმიტომ მიუმატებენ, რომ ცდის კანონზომიერება შესაძლებელი გახადონ, ხოლო რადგან მშვრეტელობის ყოველივე პირობა, ურომლისოდაც ცდა-შეუძლებელია ამათ ჩამოშორებული აქვთ, — ამიტომ ამ ცნებებს ყოველივე მნიშვნელობა ხელახლა დაკარგული აქვთ.

თავისთავად, რასაკვირველია, არ არსებობს საშიშროება, რომ განსჯა თვითონ, თუ კი უცხო კანონები მას საამისოდ არ აიძულებენ, საკუთარი გაბედულებით ცალიერ აზრისეულ არსებათა ქვეყანაში გადაიხვეწოს. მაგრამ თუ გონება, რომელიც განსჯის წესების ცდისეული მოხმარებით არასრულს არ ისაზღვრება, ამ პირობებით არ დაკამაყოფილდება, და ამ პირობათა ჯაჭვის დასრულებას მოითხოვს, — ამით განსჯა თავისი საკუთარი წრიღან ამოვარდება. მაშინ იგი ნაწილობრივ შეეცდება ცდის საგნები ისეთ შორეულ რიგში წარმოადგინოს, რომლის მიწვდომა არც ერთს ცდას არ შეუძლია, ნაწილობრივ იგი ამ რიგის დასრულების მიზნით სავსებით ცდის საზღვრებს გაშორდება და ნოუ მენების ძებნას დაიწყებს, რომლებზედაც ის თავის ჯაჭვს დააკავშირებს და ცდის პირობებიდან სავსებით დამოუკიდებელი მოქმედების განხორციელებას მოჰკიდებს ხელს. ეს არის ტრანსცენდენტური იდეები, რომლებიც თვითონ შეიძლება გაზვიადებული ცნებებისაკენ კი არ მიისწრაფოდენ, არამედ მხოლოდ ცდის მოხმარების უსაზღვრო გაფართოებისაკენ, მაგრამ ჩვენს გონებაში დამალული ბუნებრივი დანიშნულების მქონე მიზნების გამო, უცილობელი მოჩვენების გამო.

ისინი განსჯისაგან მაინც ტრანსკრინაციები მოხ-
მარებას მოითხოვენ, რომლებიც თუმცა მატყუარაა, —
მათ აზრადაც არ აქვთ ცდის საზღვრებში გაჩერდეს, —
მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია მეცნი-
ერული შრომითა და კვლევით მათი გარკვეულ ფარ-
გლებში გაჩერება.

§ 46

I. ფსიქოლოგიური იდენტი (“წმინდა გონ. კრიტიკა”, 88. 341 და ქ3.):

დიდიხანია შემჩნეული იყო, რომ ყველა სუბსტანცია-
ში, მას შემდეგ, რაც აქციდენციები (როგორც პრედიკა-
ტები) გამოაცალკევეს, თვითონ სუბიექტი, ე. ი. აქციდენ-
ციების გამოცდის შემდეგ დარჩენილი სუბსტანციუ-
რი, უცნობი იყო. ჩვენი შემეცნების ამ განსაზღვრულო-
ბის გამო ბევრი საჩივარი გამოუთქვამთ. მაგრამ ამის შე-
სახებ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ აღამიანის განსჯას ვერ
ვუსაყვედურებთ, რატომ საგანთა სუბსტრაციონალური
ბუნება არ იცის, ჩვენ მას იმას ვუსაყვედურებთ, რომ იგი
ფიქრობს ამის ისე შემეცნებას, თითქოს უბრალო იდეა-
თან ჰქონდეს საქმე. წმინდა გონება მოითხოვს, რათა თი-
თოეული საგნის პრედიკატისათვის კუთვნილი სუბიექტი
მოვნახოთ, ამ უკანასკნელისათვის კი იმას მოვნახავთ, რაც
მისი პრედიკატია, შემდეგ რაც მისი სუბიექტია და ასე
ამრიგად უნდა ვეძიოთ უსასრულობამდე (ანდა სანამდე
ჩვენ შევგიძლია). მაგრამ აქიდან ისიც გამომდინარეობს,
რომ არც ერთი, რომელსაც კი ჩვენ მივაღწევთ, უკანას-
კნელ სუბიექტად არ უნდა ჩავთვალოთ, და ისიც, რომ
თვით სუბსტანციონალურს ჩვენი თუ გინდ ძალიან ღრმად
მაძიებელი განსჯა ვერას დროს ვერ გაიაზრებს, ბუნების
მთელი საიდუმლოება რომ აღმოაჩინოს მაინც ვერ გაი-

გებს; რადგან ჩვენი განსჯის სპეციფიკური ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველივეს დისკურსიულად, ე. ი. ცნებების მეშვეობით აზროვნობს, მაშასადამე, იგი აზროვნობს მხოლოდ პრედიკატების მეშვეობით, მაშ, ცხადია, რომ აბსოლუტური სუბიექტი მის ბუნებას ყოველთვის უნდა აკლდეს. ამიტომ რეალური თვისებები, რომლებითაც ჩვენ სხეულებს ვიმეცნებთ, მხოლოდ აქციდენციებია, თვით შეუვალობაც კი, რომელიც ყოველთვის რომელიმე ძალის შედეგი უნდა იყოს, სუბიექტი აქაც კი გვაკლია.

ხშირად გვეჩვენება, ვითომცდა ჩვენ საკუთარი მეობის ცნობიერებაში (მოაზროვნე სუბიექტში) ეს სუბსტანციონალური მოგვეპოებოდეს, ვითომ იგი უშუალო მჭვრეტელობაში გაგვაჩნდეს; რადგან შინაგანი გრძნობის ყველა პრედიკატი მიმართულია მესადმი, როგორც სუბიექტისადმი, ამიტომ ეს ვითომ უსათუოდ რომელიმე სხვა სუბიექტის პრედიკატად უნდა გავიაზროთ, ე. ი. აქ გვეჩვენება სავსეობა მოცემულ ცნებათა, როგორც რომელიმე სუბიექტის პრედიკატებისა, არა როგორც იდეა, არამედ როგორც საგანი, სახელდობრ, როგორც თვითონ ა ბ ს ოლუტური სუბიექტი ვითომცდა ცდაში იყოს მოცემული. მაგრამ ეს მოლოდინი არ გავიმართლდება. მე არავითარი ცნება *) არ არის, არამედ ეს იმდენად ნიშანია შინაგანი გრძნობის საგნის გამოსახატავად, რამდენადაც არავითარი პრედიკატით არ შეგვიძლია ჩვენ მისი შემეც-

*) აპერცეპციის წარმოდგენა, ანუ მეობა, რომ ყოფილიყო ცნება, რომლითაც რაიმეს გავიაზრებდით, მაშინ იგი ან სხვა საგნების პრედიკატებად უნდა გამომდგარიყო, ან და ასეთი პრედიკატები თავისთავში ჰქონებოდა, სინამდვილეში იგი არის მხოლოდ გრძნობა რაღაც არსებობისა და მას არ აქვს არავითარი ცნება და წარმოდგენა იმაზე, რის მიმართაც ყოველივე აზროვნება (relatione accidentis) მიმართებაში იმყოფება.

ზება, ამიტომ მას არ შეუძლია იყოს არც პრედიკატი, რომელიმე ნივთისა და არც რომელიმე გარკვეული ცნება, აბსოლუტური სუბიექტისა, არამედ, როგორც სხვა ასეთ შემთხვევებშიაც, მას შეუძლია იყოს მიმართება შინაგანი მოვლენებისა საკუთარ უცნობ სუბიექტთან. ამავე დროს ეს იდეა გვაძლევს საშუალებას (რომელიც ამავე დროს, როგორც რეგულატიური პრინციპი იმისთვისაც გვემსახურება, რათა ჩვენი სულის შინაგანი მოვლენების მატერიალისტური ახსნის ყოველივე შესაძლებლობა მოვსპონთ) თავიდან მოვიშოროთ ის მოჩვენებითი არგუმენტების ბუნებრივი უაზრობა, რომლის თანახმადაც ჩვენი მოაზროვნე არსების სუბსტანციონალის საფუძვლის მოჩვენებითი ცოდნიდან, ვითომც მის ბუნებაზე დავასკვნიდეთ; შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც იგი მოთავსებულია ცდის ყველა შესაძლებელი საზღვრის მიღმა.

§ 47

ეს მოაზროვნე მეობა (სული), როგორც აზროვნების უკანასკნელი სუბსტანცია, რომელიც თვითონ სხვა რომელიმე ნივთის პრედიკატად აღარ წარმოიდგინება, შეიძლება სუბსტანციად იქნას წოდებული; მაგრამ ეს ცნება მაინც სავსებით ცალიერი და ყოველივე შედეგს მოკლებული რჩება, თუ მას მყარობის ცნება, რაც სუბსტანციის ცნებას ცდისათვის ნაყოფიერად აქცევს, არ მიეკუთვნა.

მყარობა კი არასდროს არ დამტკიცდება როგორც ნივთის თავისთავად დამახასიათებელი გარემოება, არა-მედ მხოლოდ როგორც ცდისათვის გამოსადევი რამ. ეს გარემოება ცდის პირველი ანალოგიის გარჩევის დროს (წმ. გონ. კრიტიკა, გვ. 182) საკმარისად დალაგებული იყო და ვინც ამ მტკიცებას არ დაუჯერებს, მან თვითონ უნდა სცადოს, თუ ეს შესაძლებელია, რომ სუბიექტის

ცნებისაგან, ოომელსაც თვითონ სხვა ნივთის პრედიკაზ
ტად ყოფნა არ შეუძლია, დაამტკიცოს, რომ მისი არსე-
ბობა სავსებით მყარია, და ოომ ის არც თავისთავად და
არც ოომელიმე ბუნებრივი მიზეზის გამო არც წარმოიშო-
ბა და არც დაიღუპება. ასეთი სინთეზური დებულებანი
ა priori კი არასდროს არ შეიძლება თავისთავად იქნან
დასაბუთებული, არამედ მხოლოდ ყოველთვის მიმართ
ნივთებისა, ოოგორც შესაძლებელი ცდის საგნებისა.

§ 48

თუ ჩვენ, მაშასადამე, გვსურს სულისაგან, ოოგორც
სუბსტანციის ცნებისაგან, მის მყარობაზე დასკვნა გავა-
კეთოთ, ამას მნიშვნელობა ექნება მხოლოდ შესაძლებე-
ლი ცდისათვის და არა ნივთისათვის თავისთავად, არა
ყოველივე შესაძლებელი ცდის მიღმა გასვლისათვის.
სუბიექტური პირობა კი ყოველი ჩვენი შესაძლებელი ცდი-
სა არის სიცოცხლე. მაშასადამე, დასკვნაც გაკეთდება სუ-
ლის სიცოცხლეში მყარობის შესახებ. ადამიანის სიკვ-
დილი ხომ დასასრულია ყოველივე ცდისა; და ამიტომ
სულისათვისაც, ოოგორც ცდის საგნისათვის — ეს ასეა,
თუ საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული, ოსაც სა-
კითხიც შეეხება. მაშასადამე, სულის მყარობა შესაძლებე-
ლია დამტკიცდეს მხოლოდ ადამიანის სიცოცხლეში და
არა მისი სიკვდილის შემდეგ, (ეს არის სწორედ, ჩაც
ჩვენ გვესაჭიროება) და ეს იმ ზოგადი საფუძვლის გამო,
რომ სუბსტანციის ცნება მყარობის ცნებასთან აუცილებ-
ლივ დაკავშირებულად უნდა წარმოვიდგინოთ; ეს კი
ყოველთვის შესაძლებელი ცდის ძირითადი დებულების
საშუალებით შესაძლებელია განხორციელებული იქნას. *)

*1 მართლაც, ძალიან გასაკვირველია, რომ მეტაფიზიკურსები ყო-
ველთვის ასე უდარდელად გვერდს უვლიან სუბსტანციის მყარობის
დებულებას, არც კი სურთ რაიმე დასაბუთების დაგვარი სცადონ
ამისათვის. ნამდვილად თვითონ ზედავდენ, რომ ვინც სუბსტანციის

აგრეთვე არ შეიძლება დამტკიცდეს ნივთების თავის-
თავად დაკავშირების მეშვეობით, რომ ჩვენს გარეგან,
აღქმებს რაღაც მართლაც ჩვენს გარეთ მოთავსებული
შეესაბამება და უნდა შეესაბამებოდეს. ეს ნიშნავს შე-
მდეგს: რაღაც ემპირიულად რომ არსებობს, ე. ი. რო-
გორც მოვლენა სივრცეში ჩვენს გარეშე რომ არის, ეს ძა-
ლიან კარგად შეიძლება დავამტკიცოთ; სხვა საგნებთან-
ხომ არ გვაქვს ჩვენ საჭმე, თუ არა მხოლოდ შესაძლებე-
ლი ცდისადმი მიკუთვნებულებთან; ის, რაც მე ცდაში არ-
მომეცემა, ჩემთვის არარაობა არის. ემპირიულად ჩემს გა-

ცნებიდან დაიწყებს, იგი დასაბუთების სფეროში ვერაფერს გააკე-
თებს. ჩვეულებრივ უბრალო განსჯამ, რომელმაც მშვენივრად გაიგო,
რომ ასეთი დასაბუთების გარეშე აღქმის გაერთიანება ცდაში შეუძ-
ლებელია, დასაბუთების ნაკლოვანება ამოავსო შესაფერი პოსტულა-
ტით; მას ცდიდან ხომ არ შეეძლო ეს დებულება აეღო, არ შეეძლო
ნაწილობრივ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია სუბსტანციის განხილვა-
ყველა მისი ცვალებადობისა და დაშლის უკანასკნელ საზღრებამდე,
ნაწილობრივ არ შეეძლო იმიტომ, რომ დასახელებული დებულება
შეიცავს აუცილებლობას, რაც ყოველთვის აპრიორული პრინ-
ციპის ნიშანია. ამიტომ მათ ეს ძირითადი დებულება მოიხმარეს სუ-
ლის, როგორც სუბსტანციის ცნებაზე და დამედებულებმა დაასკვ-
ნეს სულის არსებობის გაგრძელება ადამიანის სიკვდილის შემდეგ.
(ცნობიერების განყოფელობიდან გამომდინარე სიმარტივე ამ სუბ-
სტანციისა ვითომც და მისი გადამრჩენი იყო დაღუპვისა და დაშლი-
საგან). ამ ძირითადი დებულების ნამდვილი წყარო რომ ენახათ მათ,
რომლის მონაშვისათვის, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ღრმა-
კვლევა იყო საჭირო, ვიდრე მათ ამის შესაძლებლობა პქონდათ, მაშინ
ისინიც კი დაინახავდენ, რომ სუბსტანციის მყარობის კანონი მხოლოდ
ცდის გულისათვის ძალაში მოდის და ამიტომ ვრცელდება მხოლოდ
სქეთს ნივთებზე, რომლებიც ცდაში შეიმეცნება და ცდით ერთმანეთ-
თან დაკავშირდება და არასდროს ისეთს საქმეებზე, სადაც შესაძლე-
ბელ ცდას საჭმე არა აქვს, მაშასადამე,—არასდროს ვრცელდება
სულზე სიკვდილის შემდეგ.

რეშე მხოლოდ ის არსებობს, რაც სივრცეში შეიძლება იქნას განჭვრეტილი, და რადგანაც სივრცე ყველა მასში შემავალი მოვლენით წარმოდგენებს უკუთვნის, რომელთა დაკავშირება ცდისეული კანონების მიხედვით ისე ასაბუ-თებს მათ ობიექტურ ჰეშმარიტებას; როგორც ჩემი სუ-ლის ნამდვილობას (როგორც შინაგანი გრძნობის საგნი-ჭას), შინაგანი გრძნობის მოვლენათა დაკავშირება ამტკი-ცებს, ამიტომ, რომ გარეგანი ცდის მეშვეობით ისე ვიკი სხეულთა ნამდვილობა სივრცეში, როგორც შინაგანი ცდის მეშვეობით მე ვიცი ჩემი სულის არსებობა ღროში. სული როგორც საგანი შინაგანი გრძნობისა, მე შემი-ძლია შევიმეცნო მოვლენების საშუალებით, რომლებიც ჩემს შინაგან მდგომარეობას წარმოადგენენ, ის არსება თავისთავად კი, რომელიც ამ მოვლენებს საფუძვლად უდევს, ჩემთვის სავსებით უცნობია. კარტეზიანული იდე-ალიზმი კი ასხვავებს გარეგან ცდას სიზმრისაგან, და პირველის კანონზომიერებას, როგორც მისივე ჰეშმარი-ტების კრიტერიუმს ასხვავებს იგი მეორის უწესრიგობისა და მცდარი მოჩვენებისაგან. ის ორივე შემთხვევაში გუ-ლისხმობს დროსა და სივრცეს, როგორც საგნის არსებო-ბის წინასწარ პირობებს და კითხულობს მხოლოდ შესა-ძლებელია თუ არა, რომ საგნები გრძნობების გარეშე სი-ვრცეში მართლაც ვნახოთ; იგი კითხულობს აგრეთვე, თუ როგორ არის შინაგანი გრძნობის საგანი, ე. ი. სული, ნა-მდვილად ღროში, ე. ი. თუ მართლა გააჩნია ცდას სა-შუალება და კრიტერიუმი წარმოსახვისაგან გარჩევისათვის. აქ ეჭვის თავიდან მოშორება ადვილია, ჩვეულებრივ, ცხო-ვრებაში ჩვენ ამ ეჭვს მართლაც ადვილად იმით ვიშო-რებთ თავიდან, რომ მოვლენების დაკავშირებას ორივეში ცდის ზოგადი კანონების მიხედვით ვიკვლევთ, და თუ გა-რეგანი საგნების წარმოდგენები ამას თავიდან ბოლომდე.

ეთანხმებიან, მაშინ არავითარი ეჭვი აღარ შეგვაჭვნ იმაში, რომ ისინი ჰეშმარიტი ცდის მიერ არიან გაკეთებული. მატერიალური იდეალიზმი, მაშასადამე, ძალიან ადვილი დასაძლევია, რადგან ის მოვლენებს იხილავს მხოლოდ ცდაში მათი დაკავშირების მიხედვით; ეს ხომ ისეთივე უტყუარი გამოცდილებაა, რომ მოვლენები ისე არსებობენ ჩვენს გარეშე სივრცეში, როგორც მე შინაგანი გრძნობის წარმოდგენის თანახმად დროში უთუოდ ვარ. ცნება: ჩვენს გარე შე, ნიშნავს სივრცეში არსებობას. და რადგან დებულებაში: მევარ, ეს მე მარტო შინაგანი ჭვრეტის (დროში) საგანს კი არ ნიშნავს, არამედ ცნობიერების სუბიექტს, ისე როგორც სხეული არ ნიშნავს მარტო გარეგან ჭვრეტელობას (სივრცეში), არამედ ნივთსაც თავისთავად, რომელიც ამავე მოვლენის საფუძველს შეადგენს,—ყველა ამის გამო საკითხი: არსებობს თუ არა სხეული ჩემი აზრების გარე შე სხეულის სახით (როგორც გარეგანი გრძნობის მოვლენა) ბუნებაში, ყოველივე ყოყიანის გარეშე უარყოფილ უნდა იქნას. სხვა გვარად არც ის საკითხი დგას, რომელიც კითხულობს, მე როგორც შინაგანი გრძნობის მოვლენა (სული ეპირიული ფსიქოლოგიის თანახმად) ჩემი წარმოდგენის ძალის გარეშე დროში ვარსებობ თუ არა; ესეც უყოყმანოდ უარყოფილ უნდა იქნას. ამ საშუალებით ყველაფერი, რამდენადაც იგი თავის ნამდვილ მნიშვნელობას მიაღწევს, გადაწყვეტილია და ცხადი.. ფორმალური იდეალიზმი (ჩემს მიერ ტრანსცენდენტალურად სახელწოდებული) მართლაც მოხსნის მატერიალურ, ანუ კარტეზიულ იდეალიზმს. მართლაც და თუ სივრცე სხვა არაფერია, თუ არა ჩემი მგრძნობელობის ფორმა, მაშინ, როგორც წარმოდგენა ჩემში, იგი ისე ნამდვილია, როგორც მე თვითონ ვარ ნამდვილი. საკითხი აქ მხო-

ლოდ მოვლენების ემპირიულ ჭეშმარიტებას შეეხება. არ არის ეს ასე, სივრცე და მოვლენები მასში ოლაკ ჩვენს გარეშე არსებულნი არიან, ამ შემთხვევაში ცდის ჟველა კრიტერიუმს ჩვენი აღქმის გაუთვალისწინებლად ამ საგნების ჩვენს გარეშე. ნამდვილობის დამტკიცება არასდროს არ შეუძლია.

§ 50

II კოსმოლოგიური იდეაზი (კრიტიკა გვ. 405 და გვ.)

წმინდა გონების ეს პროდუქტი მის ტრანსცენდენტურ მოხმარებაში მისივე ყველაზე გასაკვირველი ფენომენია, რომელიც ყველაზე უფრო აღვიძებს აგრეთვე ფილოსოფიას დოგმატური ძილისაგან და მას გონების კრიტიკის უმძიმესი საქმისათვის ამოძრავებს.

მე ამ იდეას იმიტომ ვუწოდებ კოსმოლოგიურს, რომ იგი თავის ობიექტებად გრძნობადი ქვეყნიდან ყოველ-თვის იმას იწჩევს, რის საგანიც გრძნობის ობიექტია. ამ ქვეყნიურია და არა ტრანსცენდენტური; მაშასადამე, აქამდე ის იდეა არ არის. ის კი, ვინც სულს აზროვნობს, როგორც მარტივ. სუბსტანციას, ეს იმას ნიშნავს, რომ სეთს საგანს აზროვნობს მარტივად, რომლის წარმოდგენა სავსებით შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, კოსმოლოგიური იდეა იმდენად აფართოებს კავშირს განმსაზღვრელსა და განსაზღვრულს შორის (სულერთია, იქნება ეს მათემატიკური, თუ დინამიკური), რომ მასთან გათანაბრება ცდას არასდროს არ შეუძლია. ამის მიხედვით იგი ყოველთვის არის იდეა, რომლის საგანი არც ერთს ცდაში აღეკვატურად არ შეიძლება იყოს მოცემული.

§ 51

უპირველეს ყოვლისა, აქ იმდენად ნათელია კატეგორიების სისტემის სარგებლიანობა, რომ ამისათვის სხვა

დამტკიცებაც რომ არ არსებობდეს, ესეც საკმარისი იქნებოდა, რათა მათი უცილებლობა წმინდა გონების სისტემისათვის დამაჯერებლად დაგვესაბუთებინა. ასეთი ტრანსცენდენტური იდეა არსებობს მხოლოდ ოთხი, ე. ი. იმდენი, რამდენიც კატეგორიების აქლასია. თითოეულ მათგანში კი ისინი მიმართულნი არიან განმსაზღვრელი და განსაზღვრული რიგის აბსოლუტური სისრულისაკენ. ამ კოსმოლოგიური იდეების მიხედვით არსებობს აგრეთვე წმინდა ვონების ოთხნაირი დიალექტიკური მტკიცება, რომლებიც, რადგან დიალექტიკური არიან, ამით თვითონ ამტკიცებენ, რომ თითოეულ მათგანს წმინდა გონების ისეთივე მოჩვენებითი ძირითადი დებულება უპირისპირდება, როგორც იგი თვითონ მეორის მიმართ არის დაპირისპირებული; ეს წინააღმდეგობა არ შეუძლია დაფაროს არც ერთ გამობრძმელილ დისტანციას მეტაფიზიკური ხელოვნებისას, არამედ იგი აიძულებს ფილოსოფიას უკან დაუბრუნდეს წმინდა გონების პირველს წყაროებს. ეს არათვითნებურად მოფიქრებული, არამედ აღამიანის გონებაში დაფუძნებული, უცილობელი და დაუსრულებელი ანტინომია შეიცავს შემდეგს ოთხ თეზისს შესაფერი ანტითეზისებით.

1.

თ ე ზ ი ს ი

ქვეყანას აქვს დასაწყისი (საზღვარი) დროსა და სივრცეში.

ა ნ ტ ი თ ე ზ ი ს ი

ქვეყანა დროსა და სივრცეში უსასრულოა.

2.

თ ე ზ ი ს ი

ყველაფერი ქვეყანაზე მარტივი ისაგან შედგება.

ა ნ ტ ი თ ე ზ ი ს ი

არაფერი არ არის მარტივი, არამედ ყველაფერი რო ულია.

3.

თ ე ზ ი ს ი
ქვეყანაზე არსებობენ მიზეზები თავისუფლები ბისაგან.

ა ნ ტ ი თ ე ზ ი ს ი
არ არსებობს არავითარი თავისუფლება, არამედ ყველაფერი
ბუნება (აუცილებლობა) არის.

4.

თ ე ზ ი ს ი

ქვეყნიურ მიზეზთა რიგში არის ერთი აუცილებელი არსება.
ა ნ ტ ი თ ე ზ ი ს ი

არაფერი არ არის მასში აუცილებელი, არამედ ყველაფერი ამ
რიგში არის შემთხვევითი.

§ 52

აქ, მაშასადამე, საქმე გვაქვს ადამიანის კონების იმ იშვიათ ფენომენთან, რომლის მაგალითს მის სხვა რომელიმე მოხმარებაში ვერავინ ვერ გვიჩვენებს. თუ ჩვენ, ჩვეულებრივად, გრძნობადი ქვეყნის მოვლენებს ვიაზროვნებთ, როგორც საგნებს თავისთავად, თუ ჩვენ მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირების პრინციპებს გავავრცელებთ საგნებზე თავისთავად, ე. ი. თუ ჩვენ ამ პრინციპებს მარტო ცდის: მიმართ გავლენის შემნე პრინციპებად აღარ მივიჩნევთ, რაც აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა, დიალ, ჩვენი კრიტიკა თუ დავიწყებული იქნა, აუცილებელიც არის რომ ამ შემთხვევაში წამოიჭრება მოულოდნელი წინააღმდეგობა, რომლის მოხსნა ჩვეულებრივი დოგმატური გზებით შეუძლებელია, შეუძლებელია იმიტომ, რომ თეზისიც და ანტითეზისიც შესაძლოა დავასაბუთოთ ერთნაირად ნათელი და ცხადი და შემოუვლები მტკიცებებით, — ამ მტკიცებათა სისწორისათვის მე ვიყო თავდები, — და მაშასადამე, აქ გონება იძულებულია თავისთავს გაუორდეს, იქმნება მდგომარეობა, რომელიც სკეპტიკოსს აღტაცებაში მოიყვანს, კრიტიკულ ფილოსოფოსი კი ამის გამო მოუსვენრობისა და ახალი მოსაზრების მდგრმარეობას ეძლევა.

მეტაფიზიკაში შესაძლებელია ბევრიც ვიხეტიალოთ, მაგრამ მაინც ვერ შევამჩნიოთ, რომ არაჭეშმარიტებას-თან გვაქვს საჭმე. მართლაცდა, თუ თავის თავს არ ვეწინააღმდეგებით, რის მიღწევა სინთეზურ, თუმცა მთლიანედ შეთხზულ დებულებებით, ადვილად განსახორციელებელია, ყოველთვის შევძლებთ იმას მივაღწიოთ, რომ ცნებები, რომლებსაც ჩვენ ვაკავშირებთ უბრალო იდეებია, რომლებიც მათი შინაარსის მიხედვით ცდაში არას დროს არ იქნება მოცემული და რომლებიც ცდის საშუალებით არც არას დროს არ იქნება უარყოფილი. აბა რა უნდა გვითხრას ცდამ კითხვაზე: ქვეყანას აქვს დასაწყისი, თუ იგი მარადისობიდან არსებობს? მატერია უსასრულობამდე განაწევრდება, თუ იგი მარტივი ნაწილაკებისაგან შედგება? ასეთი საკითხები არავითარ ცდაში არ შეიძლება აღმოჩნდენ, ამიტომ ცდაში არც ამ მტკიცებათა სიმართლე და მცდარობა შეიძლება იქნას აღმოჩნდილი.

ერთად ერთი შესაძლებელი შემთხვევა, როცა გონება სურვილების წინააღმდეგ იძულებულია აღმოაჩინოს თავისი საიღუმლო დიალექტიკა (რომელსაც იგი უკანონოდ დოგმატიკად ასაღებს) იქნებოდა ის, თუ გონება რომელსამე საყოველთაოდ მიღებულ დებულებაზე მტკიცებას ააშენებდა და მეორე ასეთივე მტკიცე დებულებიდან პირდაპირ საწინააღმდეგო დასკვნას გამოიყვანდა. სწორედ ეს შემთხვევაა. აქ მოცემული გონების ოთხი ბუნებრივი იდეის მიხედვით, სადაც, ერთის მხრივ, ოთხი მტკიცება და, მეორე მხრივ, ამდენივე საწინააღმდეგო მტკიცება თითოეული სწორი კონსეკვენტით საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი დებულებიდან ისეა მიღებული, რომ წმინდა გონების დია-

ლექტიკური მოჩვენება ამ დებულებების მოხმარებისათვის ნათელი ხდება. ყველა სხვა გზით ეს გარემოება მარად დაფარული დარჩებოდა.

აქ, მაშასადამე, გაკეთებულია გადამწყვეტი ცდა, რომელმაც აუცილებლივ ის არასისწორე უნდა აღმოაჩინოს, რომელიც გონების წინამძღვრებშია დამალული. *) ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგ დებულებიდან არ შეიძლება ორივე მცდარი იყოს, რასაკვირველია, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა თვითონ ის ცნება შეიცავს წინააღმდეგობას, რომელიც ორივეს საფუძველად უდევს. მაგ., ორივე დებულება მცდარია: ოთხკუთხა წრე არის მრგვალი და ოთხკუთხა წრე არ არის მრგვალი. პირველს შემთხვევაში ის არის მცდარი, რომ დასახელებული წრე მრგვალია, რადგან ის ოთხკუთხედი ყოფილა, მაგრამ რადგან იგი წრეა, ამიტომ ისიც შემცდარია, რომ იგი მრგვალი არ არის, არამედ ოთხკუთხედია. ლოგიკური ნრშანი ამათუმი ცნების შეუძლებლობისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთდაიმავე წინამძღვრის ქვეშ ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგ დებულება ორივე მცდარი იქნება, მაშასადამე, რადგან მათ შორის არავითარი მე-

*) ამიტომ მე მსურდა, რათა კრიტიკულ მკითხველს ამ ანტინომიისათვის მჳავარი ყურადღება მიექცია; ისე ჩანს, ვითომც იგი თვით ბუნებამ წამოაყენა, გონების ყველაზე აბეზარი მოთხოვნილების ალაგმვისა და მასში თვით კონტროლის გამოფხილების მიზნით. თითოეულ დასაბუთებას, რომელსაც მე თესისისათვის ან ანტითეზისისათვის ვიძლევი, ვცდილობ უყოფმანოთ პასუხი გავცე და ამით გონების უცილობელი ანტინომიის სიცხადე დავალაგო. თუ მკითხველი ამ უცნაური მოვლენით იქამდე იქნება მიყვანილი, რომ აქ საფუძვლად დადებულ წინამძღვრებს გასინჯავს, ამით ის იძულებული იქნება წმინდა გონების ყველა შემცნების პირველი საფუძველი ჩემთან ერთად ღრმად გამოიკვლიოს.

სამე არ გაიაზრება, საერთოდ არაფერი არ გაიაზრება და დასახელებული ცნებით.

წ 52c

პირველ ორს ანტინომიას, რომელსაც მე მათემატიკურს ვუწოდებ, რაღვან ისინი ერთნაირის მიმატებით ან განაწილებით საქმობენ, საფუძვლად ასეთი თავისთავის მოწინააღმდეგე ცნება უდევს. ამისათვის მე ვამტკიცებ, რომ თეზისიც და ანტითეზისიც ორივე მცდარია.

თუ მე ვლაპარაკობ საგნებზე დროსა და სივრცეში. ცხადია, მაშინ ნივთებზე თავისთავად აღარ არის ლაპარაკი, არ ვლაპარაკობ ამათზე იმ უბრალო მიზეზის გაშო, რომ მე მათს შესახებ არაფერი ვიცი, მე ვიცი საგნებზე მოვლენების სახით, ე. ი. ცდაზე, როგორც შემეცნების ისეთს სახეობაზე, რომელიც მხოლოდ ადამიანის შოდვის საკუთრებას შეადგენს. რასაც მე დროისა და სივრცის შესახებ ვაზროვნობ, ამაზე მე არ უნდა ვთქვა, რომ ისინი თავისთავად ჩემი აზროვნების გარეშეც ღროსა და სივრცეში არსებობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ჩემს საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები, რაღვან ღრო და სივრცე ყველა მათში არსებული მოვლენით თავისთავად და ჩემი წარმოდგენის გარეშე კი არ არსებობენ, არამედ თვითონ წარმოდგენის სახეობანი არიან; რასაკვირველია, უაზრობა და წინააღმდეგობა იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთი უბრალო წარმოდგენის სახეობა ჩვენი წარმოდგენის გარეშე არსებობსო. მაშასალამე, გრძნობათა საგნები არსებობენ მხოლოდ ცდაში. მათ რომ ცდის გარეშე ან და ცდამდე შესაძლებელი არსებობა მივაწეროთ, ეს იმასვე ნიშნავს, რომ წარმოვიდგინოთ, ვითომ ცდა ცდის გარეშე ან და ცდამდე ნამდვილი იყოს.

მე თუ ვიკითხავ აგრეთვე ქვეყნის სიდიდეზე, სივრცისა

და დროის მიხედვით, აღმოჩნდება აგრეთვე, რომ ყველა ჩემი ცნებისათვის ერთნაირად შეუძლებელია ითქვას, რომ ქვეყანა უსასრულოა, ან რომ იგი სასრულოვანია. არც ერთი მათგანი არ შეიძლება იყოს ცდაში მოცემული, ცდა არ არის შესაძლებელი არც რომელიმე უსასრულობის შესახებ, არც უსასრულოდ მიმდინარე დროზე და არც ქვეყნის ზღვაზღვაზე ცალიერი სივრცითა და ცალიერად მიმდინარე დროთი; ყველა ესენი მხოლოდ იდეები არიან. მაშასადამე, ასეთი თუ ისეოი სახეობით განსაზღვრული ქვეყნის სიდიდე უნდა მიეკუთვნოს თვითონ ქვეყანას ყოველივე ცდისაგან გამოცალკევებულად. ეს კი ეწინააღმდეგება გრძნობადი ქვეყნის ცნებას, რომელიც ყოველთვის მოვლენათა კრებადობაა, რომელთა დაკავშირება და არსებობა წარმოდგენაში, სახელდობრ, ცდაში ხდება, ე. ი. იგი არ არის რაიმე თავისთავად არსებული საქმე, არამედ თვითონ არის წარმოდგენის სახეობა. აჭიდან გამომდინარეობს, რადგან ცნება თავისთავად არსებული გრძნობადი ქვეყნისა საკუთარი თავში, წინააღმდეგობას შეიცავს, ამიტომ ყოველივე გადაჭრა საკითხისა ქვეყნის სიდიდის შესახებ ყოველთვის მცდარი უნდა დარჩეს, სულ ერთია პოყვითი იქნება, თუ უარყოფითი ჩასუბი.

სწორედ ეს შეეხება მეორე ანტინომიასაც, რომელიც მოვლენათა განაწილებას გულისხმობს. მოვლენებიც მხოლოდ წარმოდგენებია და ნაწილები არსებობენ მხოლოდ წარმოდგენებში, ე. ი. განაწილებაში, ანუ შესაძლებელ ცდაში. ამიტომ ეს განაწილება სწორედ იმის სიშორეზე მიღიას, რა სიშორესაც შესაძლებელი ცდა სწვდება. მივიღოთ, რომ რომელიმე ცნობილ მოვლენას, მაგ. სხეულის მოვლენას, ყველა ნაწილი ყოველ ცდამდე თავისთავად გააჩნია, რომელსაც თუ გინდ მარტო შესაძლებელ ცდას

შეუძლია მისწვდეს, ეს ნიშნავს, ვთქვათ, რომ მოვლენას, რომელსაც მხოლოდ ცდაში შეუძლია არსებობა, თან ამავე დროს რაღაც განსაკუთრებულ ცდამდე წინასწარი არსებობაც გააჩნია, ან ვთქვათ, რომ წარმოდგენები უკვე მანამდე მოცემული არიან, სანამ წარმოდგენის ძალის სახით შეგვხდებოდენ,—ყველაფერი ეს თავის თავს ეწინააღმდეგება და ამიტომ ყოველივე გადაჭრა ამ ცუდად გაგებული ამოცანისა უაზრობაა; რაც სურდეთ, ის ამტკიცონ საკითხის გადაჭრის სახით, თუგინდ ის, რომ სხეულები თავისთავად შედგებიან უსასრულოდ მრავალი ნაწილისაგან, თუგინდ ის, რომ სხეულები მარტივი ნაწილების სასრულოვანი რიცხვისაგან არიან შედგენილი.

წ 53

ანტინომიის პირველს კლასში (მათემატიკურში) წინამძღვრის მცდარობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის, რაც თავის თავს ეწინააღმდეგება (სახელდობრ, მოვლენა, როგორც ნივთი თავისთავად) ისე იყო წარმოდგენილი როგორც ერთ ცნებაში დასაკავშირებელი რამ. რაც შეეხება მეორეს, ე. ი. ანტინომიის დინამიკურ კლასს, აქ წინამძღვრის მცდარობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც დასაკავშირებელია, იგი წინააღმდეგობის შემცვლელად არის წარმოდგენილი. მაშასადამე, რაღვან პირველ შემთხვევაში ყველა ერთიმეორის მოპირისპირ მტკიცებანი მცდარი იყვნენ, მეორე შემთხვევაში კი ისეთები, რომლებიც უბრალო გაუგებობის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ამიტომ შეიძლება ორივე ჭეშმარიტი იყოს.

მათემატიკური დაკავშირება გულისხმობს დასაკავშირებლების ერთნაირობას (სიღიღის ცნებაში), დინამიკურს კი ეს არ ესაჭიროება. თუ მაგალითად საკითხი შეეხება ვანფენილის სიღიღეს, ცხადია, ყველა ნაწილი თავიანთ

შორის და მთლიანადაც ერთნაირი უნდა იყვნენ; წინააღმდეგ ამისა, თუმცა მიზეზისა და შედეგის დაკავშირებაში შეიძლება ერთნაირობა შეგვხვდეს, მაგრამ იგი აუცილებელი არ არის. ყოველ შემთხვევაში კაუზალობის ცნება (სადაც ერთის მეშვეობით იგულისხმება მისგან სავსებით განსხვავებული მეორე) ამას არ მოითხოვს.

თუ გრძნობადი ქვეყნის ნივთებს თავისთავად არსებულ ნივთებად მივიჩნევდით და ზემოთმოყვანილ ბუნების კანონებს ნივთების თავისთავად კანონებად, მაშინ, რასაკვირველია, წინააღმდეგობა აუცილებელი იქნებოდა. აგრეთვე, თუ თავისუფლების სუბიექტი სხვა საგნებსა-ვით უბრალო მოვლენად იქნებოდა წარმოდგენილი, აუ შემთხვევაშიაც წინააღმდეგობას თავიდან ვერ მოვიშორებდით, ვერ მოვიშორებდით, იმიტომ, რომ ერთი და იგივე ერთნაირს საგანზე ერთსა და იმავე მნიშვნელობით ჰოყოფილიც იქნებოდა და უარყოფილიც. მაგრამ თუ ბუნების აუცილებლობა დამოკიდებულია მხოლოდ მოვლენებზე, თავისუფლება კი მხოლოდ ნივთებზე თავისთავად, აქიდან წინააღმდეგობა არ წარმოსდგება; და თუ კაუზალობის ორივე სახეობას *) ამასთანავე ერთად დავუშვებთ, რაც უნდა ქნელად და შეუძლებლად არ გვეჩვენებოდეს, მეორე სახეობის კაუზალობა გასაგები გახდება.

მოვლენაში ყოველივე შედეგი შეხვედრა არის ანუ, ის რაღაც, რაც დროში ხდება. მას წინ უნდა უსწრებდეს ბუნების ზოგადი კანონების მიხედვით გარკვეული კაუზალობის მიზეზი, რომლისაგანაც შედეგი მყარი კანონების მიხედვით გამომდინარეობს. მაგრამ ეს გარკვევა მიზეზისა კაუზალობად, რაღაც ისე უნდა იყოს, რაც ხდება ან მოდის. მიზეზმა უნდა და იწყოს მოქმედება; წინააღ-

*) ე. ი. კაუზალობას ბუნებიდან და კაუზალობას თავისუფლებიდან.

მდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მასსა და შედეგს შორის დროს მსვლელობა გავვეაზრებინა. შედეგი ყოველთვის არსებული იქნებოდა, როგორც მიზეზის კაუზალობა. მაშასადამე, მოვლენებს შორის მიზეზის გარკვევა მოქმედებისათვის უნდა წარმოსდგეს (დაიწყოს). ასევე უნდა იყოს მისი შედეგი ისეთი შეხვედრა, რომელსაც თავისთავად თავისი საკუთარი მიზეზი უნდა ჰქონდეს და ასე ბოლომდე, ე. ი. ბუნების აუცილებლობა უნდა იყოს პირობა, რომლის მიხედვითაც მოქმედი მიზეზი უნდა გაირკვეს. ამის და საწინააღმდეგოდ, თუ თავისუფლება მოვლენის ზოგი მიზეზის თვისება უნდა იყოს, მაშინ იგი, როგორც შეხვედრა უნდა იყოს ისეთი უნარი, რომელიც შეხვედრას თვითონ (sponte) დაიწყებდა, ე. ი. მიზეზის კაუზალობის მიერ დაწყების გარეშე, და ამიტომ მას ალარავითარი დასაწყისის გამრკვევი საფუძველი ალარ დასჭირდებოდა. მაგრამ ამიერიდან მიზეზი მისი მდგომარეობისა დროის გარკვეულობის ქვეშ ალარ იქნებოდა, ე. ი. იგი მოვლენა ალარ იქნებოდა. მაშასადამე, თვითონ უნდა ყოფილიყო საგანი თავისთავად, ხოლო შედეგები კი მოვლენები *). თუ განსჯითი არსების

*) თავისუფლების იდეა სისრულეში მოდის ინტელექტუალურის დამკიდებულების მიმართ როგორც მიზეზი, მოვლენის მიმართ, კი როგორც შედეგი. ამიტომ მატერიას, რომელსაც აქვს დაუსრულებელი მოქმედება და სივრცის ავსების უნარი ჩვენ თავისუფლებას მაინც ვერ მივაწერთ, თუმცა დასახელებული მოქმედება შინაგანი პრინციპის გამო მოდის სისრულეში. თავისუფლების ცნება არ შეგვიძლია მივაკუთვნოთ არც შემინდა განსჯით არსებებს, მაგ. ღმერთს, რამდენადაც მისი მოქმედება იმანენტურია. მიუხედავად ამისა, რომ ღმერთის მოქმედება დამოუკიდებელია გარეგან გამრკვევ მიზეზებზე, მაგრამ იგი მარც განსაზღვრულია შისივე მარადიული გონიერით, ე. ი. ღმერთის ბუნებით. თუ მოქმედებიდან რაიმე იწყება და მასთან ერთად შედეგი დროს მსვლელობაში, ე. ი.

ასეთ გავლენას მოვლენებზე წინააღმდეგობის გარეშე ვიაზროვნებთ, მაშინ, თუმცა ყოველ დაკავშირებას მი-ზეზსა და შედეგს შორის გრძნობათა ქვეყანაში ბუნებრივი აუცილებლობა თან ეხლება, სამაგიეროდ იმ მიზე-ზებს, რომელიც მოვლენები არ არიან, თავისუფლება უნდა მივაკუთვნოთ; მაშასადამე, ერთსა და იმავე ნივთს ბუნება და თავისუფლება წინააღმდეგობის გარეშე მიე-კუთვნება, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით, ერთხელ როგორც მოვლენას, მეორედ როგორც ნივთს თავის-თავად.

ჩვენ გვაქვს ჩვენში უნარი, რომელიც არა მარტო სუ-ბიექტურად გარკვეულ საფუძველთან იმყოფება კავშირ-ში და მისი მოქმედების ბუნებრივი მიზეზია და ამდენად-ვე იმავე არსებას ეკუთვნის, რომელიც მოვლენებს მიე-კუთვნება, არამედ ისეთიც, რომელიც მხოლოდ იდეებია და მას ობიექტური საფუძველი აქვს; რამდენადაც ეს უნარი გარკვეულია, იმდენად ეს დაკავშირება გა-მოსატულია ჯერადსობით. ამ უნარს სახე-ლად ჰქვია გონება, რამდენადაც ჩვენ რომელიმე არსებას (აღამიანს, მაგ.) ამ ობიექტურად გასარ-კვევი უნარის მიხედვით განვიხილავთ, მას განვიხილავთ როგორც არა გრძნობადს არსებას; აქ გააზრებული თვი-სება არის თვისება ნივთისა თავისითავად, რომელიც შესაძ-ლებლობაა, როგორც ჯერადსობა, მაგრამ ჯერ არ მომხდარი; ეს არკვევს მის მოქმედებასაც და შეიძლება იყოს

გრძნობად ქვეყანაში შეგვწვდება (მაგ. ქვეყნის დასაბამი), მხოლოდ მაშინ აქ წამოიჭრება საკითხი: მიზეზის კაუზალობა თვითონ უნდა დაიწყოს, თუ, მიზეზს ისე შეუძლია შედეგი წარმოშვას, რომ მისი კაუზალობა არ დაიწყოს. პირველ შემთხვევაში კაუზალობის ცნება ბუნებრივი აუცილებლობაა, მეორე შემთხვევაში კი იგი არის თა-გისუფლება. მყითხველი მიხვდება, რომ რადგან მე თავისუფლებად გაცეხდებ იმ უნარს, რომ შესვედრა თავისითავად დაიწყოს, ამიტომ შწორება იმ ცხებას შევეხე, რაც შეტაფიზიკის პრობლემა არის.

შისი მოქმედების მიზეზიც, რომლის შედეგი იქნება მოვლენა გრძნობად ქვეყანაში და სხვ. მაგრამ ყველაფერი ამის გაგება ჩვენ არასღროს არ შეგვიძლია. გონების კაუზალობა კი შეიძლება იყოს გრძნობადი ქვეყნის მიზეზების თვალსაზრისისათვის თავისუფლება, რასაკვირველია, რამდენადაც აქ გამორკვევად მიჩნეული იქნება ობიექტური საფურცელები და ამოუკიდებული სუბიექტურ და ამიტომ დროის პირობაზე, მაშასადამე, არც ბუნების კანონზე, არ იქნებოდა იმიტომ, რომ გონების საფუძვლები ზოგადი ბუნებისა არიან, მოქმედების წესებს პრინციპების გამო იძლევიან, დროისა და ადგილის გარემოებათა გავლენის გარეშე.

ის, რაზედაც მე აქ ვლაპარაკობ, არის მაგალითი ადვილი გაგებისათვის და აუცილებლად იმ ჩვენს საკითხს არ ეხება, რომელიც დამოუკიდებლად ყველა თვისებისაგან, რაც კი ჩვენ ნამდვილ ქვეყანაში შეგვხვდება, უნდა გადაწყდეს მარტო ცნებების მიხედვით.

ახლა შემიძლია წინააღმდეგობის გარეშე ვთქვა: გონიერ არსებათა ყველა მოქმედება, რამდენადაც ისინი მოვლენები არიან (ე. ი. რომელსამე ცდაში შეგვხვდებიან) ექვემდებარებიან ბუნების აუცილებლობას. იგივე მოქმედებანი თავისუფალნი არიან, — თუ მათ განვიხილავთ უბრალოდ მიმართულად გონიერი სუბიექტისა და მისი უნარისადმი, — იმოქმედონ მხოლოდ გონების მიხედვით. რა არის საჭირო ბუნებრივი აუცილებლობისათვის? სხვა არაფერი, გარდა გრძნობადი ქვეყნის ყველა შეხვედრისა მყარი კანონების მიხედვით, მაშასადამე, ისეთი მიმართება მიზეზისა მოვლენაში, რაცა ნივთი თავისთავად (რაც საფუძველია) და მისი კაუზალობა უცნობი დარჩება. მაგრამ მე გამბობ: ბუნების კანონი რჩება; სულ

ერთია, რაც არ უნდა იყოს გონიერი არსება, შეიძლება იგი იყოს მიზეზი გრძნობადი ქვეყნის შედეგებისა თავისუფლების საშუალებით, ან და შეიძლება მან ეს გონების საფუძვლებით სულ არ გაარკვიოს. თუ პირველი იქნება, მაშინ მოქმედება მიმღინარეობს მაქსიმების მიხედვით, რომელთა შედეგი შეთანხმებული იქნება მოვლენებში მომქმედ კანონებთან; თუ მეორე იქნება, მაშინ მოქმედება გონების პრინციპების მიხედვით არ ხდება, იგი უბრალოდ ექვემდებარება მგრძნობელობის ემპირიულ კანონებს; ორივე შემთხვევაში კი შედეგები მყარ კანონებს. ექვემდებარებიან. მეტს ჩვენ არც მოვითხოვთ და არც შეგვიძლია მოვითხოვოთ ბუნების აუცილებლობისაგან, ამაზე მეტი ჩვენ მის შესახებ არაფერი ვიცით. პირველს შემთხვევაში გონება არის ამ ბუნების კანონების მიზეზი და, მაშასადამე, იგი არის თავისუფალი, მეორე შემთხვევაში შედეგები მგრძნობელობის ბუნებრივ კანონებს მისდევნ, იმიტომ, რომ გონება მათზე გავლენას უკვე აღარ ახდენს. მაგრამ გონება არც ამ შემთხვევაშია მგრძნობელობით განსაზღვრული, ამიტომ იგი აქაც თავისუფალია არის. თავისუფლება, მაშასადამე, ხელს არ უშლის მოვლენების ბუნებრივ კანონს, ისე როგორც ეს კანონიც არასოდეს ხელს არ უშლის გონების პრაქტიკულ მოხმარებას, რომელიც კაშირშია ნივთთან თავისთავად, როგორც მისი განმსაზღვრელი საფუძველი.

ამით, მაშასადამე, გადავარჩენთ პრაქტიკულ თავისუფლებას, ე. ი. იმას, რაშიც გონებას ობიექტურად გასარკვევი საფუძვლის მიხედვით კაუზალობა მოეპოვება, — მაგრამ ბუნებრივ აუცილებლობას კი, როგორც ამ მოვლენათა შედეგს, არაფერს არ დავაკლებთ. იგივე დაგვეხმარება იმის განმარტების დროს, რაც ჩვენ სათქმელი გვქონდა ტრანსცენდენტალურ თავისუფლებაზე და მის

ბუნებრივ აუცილებლობასთან დაკავშირებაზე (აღე-
ბული ერთსა და იმსვე სუბიექტში, მაგრამ არა ერ-
თისა და იმავე მიმართულებით). თითოეული მოქმედების
დაწყება ამა თუ იმ არსების მიერ ობიექტური მიზეზიდან,
ან გამრკვევი საფუძვლიდან, ყოველთვის არის პირ ვე-
ლი დასაწყისი, თუმცა იგივე მოქმედება, მოვლე-
ნათა რიგში აღებული, სუბალტერნული (მეორედ-
მნიშვნელოვანი) დასაწყისი იქნება, რომელამდეკ-
მისი გამრკვევი მიზეზის მდგომარეობა უკვე არსებული-
უნდა ყოფილიყო. ასე რომ გონიერი არსების შესახებ,
ან, საერთოდ, არსების შესახებ, რამდენადაც მასში მისი-
ვე კაუზალობა გარკვეული იქნება, როგორც საგანი თა-
ვისთავად, ყოველივე წინააღმდეგობაში ჩაუვარდნელად
შეგვიძლია ვიაზროვნოთ უნარის არსებობა, რომელსაც
შეუძლია მდგომარეობათა რიგი თავისთავად დაიწყოს.
მოქმედების დამოკიდებულება ობიექტურ გონების სა-
ფუძველთან დროის დამოკიდებულება არ არის; ის, რა-
საც კაუზალობა არკვევს, აქ დროის მიხედვით მოქმედე-
ბამდე ადრე არ მიმდინარეობს, არ მიმდინარეობს იმი-
ტომ, რომ ასეთი გამრკვევი საფუძვლები არ წარმოადგე-
ნენ საგნების დამოკიდებულებას გრძნობებისადმი, არც
მიზეზისადმი მოვლენაში, არამედ ისინი წარმოადგენენ
გამრკვევ საფუძველს, როგორც ნივთი თავისთავად, რო-
მელიც, რასაკვირველია, დროის პირობის ქვეშ არ დგას.
მაშასადამე, მოქმედება შეიძლება გავიგოთ როგორც პირ-
ველი მოქმედება გონებისა კაუზალობის თვალსაზრისით,
ხოლო მოვლენათა რიგის თვალსაზრისით იგი უნდა გავი-
გოთ, როგორც უბრალოდ სუბორდინებული დასაწყი-
სი, ყოველივე წინააღმდეგობის გარეშე პირველს შემ-
თხვევაში თავისუფლად და მეორე შემთხვევაში (სადაც

იგი მხოლოდ მოვლენაა) ბუნების აუცილებლობაზე და-
მოკიდებულად.

რაც შეეხება მეოთხე ანტინომიას, მისი მოხსნის ხერ-
ხიც ისეთივეა, როგორც გონების მიერ თავის საკუთარ
თავთან წინააღმდეგობის მოხსნა მესამე ანტინომიაში.
მართლაც, თუ მიზეზი მოვლენაში განსხვავებუ-
ლია მოვლენის მიზეზისაგან, რამდენადაც იგი
გააზრებულია როგორც საგანი თავისთავად, მაშინ ცხა-
დია, რომ ორივე დებულებას ერთი მეორის გვერდით
შეუძლია იარსებონ; სახელდობრ: ერთის მხრივ, გრძნო-
ბად ქვეყანაში ისეთი მიზეზი არსად არ გვხვდება (კაუზა-
ლობის მსგავსი კანონების მიხედვით), რომლის არსებობა
პრინციპულად აუცილებელი იყოს, მეორე მხრივ, ეს ქვე-
ყანა მანც დაკავშირებულია აუცილებელ არსებასთან, რო-
გორც მის მიზეზთან (რასაკვირველია, სხვა სახით და სხვა
კანონების მიხედვით). ამ ორი დებულების მიერ ერთმანე-
თის აუტანლობა ეყმარება გაუგებრობას, რომლის
თანახმადაც, მას, რასაც ძალა აქვს მხოლოდ მოვლენებში,
უკანონოდ გაავრცელებენ იმის მიმართ, რაც ნივთებს
თავისთავად შეეხება და ორივე ამ გარემოებას ერთს (კნე-
ბაში აურევენ.

§ 54

მაშასადამე, მთელი ანტინომიების წამოყენება-გა-
დაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ გონება თავისი
პრინციპების გამოყენებისას გრძნობადი ქვეყნის მიმართ
გასაჭირში ვარდება; უკვე უბრალო წამოყენება ანტინო-
მიებისა საგრძნობ დამსახურებას იძლევა ადამიანის გო-
ნების გაგებისათვის, თუმცა ანტინომიით მოცემული წი-
ნააღმდეგობის გადაწყვეტის ხერხმა მკითხველი არ
შეიძლება მთლად დააჭმაყოფილოს. მკითხველი აქ უნდა

ებრძოლოს იმ ბუნებრივ მოჩვენებას, რომელიც მას აქამდეც ჰეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული, მაგრამ ახლა მას აქ განახლებული სახით წარმოუდგება. აუცილებელი შედეგი ამ გარემოებისა ის არის, რომ ყოვლად შეუძლებელია გონების წინააღმდეგობას თავის საკუთარ თავთან მანამდე თავი დავალწიოთ, სანამ გრძნობადი ქვეყნის საგნებს თავისთავად არსებულ გარემოებად მივიღებთ და არა იმად, რაც ისინი მართლაც არიან, ე. ი. უბრალო მოვლენებად. ეს რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს, მკითხველს ესაჭიროება ერთხელ კიდევ საფუძვლიანად გადასინჯოს ყველა ჩემი დედუქცია აპრიორულ შემეცნებათა და მათი გამოცდის ხერხები ერთხელ კიდევ შეითვისოს. ამაზე მეტს მე ახლა არ მოვითხოვ; თუ მკითხველი ამ საქმის დროს საკმაოდ გაიზიარებს წმინდა გონების ბუნებას და მის საფუძვლებს ჩასწევდება, მაშინ ცნებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გონების წინააღმდეგობის გადაწყვეტა, მისთვის ცნობილი შეიქნება; ეს არის გარემოება, ურომლისოდაც მე, რასაკვირველია, ძალიან დაკვირვებული მკითხველისაგანაც კი არ მოველი სრულს მოწონებას.

§ 55

III. თმოლობიში იღეა (კრიტიკა, 571 გვ. და შვ.).

მესამე ტრანსცენდენტალური იდეა, რომელიც გონების ყველაზე ზოგადსა და, თუ იგი მხოლოდ სპეკულატურად იქნება მოხმარებული, ყველაზე მნიშვნელოვან (ტრანსცენდენტურ) იდეას წარმოადგენს; რომელიც დიალექტიკური მოხმარებისათვის მასალას იძლევა, არის წმინდა გონების იდეალი. რადგან გონება აქ ცდაზე არ არის დამოკიდებული, როგორც ეს შემთხვევა იყო ფსიქოლოგიურ და კოსმოლოგიურ იდეებთან, და რადგან საფუძვლების:

ზრდით თავისი რიგების აბსოლუტური სავსეობისაკენ მისწრაფის და რაღვან იმის ცნებებიდან, რაც ნივთის აბსოლუტური სავსეობა იქნებოდა, ამით უმაღლესად სრულ-ქმნილი პირველ არსების შეშვეობით შესაძლებელის და აქიდან აუცილებლობის განსაზღვრამდე დადის, ამიტომ აქ იდეა განსჯითი არსებისაგან უფრო ადვილადაა განსხვავებული, იმიტომ, რომ აქ გონება არის უბრალო წინამძღვარი სავსებობისა, რომელიც, თუმცა ცდის რიგში არ გვეძლევა, მაგრამ ცდის საქმისათვის (კავშირების გაებისათვის) მისი წესრიგისა და მთლიანობისთვის არის გააზრებული. ამიტომ დიალექტიკური მოჩვენება,—რომელიც იქიდან წარმოსდგება, რომ ჩვენი აზროვნების სუბიექტურ პირობას საგნების ობიექტურ პირობად და ჩვენი გონების დამაკმაყოფილებელ ღოღმატათ პიპოთეზას მივიჩნევთ,—აქ ადვილი დასანახავია და მე აქ არაფერი არა მაქვს სათქმელი ტრანსცენდენტალური თეოლოგიის პრეტენზიებზე; ის, რასაც ამის შესახებ წმინდა გონების კრიტიკა ამბობს, ნათელია, გასაგები, საკმარისი და გადამწყვეტი.

§ 56

ზოგადი ჟილი შვეიცარია ტრანსცენდენტალური იდეალისათვის.

საგნები, რომლებსაც ჩვენ ცდა გვაძლევს, მრავალი თვალსაზრისით ჩვენთვის გაუგებარია, ბევრი საკითხი რომლებთანაც ჩვენ ბუნების კანონს მივყევართ, თუ ერთსინი გარკვეულ სიმაღლეზე იქნებიან აყვანილი სრულიადაც არ გადაწყდება, მაგალ. საკითხი საიდან მიიჩიდავენ მატერიები ერთმანეთს. მაგრამ თუ ჩვენ ბუნებას სავსებით დავტოვებთ, ანდა კავშირების გამონახვის პროცესში ყოველ შესაძლებელ ცდას გავშორდებით და ცალიერ იდეებში გავლრმავდებით, ამის შემდეგ, რასაკუირ-

ველია, ვეღარ ვიტყვით, რომ საგნები გაუგებარია ჩვენ-
თვის და რომ საგანთა ბუნება ჩვენს წინაშე გადაუწყვე-
ტელ ამოცანებს აყენებს. ჩვენ თვითონ ჩავაყენეთ ჩვენი
თავი ისეთს მდგომარეობაში, რომ ბუნებასთან და მოცე-
მულ ამიერტებთან კი აღარ გვაქვს საჭმე. არამედ მხო-
ლოდ ცნებებთან, რომლებსაც მხოლოდ ჩვენს გონებაში თა-
ვიანთი დასაბამი აქვთ, ჩვენ საჭმე გვაქვს მარტო აზრისცულ
არსებებთან, რომელთა თვალსაზრისითაც ყველა ამოცანა
უნდა გადაიჭრას, რაც კი მათი ცნებებისაგან წამოიჭრება;
ეს აუცილებელია იმიტომ, რომ გონება მოვალეა თავისი
საკუთარი მსვლელობის შესახებ სრული ანგარიში წარმო-
ადგინოს *), რადგან ფსიქოლოგიური, კოსმოლოგიური
და თეოლოგიური იდეები ყველა წმინდა გონების ცნებე-
ბია, რომლებიც არც ერთს ცდაში არ შეიძლება მოცე-
მული იყვნენ, ამიტომ საკითხები, რომლებსაც გონება მათ
შესახებ აყენებს, საგნების საშუალებით კი არ არიან
დასმული, არამედ მხოლოდ გონების მაქსიმების მეშვე-
ობით და მისი თვითდაკმაყოფილების მიზნით. ამ საკი-

*) ბატონი პლატინე რი თავის აფორიზმებში უსათუოდ გონება
მახვილურად ამბობს წ 728, 729: „თუ გონება კრიტერიუმია, მაშინ
არ შეიძლება ისეთი ცნება არსებობდეს, რომ ადამიანის გონებისა-
თვის გაუგებარი იყოს. სინამდვილის ქვეყანაში კი შეიძლება იყოს
გაუგებარი, აუ გაუკებარი იბადება შეძენილ იდეათა უფარგისობისა-
გან“. მაშასადამე, ეს არის პარადოქსი და ამასთან ერთად უკანონო
არ იქნება თუ ვიტყვით: ბუნებაში ჩვენთვის ბევრი რამ გაუგებარია
(მაგ. გამრავლების უნარი), მაგრამ თუ ჩვენ მაღლა-მაღლა სვლას
გიწყებთ და თვით ბუნების მერლმაც გადაჭალთ, მაშინ ჩვენთვის ყვე-
ლაფერი ხელახლად გასაგები გახდება. მართლაც, ჩჩენ სავსებით
ვტოვებთ საგნებს, რომლებიც შეიძლება მოცემული გვერდებს და
საჭმეს ვიჭერთ იდეებთან, რომელთა კანონს, რომელსაც გონება აძ-
ლებს განსჯას ცდაში შორმარებისათვის, ძალიან კარგადაც გავიგებთ,
კარგათ გავიგებთ იმიტომ, რომ ეს კანონი გონების საკუთარი პრო-
დუქტია.

თხებზე დამაჯერებელი პასუხი უნდა გამოინახოს, რაც
შერთლაც იმით სრულდება, რომ აჩვენებენ: ისინი არიან
ძირითადი დებულებანი, რათა ჩვენი განსჯა სრულს ში-
ნაგან სინათლემდე, სისრულემდე და სინთეზურ მთლია-
ნობამდე მიეკუთხოვთ, მათ ამდენადვე აქვთ გავლენა და
ძალა ცდაზე და მთელ მის მთლიანობაზე. თუმცა ცდას
აბსოლუტი-მთლიანი შეუძლებელია, მაგრამ შემეცნების
მთლიანობის იდეა არის ის პრინციპი, რომელიც ყოვე-
ლივეს სისტემატურ ერთიანობას ანიჭებს, რომელიც ჩვე-
ნი შემეცნება რომ არ ყოფილიყო, მარტო ნაწილები დარ-
ჩებოდა და უმაღლესი მიზნის (რომელიც ყოველთვის
მიზნების სისტემა არის) სიმაღლეზე არ აიყვანებოდა. აქ
მე მხედველობაში მაქვს არა მარტო პრაქტიკული, არა-
მედ მთელი სპეციულატური მოხმარება ჩვენი გონებისა.

მაშასადამე, ტრანსცენდენტალური იდეები გამოხატავენ
გონების სავსებით თავისებურ დანიშნულებას, სახელ-
ლობრ პრინციპს განსჯის განმარტების სისტემატური
მოლიანობისათვის. მაგრამ თუ შემეცნების სახეობის ამ
თვისებას ისე გავიგებთ, ვითომდა ის შემეცნების ობიექტს
თან ახლდეს, თუ მას, რომელიც მხოლოდ რეგულა-
ტიურია, კონსტიტუციურად ჩავთვლით და
თავს დავარწმუნებთ, რომ ამ იდეების ცოდნა ყოველივე
შესაძლებელი ცდის მიღმა გაფართოვდება, ე. ი. ტრანს-
ცენდენტურ სახეობამდე გაფართოვდება, (თვით ეს ტრან-
სცენდენტური კი მხოლოდ იმას ემსახურება, რათა ცდა
რაც შეიძლება მის იდეალურ სავსეობამდე მიიყვანოს), ეს
რასაკვირველია, უბრალო გაუგებრობაა ჩვენი გონების და-
ნიშნულებისა და მისი ძირითადი დებულებების გამოკვლე-
ვის საქმეში,—იგი არის დიალექტიკა, რომელიც ნაწილობ-
რივ გონების ცდისეულ მოხმარებას აბნევს და ნაწილობრივ
გონებას თავის საკუთარ თავთან აორებს.

დ ა ს კ ვ ნ ტ.

მინდა გონიერის საზღვრების გარემონისათვის.

§ 57

ჩვენს მიერ აქ მოცემული ყოვლად ნათელი დასაბუთების შემდეგ, უაზრობა იქნებოდა რომელსამე საგნიდან მეტის ცოდნა გვეიმელნა, ვიდრე მის შესაძლებელ ცდას მაეკუთვნება, უაზრობა იქნებოდა აგრეთვე გვეფიქრა, რომ რომელიმე ნივთი, რომლის შესახებაც ჩვენ დაგვიშვია, რომ იგი არ არის საგანი შესაძლებელი ცდისა, თუ გინდ უმცირესი პრეტენზით როდისმე ცოდნის ობიექტი გახდებოდეს, ან როდესმე შევძლებდეთ გაგვერკვია, თუ რა აგებულებისა არის იგი თავისთავად. მართლაც, რით უნდა მივალწიოთ ამ გარკვევას; დროს, სივრცეს და ყველა განსჯითს ცნებას მხოლოდ ხომ ის შეუძლია გვიჩვენოს, რომ გრძნობადი ქვეყნის ემპირიული მჭვრეტელობის ან აღქმის საშუალებით ცნებებს სხვა არავითარი მოხმარება არა აქვთ და არც შეუძლია პქნონდეს, გარეშე იმისა, რომ ცდას შესაძლებელს გახდის. და თუ ჩვენ წმინდა განსჯითს ცნებებს ამ პირობას ჩამოვართმევთ, მაშინ ისინი ობიექტის გამრკვევის როლში აღარ გამოდგებიან და მათ საერთოდ მნიშვნელობა აღარ ექნებათ.

მეორე მხრივ, კიდევ უფრო დიდი უაზრობა იქნებოდა, თუ ჩვენ სრულიად არ დავუშვებდით ნივთის თავისთავად არსებობას და ამასთან ერთად მიეიღებდით. რომ, ჩვენი ცდა ერთად ერთი საშუალებაა ნივთთა შემცხებისათვის რომ ჩვენი მჭვრეტელობა დროსა და სივრცეში ერთად ერთი შესაძლებელი მჭვრეტელობაა, ხოლო ჩვენს დისკურსიულ განსჯას კი განსჯის ერთად-ერთი შესაძლებელ პირველსახედ გავასალებდით, ე. ი. ამით ჩვენ მოვისურ-

ვებდით ცდის შესაძლებლობის პრინციპები გაგვესალებინა ზოგად პირობებად ნივთისა თავისთავად.

ამით კი ჩვენი პრინციპები, რომლებიც გონების მოხმა-ჩების საზღვრებს შესაძლებელი ცდით ფარგლავენ, თვი-თონ ტრანსცენდენტი გახდებოდენ და ჩვენი გო-ნების განსაზღვრულობას თვითონ საგნის შესაძლებლობის განსაზღვრულობად გაასალებდენ. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ჰიუმენი დიალოგები. ყველა ასეთი შეცდომი-საგან გადაგვარჩენს ის, რომ საფუძვლიანი კრიტიკა გო-ნების საზღვრებს ემპირიულს მოხმარებაში დაიცავს, ხო-ლო მის გადაჭარბებულ პრეტენზიებს ბოლოს მოუღებს. სკეპტიკიზმი პირველად მეტაფიზიკისაგან და მისი უპო-ლიციო დიალექტიკისაგან არის წარმოშობილი. დასაწყისში სკეპტიკიზმი ვითომ გონების ცდისეულ მოხმარე-ბას ეხმარებოდა და ყოველ მის მარლა მდგომს და საწინააღმდეგოს არარაობად აცხადებდა, თანდათან, რამდენა-დაც მან გაიგო, რომ არსებობენ აპრიორული ძირითალი დებულებანი, რომლებიც ცდაზე იხმარებოდენ, რომლე-ბიც გაცილებით უფრო შორს მიღიოდენ, ვიდრე ცდა სწვდებოდა, იმდენად დაიწყო სკეპტიკიზმმა თვით ცდის ძირითადი დებულებების სისწორეშიც ეჭვის შეტანა. ეს კი, ნათელია, საჭირო არ იყო. მართალია, ჯანსალი ვან-სჯა აქაც ყოველ დროს თავის უფლების დაცვის შეს-ძლებს, მაგრამ ამისაგან წარმოსდგა განსაკუთრებული არევ-დარევა მეცნიერებაში, მეცნიერებამ ვეღარ გაარ-კვია, თუ სადამდე, რატომ აქამდე და არა კიდევ, უნდა ვენ-დოთ გონებას. ამ არევდარევას მხოლოდ იმით მოვიშო-ჩებთ თავიდან, რომ მოვახდენთ ჩვენი გონების მოხმა-ჩების ფორმალურსა და პრინციპებიდან წარმოშობილ საზ-ღვრების გარკვევას, რითაც სკეპტიკიზმის ყოველი განახ-ლება მომავალი დროისათვის თავიდან აშორებული იქნება:

ეს კი ჭეშმარიტებაა: ჩვენ არ შეგვიძლია ყოველივე შესაძლებელი ცდის მიღმა, იმაზე, თუ რა არის ნივთი თავისთვალი, რაიმე გარკვეული ცნების შედგენა. მაგრამ ამ გარემოების მოთხოვნილება ისე დიდია, რომ ჩვენ მასზე სავსებით უარს ვერ ვიტყვით. ცდა გონებას ბოლომ-დე არასდროს არ აკმაყოფილებს. საკითხებზე ჭასუხის მონახვის დროს ცდა სულ უკან გვახევინებს და იმის მიმართ, რაც ვიცით, ყოველთვის უკმაყოფილოს გვტოვებს; უველას შეუძლია დარწმუნდეს ამაში წმინდა გონების დიალექტიკის განხილვის დროს, და უნდა ითქვას, რომ გონების დიალექტიკას აქ ძალიან კარგი სუბიექტური საფუძველი აქვს. ვინც ჩვენი სულის ბუნების შესახებ მიაღწია სუბიექტის ნათელ ცნობიერებამდე, მაგრამ გაიგო, რომ სულის ბუნება მა ტერიალისტურად არ აიხსნება, მას არ შეუძლია იკითხოს, რა არის მერე ეს სული? და რაღან ცდისეული ცნება იქ აღარ გვყოფნის, ვინ მოითმუნს, რომ აქ გონების ცნების არსებობა (ე. ი. მარტივი იმმატერიალური არსებისა) არ დაუშვას, სულ ერთია, სულის ობიექტურ რეალობას ამ ცნებით დავასაბუთებთ, თუ არა. ვის შეუძლია კოსმოლოგიურ საკითხებში — ქვეყნის მარადიულობისა და სიღიღის, თავისუფლებისა, ან ბუნებრივი აუცილებლობის საკითხებში; — დაკმაყოფილდე! მხოლოდ ცდისეული შემეცნებით? სულერთია, როგორც პრუნდა ავაშენოთ ჩვენი პასუხი, თითოეული ცდისეული შირითადი კანონის მიხედვით მიცემული პასუხი არალს საკითხებს დაბადებს, ყველა ეს საკითხი პასუხგაცემული უნდა იყოს. ამით კი დამტკიცებულია, რომ გონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ფიზიკური განმარტების ხერხები სავსებით არადამაკმაყოფილებელია. დასასრულ, ვინც ხედავს, რომ ყველაფერი, რასაც ცდის პრინციპების მიხედვით უიაზროვნებთ და მივიღებთ, შეძ-

თხვევითი და სხვისაგან დამოკიდებულია, იგი ხედავს შეუძლებლობას ამ პრინციპებზე შეჩერებისას და, მიუხედავათ ყველა აკრძალვისა, იგი გრძნობს აუცილებლობას (ჭრანსცენდენტურ იდეებში დაუკარგავად) განშორდეს ყველა ცნებას, რომელიც მან ცდის საშუალებით გააშიროთლა, და ერთი არსების ცნებაში სიმშვიდე და დაკმაყოფილება ნახოს, მასზე იდეა შეიმუშაოს, რომლის თავის-თავად არსებობის შესაძლებლობა მისთვის თუმცა დამტკიცებული არ არის, მაგრამ იგი უარყოფილიც არ არის, უარყოფილი არ არის იმიტომ, რომ ეს იდეა შეეხება მნი-ლოდ განსჯითს არსებას, რომელიც რომ არ ყოფილიყო, გონება მარად უკმაყოფილო დარჩებოდა?

განფენილ არსებათა საზღვრები ყოველთვის გულის-ხმობენ სივრცის წინასწარ არსებობას, რომელიც ყოველ-თვის გარკვეული ადგილის მიღმა შეგვევდება და მას შე-ცავს. ფარგლები ამას არ მოითხოვენ, ისინი უბრალო უარყოფას წარმოადგენენ, რომლებიც სიდიდეს აფიცირ-დენ, რამდენადაც მათ აბსოლუტური სისრულე არა აქვთ: ჩვენი გონება კი თავის ირგვლივ ვითომცდა ხედავს სივ-რცეს, რომელიც აუცილებელია ნივთის თავისთავად შე-მეცნებასათვის, თუმცა გონებას მათ შესახებ გარკვეული ცნება არასდროს არ ექნება და ყოველთვის მოვლენით იქნება შემოფარგლული.

სანამ გონების შემეცნება ერთნაირია, მანამ მის შესახებ გარკვეულ საზღვრებს ვერ მოვიაზრებთ. მათემატიკაში და ბუნებათმეცნიერებაში ადამიანის გონება სცნობს ფარგლებს, მაგრამ არა საზღვრებს, ე. ი. მან იცის, რომ თუმცა მის მიღმა რაღაც დევს, რომელთანაც იგი ვერას-დროს ვერ მივა, მაგრამ მან არ იცის; რომ თავისი პრო-გრესული მსვლელობის დროს სადმე მიჟა, საღაც საბო-ლოშიდ დასრულდება. მათემატიკურ შემეცნებათა გაფარ-

თოება და ახალ-ახალი აღმოჩენების შესაძლებლობა უსა-
 მრულობამდე მიღის, ასეთივეა აღმოჩენა ბუნების ახალ
 თვისებათა, ახალ კანონთა და ახალ ძალთა; უწყვეტი
 წინმსვლელობა ცდისა და მათი გაერთიანება გონების
 მეშვეობით განსაზღვრავენ ამ გარემოებას. მაგრამ ფარგ-
 ლები აქაც არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ, მა-
 თემატიკა ყოველთვის მოვლენები გრულდება და
 რაც გრძნობადი მჭვრეტელობის საგანი არ გახდება, რო-
 გორიცაა, მაგ.: მეტაფიზიკისა და მორალის ცნებები, ეს
 სავსებით მათემატიკის სფეროს გარეთ არის და მას აქ
 არასდროს არ შეუძლია რაიმე გააკეთოს. მეორე მხრივ,
 მათემატიკას არც სჭირდება ის ცნებები. მაშასადამე, არ
 არსებობს უწყვეტი წინსვლა და მიახლოვება ამ მეცნიე-
 რებასთან (ე. ი. მეტაფიზიკასთან). არც ხაზი და არც წერ-
 ტილი მასთან შეხებისათვის. ბუნებათმეცნიერება ნივთთა
 შინაგან არსებას ვერასდროს ვერ გაგვირკვევს, ე. ს. ის
 ვერ გაგვირკვევს იმას, რაც მოვლენა არ არის, მაგრამ
 მოვლენის უმაღლესი გარკვევისათვის კი აუცილებელია;
 მაგრამ მას ეს საკითხი ფიზიკური გარკვევისათვის არც
 კი ესაჭიროება; ის კი არა, ვინმემ რომ მას ასეთი რამ შეს-
 თავაზოს (მაგ. იმმატერიალურ არსებათა ზეგავლენა),
 მან ამაზე უარი უნდა თქვას, მან ასეთი რამ კი არ უნდა
 შემოიტანოს თავისი კვლევის წინმსვლელობის არეში,
 არამედ მხოლოდ ისეთი, რაც გრძნობის და ცდის საგნებს
 მიეკუთვნება, და რომლის ჩევნს აღქმასთან და ცდის კა-
 ნონებთან დაკავშირება კი შეიძლება.

მხოლოდ მეტაფიზიკას წმინდა გონების დიალექ-
 ტიკური ხერხებით (რომლებიც არა გაბედულობის გა-
 მო ან ნაძალადევად იწყება, არამედ მისკენ გონების ბუ-
 ნება. მიგვერცეკება) მაინც საზღვრებამდე მივყავარო;
 რაღვან, ტრანსცენდენტალური იდეების შემოვლა არ შეგ-

თხვევითი და სხვისაგან დამოკიდებულია, იგი ხედავს შეუძლებლობას ამ პრინციპებზე შეჩერებისას და, მიუწვდომათ ყველა აკრძალვისა, იგი გრძნობს აუცილებლობას (ტრანსცენდენტურ იდეებში დაუკარგავად) განშორდეს ყველა ცნებას, რომელიც მან ცდის საშუალებით გაამართლა, და ერთი არსების ცნებაში სიმშვიდე და დაკმაყოფილება ნახოს, მასზე იდეა შეიმუშაოს, რომლის თავის-თავად არსებობის შესაძლებლობა მისთვის თუმცა დამტკიცებული არ არის, მაგრამ იგი უარყოფილიც არ არის, უარყოფილი არ არის იმიტომ, რომ ეს იდეა შეეხება მხოლოდ განსჯითს არსებას, რომელიც რომ არ ყოფილიყო, გონება მარად უკმაყოფილო დარჩებოდა?

განვენილ არსებათა საზღვრები ყოველთვის გულის-ხმობენ სივრცის წინასწარ არსებობას, რომელიც ყოველ-თვის გარკვეული ადგილის მიღმა შეგვხვდება და მას შეუცავს. ფარგლები ამას არ მოითხოვენ, ისინი უბრალო უარყოფას წარმოადგენენ, რომლებიც სიდიდეს აფიცირებენ, რამდენადაც მათ აბსოლუტური სისრულე არა აქვთ. ჩვენი გონება კი თავის ირგვლივ ვითომცდა ხედავს სივრცეს, რომელიც აუცილებელია ნივთის თავისთავად შემეცნებისათვის, თუმცა გონებას მათ შესახებ გარკვეული ცნება არასდროს არ ექნება და ყოველთვის მოვლენით იქნება შემოფარგლული.

სანამ გონების შემეცნება ერთნაირია, მანამ მის შესახებ გარკვეულ საზღვრებს ვერ მოვიაზრებთ. მათემატიკაში და ბუნებათმეცნიერებაში აღამიანის გონება სუნობს ფარგლებს, მაგრამ არა საზღვრებს, ე. ი. მან იცის, რომ თუმცა მის მიღმა რაღაც დევს, რომელთანაც იგი ვერასზღროს ვერ მივა, მაგრამ მან არ იცის, რომ თავისი პროგრესული მსვლელობის დროს საღმე მივა, საღაც საბოლოოდ დასრულდება. მათემატიკურ შემეცნებათა გაფარ-

თოება და ახალ-ახალი აღმოჩენების შესაძლებლობა უსა-
 სრულობამდე მიღის, ასეთივეა აღმოჩენა ბუნების ახალ
 თვისებათა, ახალ კანონთა და ახალ ძალთა; უწყვეტი
 წინმსვლელობა ცდისა და მათი გაერთიანება გონების
 მეშვეობით განსაზღვრავენ ამ გარემოებას. მაგრამ ფარგ-
 ლები აქაც არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ, მა-
 თემატიკა ყოველთვის მოვლენებზე ვრცელდება და
 რაც გრძნობადი მჭვრეტელობის საგანი არ გახდება, რო-
 გორიცაა, მაგ.: მეტაფიზიკისა და მორალის ცნებები, ეს
 საცხებით მათემატიკის სფეროს გარეთ არის და მას აქ
 არასდროს არ შეუძლია რაიმე გააკეთოს. მეორე მხრივ,
 მათემატიკას არც სჭირდება ის ცნებები. მაშასადამე, არ
 არსებობს უწყვეტი წინმსვლა და მიახლოვება ამ მეცნიე-
 რებასთან (ე. ი. მეტაფიზიკასთან): არც ხაზი და არც წერ-
 ტილი მასთან შეხებისათვის. ბუნებათმეცნიერება ნივთთა
 შინაგან არსებას ვერასდროს ვერ გაგვირკვევს, ე. ი. ის
 ვერ გაგვირკვევს იმას, რაც მოვლენა არ არის, მაგრამ
 მოვლენის უმაღლესი გარკვევისათვის კი აუცილებელია;
 მაგრამ მას ეს საკითხი ფიზიკური გარკვევისათვის არც
 კი ესაჭიროება; ის კი არა, ვინმემ რომ მას ასეთი რამ შეს-
 თავაზოს (მაგ. იმმატერიალურ არსებათა ზეგავლენა),
 მან ამაზე უარი უნდა თქვას, მან ასეთი რამ კი არ უნდა
 შემოიტანოს თავისი კვლევის წინმსვლელობის არეში,
 არამედ მხოლოდ ისეთი, რაც გრძნობის და ცდის საგნებს
 მიეკუთვნება, და რომლის ჩვენს აღქმასთან და ცდის კა-
 ნონებთან დაკავშირება კი შეიძლება.

მხოლოდ მეტაფიზიკას წმინდა უნების დიალექ-
 ტიკური ხერხებით (რომლებიც არა გაბედულობის გა-
 მო ან ნაძალადევად იწყება, არამედ მისკენ გონების ბუ-
 ნება მიგვერეკება) მაინც საზღვრებამდე მივყავარო;
 რაღაც. ტრანსცენდენტალური იდეების შემოვლა არ შეგ-

ვიძლია და რადგან არც შეიძლება ოდესმე რეალიზებულ
იყონენ, მიუხედავად ამისა, მანც იმისათვის გვემსახურე-
ბიან, რათა არა მარტო გვიჩვენონ საზღვრები წმინდა-
გონების მოხმარებისათვის, არამედ გვიჩვენონ ხერხი მისი
გარკვევისათვისაც; სწორედ ეს არის მიზანი და სარგებელი
ჩვენი გონების ბუნებრივი აგებულებისა, რომელმაც მე-
ტაფიზიკა შობა თავისი უსაყვარლესი შვილის სახით,
რომლის წარმოშობა, როგორც სხვა ყველაფერი ქვეყანა-
ზე, უბრალო შემთხვევას კი არ მიეწერება, არამედ რა-
ღაც დასაბამის თესლს, რომელიც მაღალი მიზნებისათვის
ბრძნულად ორგანიზებულია. შეიძლება მეტაფიზიკა სა-
ფუძვლების მიხედვით სხვა რომელიმე მეცნიერებაზე მე-
ტად იყოს ჩვენს ბუნებაში ჩამარხული და ამიტომ არ
შეიძლება იგი განვიხილოთ, როგორც ბედნიერი შემთხ-
ვევა ან შემთხვევით გაფართოება ცდის მიმდინარეობისა,
რომლისგან იგი მთლიანად მოშორებულია.

გონება, ყველა ცნებითა და განსჯის კანონით, რომლე-
ბიც მას ემპირიული მოხმარებისათვის გრძნობადი ქვე-
ყნის ფარგლებში ჰყოფნის, დაკმაყოფილებას მანც ვერ
ნახულობს; უსასრულოდ გამეორებული უწყვეტი კით-
ხევები მას ყოველ იმედს უკარგავენ, რომ ოდეს-
მე საბოლოო პასუხი გამონახული იქნება. ტრანსცენდენ-
ტალური იდეები, რომელთა მიზანს ეს სრულქმნა შეადგენს,
სწორედ გონების ასეთი პრობლემებია. მაგრამ გონება
ამჩნევს, რომ გრძნობათა ქვეყანას არ შეიძლება ეს
სრულქმნა გააჩნდეს და, რასაკვირველია, არც ის ცნებები;
რომლებიც ამ სრულქმნის გაგებისათვის აუცილებელი
იქნებოდენ; სახელდობრ: დრო და სივრცე და საერთოდ
ყველაფერი ის, რაც ჩვენს წმინდა განსჯის ცნებათა სა-
ხელწოდებით განვავითარეთ. გრძნობადი ქვეყანა არის
მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც გაკეთებულია მოვლენები-

საგან, ზოგადი კანონების დაკავშირების საშუალებით. მაშასადამე, მას თავისი საკუთარი დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია, ის არ არის ნივთი თავისთავად და, მაშასადამე, აუცილებლივ მიმართულია ისეთი არსებისადმი, რომელიც მარტო მოვლენის სახით არ შეიმეცნება, არამედ როგორც ნივთი თავისთავად. მხოლოდ ამ არსებათა შემეცნებაში შეუძლია გონებას იმედოს თავი, რომ როდისმე თავისი მოთხოვნილების (სრულყოფა განსაზღვრულიდან განმსაზღვრელამდე მსვლელობაში) დაკავილებას მიაღწევს.

ზევით ჩვენ უკვე დავინახეთ (§§ 33, 34) გონების ფარგლები აზრისეულ არსებათა შემეცნების საქმეში, ახლა კი, რადგან ტრანსცენდენტალურმა იდეებმა იმათთან მისვლა მაინც აუცილებელი გახადეს, ვითომდა სავსე სივრცისა (ცდის) და ცალიერი სივრცის (Noumenis, რომელზედაც ჩვენ არაფერი შეგვიძლია ვიცოდეთ) შეხებამდე მიგვიყვანეს, ჩვენ შეგვიძლია წმინდა გონების საზღვრები საბოლოოდ გავარკვიოთ. ყოველ საზღვარში რაღაც პოზიტიური ურევია (სიბრტყე არის საზღვარი სხეულებრივი სივრცისა; მაგრამ თვითონ კი სივრცეა; ხაზი არის სივრცე, რომელიც სიბრტყის საზღვარია, წერტილი ხაზის საზღვარია, მაგრამ ამავე დროს ადგილია სივრცეში), ფარგლები კი ყოველთვის მხოლოდ ნეგაციებს შეიცავენ. დასახელებულ პარაგრაფებში ნაჩვენები გონების ფარგლებიც აღარ არიან საკმარისი, რადგან მის შემდეგ ენახეთ, რომ მათ მიღმა რაღაცები კიდევ მოიპოვებიან, (თუმცა ჩვენ არასდროს არ გვეცოდინება, თუ რა არის ეს რაღაცა). ამიტომ ისმება საკითხი: რას აკეთებს ჩვენი გონება იმათი დაკავშირებით, რაც ჩვენ ვიცით და რაც არასდროს არ გვეცოდინება? აქ ჩვენ საქმე გვაქვს ნაცნობის და სავსებით უცნობის ნამდვილ დაკავშირებასთან,

და თუ ამ ქავშირისაგან უცნობი სრულიად ნაცნობი არ გახდება (ასეთი იმედი კი საერთოდ არ არსებობს), მაშინ, ყოველ შემთხვევაში უნდა გავარკვიოთ ასეთი კავშირის ცნება და ასე გავხადოთ იგი გასაგები.

მოდი გავიაზროთ იმმატერიალური არსება, განსჯის ქვეყანა, ყველა არსებათა უმაღლესი, — ერთი სიტყვით, ცალიერი ნოუმენები — გონება მხოლოდ ამათთან, ვითარცა საგნებთან თავისთავად, ნახულობს სრულს დაკმაყოფილებას და დამშვიდებას; ასეთი სიმშვიდე და კმაყოფილება გონებას არ შეუძლია მიიღოს მოვლენათა ერთნაირობის განვითარების დროს, ესენი მართლაც რაღაც განსხვავებულზე და არა ერთნაირზე არიან მიმართული, მოვლენები კი ყოველთვის გულისხმობენ ნივთის თავისთავად წინასწარ არსებობას და არასდროს არ გვპირდებიან მათს ნამდვილ შემეცნებას.

რადგან ჩვენ ამ განსჯითს არსებებს (ნოუმენებს) იმის მიხედვით, თუ რა არიან ისინი თავისთავად, ე. ი. გარკვეულად, ვერას დროს ვერ შევიმეცნებთ, მიუხედავათ ამისა მათს თავისებურ დამოკიდებულებას გრძნობად ქვეყანასთან მაინც აღვიარებთ და გონებით ერთმანეთთან ვაკვშირებთ, ამიტომ ეს დაკავშირება მაინც ისეთი ცნებებით უნდა გავიაზროთ, რომლებიც გრძნობად ქვეყანასთან მათ დამოკიდებულებას გამოხატავენ. თუ ჩვენ ნოუმენი მარტო განსჯითი ცნებით გავიაზრეთ, ამით ჩვენ, მართლაც, გარკვეული რამ არ გაგვიაზრებია, აქ საქმე გვაქვს ჩვენს საკუთარ ცნებასთან, ეს კი ყოველ მნიშვნელობას მოკლებულია. თუ ჩვენ განსჯითი არსება ისეთი თვისებებით მოვიაზრეთ, რომლებიც გრძნობათა სამყაროდან ვისესხეთ, მაშინ ისინი განსჯითი არსებანი აღარ არიან; იგი მოსაზრებული იქნება, როგორც ფენომენი და ეკუთვნის გრძნო-

ბათა სამყაროს. ჩვენ გვინდა აქ ერთი მაგალითი მოვიყ-
უნოთ შესახებ უზენაესი არსებისა.

დ ე ი ს ტ უ რ ი ცნება არის სავსებით წმინდა გონების
ცნება, მაგრამ იგი წარმოადგენს საგანს, რომელიც ყველა
რეალობის შემცველს, ასეთი წარმოდგენისათვის კი ყოვ-
ლად შეუძლებელია თუგინდ ერთად-ერთი მაგალითის
გამონახვა; ყოველი მაგალითი გრძნობადან ქვეყნიდან უნ-
და ყოფილიყო ნასესხები, ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე მაქვს
გრძნობის საგანთან და არა რაღაც სავსებით განსხვავე-
ბულზე რომელიც გრძნობის საგანი არასდროს არ
გახდება. თუგინდ მე მას განსჯის უნარი მივაკუთვნო,
ამითაც არაფერი გამოვა; მე ხომ სხვაგვარ განსჯაზე არა-
ვითარი ცნება არ გამაჩნია, ვიდრე ჩემი განსჯა არის, ე. ი.
მე ვიცი მხოლოდ ისეთი განსჯა, რომელიც გრძნობიდან
შევრეტელობას ღებულობს და რომლის საქმე არ
არის, რომ მშვრეტელობანი ცნობიერების ერთიანობის
წესებს ქვეშ დაალაგოს; აქ, რასაკვირველია, ჩემი ცნების
ელემენტები მოვლენაშია მოცემული, მე კი მოვლენათა
შეუფერებლობა და გამოუსადეგრობა მაიძულებდა მათ გავ-
შორებოდი და ისეთი არსების ცნებასთან მოვსულიყავი,
რომელიც სრულიად არ არის მოვლენისაგან განსაზღვრუ-
ლი. მაგრამ თუ მე განსჯას გრძნობათა ქვეყნიდან გა-
მოვყოფ, რათა ამით წმინდა განსჯა მივიღო, მე ხელთ
შემრჩება აზროვნების მარტო წმინდა ფორმა, მოქლებუ-
ლი ყოველივე მშვრეტელობას, ამით კი მე არაფერი გარ-
კვეულის, ე. ი. საგნის შემეცნება, არ შემიძლია. დაბო-
ლოს, მე სხვა განსჯა უნდა მოვიაზრო, რომელსაც საგ-
ნის განშვრეტა შეუძლია, მაგრამ ასეთი განსჯის შე-
სახებ მე სრულიადაც აღარაფერი ვიცი, აღამიანის გან-
სჯა დისკურსიულია და მხოლოდ ზოგადი ცნების საშუალებით შეუძლია. შეიმეცნოს. იგივე მომივა მე, თუ მაგ-

უზენაეს არსებას ნებისყოფას მივაკუთვნებ. ეს ცნებაც მე მაშინ მაქეს, თუ იგი ჩემი შინაგანი ცდისაგან გამოვიყვა- ნე, ამ შემთხვევისას კი საფუძვლად ნაგულისხმევია მგრძნობელობა და ჩემი კმაყოფილების დამოკიდებულება საგნებთან, ყველაფერი ეს უზენაესი არსების წმინდა ცნებას თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება.

ჰი უ მ ე ს არგუმენტები დეიზმის წინააღმდეგ სუსტია და შეეხებიან დასაბუთებას და არა დეიზმის ძირითად პრინციპს. თეიზმის მიმართ კი მისი არგუმენტები ფრიად ძლიერია და, ის კი არა, თუ მის ცნებას კარგად გავითვა- ლისწინებთ დაუძლეველიც; ძლიერია იმიტომ, რომ თეიზ- მი ყოველთვის უმაღლეს არსების ტრანსცენდენტური ცნების უბრალო განსაზღვრით მოდის სისრულეში. ჰიუმე ყოველთვის ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ უმაღლესი არსების უბრალო ცნებით, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ონ- ტოლოგიურ პრედიკატებს (მარადიულობა, ყოველგან- ყოფნა, ყოვლის შემძლეობა) მივაკუთვნებთ, არაფერი გარკვეულის გააზრება არ შეიძლება, გააზრებისათვის სა- ჭიროა თვისებები, რომლებსაც შეუძლია მოგვცენ ცნება: *in concreto*; არ არის საკმარისი ვთქვათ: იგი არის მაზეზი, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორია მისი კაუზა- ლობა, რითაა იგი განსაზღვრული — განსჯით, თუ ნე- ბისყოფით. აქ იწყება მისი არგუმენტები თეიზმის წინა- აღმდეგ, დეიზმის წინააღმდეგ მისი შემოტევა კი დიღს საშიშროებას არ წარმოადგენს. ყველა მისი საშიში არგუ- მენტი ანთროპომორფიზმს შეეხება. იგი ამბობს, რაც ანთროპომორფიზმი თეიზმისაგან განუყოფელია, და ამ- ტკიცებს რომ ამის გამო ყოველი თეიზმი წინააღმდეგო- ბას ეყრდნობა. თუ უარს ვიტყვით ანთროპომორფიზმზე, მაშინ მთელი თეიზმიც ინგრევა და მხოლოდ დეიზმი და გვრჩება, რომლისაგანაც, ჰიუმეს აზრით, არაფრის გაკე-

თება არ შეიძლება, რომელსაც არ შეუძლია იყოს ზნეობისა და რელიგიის ფუნდამენტი, ანთროპომორფიზმის ეს აუცილებლობა რომ ცხადი ყოფილიყო, მაშინ რანაირი და რა კარგი დასაბუთებაც არ უნდა ყოფილიყო უზენაესი არსების აუცილებლობისა, ამ არსების ცნებას ჩვენ ვერასდროს მაინც ისე ვერ ავაშენებდით, რომ გამოუვალწინააღმდეგობათა რიგებში არ გავხლართულიყოთ.

თუ ჩვენ წმინდა გონების ყველა ტრანსცენდენტურა მსჯელობის თავიდან აშორების უმაღლეს მოთხოვნილებას იმანენტური თვალსაზრისის (ემპირიულს მოხმარებაზი) მიღმა გასვლის სურვილს დავუკავშირებთ, მივხვდებით, რომ ორივეს ერთად ყოფნა შეუძლიათ, მაგრამ მხოლოდ გონების ყოველივე მოხმარების ნებადართულ საჭირებზე ე. ეს საზღვარი ისე ეკუთვნის ცდის არეს, როგორც აზრისეულ არსებათა არეს, და ამისგან ჩვენ ვსწავლობთ, თუ როგორ გვიწევენ დიდს სამსახურს ისლირსშესანიშნავი იდეები აღამიანის გონების საზღვრების გარკვევისათვის; სახელდობრ, ისინი გვასწავლიან, ერთის მხრივ ცდის შემეცნება ისე უსაზღვროდ არ გავაფართოვოთ, რომ ქვეყნის შემეცნების გარდა აღარავითარისაქმე არ დაგვრჩეს, მეორეს მხრივ, ცდის საზღვრების მიღმაც არ გავიდეთ და ნივთებზე ცდის მიღმა, ე. ი. ნივთებზე თავისთვად მსჯელობა არ ავაშენოთ.

ჩვენ მაშინ შევჩერდებით ამ საზღვარზე, თუ ჩვენს მსჯელობას იმ დამოკიდებულებით შემოვფარგლავთ, რომელიც ქვეყანას ისეთს არსებასთან შეუძლია ჰქონდეს, რომლის ცნება ყველა იმ შემეცნების მიღმა იმყოფება, რომელიც კი ჩვენს ქვეყნიურ პირობებში შეიძლება გაგვაჩნდეს. ამიერიდან ჩვენ უზენაეს არსებას არც ერთს ისეთს თვისებას აღარ მივაწერთ, რომლითაც ჩვენ ცდის საგნებს გაზროვნობთ. ამით ჩვენ თავიდან ვიშორებთ

თოგმატურ ანთროპომორფიზმს; ამთვისებებს ჩვენ მიუწერთ უზენაეს არსებისა და ქვეყნის დამოკიდებულებას და ამით დავუშვებთ ე. წ. სიმბოლურ ანთროპომორფიზმს, რომელიც ამიერიდან მხოლოდ ენას ეხება და არა თვით ობიექტს.

თუ მევიტყვი: ჩვენ იძულებული ვართ ქვეყანას ისე შევხედოთ, ვითომ ცდა იგი უზენაესი განსჯის და ნებისყოფის ნამოქმედარი იყოსო, ამით მე ვამბობ მხოლოდ, რომ როგორც საათი, მიმართულია მესათესთან, გემი — ხელოსანთან ან ინჟინერთან და მმართველობა — მმართველთან, სწორედ ასევე გრძნობის ქვეყანა (და ყველაფერი ის, რაც კი მოვლენათა კრებადობის საფუძველს შეადგენს) იმ უცნობთან, რომელსაც მე ამით ისე ვერ შევიმეცნებ, როგორც იგი თავისთავად არის, მაგრამ ისე ყრ, როგორც იგი ჩემთვის არის, ე. ი. მიმართ ქვეყნიერებისა, რომლის ერთს ნაწილს მე შევადგენ.

§ 58

ასეთი შემეცნება არის შემეცნება ანალოგიის მიზედვით, რომელიც იმას არ ნიშნავს, რასაც ეს სიტყვა ჩვეულებრივ გამოხატავს, ე. ი. არა სრულყოფილ მსგავსებას. ორ ნივთს შორის, არამედ იგი ნიშნავს სრულქმნილ მსგავსებას ორი საფუძვით არამაგავსი ნივთის ღამოკიდებულებას შორის *). ამ ანალოგიის მეშვეობით

*) მაგალითად, ანალოგია არსებობს ადამიანის მოქმედების უფლებრივ დაწილებულებასა და მამოძრავებელი ძალების მექანიკურ დამოკიდებულებას შორის. მე არასდროს არ შემიძლია ვისიმე წინააღმდეგ ისეთი რამე მოვიმოქმედო, თუ არა პირობით, რაც მასაც უფლებას ანიჭებს ჩემს წინააღმდეგაც ასეთივე მოიმოქმედოს; სავსებით ანალოგიურია სტეულის მექანიკური მოძრაობის დამოკიდებულება; სხეულს არ შეუძლია მოძრავი ძალით სხვა სხეულზე იმოქმედოს, რომ ამდენივე მოქმედება მასზევე არ გააერცელოს. აქ უფლება და მოძრავი ძალა საფუძვით არა მსგავსი მოვლენები არიან, მაგრამ მათ დამოკიდებულებაში მსგავსება არსებობს. ასეთი ანალოგიის სა-

ჩვენ გვრჩება ამიერიდან ჩ ვ ე ხ თ ვ ი ს საკმაოდ გარკვეული ცნება უზენაესი არსებისა, თუმცა ჩვენ ყველაფერი ის განზე დავტოვეთ, რასაც კი მისი უნაკლოდ და თავისთვი გად გარკვევა შეეძლო, ჩვენ მას ვარკვევთ ჯერ ქვეყნის მიმართ და შემდეგ ამით ჩვენს მომართ, ამაზე მეტი ჩვენ არც გვჭირდება. ჰი მე ს. თავდასხმა იმათზე, ვინც ამ ცნების აბსოლუტურ გარკვევას ლამობს, ხოლო მასალას ამ გარკვევისათვის თავისი საკუთარი თავიდან და შემდეგ ქვეყნიდან სესხულობს, ჩვენ სრულიად არ გვეხება; ჰი მე ჩვენ იმასაც ვერ გვისაყვედურებს, რომ აღარაფერი არ დაგვრჩება, თუ უზენაესი არსების ჩვენი გაგებისაგან ობიექტურ ანთროპომორფიზმს წაიღებენ.

თუ კი ჩვენ დასაწყისშივე პირველ დასაბამი არსების დეისტურ ცნებას დაგვითმობენ, როგორც საჭირო პიპო-თეზას (თავის დიალოგებში ფილოს სახით, რომელიც კლეანთეს წინააღმდეგ ლაპარაკობს, ჰი მესაც დაშვებული აქვს ეს საჭიროება), რომელშიაც პირველ არსებას გაიაზრებენ მხოლოდ ონტოლოგიური პრედიკატებით სუბსტანციისა, მიზეზისა და სხვ., (ეს კი უნდა გავაკეთოთ, რადგან გონება გრძნობის ქვეყანაში მიღის პირობებით, რომლებიც თვითონ განსაზღვრული არიან და არასდროს).

შუალებით, მაშისადამე, მე-შემიძლია ისეთ საგანთა დამოკიდებულების ცნება გამოვიმუშავო, რომლებიც ჩემთვის აბსოლუტურად უცნობნი არიან, მაგ. როგორიც არის ბავშვთა ბედნიერების = a დამოკიდებულება დედმამის სიყვარულთან = b, ასეთივე ადამიანთა ქეთილდღეობის = c დამოკიდებულება უცნობისადმი ღმერთში = x, რასაც ჩვენ სიყვარულს ვუწოდებთ; იმიტომ კი არა, ვითომ ამას მსგავსება ჰქონდეს ადამიანის რომელიმე ჩვევასთან, არამედ ჩვენ ამას ვამსგავსებთ იმას, რასაც საგნებს შორის ვნახულობთ ამ ქვეყანაზე. დამოკიდებულების ცნება აქ არის უბრალო კატეგორია, სახელდობრ, იგი არის მიზეზის ცნება, რომელსაც მგრძნობელობასთან არაჭითარი საქმე არა აქვს.

დამშვიდებას არ ნახულობს; ეს იმიტომაც შესაძლებელია უფაკეთოთ და ისეთს ანთროპომორფიზმში ჩაუგარდნელად მოვიაზროთ ეს ცნება, რომელსაც გრძნობადი ქვეყნის პრედიკატები ქვეყნიდან სავსებით განსხვავებულ არსებაზე გადააქვს, — შესაძლებელია, იმიტომ, რომ ონტოლოგიური პრედიკატები უბრალო კატეგორიებია, რომლებიც თუმცა უზენაესი არსების შესახებ გარკვეულ ცნებას ვერ იძლევიან, მაგრამ არც მხოლოდ გრძნობადი ქვეყნის პირობებით შემოფარგლულ ცნებას იძლევიან), მაშინ ჩვენ ველარაფერი ხელს ვერ შევვიშლის ამ უზენაეს არსებას გრძებით განსაზღვრული კაუზიალი მივაწეროთ და აქიდან კი თეიზმზედაც გადაიდეთ. არავითარი გარემოება ალარ გვაიძულებს ჩვენ აქ ეს ჩვენი გონება თეიზმთან გადაბმულ თვისებად გაძოვაცხადოთ. რაც შეეხება პირველს (ლმერთს), თუ კი უველა ქვეყნიური კავშირების მიზეზად იგი იქნება მიღწული, მაშინ ერთად ერთი გზა იქნება, გონების მოხმარება შესაძლებელი ცდისათვის გრძნობად ქვეყანაში იმდაგვარად წარვმართოთ, რომ ის უფრო და უფრო უმაღლესი ხარისხის მწვერვალზე ავიდეს; ასეთი პრინციპი გონებას ყოველთვის დაეხმარება და ბუნებრივი მოხმარებრსას მას ხელს არასდროს არ შეუშლის; მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ გზით გონება არასდროს არ გადაიქცევა, თვისებად პირველ დასაბამი არსებისა თავისითავად, არამედ იგი შეჩერდება იმ არსების გრძნობადი ქვეყნისაღმი დამოკიდებულ და მულების გამოხატვის ფარგლებში. მაშასადამე, ანთროპომორფიზმი სავსებით თავიდან მოშორებული იქნება. აქ განხილული იქნება გონების ფორმის მიზეზი, რომელიც ქვეყანაში ყოველგან გვხვდება, და უმაღლეს არსებას, რამდენადაც იგი ქვეყნის ამ გონების ფორმას შეიცავს, თუმცა გონიერება მიეწერება, მაგრამ მხოლოდ

ანალოგიის მიხედვით, უ. ა. იმდენად, ოამდენადაც ეს
გამოთქმა მხოლოდ დამოკიდებულებას გვიჩვენებს, რო-
მელიც ჩვენთვის უცნობ უმაღლეს მიზეზს ქვეყანასთან
გააჩნია, რათა ამით ყველაფერი გონების მიხედვით უაღ-
რესად გარეკვეული იყოს. ამიტომ ჩვენ გონების თვისებე-
ბის დახმარებით ღმერთს კი არ ვაზროვნობთ, არამედ ქვე-
ყანას, რაც უაღრესად საჭიროა, რათა გონების მოწმარება
ამ ერთი პრინციპის მიხედვით მიმდინარეობდეს. აქ, რა-
საკვირველია, ჩვენ უნდა გამოვტყდეთ: უზენაესი არსე-
ბა იმის მიხედვით, თუ რა არის იგი თავისთავად, საფსე-
ბით გამოჟღვლეველია და გარ კვეული წესით მისი
გააზრებაც კი არ შეიძლება. ეს ჩვენ შეგვაჩერებს, რათა
ჩვენი ცნებები, რომლებიც ჩვენთვის გონებას მოუცია; როგორც მომქმედი მიზეზი (ნებისყოფის მეშვეობით)
ტრანსცენდენტურ სფეროში არ მოვიწმაროთ და ღმერ-
თის ბუნება იმ თვისებებით არ გავარკვიოთ, რომლებიც
ჩვენ მხოლოდ ჩვენი ადამიანური ბუნებისაგან გვისესხე-
ბია; იგი ჩვენ შეგვაჩერებს, რათა უხეშ ან მეოცნებე ცნე-
ბებში არ შევტოპოთ, და მეორე მხრივ, ქვეყნის განხილ-
ვაც არ დავამძიმოთ ჩვენ მიერ ღმერთზე გადატანილა
ადამიანური გონების ცნებებით გამომუშავებული ბუნე-
ბრივი განმარტების წესებით; რაც გონებას მის პირდა-
პირ დანიშნულებას ააცდენდა; გონების ეს პირდაპირი.
დანიშნულება კი მდგომარეობს ბუნების მოვლენების
შესწავლაში მხოლოდ გონების საშუალებით და არა მი-
უწვდომელი უზენაესი გონების დედოქციებით. ჩვენი
სუსტი ცნებებისათვის შესაფერისი გამოთქმა იქნება: ჩვენ
ქვეყანას ისე ვაზროვნობთ, ვითომც და იგითავისი არ-
სებობისა და თავისი დანიშნულების მიხედვით უზენაესი
გონებიდან წარმომდგარიყოს, რითაც ჩვენ ნაწილობრივ
იმ აგებულებას ვეცნობით, რომელიც თვითონ ქვეყანას

გააჩნია, მაგრამ ამის მიზეზების თავისთავუდ გამორკვევაზე, რასაკვირველია, არც კი ვოცნებობთ, ნაწილობრივ კი ამ აგებულების საფუძველთ ვათავსებთ უმაღლესი მიზეზის ქვეყნისადმი და მოკიდებულებაში (გონების ფორმა ქვეყანაზე), რასაკვირველია, ამით ქვეყნის მიერ საკუთარი თავის დაკმაყოფილებას არ ვაღწევთ. *)

ამ გზით ქრება ის სიძნელე, რომელიც თეოზმს წინ შეღობებოდა. ამას ვაღწევთ იმით, რომ ჰიუმეს ძირითად დებულებას, — გონების მოხმარება დოგმატურად არ გავავრცელოთ შესაძლებელი ცდის არეს იქით, — მივუმატებთ ახალ სხვა დებულებას, რომელიც ჰიუმეს სრულიად არ შეუმჩნევია, სახელდობრი: შესაძლებელი ცდის არედ არ ჩავთვალოთ ის, რამაც ჩვენი გონების თვალსაზრისით თავისი თავი თვითონ განსაზღვრა. გონების კრიტიკა აქ ნიშნავს ჭეშმარიტ შუაგზას დოგმატიზმსა, რომელსაც ჰიუმე ებრძოდა; და სკეპტიციზმს შორის, რომლის დამკვიდრება სურდა. ეს ისეთი საშუალო გზაა, რომელიც პრინციპების მიხედვით ზუსტად შეიძლება გარჩევულ იქნას, მაშასადამე, იგი განსხვავდება ყველა სხვა საშუალო გზისაგან, რომლებიც მექანიკურად ურევენ ნაწილებს ერთმანეთში, (ცოტა რამ აქედან, ცოტა რამ იქიდან) და რომელთაგან არაფერი ჭიკვიანურის შესწავლა იდამიანს არ შეუძლია.

*) მე ვიტყოდი: უმაღლესი კაუზალობა ქვეყნის მიშართ იგივეა, რაც ადამიანის გონება ზელონების ნაწარმოების მიმართ. ამასთან ერთად ბუშება უმაღლესი მიზეზისა ჩემთვის უცნობი რჩება. მე შემიძლია შევადარო მისი ჩემთვის უცნობი ზეჯვაზი (ქვეყნის წესწყობა). და მისი გონებაზომიერება ჩემთვის ცნობილ შედეგს ადამიანის გრძებისას და იმასაც ვარქმევ გონებას, მაგრამ ამით იმას კი არ ვგულისხმობ, რასაც ამ გამოთქმის სახით ადამიანთან ვიცნობ, არც სხვა რაიმე ჩემთვის ნაცნობი შემიძლია მას თვისებად მივაკუთვნო.

ამ შენიშვნის დასაწყისში მე დავიხმარე საზღვრის თვალსაჩინო მაგალითი, რათა ამით გონების ფარგლები მის შეირვე დადგენილი მოხმარებისათვის დამეკანონებინა. გრძნობის ქვეყანა შეიცავს მოვლენებს, რომლებიც ნივთები თავისთავად არ არიან, მაგრამ განსჯა მაინც იძულებულია მათი (ნოუმენების) არსებობა მიიღოს, იძულებულია იმიტომ, რომ იგი ცდის საგნებში მხოლოდ უბრალო მოვლენებს სცნობს. ჩვენს გონებაში ორივე ერთად არის მოცემული და ისმება საკითხი: როგორ საზღვრავს გონება განსჯას ორივე მიმართულებით? ცდა; რომელიც ყოველივე იმას შეიცავს, რაც კი გრძნობად ქვეყანას ეკუთვნის, თავის თავს არ განსაზღვრავს. თითოეულ განსაზღვრულიდან იგი ყოველთვის ახალ განსაზღვრულამდე მიდის. ის, რამაც იგი უნდა გაარკვიოს, სავსებით მის მიღმა უნდა იყოს; და სწორედ ეს არის წმინდა განსჯითი არსების არე. ჩვენთვის კი ის ცალიერი სივრცეა; რამდენადაც საკითხი ამ განსჯითს არსებათა ბუნების გარკვევას შეეხება, იმდენადვე, თუ ყურადღებას დოგმატურად გარკვეულ ცნებებს არ მივაქცევთ შესაძლებელი ცდის. არეს ვერ გავშორდებით. მაგრამ რადგან საზღვარი რაღაც პოზიტიურს წარმოადგენს, რომელიც ერთსა და იმავე დროს იმასაც ეკუთვნის, რაც მის შიგნით არის მოთავსებული, და სივრცესაც. რაც ყოველთვის მოცემული კრებადობის გარეთ არის, ამიტომ ის შართლაც პოზიტიური შემეცნებაა, რომელსაც გონება მხოლოდ იმით ეზიარება, რომ თავის საკუთარ თავს ამ საზღვრამდე გააფართოებს; მაგრამ ეს გაფართოება ისე შორს არ უნდა წავიდეს, რომ ამ საზღვრებს განშორდეს; ასეთს შემთხვევაში მას წინ მარტო ცალიერი სივრცე დაუტვდე-

14. „პროლეტომენები“ 236

ბოდა, რომელშიაც მართალია, საგნების ფორმები გაიაზ-რება, მაგრამ არა თვითონ საგნები. მაგრამ შემეცნების არის ზღვა რ დ ე ბ ა რალაც ისეთით, რაც ამისათვის უცნობია, თვითონ შემეცნებას წარმოადგენს; ეს შემეცნება ჩემი ახლა გონების განკარგულებაში, რომელიც მას (ე. ი. გონებას) არც მარტო გრძნობების ქვეყანაში ჩატარებს, მაგრამ არც ოცნების საშუალებას მისცემს, არამედ, როგორც საზღვრის ცოდნას შეეფერება, გონება თავის თავს იმათგან დამოკიდებულად შემოფარგლავს, რაც მის მიღმა დევს და რაც მასშია მოთავსებული.

ბუნებრივი თეოლოგია სწორედ ასეთი ცნებაა აზამიანის გონების საზღვარზე. აქ გონება იძულებული ხდება უზენაესი არსების იდეისაკენ გაიხედოს (პრაქტიკული თვალსაზრისისათვის ინტელიგიბელი ქვეყნის იდეისაკენაც) არა იმტომ, რომ ამ განსჯით არსების დახმარებით გრძნობადი ქვეყნის გარეშე რაიმე გაარკვიოს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი საკუთარი მოქმედება გრძნობადი ქვეყნის ფარგლებში წარმართოს უმაღლესაღ გაერთიანებული პრინციპების მიხედვით, როგორც თეორულს, ისე პრაქტიკულს სფეროში. ამ მიზნისათვის მან უნდა დაიხმაროს ამ პრინციპების ურთიერთობა რაღაც დამოუკიდებელ გონებასთან და ეს უკანასკნელი ყველა დაკავშირებათ. უმაღლეს მიზეზად გამოაცხადოს. ამით, რასაკვირველია, მან უბრალოდ კი არ უნდა შეთხხას ეს ახალი არსება, არამედ, რაღან გრძნობადი ქვეყნის გარეშე საჭიროა ისეთი რამ, რასაც მარტო წმინდა განსჯა აზროვნობს, ამიტომ მან იგი ანალოგიის წესით უნდა გაარკვიოს.

ამ წესით ძალაში ჩემი ახება ჩვენი დებულება, რომელიც მითელი კრიტიკის შედეგია: „გონება თავისი პრინციპებით a priori არასდროს იმაზე მეტს არ გვასწავლის“;

რითაც შესაძლებელი ცდის საგხებად შევიმეცნებთ; და ამათგანაც მხოლოდ იმათ, რაც ცდაში იქნება შემეცნებული“. მაგრამ ეს შემოფარგვლა მას ხელს არ უშლის რომ თავისი მსვლელობა ცდის ობიექტურ საზღვართან, ე. ი. რაღაცაზე მიმართებასთან. რაც თვითონ ცდის საგანი არ არის, არ შეაჩეროს და უმაღლესი საფუძვლისკენ გაიხედოს, რასაკვირველია, არა იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი თავისთავად შეისწავლოს; არამედ მხოლოდ მიმართებით მის საკუთარ სრულყოფილ და უმაღლესი მიზნებია საკენ მიმართულ მოხმარებასთან შესაძლებელი კვდის არეში. ეს არის ყველაფერი ის. რაც კი აქ სასურველია გონივრულად, და რითაც შეიძლება კმაყოფილი დავრჩეთ.

§ 60

მაშასადამე, ჩვენ აქ დავალაგეთ მეტაფიზიკა მთელი მისი სუბიექტური შესაძლებლობით იმდენად, რამდენადაც იგი ადამიანის გონების ბუნებრივ აგებულებაშია მოცემული. ამ მუშაობის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ბუნებრივი მოხარული გონების ჩვენი გონების აგებულებისა არ არის გონების ისეთი დისკიპლინა, რომელიც მეცნიერული კრიტიკით შეიძლება დალაგდეს; ამიტომ საჭიროა მისი ალაგმვა და ფარგლებში გაჩერება, რაფგან გონება აქ ნაწილობრივ მეოცნებე, ნაწილობრივ მოჩვენებითი, მაგრამ ნაწილობრივ საკამათო დიალექტიკურ დააკვნებში ებმება და რაღგან მთელი ეს გონებაზე ძალის მიმტანი მეტაფიზიკა ბუნების შემეცნების კეთილდღეობისათვის საჭირო არ არის, ის კი არა, ზოგ შემთხვევაში ხელის შემშლელიც არის, მაგრამ რაკი ყველაფერი ის, რაც ბუნებაში იმყოფება. თავის პირველ დასაბამით, უთურდ. რაღაც სასარგებლო მიზნისკენ იყურება, ამიტომ გო-

ნებისათვის რჩება დიალაც კვლევის ღარსი ამოცანა — აღმოაჩინოს ის ბუნების მიზნები, რომელთაკენ მიმართულია ჩვენი გონიერი ტრანსცენდენტურ ცნებათა დასახელებული უნარი.

ასეთი გამოკვლევა მართლაც რომ საქნელოა; ისიც უნდა ვთქვა, რომ იგი ცოტა ქედმაღალიც არის, როგორც ყველაფერი, რაც კი ბუნების მიზნებს შეეხება; ამის შესახებ მე აქ ბევრი შემიძლია ვთქვა და რაც საერთოდ ნებადართულია ამ შემთხვევაში ითქვას, არის ის, რომ საკითხი აქ მეტაფიზიკურ მსჯელობათა ობიექტურ გავლენას კი არ შეეხება, არამედ მხოლოდ ბუნებრივ აგებულებას, და ამიტომ იგი მეტაფიზიკის სისტემის გარდა ანთროპოლოგიაშიც არის მოცემული.

თუ მე ყვალა ტრანსცენდენტალურ იდეას განვიხილავ, რომელთა კრებადობა წმინდა ბუნებრივი გონების ნამდვილ ამოცანას შეადგენს, რომლებიც გონებას აიძულებენ უარი თქვას ბუნების უბრალო შესწავლაზე და ყოველივე შესაძლებელი ცდის მიღმა გასვლით ნივთის (ცოდნით თუ უბრალო შთაგონებით) ჩამოყალიბებაზე, ეს არის ის, რასაც მეტაფიზიკა ჰქვია სახელად, — მე მგონია, ეს უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ეს ბუნებრივი აგებულება მიზნად ისახავს, რათა ჩვენი ცნებები ბუნებრივ აგებულების ფარგლებიდან და ცდის უღელიდან იმდენად გაათავისუფლოს, რომ გამოჩნდეს თავისუფალი ველი, რომელზედაც მხოლოდ წმინდა გონების საგნებო იქნებოდა, რომლებიც გრძნობელობისათვის პრინციპულად მიუღწეველია; თუმცა მის მიზანს არ შეადგენს ამ ველის სპეციულატური დამუშავება (რადგან არ მოინახება ფეხის დასაყრდნობი ნიადაგი), არამედ მხოლოდ იმ პრაქტიკული პრინციპების გამონახვა, რომლებიც გონებას თავისი მორალური მიზნების გამართლებისათვის აუ-

ცილებლად ესაჭიროება, და რომელიც თუ ასეთს იმედს ჰაჭირო სიგრცეს არ დაუთმობლა, ისე მისი მიზნებისათვის აუცილებელ ზოგადობას ვერასდროს ვერ მიიღებდა*).

მე კიდევ ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგიური იდეა, აუმც მე მისი დახმარებით აღამიანის სულის წმინდა და ყოველ ცდაზე აღმაღლებულ ბუნებას ვერ ვხედავ, მეხმარება, რათა მისი მეშვეობით თავი გავითავისუფლო მატერიალიზმისაგან, როგორც ბუნების ახსნისათვის ყოვლად უვარვისი და გონების პრაქტიკული მიზნების შეძლიშოვებელი ფიქოლოგიური ცნებისაგან. კოსმოლოგიური იდეებიც, გვიჩვენებენ რა, რომ არც ერთი ბუნების შემეცნება საბოლოოდ დაკმაყოფილებელი არ არის, რომ შეუძლებელია ბუნების სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, გვეხმარებიან, რათა თავი გავითავისუფლოთ ნატურალიზმისაგან, რომელსაც ბუნება თავისი თავით დაკმაყოფილებულად სურს მოგვაჩვენოს. დასასრულ, რადგან ყოველი ბუნებრივი აუცილებლობა გრძნობათა ქვეყანაში ყოველთვის განსაზღვრულია, რადგან იგი ემყარება ნივთების სხვა ინსტანციაზე დამოკიდებულებას, და რადგან გრძნობათა ქვეყნისაგან განსხვავებული მიზეზის აუცილებელ აუცილებლობას და გრძნიანობას დაერგოს, მის კაუზალობას კი, ბუნებაც რომ ყოფილიყო, მაინც არ შეეძლო შემთხვევითობის არსებობა გაეგო, როგორც თავისი შედეგი, — ამიტომ თეოლოგიური იდეის დახმარებით გონება ფატალიზმისაგან ითავისუფლებს თავს; ე. ი. იგი თავს ითავისუფლებს, როგორც ბრმა ბუნებრივი აუცილებლობისაგან თვითონ

*) ამ აბზაცის უკანასკნელი სიტყვები კანტის დედამს აკლია, ჩვენ ვთარგმნეთ კ. შულცის ვარიანტის მიხედვით.

ბუნების ფარგლებში, ისე პირველი პრინციპის კაუზალობის ხელიდან და ეყრდნობა თავისუფლების მიზებს, ე. ი. უმაღლეს ინტელიგენტს. ამრიგად, თუ ტრანსცენდენტალური იდეები იძაბუ ვერ გვეხძარებიას, რომ პოზიტიური რამ გვაწავლონ, ყოველ შემთხვევაში მაინც, დაგვეხმარებიან, რათა თავი გავითავისუფლოთ მა ტერიალიზმის, ნატურალიზმის და ფიზიოლოგიზმის უხეში და გონების არის შემვიწროებელი მტკიცებებისაგან, რითაც ისინი მორალური იდეებისათვის სპეციულაციის ველების გარეშეც საკმაო სივრცეს პოულობენ; და მე მგონია, რომ ეს გარემოება ნაწილობრივ აგვიხსნის ბუნებრივ უნარს ამ იდეებისადმი.

პრაქტიკული სარგებლიანობა, რომლის მოტანა სპეციულატურ მეცნიერებას შეუძლია, ამ მეცნიერების საზოგრებს მიღმაა მოთავსებული, იგი შეგვიძლია სქოლიოდ მივიჩნიოთ და როგორც სქოლიო იგი არ არის მეცნიერების ნაწილი. იგივე გარემოება შეიძლება გავრცელდეს ფილოსოფიაზედაც, უპირველეს ყოვლისა ისეთს ფილოსოფიაზე, რომელიც წმინდა გონების წყაროებიდან მოდინარეობს, სადაც გონების სპეციულატურ მოხმარებაა შეტაფიზიკაში ერთიანობა უნდა ჰქონდეს მის პრაქტიკულ მოხმარებასთან ეთიკაში. აქიდან მოღის უცილობელი დიალექტიკა წმინდა გონებისა; თუ მას შეტაფიზიკაში ბუნებრივ აგებულებად განვიხილავთ, იგი არ იქნება მოხსნის ღირსი მოჩვენება, არამედ გონების, ბუნებრივი დაწესებულება მისი მიზნების მიხედვით, რომელიც ახსნის ღირსია. თუმცა ამ საქმეს ჩვეულებრივ მეტაფიზიკას მოქალეობად ვერ გაუხდით.

მეორე, მაგრამ მეტაფიზიკის შინაარსის უფრო გამომხატავი, შენიშვნა არის ის, რომელიც მოცემულია „წმ. გონ. კრიტიკაში“ გვერდი 647—668. აქ მოცემულია უო-

ნების პრინციპები, რომლებიც ბუნების წესის, ან განსჯის მიერ, — რომელიც თავის კანონებს ცდის საშუალებით დაეძებს, — აპრიორულად არის გარკვეული. ისინი ცდის მიმართ არიან კონსტიტუცია და კანონმდებელნი, ისინი წარმოსდგებიან შხოლოდ გონებისაგან და ამიტომ განსჯასავით შესაძლებელი ცდის პრინციპად არ გამოდგებიან. ის კი შემდეგში უნდა იქნას გამორკვეული, თუ მართლა ეს ურთიერთ თანხმობა იმას ემყარება, რომ როგორც ბუნება მოვლენებს და მათ წყაროს, ბერძნობელობას, თავისთავად არ ეკვრის, არამედ მათი განსჯისადმი დამოკიდებულების სახით გვხვდება, ისე ამ განსჯის მოხმარების ერთიანობა ყველა შესაძლებელი ცდის ძირით, გონების დამოკიდებულებაში იხატება და ამით ცდაც გონების კანონშიდებლობას უშუალობით ექვემდებარება. — ეს საკითხი შემდეგ იმათ უნდა გამოარკვიონ, რომლებსაც სურთ გონებას მის მეტაფიზიკურ მოხმარებას გარეშე, ზოგადი პრინციპების სფეროში, მიაწერონ ბუნებრივი უნარი, მიმართული ბუნების ისტორიის სისტემატური შექმნისაკენ; ეს ამოცანა „წმინდა გონება. კრიტ.“-ში თუმც მე მნიშვნელოვნად მივიჩნიე, მაგრამ მისი გადაწყვეტა. არ მიცლია *).

*) კრიტიკის დროს ჩემი მუდმივი სახრინავი ამოცანა იყო, არა ღერი მხედველობიდან არ გამოიყვა, რაც კი წილიდა გონების ბუნები გამორკვების სახელმძღვანელო მიმიყვანდა, რაც უნდა ღირ მ:დ არ ყოფილიყო ეს ჭამალული, მე მარც ვეძებდი მას. მას შემდეგ კი ყველა სასათვის ნებადართული თავისი გამოკვლევები იმდენად შორს გაშალოს, რამდენადაც მოისურებეს, მისთვის ხომ უკვე ნაჩვენებია, თუ რომელი გამოკვლეული დაგას ძიების ცენტრში. ის ხომ ყველასგან უნდა მოვითხოვოთ, რომ მან მთელი ეს ველი კარგათ გართვალისწინოს და რასაც თვითონ ვერ დასძლევს, იგი სხვების სამუშაოდ და ჯ: საფარო დობლად დასტოვოს. ამასვე ეკუთხენის ეს ორი შენიშვნა, რომელიც თავისი სიმშრალის ჯამო საქმის უბრალო მოსიყვარულეთ არ შემძლია უურჩიოდ და მშოლოდ მცოდნეთა გულისათვის არის აქ წამოყვნებული.

და ამით ვამთავრებ მე ჩემ მიერვე წამოყენებული ძირითადი საკითხის ანალიზურ გადაწყვეტას: როგორ არის მეტაფიზიკა საერთოდ შესაძლებელი? აქ მე იმისაგან, რაც მისი მოხმარების (ყოველ შემთხვევაში შედეგების) სახით მოცემულია, მისი შესაძლებლობის საფუძვლებამდე ავმაღლდები.

პროფესიუნალური ზოგადი საკუთხის

გერმანიური,

რომელ არის შემთხვევაში, რომელიც შეცვერება
შესაძლებლობი?

მეტაფიზიკა, როგორც გონიერი ბუნებრივი ნიჭი, სინამდვილეა, მაგრამ როგორც ეს მესამე ძირითადი საკითხის ანალიზურმა გადაწყვეტამ დაამტკიცა, იგი თავისთვალ დიალექტიკურია და მატყუარა. მეტაფიზიკიდან ნასესხები ძირითადი დებულებებით და მათი, თუმცა ბუნებრივი, მაგრამ მაინც მცდარი მოჩვენებით არავითარი მეცნიერება არ აშენდება; მისგან შეიძლება მხოლოდ აბეზარი დიალექტიკა მივიღოთ, რითაც ასეთი გულმოდგინებით სხვადასხვა სკოლა ერთმანეთს ეჯიბრებოდა; სამართლიანი და ხანგრძლივი გამარჯვება კი არც ერთს მათგანს წილად არ წვდომია.

მეტაფიზიკა რომ იყოს მეცნიერება არა მატყუარა ლათაიებზე აგებული, არამედ საქმეში ჩახედულებასა და დაჯერებაზე, აუცილებელია, რათა დავალაგოთ გონების კრიტიკა ყველა აპრიორული ცნების მარაგის შესახებ, მათი დანაწილება ყველა წყაროს მიხედვით, ე. ი. მგრძნობელობის, განსჯისა და გონების მიხედვით, შემდეგ ამ აპრიორულ ცნებათა სრული ცხრილი, და ამ

ცნებათა დანაწევრება და ყველაფერი, რაც ამ დანაწევრების შედეგი იქნება, შემდეგ უნდა დამტკიცდეს სინთეზური აპრიორული შემეცნების შესაძლებლობა; ამ ცნებათა დედუქციით მათი მოხმარების ძირითადი დებულებებიც უნდა დასაბუთდეს, დასასრულ უნდა გამოირკვეს მათი საზღვრები და ყველაფერი ეს უნაკლო სისტემის, სახით უნდა ჩამოყალიბდეს. მაშასადამე, კრიტიკა სავსებით და მთლიანად შეიცავს იმ კარგად დაცლილ გეგმას, მისი განხორციელების ყველა საშუალებასაც, რაზედაც კი მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება, უნდა დაყრდნობილიყო. სხვა გზებით და სხვა საშუალებით მეტაფიზიკა შეუძლებელია. აქ საკითხია, მაშასადამე, არა ის, თუ როგორ არის ეს საქმე შესაძლებელი, არამედ ის, თუ როგორ უნდა დავიწყოთ იგი, როგორ გავათავისუფლოთ გონიერი ადამიანები აქამდე არსებული მატყუარა და საქმეს ანცდარი უნაყოფო მეტაფიზიკისაგან, გამოვიყენოთ ისინი უტყუარი საქმის დამუშავებისათვის და როგორ წარვმართოთ ეს გაერთიანება საერთო მიზნების მოსაგვარებლად — მოხერხებულად და გონიერად.

ერთი კი ცხადია: ვინც კრიტიკის გემო გაიგო, იმას ამიერიდან ეზიზლება გულით ის დოგმატური ლათინური, რომლებსაც იგი ძველად ხმარობდა, ხმარობდა იმიტომ, რომ მის გონებას რაღაც სჭირდებოდა და მის დასაკმაყოფილებლად სხვა რაიმე უკეთესი კი არსად ჩანდა. კრიტიკა ისეთსავე დამოკიდებულებაშია ჩვეულებრივ სასკოლო მეტაფიზიკასთან, როგორც ჭი მია ა ლ ჭი მია ს-თან, ანდა ას ტრონომია მისნობით გატაცებულ ასტროლოგიასთან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვინც კი კრიტიკის ძირითად დებულებებს, თუ გინდ ამპროლეგომენებითაც კარგად ვაეცნობა და გაიგებს, იგი შემდეგ აღარასდოროს. აღარ დაუბრუნდება იმ ძველსა და

სოფისტურ მოჩვენებითს მეცნიერებას. ამიერიდან იგი აღფრთოვანებით შეხედავს მხოლოდ ისეთს მეტაფიზიკას, რომელიც კრიტიკის შემდეგ მის განკარგულებაშია, რომელსაც მოსამზადებელი აღმოჩენები აღარ ესაჭიროება, და გონებას ანიჭებს ხანგრძლივ დაკმაყოფილებას. მეტაფიზიკის ერთადერთი დადებითი მხარე, რომლითაც მას გარკვეული უპირატესობა აქვს ყველა სხვა მეცნიერებაზე, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მისი ერთგვარი დამთავრება და ისეთ მყარ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ მომავალში მას აღარავითარი ახალი აღმოჩენა აღარ ესაჭიროებოდეს, აღარც იცვლებოდეს და არც შეეძლოს გამოიცვალოს ახალი აღმოჩენების გამო. ამის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ აქ გონებას თავისი შემეცნების წყაროები საგნებში და მათს მჟღვრეტელობაში კი არა აქვს, (აქ იგი ახალ რაიმეს ვერ ნახავს) არა-მედ თავის საკუთარ თავში, და თუ მან თავისი უნარის ყველა ძირითადი დებულება სრულიად და გაუგებრობების გარეშე დააღავა, მაშინ აღარაფერი არ დარჩებოდა, რომ წმინდა გონებას აპრიორულად შეემეცნებია. დიალ, აღარ დარჩებოდა არც ისეთი რამ, რაც კი მას საფუძვლის მიხედვით საკითხს ქვეშ დააყენებდა. ასეთი გარკვეული და დამთავრებული ცოდნის აუცილებელ მოლოდინს ყოველთვის თან ახლავს რაღაც აღმაფრთოვანებელი რამ, მაშინაც კი, თუ აქიდან მოსალოდნელ ნაყოფს (რაზედაც კიდევ იქნება ლაპარაკი) შედგველობა-შიაც არ მივიღებთ.

ყველა ყალბი ხელოვნება და ყველა უსაფუძვლო სიპრაბენე გრძელდება გარკვეულ დროში; შემდეგ ის თვითონ დაანგრევს თავის თავს, მისი უმაღლესი კულტურა მისი დაღუპვის მომენტი არის. მეტაფიზიკისათვის რომ ეს დრო უკვე მოსულია, ეს მტკიცდება დღეს იმ გარემოე-

ზით, რომ ყველა განათლებულ ხალხში დღეს სხვა მეცნიერებანი დიდის ბეჭითობით ვითარდებიან, ხოლო მეტაფიზიკა სრულს დეგრადაციას განიცდის. საუნივერსიტეტო სწავლების ძველი წესწყობილება კიდევ ინარჩუნებს მეტაფიზიკის აჩრდილს, ესა თუ ის სამეცნიერო აკადემია საკონკურსო პრემიების დანიშვნით კიდევ ანიჭებს მას მოძრაობის უნარს, მაგრამ ძირითად მეცნიერებათა შორის მას აღარავინ თვლის და თუ ვინმე რომელსამე ნიჭიერ ადამიანს დიდს მეტაფიზიკოსს უწოდებდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მიიღებდა იგი ამ კეთილგანწყობილ, მაგრამ არც იმდენად სასურველ სახელწოდებას.

თუმცა დოგმატური მეტაფიზიკის სრული დეგრადაციის დრო უკვე უდაოდ მოსულია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, რათა ვილაპარაკოთ, რომ გონების საფუძვლიანი და სრულქმნილი კრიტიკის მეშვეობით ახალი მეტაფიზიკის აღორძინების ხანა დაწყებულია. ყველა გარემონტისას მიღრეკილება ერთი ნაპირიდან მის მოპირდაპირები გადასვლისას ყოველთვის გაივლის თავისებურავულობის მდგომარეობას და ეს მომენტი ყველაზე უფრო საშიში მომენტია ავტორისათვის, მაგრამ ჩემი აზრით ძალიან ხელსაყრელი მეცნიერებისათვის. თუ ძველი ძალისაზრისისაგან სრული ჩამოშორებით, ძველი პარტიულობის სულიც თან ჭრება, სამაგიეროდ ნიჭს ეძლევა საუკეთესო საშუალება, რათა თანდათანობით მოუსმინოს ახალი თვალსაზრისის მოწოდებას, ახალი გეგმის მიზედვით გაერთიანებისათვის.

როცა მე ვამბობ, ამ პროლეგომენებისაგან მოველი, რომ იგი კრიტიკის საქმეს კვლევის სფეროში გამოაცოცხლებს, და რომ ფილოსოფიის საერთო მდგომარეობას, რომლის სპეციალურობა ნაწილს, როგორც ჩანს, საზრდო აქცია, ახალს და დიდი იშედის მქონე ძიების ობიექტს

მოანიჭებსო, მაშინ მე წინასწარ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ვინმე, ვინც იმ ექლიან გზას, რომელიც მე კრიტიკაში გავიარე, უსიამოვნოდ და ზედმეტ ბარგად განიცდის, მე შემეტითხება, თუ რაზე ვამყარებ ამ იმედებს. მე მას ვუპასუხებ: აუცილებლობის გარდაუკანონზე.

ადამიანის სული მეტაფიზიკურ ქვლევას ოდესლაც რომ სავსებით თავს გაანებებს, ეს ისე მოსალოდნელია; როგორც ის, რომ ადამიანი სუნთქვას სავსებით თავს გაანებებს, რაღგან მას როდესმე არაწმინდა ჰასუნთქვა მოუხდება. ქვეყანაზე ყოველთვის და ყოველს მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება შეტაფიზიკის საჭიროება, რომელსაც სხვა სახელმძღვანელო ხაზის უქონლობის გამო თავისი საკუთარი სახით ჩამოაყალიბებს. მაგრამ ის, რასც დღემდე მეტაფიზიკა ერქვა, აღარ აკმაყოფილებს არც ერთს გონიერ ადამიანს, მეტაფიზიკაზე სავსებით უარის თქმაც შეუძლებელია და, მაშასადამე, ბოლოს უნდა ვცადოთ წმინდა გონების კრიტიკა და თუ. ეს კრიტიკა უკვე მოცემულია, მაშინ იგი უნდა გამოვიკვლიოთ და საყოველთაოდ გამოვცადოთ; სხვა საშუალება და სხვა გზა არ არსებობს ამ უცილობელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ეს უკანასკნელი კი მეტია, ვიდრე უბრალო ცნობისმოყვარეობა.

მას შემდეგ, რაც მე კრიტიკა გავიცანი მეტაფიზიკური შინაარსის მქონე წიგნის წაკითხვის დამთავრებისას; მიუხედავად წიგნის მრავალფეროვანი, მწყობრი დალაგებისა და მაღალი კულტურისა, მე მაინც იძულებული ვარ ჩემს თავს შევეგითხო: შეს შლოთუ თუ არა ამ ავტორმა თუ-გინდ ერთი ნაბიჯითაც მეტაფიზიკის წინ წაწევა? მე პატივება უნდა ვთხოვო იმ სწავლულ კაცებს, რომელთა ნაწერებმა სხვა მიმართულე-

ბით დიდი სამსახური გამიშვის და კულტურა შემძინეს, რადგან მათს მეტაფიზიკურ ცდებში (და ჩემს მცირეოდენ ცდებშიაც, რომელთათვის თავმოყვარეობა რაიმეს, მაინც ამბობს) მე ვერავითარი მეცნიერების პოვნა. ვერ შევძელი და ვერავითარი მეცნიერების განვითარების შესაძლებლობა ვერ ვიპოვე იმ ბუნებრივი მიზეზის გამო, რომ მეცნიერება ჯერ არ არსებობდა. და არც ცალკე ნაწილებისაგან შეიძლებოდა მისი აშენება, მეცნიერების ფესვები წინასწარ კრიტიკაში უნდა იყოს სავსებით პრეფორმირებული. ყოველივე გაუგებრობის თავიდან აშორების მიზნით უკვე წინასწარ მოცემულიდან უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ჩვენ ცნებათა ანალიზური დანაწევრებით თუმცა განსჯას ღიდს სარგებელს მივანიჭებთ, მაგრამ (მეტაფიზიკის) მეცნიერებას ამით სავსებით ვერ განვავითარებთ, ცნებათა. ეს დანაწევრება მხოლოდ მასალებს იძლევა, მეცნიერება კი ამის შემდეგ უნდა აშენდეს. რაც უნდა ლამაზად და მოხდენილად დავანაწევროთ სუბსტანციისა და აქციდენციის ცნება, მას მაინც მნიშვნელობა მხოლოდ მომავალი მოხმარების მომზადების თვალსაზრისით მიენიჭება. თუ მე არ შემიძლია დავამტკიცო, რომ ყოველივე იმაში, რაც არის, სუბსტანცია მყარობს, და მხოლოდ აქციდენციები იცვლებიან, ამიტომ ყველა ასეთი დანაწევრებით მეცნიერება სრულიადაც არ განვითარდება. მეტაფიზიკას კი ჯერ არც ეს დებულება, არც საკმაო საფუძვლიანობის კანონი, არც რომელიმე სხვა რთული დებულება, მაგრა რომელიმე ფსიქოლოგიისა ან კოსმოლოგიის სფეროდან და არც ერთი სინთეზური დებულება აპრიორულ-გავლენიანად ჯერ არ დაუმტკიცებია. მაშასადამე, მთელი იმ ანალიზით არაფერი არ არის გაკეთებული, არაფერა არ არის შექმნილი და განვითარებული და მეცნიერება

(მეტაფიზიკისა), მიუხედავათ ამოდენა ყვირილისა და ხშაურისა, მაინც იქ არის, საღაც არის ტოტელეს ღროს იყო, თუმცა მოსამზადებელი მუშაობა ამისათვის თუ კი სინთეზური ძიების ხაზი გამოინახა, გაცილებით უკეთესად მოწყობილია, ვიდრე წინათ იყო.

თუ ვინმე ამით თავის თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, მას უფლება აქვს ეს ბრალდება ერთს წუთში არა-საობად აქციოს, მაგრამ ამისათვის მან უნდა დაგვისახელოს თუგინდ ერთადერთი სინთეზური დებულება, რომელიც მეტაფიზიკას ეკუთვნოდეს და რომლის დამტკიცება დოგმატური წესით აპრიორულად შეიძლებოდეს. თუ კი იგი ამას შესძლებს, მხოლოდ მაშინ დავეთანხმება, რომ მან შესძლო მეცნიერების განვითარება; საკმარისი იქნებოდა ისიც, თუ კი ამ დებულებას ჩვეულებრივი ცდის საშუალებითაც გაამართლებდა. არც ერთი მოთხოვნილება არ შეიძლება ამაზე უფრო კანონიერად და შესაფერისად ჩავთვალოთ და თუ ამ მოთხოვნილებას ვერ დაგვიკმაყოფილებენ, მაშინ არც ერთი დებულება არ იქნება იმაზე უფრო სამართლიანი, ვიდრე ის: რომ მეტაფიზიკას მეცნიერების სახით დღემდე სრულებით არ უარსებებია.

თუ კი ამ გამოწვევას შიიღებენ, ორი გარემოება მე ამ თავითვე უნდა აღვკვეთო: პირველი: ა ღ ბ ა თ ო ბ ი თ ა და მიხვედრით თამაში, რომელიც მეტაფიზიკისათვის ისე შეუფერებელია, როგორც გეომეტრიისათვის; მეორე: საკითხის გადაწყვეტა, ე. წ. ჯ ა ნ ს ა ღ ი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ა გ ა ნ ს ჯ ი ს ჯადო ძალით, რომელიც როგორც ცობილია თითოეულ ადამიანს თავისებურად ესმის.

მართლაცდა, რაც შეეხება პირველს, იმაზე მეტს უაზრობას შეონი ვერ ვნახავთ, ვიდრე იმას, რომ მეტაფიზიკაში, ე. ი. წმინდა გონების ფილოსოფიაში, ჩვენი მსჯელობანი ალბათობასა და შიხვედრას დავაყ-

რდნოთ. ყოველივე, რაც კი აპრიორულად უნდა იქნას შე-
მეცნებული, ამით იგი აპოდიქტურად ცხადიც უნდა იყოს
და მაშასადამე, ამგვარადვე უნდა იქნას დასაბუთებული.
არც გეომეტრიისა და არითმეტიკის დაფუძნება შეიძლება
მიხვდრაზე, რადგან რაც კი არითმეტიკის *calculus* ყო-
ხაბილის-ს შეებება, ცნობილია, რომ იგი შეიცავს
არა ალბათობითს, არამედ სავსებით ცხადს მსჯელობებს,—
ისეთ შემთხვევათა შესაძლებლობის სარისხზე, როგორ
ერთნაირი პირობების მოცემულობის დროს ყველა შე-
საძლებელი შემთხვევის ჯამი გარკვეული წესის მიხედ-
ვით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული
კერძო შემთხვევის მიხედვით ეს პროცესი არც მთლად
გარკვეული შეიძლება იყოს. მხოლოდ ემპირიულს ბუნე-
ბათმეცნიერებაში შეუძლია მიხვდრას გარკვეული საქ-
მის გაკეთება (ინდუქციისა და ანალოგიის საშუალებით),
მაგრამ ისე, რომ შესაძლებლობა ჩემს მიერ მიღებულისა
სავსებით ცხადი იყოს.

ჯანსაღი ადამიანური განსჯის საფუძ-
ვლებზე დაყრდნობა კიდევ უფრო ცუდს მდგომარეობაში
გვაყენებს, რასაკვირველია, რამდენადაც საკითხი შეებება
ცნებებსა და ძირითადს დებულებებს არა იმის მიხედვით,
თუ რამდენად ცდის მიმართ გავლენა გააჩნიათ, არამედ
რამდენად მათი გავლენა ცდის პირობების გარეშეც ძა-
ლაშია. მართლაც, რა არის ეს ჯანსაღი განსჯა?
ეს არის ჩვეულებრივი განსჯა რამდენადაც იგი-
სწორად მსჯელობს. მაგრამ რა არის ეს ჩვეულებრივი
განსჯა? ეს არის შემეცნებისა და წესების *in concreto*
მოხმარების უნარი, განსხვავებით სპეციატუ-
რი განსჯისაგან, რომელიც არის წესების *in ab-
stracto* შემეცნების უნარი. ასე, მაგალითად,
ჩვეულებრივი განსჯა ვერასდროს ვერ გაიგებს წესს; რომ

ყველაფერი, რაც კი ხდება, მისი მიზეზების მიხედვით
არის გარევეული, და რომ გაიგოს მან, ეს წესი, მის ყოვე-
ლადობას იგი მაინც ვერ მიხვდება. ის ყოველთვის მოით-
ხოვს მაგალითს ცდისაგან და თუ გაიგონებს, რომ ეს მა-
გალითი იმასვე ნიშნავს რაც მან თვითონ ვაიზიარა,—ფან-
ჯრების ჩარჩო მაგ. გატეხეს, ან რაიმე ავეჯი მოიპარეს,—
მაშინ შას ესმის ძირითადი დებულება და მის არსებობასაც
უშვებს. ჩვეულებრივ განსჯას, მაშასადამე, აქვს ერთად-
ერთი მოქმარება, სახელდობრ თავისი წესების ცდის ფარ-
გლებში გამართლება. ამ წესების აპრიორული და ცდისა-
გან დამოუკიდებელი შემეცნება სპეციულატური განსჯის-
საქმეს შეადგენს, ეს კი ჩვეულებრივი გონების თვალსაზ-
რისის გარეშეა მოთავსებული. მეტაფიზიკას კი უმთავ-
რესად ამ უკანასკნელი სახეობის შემეცნებასთან აქვს
საქმე და ჯანსაღ ადამიანური განსჯისათვის, რასაკვირ-
ველია, ცუდი ნიშანია ისეთს მოწმეს დაუძახოს, რომელ-
საც აქ მსჯელობას არ მოუსმენენ, და რომლის ყველა
წამოწყებას აქ გაკვირვებით უპასუხებენ, ამიტომ აქ იგი
ისეთს შევიწროებულ მღვმარეობაში იქნება, რომ თა-
ვის საკუთარ სპეციულაციას ვერც დაეხმარება და ვერც
რასმე უჩჩევს.

ეს იმათი ჩვეულებრივი ხერხია, რომლებიც ჯანსაღ
ადამიანურ განსჯას საჯაროდ აღიდებენ, ნამდვილად კი
გაურბიან, როცა ამბობენ: ბოლოს რამდენიმე დებულება-
უნდა არსებობდეს, რომლებიც უშუალოდ ცხადი უნდა
იყვნენ, და რომელთა შესახებ არამცთუ დასაბუთებას,
არამედ უბრალო ანგარიშსაც კი ვერ შევადგენთ, წინააღ-
მდეგ შემთხვევაში მსჯელობათა დასაბუთებაში ვერას-
დროს დასასრულს ვერ მივაღწევდით. ამ წამოწყების დასა-
ბუთებისათვის მათ არ შეუძლიათ სხვა (გარეშე წინააღ-
მდეგობის დებულებისა, რომელიც სინთეზური მსჯელო-

ბის ჭეშმარიტების წარმოდგენებისათვის საკმარისი არის) რაიმე უდავო წამოაყენონ, რომელიც ჯანსაღ აღამიანურ განსჯას უშუალოდ გამოხატავდეს, გარეშე მათემატიკური დებულებებისა, მაგ.: ორი და ორი ოთხია, ან და ორს წერტილს შორის ერთი სწორი ხაზი არსებობს და სხვ. და სხვა. მაგრამ ესენი ხომ ისეთი მსჯელობანია, რომლებსაც მეტაფიზიკა ისეა დაშორებული, როგორც ცა დედა-მე წას. მათემატიკაში მე შემიძლია ყოველივე გავაკეთო ჩე-მი აზროვნებით (კონსტრუირება), რასაც კი მე რომელიშეც ცნებით, როგორც შესაძლებელს, წარმოვიდგენ. მე ორს ვუმატებ მეორე ორს თანდათანობით და ვლებულობ ახალს რიცხვს — ოთხს, ან და აზროვნებაში ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გამყავს რამდენიმე ხაზი და ვხედავ რომ ერთად ერთი შემიძლია ისე გავიყვანო, რომ მისი ყველა ნაწილი (როგორც თანასწორი, ისე არათანასწორი) ერთნაირი იქნება. მაგრამ ერთი ნივთის ცნებიდან მთელი ჩემი სააზროვნო საშუალებითაც კი არ შემიძლია სხვა რომელიმე ნივთის ცნების გამოყვანა, რომლის არ-სებობა პირველს ცნებასთან აუცილებლობის მიხედვით იყოს დაკავშირებული; ამისათვის მე ყოველთვის ცდა უნდა დავიხმარო; და თუმცა მე ჩემი განსჯა ასეთი და-კავშირების (კაუზალობის) ცნებას აპრიორულად (ჩა-საკვირველია, ყოველთვის შესაძლებელ ცდასთან დამო-კიდებულებაში) მაძლევს, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია. მცი იმგვარი აპრიორული დალაგება მჭვრეტელობაში, როგორც ეს მათემატიკის ცნებების შემთხვევაში გვაქვს. ეს ცნება ყველა თავისი მოხმარების ძირითად დებულე-ბასთან ერთად მათ აპრიორული გავლენის მოპოებისა-თვის საჭიროებს თავისი შესაძლებლობის დედუქციასა და გამართლებას (მეტაფიზიკაშიაც ეს სწორედ ასეა), წინაა-ღმდეგ შემთხვევაში არ გვეცოდინებოდა, თუ რამდენად

გავლენიანი იქნებოდა იგი და იქნებოდა თუ არა ძალა
მის მოხმარების მარტო ცდაში, თუ ცდის გარეშეც. მაშა-
სალამე, მეტაფიზიკაში, როგორც წმინდა გონების სპეკუ-
ლატურ მეცნიერებაში, ჩვეულებრივს აღამიანურ განს-
ჯაზე დაყრდნობა დაუშვებელია. უფრო დასაშვებია, რომ
საჭიროებისას სავსებით უარს ვიტყვით მეტაფიზიკაზე და
მთელი წმინდა სპეკულატური შემეცნების მიერ მინიჭე-
ბულ ცოდნაზე; ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ხელთ
შეგვრჩება გონიერი რწმენა და მასზე დაყრდნობით ზოგ
შემთხვევაში ცოდნაზე უფრო მაღლიერი რამ გამოდის.
ეს კი საჭმის ალნაგობას სავსებით სცვლის. მეტაფიზიკა
მეცნიერებად უნდა გახდეს არა მარტო მისი მთლიანობის,
არამედ მისი ნაწილების მიხედვითაც, წინააღმდეგ შე-
მთხვევაში იგი არაფერი არ არის; როგორც წმინდა გო-
ნების სპეკულაციას, სხვაგან არავითარი დასაყრდენი არა
აქვს, თუ არ ზოგადი ცოდნის სფეროში. ამ სფეროს მი-
ღმა ალბათობასა და ჯანსაღ აღამიანურ განსჯას დიალაც
სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, მაგრამ რასაკვირველია,
თავისი განსაკუთრებული პრინციპებით რომლებსაც თა-
ვიანთი სიმძიმის ცენტრი პრაქტიკის სფეროში აქვთ
მოთავსებული.

ეს გახლავთ ყველაფერი ის, რაც მე აუცილებლად
მიმაჩნია, რათა გავამართლო შეტაფიზიკის შესაძლებლო-
ბა, როგორც მეცნიერებისა.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ
მთაფიზიკა მართლაც მეცნიერებად იჩცეს.

რადგან ყველა აქამდე ნაცადი გზა უშედეგოდ დამ-
თავრდა და დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან

შმინდა გონების წინასწარი კრიტიკის გარეშე ასეთის
 მიღწევა არც შეიძლება, ამიტომ უადგილო არ არის შე-
 ხედულება, რომელიც ყველა აქ წარმოდგენილი საკითხის
 გადაწყვეტას საფუძვლიანად ასწონდასწონის და აღარა-
 ფერს იტყვის იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც
 უარს განაცხადებს მეტაფიზიკის ყველა პრეტენზიაზე.
 თუ მოვლენათა მსვლელობას მივიღებთ ისე, როგორც
 ის არის, და არა ისე, როგორც ის უნდა იყოს, მაშინ ორ-
 ნაირ მსჯელობას მივაღწევთ: ერთი მსჯელობა იქ-
 ნება ის, რომ ელიც გამოკვლევას წინ უს-
 წრებს, ასეთია ის შემთხვევა, როცა მკითხველი თავისი
 საკუთარი მეტაფიზიკისაგან (რომელსაც ამ მეტაფიზიკის
 შესაძლებლობა ჯერ კიდევ გამოსაკვლევი აქვს) გამოსუ-
 ლი კრიტიკის შესახებ თავის მსჯავრს გამოიტანს; მეორე
 მსჯელობა კი იქნება ისეთი, როცა იგი
 გამოკვლევას შემდეგ მოჰყვება, ამ
 შემთხვევაში მკითხველი ჯერ განზე სტოვებს კრიტიკულ
 გამოკვლევის შედეგს, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვეუ-
 ლებრივ მეტაფიზიკურ შეხედულებას და საფუძ-
 ლიანად იკვლევს იმ პრინციპებს, რომლები-
 საგანაც შედეგები უნდა იქნან გამოყვანილი. ის, რა-
 საც ჩვეულებრივი მეტაფიზიკა გვასწავლის, ისე ცხადი
 რომ ყოფილიყო, როგორც მაგ. გეორგეტრია, მაშინ, რასა-
 კვირველია, პირველი მსჯელობა იქნებოდა სწორი; მარ-
 თლაც და, თუ გარკვეული პრინციპების შედეგები
 მიღებულ და აღიარებულ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგებიან;
 მაშინაც ნათელია, რომ ის პრინციპები მცდარი არიან და
 ყოველ გამოკვლევამდე უარყოფილ უნდა იქნან. მაგრამ
 თუ ეს ასე არ არის, რომ მეტაფიზიკას უდავო სწორ
 (სინთეზურ) დებულებათა მარაგი გააჩნია, და თუ ერთი
 წაწილი ამ დებულებათა უკვე თავის საფუძვლებშივე

საღაოა, მაშინ არც შედეგებისათვის არსებობს ოაიშე
მტკიცე კრიტერიუმი, ე.წ. თვითმეტაფიზიკურ (სინთეზურ).
დებულებათა ჭეშმარიტებისათვის. თუ ეს ასეა, მაშინ
ჩვენ მიერ დასახელებული პირველი მსჯელობა ძალაში
ვერ დარჩება და კრიტიკის საფუძვლების გამოკვლევა წინ-
უნდა უსწრებდეს ყოველ მსჯელობას მის ღირებულებისა,
თუ არა ღირებულების შესახებ.

ნიმუში მსჯელობისა კრიტიკის შესახებ, რომელიც გამოკვლევას წინ უსწრებს.

ასეთს მსჯელობას ვნახულობთ უურნალში „Göttingi-
schen gelehrten Anzeigen“, დამატების მესამე ნაკვე-
თი, 1782 წ. 19 იანვარი, გვ. 40 და ქვევით.

თუ ავტორი, რომელიც თავისი შრომის საგანს საფუძ-
ვლიანად იცნობს და შემდგომი ღრმა მოფიქრებით მის
გადამუშავებას ცდილობს, ისეთი რეცენზენტის ხელში
ჩავარდა; რომელიც თავის მხრივ საკმაოდ აზრმახვილია
და ნაშრომის ღირებულების მქონე ყველა მომენტის თუ-
სუსტი მხარეების სრული გათვალისწინება შეუძლია; რო-
მელსაც მარტო სიტყვები კი არ აინტერესებს, არამედ
საქმე, და იმ პრინციპების გაგება შეუძლია, საიდანაც
ავტორი გამოიღოდა — ასეთი რეცენზენტის მსჯელობი-
საგან, თუ გინდ უარყოფითი იყოს იგი, ავტორი არა-
ფერს წააგებს, ხოლო საზოგადოება კი ბევრს მოიგებს;
ავტორი უკვე იმით შეიძლება კმაყოფილი დარჩეს, რომ
მას საქმის მცოდნე პირმა თავის დროზე მისცა საშუა-
ლება თავისი ნარკვევის გადასინჯვისა და მისი განმარ-
ტების ან გასწორებისა და ამ საშუალებით იგო.
დროულად თავიდან იშორებს გაუგებრობას და
იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც მომავალში შეუძ-
ლიათ ხელი შეუშალონ მის ნაწარმოებს.

მე კი ჩემი რეცენზენტის მიერ სულ სხვა მდგომარეობაში ვარ ჩაყენებული. როგორც ჩანს, მას სავსებით არ ფაუგია ის, რაც ჩემი კვლევების მიმღინარეობისას ძირითადი იყო, როგორც ჩანს, მას მოუთმენლობა გამოუჩენია ამ ღიღი და ფართო შრომის მოსაზრებისას, ან და უხასიათობა დასჩემებია მეცნიერების მოსალოდნელი რეფორმის გამო; მას ნამდვილად ეგონა, რომ მეცნიერება ღიღი ხანია უკვე დამთავრებული იყო; ან და აქ მთავარი დანაშაული იმაშია, რომ რეცენზენტმა ვერ შესძლოთავისი საკუთარი სკოლური მეტაფიზიკის მიღმა კიდევ რაიმე სხვა მოესაზრებინა, მოკლედ, იგი მედგრად ებრძვის მთელ რიგ დებულებებს, რომლებითაც არაფრის მოაზრება არ შეიძლება, თუ მათი პრემისები წინასწარ კარგად ცნობილი არ არიან, ყველაფერს იწუნებს და ყველაფერში ნაკლს ხედავს, მხოლოდ მკითხველი მთელი ამ დაწუნების საფუძველს ვერ ამჩნევს; ამიტომ მთელი ეს კრიტიკა არც მკითხველს რაიმეს აძლევს და მცოდნეთა მსჯელობას ჩემს შესახებ ვერავითარ ზიანს ვერ აყენებს. ამიტომ მე აქ რეცენზიას არავითარ ყურადღებას არ მივაპყრობდი, რომ იგი ზოგი გარდვეული განმარტებისათვის არ გამომადგებოდეს, რათა პროლეგომენების მკითხველს მთელი ეს გაუგებრობა თავიდან ავაშორო.

რეცენზენტი, ერთის მხრივ, იმისთვის, რომ გარკვეული თვალსაზრისი შეადგინოს და ავტორისათვის არა ხელსაყრელი გარემოებაში მთელი ნაწარმოები წარმოგვიდგინოს და, მეორე მხრივ, ყოველივე გამოკვლევისათვის თავის შეუწუხებლად რომ იმსჯელოს, რეცენზიას იწყებს და ამთავრებს სიტყვებით: „ეს ნაწარმოები არის სისტემა

ტრანსცენდენტალური (ან, ოოგორც თვითონ თარგმნის) მაღალი იდეალიზმისა". *)

ამ პწყარების დანახვისთანავე მივხვდი, თუ რა რეცენზია გამოვიდოდა აქიდან: ოოცა ვინმე, ოომელსაც გეომეტრიისა არაფერი უნახავს და არაფერი ვაუგონია, ევკლიდის წიგნს ნახულობს, წიგნის გადაფურცვლისას შიგ მრავალ ფიგურას ამჩნევს და ბრძნულად ამბობს: „ეს წიგნი არის ხაზების სისტემატური სახელმძღვანელო. ავტორი ხმარობს თავისებურ ენას, რათა ბნელი და გაუგებარი დებულებანი წამოაყენოს, მთელი ამ გარემოებით ავტორი არ იძლევა იძაზე მეტს, რასაც თითოეული თავისი საკუთარი თვალის ზომით სისრულეში მოიყვანდა და სხვა“.

ამიტომ მოდი ვნახოთ მართლაც, თუ რა არის ის იდეალიზმი, ოომელიც მთელს ჩემს შრომაში გვხვდება, თუმცა ეს სრულიადაც არ შეადგენს ჩემი სისტემის სულს.

დებულება ყველა ნამდვილი იდეალიზმისა, ელეატილებიდან დაწყებული ეპისკოპოზ ბერკლიმდე, მოცემულია ფორმულაში: „ყოველივე შემეცნება გრძნობითა და

*) სწორედ რომ არა მაღალი სასახლეები და ამგვარი მეტაფიზიკურ-დიდი ადამიანები, რომლებიც თავის ირველიც ძლიერ ქარ-ბუქს ავითარებენ, ჩემი საქმე არ არის, ჩემი საქმეა ცდის ნაყოფიერი ბათოსი [სილრმე]. სიტყვა ტრანსცენდენტალური, რომლის მნიშვნელობაც მე ბევრჯერ განვმარტე, მაგრამ რეცენზენტს არგაუგია, (ასე ზერელედ ხედავს იგი ყველაფერს) იმას კი არ ნიშნავს, რაც ყოველივე ცდის მიღმა გადის, არამედ იმას, რაც თუმც ცდაშედე აპრიორულად წინ არის, მაგრამ არავითარი სხვა დანიშნულება არა აქვს, თუ არა ის რომ ცდისეული შემეცნება შესაძლებელი გახადოს. თუ ეს ცნებები ცდას გაშორდებიან, მაშინ მათს მოსმარებას ტრანსცენდენტური ქვიან, რომელიც უნდა განვასხვავოთ იმმანენტური, ე. ი. ცდით შემოფარგლული მოხმარებისაგან. ყველა ასეთი გაუგებრობისაგან თავის განთავისუფლებისათვის ჩემს ნაშრომში საკმაო განმარტებებია მოცემული, მაგრამ რეცენზენტმა ამჯობინა გაუგებრობასთან დარჩენილიყო.

ცდით მოცემული, მხოლოდ მოჩვენება არის, ჰეშმარიტება, მხოლოდ წმინდა განსჯისა და წმინდა გონების იდე-ებშია“.

ძირითადი დებულება კი, რომელიც ჩემს იდეალიზმს თავიდან ბოლომდე მართავს და არკვევს, ამის საწინააღმდეგოდ, შემდეგია: „ყოველივე შემეცნება ნივთებისა, დაყრდნობილი წმინდა განსჯაზე და წმინდა გონებაზე; მოჩვენება არის, ჰეშმარიტება მხოლოდ ცდაშია“.

ეს ხომ პირდაპირ საწინააღმდეგოა იმ იდეალიზმისა. მერე როგორ მივედი მე იმ გარემოებასთან, რომ ამ გამოთქმას სავსებით საწინააღმდეგო აზრით ვხმარობ, ანდა როგორ მივიდა რეცენზენტი იქამდე, რომ ძელ იდეალიზმს ჩემს ნაწერებში ხედავს?

ამ სიძნელის თავიდან აშორება ძალიან ადვილი იყო, რომ რეცენზენტს მოენდომებინა და საკითხი მთელი ჩემი შრომის შინაგან მიმღინარეობასთან დაკავშირებით განეხილა. დრო და სივრცე და ყველაფერი, რასაც ისინი შეიცავენ, არ არიან არც ნივთები და არც მათი თვისებები თავისთვალ, არამედ ეკუთნიან მხოლოდ მათს მოვლენებს. აქამდე მე იდეალისტებს არ ვეწინააღმდეგები, მაგრამ იდეალისტები და მათ შორის განსაკუთრებით ბერკლი სივრცეში ხედავენ უბრალო ემპირიულ წარმოდგენას, რომელიც, როგორც ყველა მოვლენა მასში, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ცდის ან აღქმის მეშვეობით. მე კი ამის საწინააღმდეგოდ ვამტკიცებ: სივრცე (და აგრეთვე დრო, რომელსაც ბერკლი სრულიად უყურადღებოდ სტოვებდა) და ყველა მისი გარკვეულობა ჩვენ მიერ აპრიორულად შემეცნებული უნდა იყოს; იმიტომ რომ იგი, როგორც დრო, ჩვენ მიერ ყოველ ცდამდე და აღქმამდე, როგორც გრძნობელობის წმინდა ფორმა, მიღებულია და შესაძლებელს ხდის, როგორც ყველა მჭვრეტელობას, ისე ყველა

მოვლენას. აქიდან გამოდის, რომ ცდას ბერკლისთან არ შეიძლება ჭეშმარიტების კრიტერიუმი გააჩნდეს (ჭეშმა-რიტება ხომ თავის კრიტერიუმად ზოგადსა და აუცილე-ბელ კანონებს ხმარობს), არ შეიძლება იმიტომ, რომ მის მოვლენებს საფუძვლად მხოლოდ აპრიორული დებულება შეიძლება ჰქონდეს, საიდანაც ის გამომდინარეობს, რომ ეს მოვლენები მხოლოდ მოჩვენებებია; ამის საწინააღ-მდეგოდ ჩვენთან დრო და სივრცე (დაკავშირებით კატე-გორიებთან) ყოველ ცდას თავიანთ კანონებს აპრიორუ-ლად უკარნახებენ, რაც ამავე დროს არის სანდო კრიტე-რიუმი ჭეშმარიტებისა და მოჩვენების ერთმანეთისაგან განსხვავებისათვის. *)

მაშასადამე, ჩემი ეგრეთწოდებული (სახელდობრ, კრი-ტიკული) იდეალიზმი თავისებური სახეობისა არის, ჩვე-ულებრივს იდეალიზმს ის აფეთქებს, მისი საშუალებით თითოეული აპრიორული შემეცნება, თვით გეომეტრიუ-ლიც კი პირველად აღწევს თავის ობიექტურ რეალობას რომელსაც ვერ მიაღწევდა თვით უერთგულესი რეალის-ტიც კი, თუ დროისა და სივრცის აქდამტკიცებულ იდეა-ლობას საფუძვლად არ აიღებდა. საქმის ასეთი მდგომარეო-ბის გამო მე ძალიან მსურდა, რათა ყოველი გაუგებრობა თა-ვიდან ამეშორებინა, ჩემი ცნებისათვის სულ სხვა სახელი

*) ნამდვილ იდეალიზმს ყოველთვის მეოცნებე მიზნები აქვს და არ შეიძლება სხვა რამე გააჩნდეს, ჩემს იდეალიზმს კი მიზნად აქვს ასათა გასაგები განადოს ჩვენი შემეცნება ა priori ცდის საფნების შესახებ; ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც დღემდე არამც თუ გა-დაუწყვეტიათ, არამედ არც კი წამოუყენებიათ. ამით მარცხდება ყო-ველი მეოცნებე იდეალიზმი, რომელიც (როგორც ეს უკვე პლატო-ნიზანაც ჩანს) ლამობს ჩვენი აპრიორული (თვით გეომეტრიული) შემეცნებიდან იქამდე მივიდეს (სახელდობრ ინტელექტუალური მჭვრეტელობით), რომ გრძნობებსაც კი აპრიორული მჭვრეტელობა მოსთოვოს.

შეწოდებინა. მაგრამ მისი საკუთხით შეცვლა შესაძლებელია აღარ არის. მაშასადამე, ამიერიდან ნებადართული იყოს, რომ მე მას ფორმალურს ანუ კრიტიკულს იდეალიზმები ვუწოდებ, რათაც იგი უნდა განსხვავდებოდეს ბერკლის დოგმატური და დეკარტეს სკეპტიკული იდეალიზმისაგან.

სხვა რაიმე ლიტსშესანიშნავს ჩემი წიგნის გარჩევაში, შე ვერ ვნახულობ. რეცენზის ავტორი თავიდან ბოლომდე მსჯელობის en gros, ეს მანერა ძალიან კარგად არის შერჩეული, მისი მოხმარების დროს საჭირო არ არის საკუთარი ცოდნა, თუ არ-ცოდნა გამოაჩინო. საქმეში ჩატელული მსჯელობა en détail, რომელიც ძირითად საკითხებს შეეხებოდა, შესაძლებელია, ჩემს შეცომებსაც გამოააშკარავებდა, მაგრამ არც რეცენზენტის კვლევითს უნარს ასეთს საქმეებში დასტოვებდა დაფარულად. ესეც თავისებური ხერხია, რომ მკითხველს, რომელიც თავის მსჯელობას წიგნების შესახებ საგაზეთო ცნობებიდან ღებულობს, თვით წიგნის წაკითხვის სურვილს იმთავითვე წაართმევ მთელი რიგი მზამზარეული დებულებებით, რომლებიც ყოველივე კავშირის გარეშე ამოგიგლეჯია წიგნის სხვადასხვა ადგილებიდან, ცხადია, მკითხველს ეს საჩქაროდ მოთხრობილი ადგილები უაზროდ მოეჩენება და თუ მის მომზინების ფიალასაც ამოსწურავ, მაშინ შეს გაცილებით უფრო დიდი შედევით შეგიძლიათ მამობრივი ტონით ლექცია წაუკითხოთ: რა საჭიროა ეს დავა საყოველთაოდ აღიარებული ენის წინააღმდეგ, რა საჭიროა და საიდან მოდის ეს იდეალისტური განსხვავებულებანი? ეს არის მსჯელობა, რომელიც ცდილობს ჩემი წიგნის მთელი თავისებურება ახსნას მხოლოდ როგორც ტერმინოლოგიური გადახალისება, უწინ კი ჩემს წიგნში მეტაფიზიკურს ჯადოსნობას ხედავდა, და რომე-

ლიცეიზენი აზრით, ამტკქცებს, რომ ჩემს მხისამართლებს არც
ჩემი წიგნისა გაუვია რაიმე და ხშირად, მეონი, არც სა-
კუთარი თავის ნაამბობი ესმის. *)

რეცენზენტი ლაპარაკობს ვითარცა აღამიანი, რომელსაც
საუკეთესო ცოდნა და შეხედულება აქვს, მაგრამ ჯერ
ყველაფერ ამას დაფარულად ინახავს; მართლი მოგახ-
სენოთ, მეტაფიზიკის მიმართ მე ახალს დროში ისეთი
არაფერი მომისმენია, რაც ასეთს ტონს გაამართლებდეს.
ძალიან ცუდს ჩადის რეცენზენტი, რომ თავის აღმოჩე-
ნებს ქვეყანას უმაღავს. ნამდვილად ბევრს ისე მოსდის მე-
ტაფიზიკის საკითხებში, როგორც მე, ე. ი. ის, რაც ბო-
ლოდროს ამ სფეროში იწერება, ვერ მარტმუნებს, რომ ეს
მეცნიერება ერთი ნაბიჯითაც წინ მიღიოდეს. გამახვილე-
ბულ განმარტებებს, კოჭლ დასაბუთებებს, ახალი სამკაუ-
ლებით შემკობილს მეტაფიზიკის გამომეტყველების შემ-
ცვლელ პირებს, და სხვა ასეთებს ბევრს ვნახულობთ,
მაგრამ ქვეყანა ამას არ მოითხოვს. მეტაფიზიკური მტკი-
ცებებით ქვეყანა ყელამდე სავსეა; მოითხოვენ ამ მეცნიე-
რების შესაძლებლობის დასაბუთებას, მოითხოვენ წყა-

*) ბევრ ადგილას რეცენზენტი თავის საკუთარ აჩრდილს ებრძეის.
როდესაც მე მაგალითად, ცდის ჭრშმარიტებას სიზმარს ვუპირისპი-
რებ, რეცენზენტი ვერ მიმხვდარა, რომ აქ ვოლფის ფილოსოფიის
ცნობილ იმიური objective sumto — ობიექტურად გასაგებ სიზმრის
შესახებ არის ლაპარაკი, რომელიც ფორმალური შედარებაა და ძი-
ლისა და მღვიძრობის განსხვავებაზე სრულიად არაა ლაპარაკი,
ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში არც შეიძლება ამაზე ლაპარაკი
იყოს. სხვათა შორის იგი ჩემს კატეგორიების დედუქციას და განს-
ჯითი ცნებების ცხრილს ამკობს სახელწოდებით: „ლოგიკისა და ონ-
ტოლოგიის საყოველთაოდ ცნობილი დებულებანი, განვითარებული-
იდეალისტური წესით“. მკითხველს ამ პროლეგონებიდან შეუძლია
დაინახოს, რომ ამაზე უფრო საცოდავი და ისტორიულად არასწორი
მსჯელობა აღარც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

როებს, საიდანაც მისი სიცხადე მოშდინარუობდეს, მოითხოვენ მტკიცე კრიტერიუმებს, რითაც წმინდა გონების დიალექტიკური მოჩვენება ჰეშმარიტებისაგან განსხვავდებოდეს. ამის გასაღები უნდა ჰქონდეს რეცენზენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მაღალტონიან საუბარს არავითარი აზრი არა აქვს.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მას ასეთი მოთხოვნილების წარდგენა მეცნიერებისათვის არას დროს აზრადაც კი არ მოსვლია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თვით მიზანს ამცდარი ცდაც კი ასეთ ღირსეულსანი შნავ საკითხებში მის ყურადღებას მიიპყრობდა. თუ ეს ასე იქნება, ჩვენ მაშინ რევ კარგი მეგობრები დავრჩებით. მას შეუძლია თვის მეტაფიზიკაში აზრები იმდენად გააღრმავოს; რამდენადც სურს; ამაში მას ხელს არავინ შეუშლის, ხოლო ის, რაც მეტაფიზიკის მიღმა იმყოფება ე. ი. რაც გონების წყაროებშია მოთავსებული, ამაზე მას არ შეუძლია იმსჯელოს. რომ ეს ჩემი შეხედულება სამართლიანია, იმით მტკიცდება, რომ იგი ერთი სიტყვითაც კი არ ლაპარაკობს აპრიორული, სინთეზური შემეცნების შესაძლებლობაზე, რომელიც ძიების ძირითადი ამოცანაა, რომელზელაც აშენებულია მთელი ჩემი კრიტიკა (და ეს პროლეგომენებიც) და რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მეტაფიზიკის მთელი ბეღი. იდეალიზმი, რომელსაც რეცენზენტი კაზათ გადაეყარა და რომელსაც ზედ ჩამოქკიდა, მხოლოდ მცირედი საშუალება იყო იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებსაც მთელი მოძღვრება შეეხებოდა, თვით მოძღვრება კი ბევრი სხვა საშუალებით მტკიცდებოდა და საბუთდებოდა; რეცენზენტს უნდა ეჩვენებინა, რომ ან ჩემს მიერ წამოყენებული ამოცანები უმნიშვნელონი იყვნენ, ან ჩემი მოძღვრება მოვლენების

შესახებ არ გამოდგებოდა დასახელებული ამოცანების ჭაღაწყვეტისათვის, ან ის, რომ ამ ამოცანების სხვაგვარი გადაწყვეტა შეიძლებოდა; მაგრამ ყოველივე ამის შესახებ რეცენზიაში ერთი სიტყვაც კი არ არის. მაშასადამე, რეცენზენტს არაფერი არ გაუვია ჩემი წიგნისა და, მგონია, არც მეტაფიზიკის არსებისა და ბუნებისა; ის რეცენზენტებისათვის დამახასიათებელი სიჩქარით სიძნელეებსა და ხელის შემშლელ გარემოებათ თავზე გადაახტა, მის წინ მდებარე ნაშრომი არახელსაყრელ ჩრდილში მოაწუა და მისი ძირითადი პრინციპები გაუგებარი გახადა.

მე მგონია, განსწავლულ გაზეთს, რომელსაც თავისი თანამშრომლები ღიღი ბეჯითობითა და შრომით შეურჩევია, მეტაფიზიკის სფეროში საკითხების გადაჭრა ისე კარგად და ადვილად არ შეუძლია, როგორც სხვა სფეროებში. ყველა სხვა მეცნიერებასა და ცოდნას თავისი მასშტაბი გააჩნია. მათემატიკას ასეთი თავის საკუთარ თავში აქვს, ისტორიასა და თეოლოგიას — საერო ან სასულიერო წიგნებში, ბუნებათმეცნიერებასა და მედიცინას — მათემატიკაში და გამოცდილებაში, იურისპრუდენციას — კანონთა კრებულებში და, ის კი არა, გემოვნებას — ძველების მიერ დამკვიდრებულ ნიმუშებში. ხოლო იმ გარემოების შეფასებისათვის, რომელსაც სახელად მეტაფიზიკა ეწოდება, უპირველეს ყოვლისა მასშტაბი უნდა გამოინახოს, მე გავაკეთე ცდა ასეთის გამნახვისა და მისი მოხმარების გარკვევისა. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მეტაფიზიკური შინაარსის წიგნებზე მსჯელობა შედგეს. თუ ეს წიგნები ღოვმატური ხასიათისა იქნებიან, მაშინ სულ ერთია როგორც მოვიქცევით; არც ერთს მეორეზე აქ ღიღი ხნით თავისი მაღალი ოსტატობის შენარჩუნება არ ძალუდს, ყოველთვის ახალი გამოჩნდება, რომელიც ძველს დასძლებს. თუ ეს

წიგნები კრიტიკულ ხასიათისა იქნება და თუ ეს კრიტიკა თვით გონიერაზე იქნება მიმართული, მაშინ შეფასების მასშტაბი წინასწარ მიღებული კი არ იქნება, არამედ ძებნის პროცესში იქნება იგი მოცემული; დაწუნება და უკანონო უარყოფა აქაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ასეთის საჭიროება ისე დიდი და საყოველთაოა, რომ მოსამართლეთა ყოველი უკანონო შეხედულება აქ შეუძლებელი და უსაფუძვლო ხდება.

ეს ჩემ მიერ მოცემული თავდაცვა ფილოსოფიის საერთო მოთხოვნილებას რომ დაუკავშირდეს, ამიტომ ვიძლევი წინადადებას, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისა არის. მეტაფიზიკური ხასიათის გამოკვლევისათვის. ეს ჩემი წინადადება სხვა არაფერია გარდა იმისა, რაც მათემატიკოსებმა: სკადეს, რათა დავა მათი მეთოდის უპირატესობის დამტკიცებისათვის თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ, ე. ი. აქ მე ვიწვევ ჩემს რეცენზენტს, რათა მან თუ გინდერთადერთი მის მიერ წამოყენებული ჭეშმარიტად—მეტაფიზიკური, ე. ი. სინთეზური და აპრიორული ცნებით შემეცნებული, დებულება წამოაყენოს (მაგ. სუბსტანციის მყარობის დებულება, დებულება, რომ ყოველი ჭვერიური შემთხვევა გამოწვეულია მისი მიზეზით და სხვ.), რომელიც მართლაც, აპრიორული საფუძვლებით დასაბუთდებოდეს. თუ მას ეს არ შეუძლია (გაჩუმება ხომ თანხმობას ნიშნავს), მაშინ მან უნდა განაცხადოს: რაღაც ასეთი დებულებების აპოდიქტური სიცხადის გარეშე მეტაფიზიკა შეუძლებელია, ამიტომ მეტაფიზიკის შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა ყოველი ნივთის გარჩევამდე წმინდა გონიერის კრიტიკაში უნდა გადაწყვდეს. ამით კი რეცენზენტი იძულებული ხდება, ან მიიღოს, რომ ჩემ მიერ მოცემული კრიტიკის ძირითადი საფუძვლებია სწორია და ან თვითონ გვიჩვენოს, თუ რაში მდგომა-

ჩეობს მათი მცდარობა. რაკი მე დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ მეტაფიზიკისათვის იგი ვერც ერთს ასეთს დებულებას ვერ გამოგვინახავს, რადგან მე უკვე ვნახე, თუ როგორ უზრუნველად ეპყრობოდა ჩემი რეცენზენტი თავისი დებულებების სიცხადის დასაბუთებას, ამიტომ მე მას ადვილს და ხელსაყრელ პირობებს ვუთმობ, რაც კი რომელსამე დავაში დასაშვები იქნება, სახელდობრ, მე მას გავათავისუფლებ იუს probandi - საგან და ჩემს თავზე ავიღებ ამ მოვალეობას.

ამ პროლეგომენებში და ჩემს კრიტიკაში (გვ. 426-461) მოცემულია რვა დებულება, რომელთა წყვილები ყოველ-თვის ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, თითოეული მათგანი ცალკე კი ეკუთვნის მეტაფიზიკას, მეტაფიზიკამ იგი ან უნდა მიიღოს ანდა უნდა უარყოს (თავის დროს თითოეული მათგანი ამა თუ იმ ფილოსოფოსის მიერ აღიარებული და მიღებული ყოფილა). ჩემს რეცენზენტს სრული თავისუფლება აქვს ერთ-ერთი ამ რვა დებულებიდან თავისი სურვილისამებრ ამოირჩიოს და იგი დასაბუთების გარეშე მიიღოს. მაგრამ მაშინ მან უნდა შესძლოს, აბა დროს უსაქმოდ ხომ არ დავკარგავთ, ჩემ მიერ მოცემული ამის მოპირისპირე დებულების დასაბუთება დაარღვიოს. მე აქაც დავეხმარები მას და ისეთს საშუალებას ვაწავლი, რომლითაც ყველა დოგმატური მეტაფიზიკისათვის მისაღები დებულებით საუცხოვოდ დაამტკიცოს იმის საწინააღმდეგო, რაც მან წინასწარ მიიღო, ე. ი. თეზისის დასაბუთებათა წინააღმდეგ, ანტითეზისის შესაფერისს და ასეთივე თვალნათლივ დებულებათა დასაბუთებაზე მივუთითებ; მაგრამ სწორედ ამით დასაბუთდება, რომ მეტაფიზიკას თან ანლავს მოდგმითი ცოდვა, რომლის არც მოხსნა და არც ახსნა არ შეიძლება; მისი გაგებისათვის საჭიროა მის სამშობლოს მივაკითხოთ, ე. ი.

წმინდა გონებას, და ამიტომ ჩემი კრიტიკა წმინდა გონებისა ან კანონიერია და ან საჭიროა მის მაგივრად უკეთესი წამოვაყენოთ, ყოველ შემოხვევაში აუცილებელია მისი საფუძვლიანი შესწავლა. ამ მომენტში მე მხოლოდ აშას მოვითხოვ. თუ მე ვერ შევძლებ ჩემი დამტკიცება გადავარჩინო, მაშინ ჩემი მოწინააღმდეგის განკარგულებაში დარჩება აპრიორული სინთეზური დებულება დოგმატური ძირითადი პრინციპების სფეროდან, ჩემი ბრალდება ჩემი უკეთებრივი მეტაფიზიკის წინააღმდეგ უსაფუძვლო აღმოჩნდება და მე ვსცნობ საქვეყნოდ, რომ ოცნების ტრანსისტორი დასკვნა ლოგიკურად შეიძლება არც გამომდინარეოდ (თუმცა ასეთი დასკვნა კი, მგონია, აუცილებელია, რათა ოცნების ტრანსისტორი ამოცანის მაგივრად მე არ დამჭირდეს მთელი რიგი ანონიმური, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი მოწინააღმდეგების შემოტევისაგან თავი დავიცვა).

¶ 0 6 1 დ ა დ ე პ ა

**პრიტიკის ისეთი გამოქვლევისათვის, რომელსაც
უმარჯობი ჯეიძლება მსჯელობა მოჰყვას.**

პატივცემულ საზოგადოებას მე მაღლობა უნდა გამოცუცხადო იმ დუმილისათვის, რომლითაც მან ძალიან ხანგრძლივ ჩემი კრიტიკა გააბეჭნიერა. ეს იმას ამტკიცებს, რომ მსჯავრის გამოტანა გადადვეს, მაგრამ ამასთან ერთად იმასაც ამტკიცებს, რომ ნაწარმოები, რომელმაც უარი თქვა ყველა ძველის-ძველ მიღწეულ გზაზე და ახალი გამონახა, რაღაცას ისეთს შეიცავს, რომელიც ახლა ადამიანის შემეცნების უკვე გარდაცვლილ დარღვევას განიცავს.

ახალს სიცოცხლეს და ახალს ნაყოფიერებას ანიჭებს. ასეთს ნაწარმოებში ჩქარა გარდევევა ძნელი საქმე ხდება და ყოველი აჩქარებული მსჯავრის გამოტანა მის სათუთ შენობას დანგრევასა და განადგურებას უქადის. ნიმუშს ასეთი მოსაზრებითი დავვიანებული მსჯავრის გამოტანისა ჩვენ ვნათულობთ *Gothaischen gelehrten Zeitung*-ში. ამ რეცენზიის საფუძვლიანობაში შეიძლება დარწმუნდეს თითოეული მკითხველი, (თუ გინდ უყურადღებოთ დავტოვოთ ჩემი ამ შემთხვევაში საეჭვო ქება) რომელიც აქ ნახავს ჩემი ნაწარმოების პირველი პრინციპების ერთ ნაწილს გაუყალბებელს და ადვილად გასაგებს დალაგებას.

რადგან შეუძლებელია უზარმაზარი ნაშენის შესახებ ერთი შემთხვევით ნაჩქარებად მსჯავრი გამოვიტანოთ, ამიტომ ვიძლევი წინადადებას, ეს ნაშენი მისი საფუძვლებიდან დაწყებული ნაწილ-ნაწილად განვიხილოთ; ეს, პროლეგონები უნდა გამოვიყენოთ როგორც შესავალი და ზოგადი მიმოხილვა, რომელსაც ყოველი საჭირო შემთხვევის დროს შეგვიძლია თვითონ ნაწარმოები (ე. ი. „წმინდა და გონების კრიტიკა“) შევადაროთ. ეს წინადადება რომ სხვა არაფერი ყოფილიყო, გარდა უმართებულო წარმოდგენისა საკუთარი ნაწარმოების განდიდებისათვის, მაშინ ცხადია, იგი ულაპარაკოდ უარყოფილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ასე არ არის. დღეს სპეციალური ფილოსოფიის განვითარებამ იმ წერტილს მიაღწია, რომელთანაც მისი გაქრობის საშიშროება რეალური ფაქტი გახდა; თუმცა აღამიანის გონება მას ჩაპორენია განუყრელი. ენთუზიაზმით და მის გაქრობას ებრძის, მაგრამ რადგან იგი აქ ყოველთვის ტყუვდება ამიტომ ახლა უშედეგოდ ცდილობს იგი გულგრილობას მისცეს თავი.

არ გვგონია; რომ ჩვენს მოაზროვნე ეპოქაში ვნა-

ხოთ ბევრი დიდად დამსახურებული აღამიანი, რომელიც მზად არიან გამოიყენონ ყველა შემთხვევა და იმუშაონ მუღმივ განვითარებაში მყოფი განათლებული გონების საკეთილდღეოდ, რასაკვირველია, თუ კი იმედი იქნება ამ გზით მიზნის მიღწევისა. მათემატიკა, ბუნებათმეცნიერება, იურისპრუდენცია, ხელოვნება და სხვ. ბოლომდე ვერ ავსებს აღამიანის სულს. მასში ყოველთვის რჩება კიდევ ადგილი, რომელიც განკუთვნილია წმინდა და სპეცულატური გონებისათვის, რომლის სიცალიერები ჩვენ გვაიძულებს ოცნებასა, გატაცებასა და აღმაფრენაში მოჩვენების მიხედვით საქმე და საკვლევი გამოვნახოთ, სინამდვილეში კი ჩვენ თავის შესაქცევ გარემოებას დავხებთ, რითაც გონების ცუდ ხმას თავიდან ავიშორებთ, რადგან იგი სხვა გარემოებათა და სხვის შეხედულებათა დაკმაყოფილების მაგივრად, საკუთარ თავს იკმაყოფილებს. ამიტომ ისეთი განხილვა, რომელიც ამ თავისთვად არსებული გონების მოცულობით დაკმაყოფილდება (დაკმაყოფილდება იმიტომ, რომ მასში ერთ მთლიანობად ერთიანდება ყველა სხვა ცოდნა და, ის კი არა, ყველა მიზანი), ყველა აღამიანისათვის, რომელიც კი შეეცდება თავისი ცოდნა ამით გააფართოვოს, რაღაც უმაღლესად აღტაცებულს და წარმტაცს შეიცავს, მე მინდა ვთქვა, რომ იგი შეიცავს გაცილებით უფრო წარმტაცს, ვიდრე სხვა რომელმე თეორიული ცოდნა, რომელსაც იმ ოცნების საგანზე ადვილად თითქმის არავინ გაცვლიდა.

ამიტომ მე აქ წინადადებას ვიძლევი გამოკვლევის გეგმესთვის და მის სახელმძღვანელოდ ეს პროლეგომენები ავილოთ და არა თვითონ ძირითადი ნაწარმოები. ამ წინადადებას ვიძლევი იმიტომ, რომ, თუმცა მთავარ ნაწარმოებში შინაარსისა, წესრიგისა და მთელი მოძღვრების სახის მიხედვით თითოეული დებულება ზუსტად აწრი-

ნილ-დაწონილი და გამოკლილ-გამოკვლეულია, (მთელი
წლები დაიხარჯა იმაზე, რათა არამც თუ მთლიანისათ-
ვის, არამედ თითოეული დებულების მიხედვით შესაფე-
რი წყაროები სავსებით გამოკვლეული და შესწავლილი
ყოფილიყო), მაგრამ ჩემი დალაგება ზოგან, მაგ. ელემენ-
ტების მოძღვრების ზოგი ნაწილი, როგორც დედუქტია
კატეგორიებისა ან და წმინდა გონების პარალოგიზმები,
დღეს აღარ მაკმაყოფილებენ, არ მაკმაყოფილებენ იმი-
ტომ, რომ ზოგან დალაგების სიფართოემ მის თვალნათ-
ლიობას ავნო, ამიტომ ამ ნაწილების მიმართ საფუძვლად
ის შეგვიძლია ავიღოთ, რაც აქ პროლეგომენებშია მო-
ცემული.

გერმანელებზე ამბობენ, რომ ისინი იქ, სადაც საჭიროა
გამძლეობა და უწყვეტი ბეჯითობა, ყველა სხვა ხალხს
სჯობნიანო. თუ ეს შეხედულება საფუძვლიანია, მაშინ
სწორედ აქ არის შემთხვევა მოცემული, დავამთავროთ ის
დიდი საქმე, რომლის ბედნიერ დასასრულზე დღუშ-
დე ეჭვი არავის გაჩენია, მისი დაგვირგვინებისათვის ყვე-
ლა მოაზროვნე აღამიანი შრომობს, მაგრამ იგი ბოლომდე
მაინც ვერ მიუყვანიათ; საქმე იმაშია, რომ მეცნიერება, რო-
მელსაც ეს გარემოება შეეხება, იმ განსაკუთრებული სახეო-
ბისა არის, რომლის დამთავრება, სრულყოფა და მყარ
მდგომარეობის აღმოჩენებით აღარც შეიცვლება და საგრძნობ-
ლად აღარც განვითარდება (მე მხედველობაში არ ვღებუ-
ლობ მეცნიერების შესაძლებელ შეკეთება-შელამაზებას,
დებულების გამახვილებას და თვალნათლივობის მომარ-
ჯვებას, არც ათასნაირი პრაქტიკული გამოყენების გა-
ფართოებას და სხვ.); ეს უპირატესობა რომელიმე სხვა
მეცნიერებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, არ
შეიძლება ჰქონდეს იშიტომ, რომ არც ერთი სხვა მეცნიე-

რება არ არის ისე იზოლირებული და სხვისაგან დამოუკიდებელი, მაშასადამე, არ შეიძლება გააჩნდეს ამოდენა სხვაში შეურეველი შემეცნების უნარი. ეს ჩემი წამოწყება მომენტის მოთხოვნილებასთან იმიტომაც უნდა იყოს შეგუებული, რომ დღეს გერმანიაში არც კი იციან, რა აკეთონ და რა დაიწყონ, ე. წ. პრაქტიკული მეცნიერების გარეშე არ ჩანს ისეთი საქმე, რომელიც მარტო თამაში არ იყოს და რომლითაც გარკვეული მიზნის მიღწევა შეიძლებოდეს.

მე სხვისთვის დამითმია იმის გამონახვა, თუ რა მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს მეცნიერებათა საქმიანობა; რათა მათი კვლევის საშუალებები დასახელებული მიზნის მიღწევისათვის გაერთიანდენ. არც იმაში მდგომარეობს ჩემი სურვილი, ვინმეს ჩემი აზრების მიმდინარეობა ვაიძულო, არც ჩემ თანამგრძნობთა იმედებით მოვიტყუებთავს, პირიქით, უნდა იყოს შემოტევა, თავდასხმა, დაცვა, განმეორება, უარყოფა ან დასაბუთება, განსაზღვრა და გაფართოება, მაგრამ საქშე თავისი საფუძვლების მიხედვით უნდა იქნას გამოკვლეული; ამით სისრულეში მოვა ისეთი მოძღვრება (თუგინდ იგი ჩემი არ იყოს), რომელიც, მომავალი თაობისათვის სამეცნილოება იქნება, რისთვისაც მომავალი თაობა უსათუოდ მაღლობელი დარჩება.

აქ ჩვენ, რასაკვირველია, საშუალება არა გვაქვს ვაჩვენოთ, თუ რა მეტაფიზიკა დარჩებოდა, თუ მას სწორი კრიტიკა წინ ექნებოდა. ეს მეტაფიზიკა იმით სავსებით პატია ფიგურად არ დაჩაჩანაკდებოდა, რომ მას ყალბელმოსნებს მოვაშორებდით; ის კი არა სხვა მიმართულებით იგი გამდიდრებული და უკეთ მოკაზმული დარჩებოდა; მაგრამ ის დიდი სარგებლიანობაც, რომელიც მეტაფიზიკის ასეთი რეფორმიდან გამომდინარეობს, თავისთვალი ნათველი არის. ჩვეულებ-

რივი მეტაფიზიკა უკვე იმით იძლეოდა სარგებელს, რომ
წმინდა განსჯის ელემენტარულ ცნებებს დაეძებდა, მათ
ანალიზის საშუალებით თვალნათლივს, ხოლო განმარტე-
ბის საშუალებით, გარკვეულს ხდიდა. ამით იგი გონები-
სათვის გარკვეულ კულტურად გადაიქცა და გონება
ყოველთვის საშუალებას ნახულობდა იგი ასეთად თუ-
ისეთად გამოყენებინა. მაგრამ ამით ამოიშურებოდა ყო-
ველივე ის, რაც მის საქმიანობაში კარგი იყო. ამ თავის-
დამსახურებას მეტაფიზიკა უკვე იმით ანადგურებდა,
რომ თავის უსუსურ მტკიცებებს, თავის ჯიუტ შეხედუ-
ლებას ათასნაირი გამოქნილი ხერხითა და სოფისტობით-
ამკობდა და უმნიშვნელოვანეს და უმძიმეს ამოცანება;
ზერელობითა და ერთი იოტი სქოლასტიკური სიბრძნით-
უმასპინძლდებოდა; ეს ზერელობა იმდენად უფრო საში-
ში და სავალალოა, რამდენადაც იგი, ერთის მხრივ, მეც-
ნიერების ენას ითვისებს, მეორეს მხრივ, პოპულარობას-
ებლაუჭება და ამით ვითომ ყოველივეს იტევს და ითვი-
სებს; სინამდვილეში კი იგი სრული არარაობა არის. კრა-
ტიკის საშუალებით კი ჩვენი მსჯელობა პოულობს მას-
შტაბს, რომლითაც მას უყოყმანოდ შეუძლია ცოდნა და
მოჩვენება ერთმანეთისაგან განასხვავოს; კრატიკის ნამ-
დვილს განხორციელებას და მოხმარებას მეტაფიზიკაში
ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამით მუშავდება აზროვნება-
წესი, რომელიც შემდეგ თავის დადებითს გავლენას გო-
ნების ყველა დანარჩენ მოხმარებაზე ავრცელებს და ნამ-
დვილს ფილოსოფიურ გონებას თავის სარბიელს აძ-
ლევს. საგრძნობია აგრეთვე ის სამსახური, რასაც კრი-
ტიკა თეოლოგიას უწევს, იგი მას დოგმატური სპეციალ-
ციის მსჯავრისაგან დამოუკიდებელს ხდის და ასეთი მოწი-
ნააღმდეგეთა შემოტევისაგან იცავს. თუმცა ჩვეულებრივ
მეტაფიზიკა თეოლოგიას ბევრს უპირატესობას ჰპირდებო-

და, მაგრამ ვერც ერთს ამ დაპირებას ვერ უსრულებდა, და რაღაც სპეცულატურ დოგმატიკას დახმარებისათვის ში- მართავდა, ამიტომ მან მხოლოდ ის ლა გააკეთა, რომ მტრე- ბი თავის წინააღმდეგ შეაიარალა. კრიტიკული ფილოსოფია თავისი უკანასკნელი ნავსაყუდელიდან სდევნის მეოცნებე სპეცულაციას, რომელიც დღევანდელ განათლებულის ეპოქაში მხოლოდ სასკოლო მეტაფიზიკის აჩრდილებში დამალული შეიძლება შეებრძოლოს გონებას; ყოველივე ამით კრიტიკა უფლებას აძლევს მეტაფიზიკის მასწავლე- ბელს, ერთხელ მაინც ყველასათვის მისსალებად განაცხადოს, რომ მის მიერ მოწოდებული მოძღვრება ბოლოს მეცნი- ერება გამხდარა და ამით საზოგადოებისათვის მარ- თლაც ნაყოფიერი რამ გაუკეთებია.

ქირითადი ტერმინებისა და ტექნიკური გამოთქვების თარგმანი.

A

Akcidenz die	აკციძენცია
Allgemeine das	ზოგადი
Allgemeinheit die	ზოგადობა
Allgemein	ზოგადათ
Allgemeingültigkeit die	ზოგადგავლენიანობა
Allgemeingültig	ზოგადგავლენიანად
Allheit die	სავსეობა
Als ob	ვითომც და
Analogie die	ანალოგია
Analytik die	ანალიტიკა
Analysis die	ანალიზი, დანაწევრება
Analytisch	ანალიზური
Anfang der	დასაწყისი, საწყისი
Anschauung die	მჭვრეტელობა (ინტუიცია)
Antinomie die	ანტიონომია
Antizipation die	აპოდიქტური (აუცილებელი)
Apodiktisch	აპოსტერიორული
a posteriori	აპრიორული
a priori	აპერიცეპცია
Apperzeption die	ესთეტიკა
Aesthetik die	განათლებულობა
Auklärung die	სახეობა, სახე
Art die	ფანჯენილობა
Ausdehnung die	ასურტორული (ნამდვილი)
Assertorisch	

B

Bedingung die	პირობა
Bedingtes das	განსაზღვრული
Bedeutung die	მნიშვნელობა
Begrenzung die	ზღვარდება
Begriff der	ცნება
Beharrlichkeit die	მყარ ობა
Behauptung die	მტკიცებება
Behauptender Satz	მტკიცებელი დებულება
Bejahung die	ჰოყოუა
Bejahende das	ჰოყოფითი
Besondere das	კერძოობითი

Beschränkung die
Bestimmung, Bestimmtheit, die
Beweis der
Bewusstsein das
Bewusstsein überhaupt

შემოფარგვლა
გარკვეულობა
დასაბუთება
ცნობიერება
ცნობიერება საერთოდ

D

Dasein das
Deduktion die
Denken das
Ding das
Ding an sich das
diskursiv
disjunktiv
dynamische Grundsätze

არსებობა
დედუქტია
აზროვნება
ნივთი
ნივთი თავისთავალ
დისკურსიული
დისიუნქტური (გაყოფითი)
დინამიური პრინციპები

E

Eigentliches das
Eigentümliches das
Einbildungskraft die
Einheit die
Einschränkung die
Einzelne das
Einteilung
Empfindung die
Erfahrung die
(mögliche Erfahrung,
innere Erfahrung,
äußere Erfahrung)
Erfahrungsgebrauch
Erkenntnis die
Erläuterungsurteil das
Erweiterungsurteil das

Erscheinung die
Erscheinen
Es erscheint
Existenz die
extensiv

ნიშანდობლივი
თავისებურება
წარმოსახევის უნარი—ფანტაზია
ერთიანობა
შემოფარგვლა, განსაზღვრა
მხოლობითი
დანაწილება
შეგრძნობა
ცდა
(შესაძლებელი ცდა
შინაგანი ცდა
გარეგანი ცდა)
ცდისეული მოხმარება
შემცნება
განმმარტებელი მსჯელობა
(ანალიზური)
გამფართოვებელი მსეჯლობა
(სინთეზური)
მოვლენა
ვლენა
ვლინდება
არსებობა, მუნყოფნა
ექსტენსური

F

Form der Sinnlichkeit die
Funktion die

მჯრძნობელობის ფორმა
ფუნქცია

G

Ganze das
Gedanke der
Gedankending das
Gedankengegenstand der
Gefühl das
Gemeiner Verstand
Gemeinschaft die
Gemüt das
Gestalt die
Gesunder Menschenverstand
Gewohnheit die
Grad der
Grenze die
Grenzbestimmung der Vernünft
Grösse die
Grundbegriff der
Grundsatz der
Gültigkeit die

მთლიანობა
საზრისი
აზრის უსული ნივთი
აზრის საგანი
გრძნობა, გრძნება
მდაბიო განსჯა
ერთობა
ნიტი (ჸეჭა)
აღნაგობა
ჯანსაღი ადამიანური განსჯა
ჩვეულება
ხარისხი
საზღვარი, ზღვარი
გონების ზღვარდება
სიდიდე
ძირითადი ცნება
ძირითადი დებულება
გავლენიანობა

H

Handlung die
Hypothese die
Hypothetisches Urteil

მოქმედება
ჰიპოთეზი
ჰიპოთეზური მსჯელობა

I

Ich
Idealität des Raumes und der Zeit
Idee die
Identität die
Immanent
Inbegriff der
Intelligenz (oberster)
Intelligibel

მე
სივრცის და დროის იდეალობა
იდეა
იგივეობა
იმმანენტი
კრებადობა
ინტელიგენცი უმაღლესი — ღმერთი
ინტელიგიბელი

K

Kategorie die
 Kategorisches Urteil
 Kausalität die
 Kausalbegriff der
 Körper der
 Kosmologische Idee die
 Kritischer Idealismus

კატეგორია
 კატეგორული მსჯელობა
 მიზეზობრიობა, კაუზალობა
 მიზეზობრივი ცნება
 სხეული
 კოსმოლოგური იდეა
 კრიტიკული იდეალიზმი

L

Logisches Wesen
 Logischer Gebrauch

ლოგიკური არსება
 ლოგიკური მოხმარება

M

Mass das
 Methode, analytische
 und synthetische, regressive
 und progressive, kritische,
 dogmatische die
 Modalität die
 Möglichkeit die
 Möglichkeit der Natur die

ზომა
 მეთოდი, ანილიზური
 და სინთეზური,
 რეგრესული და პროგრესული,
 კრიტიკული, დოგმატური
 მოდალობა
 შესაძლებლობა
 ბუნების შესაძლებლობა

N

Natur die
 Naturkunde die
 Naturgesetz das
 Naturnotwendig
 Naturordnung
 Naturwissenschaft die
 Negation die
 Negatives Urteil
 Notwendigkeit die
 Noumenon

ბუნება
 ბუნებისმეტყველება
 ბუნების კანონი
 ბუნებრივ აუცილებელი
 ბუნების წესწყობა
 ბუნებათმეცნიერება
 ნეგაცია, უარყოფა
 უარყოფითი მსჯელობა
 აუცილებლობა
 ნოუმენი, ნივთი თავისთავად

O

Objekt das
 Objektive Gültigkeit die
 Ontologischer Beweis
 Ontologische Einteilung

ობიექტი
 ობიექტური გავლენიანობა
 ონტოლოგიური დასაბუთება
 ონტოლოგიური დანაწილება

P

Paralogismus der
Perzeption
Physiologische Grundsätze

Postulate des empirischen Den-
kens überhaupt
Problematisches Urteil

პარალოგიზმი
პერცეპცია, აღქმა
ფიზიოლოგიური (ბუნებრივი) პრინ-
ციპები
ემპირიული აზროვნების
პოსტულატები საერთოდ
პრობლემატური მსჯელობა

Q

Qualität die
Quantität die

კვალიტეტი, თვისობრიობა
კვანტიტეტი, რიცხობრიობა,
რაოდენობა

R

Raum der
Raum als formale Bedingung
der Sinnlichkeit
Realität die
Regel
Reflexion die
Relation die

სივრცე
სივრცე ორგორც მგრძნობელობის
ფორმალური პირობა
რეალობა
წესი
რეფლექსია
რელაცია

S

Satz der
Scheinen
Seele die
Sein das
Sinn der
Sinnlichkeit die
Sinnenwelt die
Sollen das
Sujet überhaupt
Substantiale
Synthetisches Urteil

დებულება, წინადადება
ჩვენება, მოჩვენება.
სული
არსი
გრძნობა
მგრძნობელობა
გრძნობადი სამყარო
ჯერარსობა
სუბიექტი საერთოდ
სუბსტანციური
სინთეზური (გამფართოებელი)
მსჯელობა

T

Teilbarkeit die
Transscendental
Transcendent

დაყოფა, დანაწილება
ტრანსცენდენტალური
ტრანსცენდენტური, მიღმური

U

Undurchdringlichkeit die
 Unendlichkeit die
 Unterschied der
 Unterscheidende das
 Ursache die
 Ursprung der
 Urteil das

შეუვალობა
 უსასრულობა
 განსხვავება
 განმასხვავებელი
 მიზეზი
 დასაბამი
 მსჯელობა

V

Vernunft die
 Verneinung die
 Verschiedenheit die
 Verstand der
 Verstandsbegriff der
 Verstandeswelt die
 Verständeswesen das
 Vielheit die
 Vollständigkeit die
 Vorstellung die

გონება
 უარყოფა
 სხვაობა
 განსჯა
 განსჯითი ცნება.
 განსჯის სამყარო
 განსჯითი არსება
 სიტრავლე
 სისრულე
 წარმოდგენა

W

Wahrheit die
 Wahrnehmung die
 Wahrnehmungsurteil das
 Wahrscheinlichkeit die
 Wechselwirkung die
 Weltanfang der
 Wesen das
 Widerspruch der
 Wirklichkeit die
 Wissen das
 Wissenschaft die

ჭეშმარიტება
 აღქმა
 აღქმითი მსჯელობა
 აღბათობა
 ურთიერთქმედება
 სამყაროს დასაბამი
 არსება
 წინააღმდეგობა
 სინამდვილე
 ცოდნა
 მეცნიერება

Z

Zeit die
 Zergliederung die
 Zufall der
 Zufällig
 Zusammengesetzte das
 Zweck der

დრო
 დანაწევრება
 შემთხვევა
 შემთხვევით
 რთული
 მიზანი

ს ა რ ჩ მ ვ ი

	83-
კანტის „პროლეგომენების“ ქართული გამოცემისათვის (პროფ.	
პ. შარიას წინასიტყვაობა)	31
წინასიტყვაობა „პროლეგომენების“ ქართული თარგმანისა- თვის (პროფ. დ-რ მოსე გოგიძე რიძისა)	27

კანტის პროლეგომენები.

	43
შესავალი	
წინას წარი შენიშვნა ყოველი მეტაფიზიკური შემეც- ნების თავისებურებისათვის	58
§ 1. მეტაფიზიკის წყაროების შესახებ	58
§ 2. შემეცნების სახეობაზე, რომელსაც შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკური ერქვას	59
ა) განსხვავებაზე ანალიზურსა და სინთეზურს მსჯე- ლობას შორის საერთოდ	59
ბ) ყველა ანალიზური მსჯელობისათვის საერთო პრინ- ციპი არის წინააღმდეგობის დებულება	60
c) სინთეზური მსჯელობანი საჭიროებენ სწვა პრინ- ციპს, ვიდრე წინააღმდეგობის დებულებას	61
§ 3. შენიშვნა მსჯელობათა ზოგადი დანაწილებისათვის ანალიზურად და სინთეზურად	65
ზოგადი საკითხი: შესაძლებელია საერთოდ მეტა- ფიზიკა თუ არა? (§ 4)	67
როგორ არის შესაძლებელი შეშეცნება	
წმინდა გონებისაგან	74
ძირითადი ტრანსცენდენტალური საკითხის	
პირველი ნაწილი: როგორ არის შესაძლებელი წმინ- და მათემატიკა? (§ 6—13)	83
შენიშვნები I—III	93
მეორე ნაწილი: როგორ არის შესაძლებელი წმინდა ბუნებათმეც- ნიერება (§ 14—38)	106
წმინდა ბუნებათმეცნიერებისათვის. კატეგორიების სისტემისა- თვის (§ 39)	150

მეხამე ნაწილი: როგორ არის მეტაფიზიკა საერთოდ შესაძლებელი? (§ 40—56)	157
I. ფსიქოლოგიური იდენტი (§ 46—49)	167
II. კოსმოლოგიური იდენტი (§ 50—54)	174
III. თეოლოგიური იდეა (§ 55)	189
ზოგადი შენიშვნა ტრანსცენდენტულური იდენტისათვის (§ 56)	190
დასკვნა: წმინდა გონიერების საზღვრების გარკვევისათვის (§ 57—60)	193
ზოგადი საკითხის გადაწყვეტა: როგორ არის მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება შესაძლებელი?	216
დამატება	
იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ მეტაფიზიკა მართლაც მეცნიერებად იქცეს	226
ნიმუში მსჯელობისა კრიტიკის შესახებ, რომელიც გამოკვლევას წინ უსწრებს	228
წინადადება	
კრიტიკის ისეთი გამოკვლევისათვის, რომელსაც შემდეგ შეიძლება მსჯელობა მოჰყვეს	239
პირითადი და ტექნიკური გამოთქმების თარიღი	247

ტექნიკური მ. მამულაშვილი, კორექტორი ვ. ხოშტანია, გამომშვები ს. ლორთქი თეითანიძე. გადაეცა წარმოებას 11/1—36 წ., ხელმოწერილია დასახეჭდად 10/VIII 36 წ. ანაწყ. ზომა 5×8, ქაღალდის ზომა 7½×105, ფორმათა რაოდენობა: 15#/კ. ტიაუი 3000, შეკვეთა 270, მთავრის რწმუნებული № 2007.

სახელგამის მე-2 სტამბა, ორჯეონიკიძის ქ. № 50.

3350 5—75 42.

И. КАНТ
ПРОЛОГОМЕНЫ
ФОКУЗДАТ ГРУЗИН
Тбилиси 1936